# საერთო გაზეთი

№15 (199) ● 28.III-3.IV,2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.ge; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## ბიძინა ივანიშვილი:

# `me var ukanaskneli Tavisufali adamiani am qveyanaSi~

SPIEGEL ONLINE





გთავაზობთ ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს, რომელიც ჟურნალ „შპიგელში“ გამოქვეყნდა

## რეზო ამაშუკელი:

sad arian Cveni `eris mamebi~, sanam magaT dedebs ar moviki Txav, rogorc saWiroa ise, amoiRon xma!



## vin daqoqa nacebis `kako-tako~ da vin `daaqaqebina~ jon basisTvis

saakaSvili putinis ssrk-Si gvabrunebs?



ISSN 2233-3983

9 772233 398001

## გია გაჩეჩილაძე:

aRsasrulis win, rogorc hitlerma gaswira germania, ise wiravs saakaSvili saqarTvelos

## მამუკა არეშიძე:

Tqven geubnebiT pirvelad, am `band formirebebis~ wevrTa umravlesobas piradad vicnob

## ჰამლეტ ჭიპაშვილი:

vin aris feThula giuleni da ra interesebi aqvs mas saqarTveloSi?

## ჩამაფ საყვარელიძე:

samxedro SenaerTebi xelisuflebas qveynaSi Sida procesebis CasaxSobad sWirdeba

## მიხეილ ცაგარელი:

`23 seqtembridan 23 oqtombramde periodi politikose-bisTvis saukeTesoa am weliwadSi~



## ივანიშვილმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრაზე არმისვლის მიზეზი განმარტა

ბიძინა ივანიშვილი გერმანიის საგარეო საქმეთა მინსიტრის მიერ იმ შეხვედრაზე მიწვევით, სადაც მასთან ერთად „ფსევდო-ოპოზიციის" წარმომადგენლებიც უნდა ყოფილიყვნენ, „ცოტა არ იყოს შეურაცხყოფილი" დარჩა. შესაბამისი განცხადება "ქართული ოცნების" ლიდერმა გერმანულ "შპიგელისთვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

„შპიგელის" ჟურნალისტს აინტერესებდა, თუ რატომ არ მიიღო თბილისში მყოფი გვიდო ვესტერველეს მიწვევა ივანიშვილმა.

„გულწრფელად რომ გითხრათ, ცოტა არ იყოს შეურაცხყოფილი დავრჩი. მან იმავე შეხვედრაზე მიმიწვია, სადაც იმ ფსევდო-ოპოზიციის წარმომადგენლებს ხვდებოდა, რომლებიც სააკაშვილს ჯიბეში ჰყავს. შესაძლოა, ის სწორად არ იყო ინფორმირებული. ვესტერველე ის იყო გაემგზავრა (ქვეყნიდან), როდესაც ასობით ჩემს მხარდამჭერს დაკითხვებს უწყობდნენ", — განაცხადა ივანიშვილმა.

## ბიძინა ივანიშვილი: ჩემი რესურსების 99 პროცენტს პროცენტს საქართველოში ვხარჯავ

"ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი რუსეთის ფედერაციის წინაშე თავს ვალდებულად არ მიიჩნევს. ეს განცხადება ივანიშვილმა "შპიგელისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჟურნალისტის იმ კითხვის საპასუხოდ გააკეთა, რომლის მიხედვითაც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები მას რუსეთის აგენტობაში ადანაშაუელბენ.

"მე ვარ ვალდებული ჩემი ქვეყნის წინაშე. ჩემი რესურსების 99 პროცენტს საქართველოში ვხარჯავ. მე განვაახლე აქ ყველა თეატრი და მუზეუმი; ავაშენე გზები, და 50 ახალი სკოლა. რუსი ჯაშუშები ასე რომ იქცეოდნენ, ჩემი ქვეყნის წარმატება ასეთი აგენტების სიმრავლეზე იქნებოდა დამოკიდებული. 10 წელია რუსეთში არ ვყოფილვარ", - განაცხადა მან.

ინტერვიუს ქართულ თარგმანს "ფორეინპრესი" აქვეყნებს.

## ბიძინა ივანიშვილი: მინდა, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები ექვსი თვის განმავლობაში დააკვირდნენ საარჩევნო კამპანიას

"მე არაფრის მოთხოვნის უფლება არ მაქვს, მაგრამ მინდა უბრალოდ ვთხოვო დასავლეთს, დაინახოს რეალური სიტუაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი და სააკაშვილს თავი არ მოატყუებინოს", - ეს განცხადება "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა გერმანული "შპიგელისთვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

ივანიშვილის თქმით, ევროპამ და ამერიკამ საქართველოს ხელისუფლება მისი ქმედებების მიხედვით უნდა შეაფასოს და არა სიტყვების და დაპირებების. წინააღმდეგ შემთხვევაში სააკაშვილი საქართველოს დიქტატურად გადააქცევს.

"ბოლო დროს ხშირად ვსაუბრობ ევროპული ქვეყნების ელჩებთან. იმედი მაქვს, რომ ევროპა დაგვეხმარება ნამდვილად თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაში. საქართველოს სურს შექმნას პრეცედენტი, რომ ხელისუფლების გადაცემა აქ მოხდეს არჩევნების და არა რევოლუციის გზით, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე. მე მინდა, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები, მაგალითად, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციიდან (ეუთო), ექვსი თვის განმავლობაში დააკვირდნენ საარჩევნო კამპანიას", - განაცხადა ივანიშვილმა ინტერვიუში, რომლის ქართულ თარგმანსაც „ფორეინპრესი" ქვეყნებს.

## koalicia `qarTuli ocnebis~ gancxadeba erovnuli demokratiuli institutis kvlevebTan dakavSirebiT

პირველ რიგში, გვინდა კიდევ ერთხელ გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება აშშ-ს მთავრობის მიერ ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოსთვის აღმოჩენილი დახმარების, მათ შორის **USAID**-ს ეგიდით განხორციელებული მრავალრიცხოვანი პროგრამების გამო. ჩვენთვის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის, მნიშვნელოვანია ის საქმიანობა, რომელსაც წლების განმავლობაში ეწევიან **NDI**-ის და **IRI**-ის ადგილობრივი ოფისები.

ამასთან, სულ უფრო აშკარა ხდება, რომ ამ ორგანიზაციების მიერ წლების განმავლობაში განხორციელებული ერთ-ერთი პროექტის, კერძოდ, სოციოლოგიური კვლევების ის ნაწილი, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს ეხება, არა თუ ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, არამედ კონტრპროდუქტიული გახდა კონკურენტული პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბებისა და მოქალაქეების მიერ ინფორმირებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთებისთვის. ერთი მხრივ, აღნიშნული კვლევების ჩატარებისა და შედეგების გამოქვეყნების მეთოდოლოგიამ და ფორმატმა და, მეორე მხრივ, მმართველი პარტიის მიერ ნაციონალური ტელევიზიების გამოყენებით ამ შედეგებით მანიპულირებამ, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს კვლევებისადმი ნდობა დააკარგვინა.

**NDI**-ს უკანასკნელმა კვლევებმა ეს პრობლემები კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა და მისი ანალიზი და კომენტირება ყოველგვარ აზრს მოკლებულია, ხოლო კვლევებთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩვენს კოალიციაში გაერთიანებული პოლიტიკური ძალები უახლოეს პერიოდში წერილობით მივმართავთ აშშ-ს მთავრობას და შესაბამის ორგანიზაციებს, სადაც ავსახავთ ჩვენს წიანადადებებს საპარლამენტო არჩევნებამდე ამ პრობლემების მოგვარების თაობაზე.

## NDI-s gancxadeba: gamoqveynebuli informacia ar asaxavs NDI-is mier Catarebuli kvlevis Sedegebs

„ნაციონალური მოძრაობის" თბილისის რეიტინგთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას **NDI** ეხმაურება და აცხადებს, რომ ინფორმაცია, რომელიც მედიასაშუალებებით გამოქვეყნდა, სინამდვილეს არ შეესაბამება.

„საინფორმაციო სააგენტო „პირველის" ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას თბილისში ნაციონალური მოძრაობის რეიტინგთან დაკავშირებით. აღნიშნული ინფორმაცია სააგენტოს ვებ-გვერდის მეშვეობით 26 მარტს, 21:09 საათზე არაოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გავრცელდა.

გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ზემოხსენებული რეიტინგის წყარო არ არის **NDI**-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები და სიმართლეს არ შეესაბამება.

**NDI**-ის პარტიების რეიტინგების შესახებ ინფორმაცია არ გამოუქვეყნებია და, შესაბამისად, სააგენტო „პირველის" ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია არ ასახავს **NDI**-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს", — ნათქვამია **NDI**-ის განცხადებაში.

**Presage.tv**

## ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის კავშირის მიმართვა ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა!

ჩვენ, ეროვნულ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ 1990 წელს ზვიად გამსახურდიას ლიდერობით, მრავალპარტიულ არჩევნებში დავამარცხეთ კომუნისტური პარტია, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რუსის ჯარი გაყვანილ იქნა საქართველოს ტერიტორიიდან. დღეს კი რა ხდება? რუსეთის მიერ აღიარებულია აფხაზეთის და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა და დგას მათი საიკუპაციო ჯარი, საქართველო წალეკა უმუშევრობამ და სიღარიბემ. სოფელი დაცლილია და იცლება ახალგაზრდობისაგან მეზობენ ქვეყნებში სამუშაოს ძებნის მიზნით, ხალხი სოციალურად დაუცველია. ამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქართველი კაცი გაღარიბებულიყო და დაემყარებინათ ტოტალური რეჟიმი. ყველაფერს აქვს საზღვარი. ასე აღარ შეიძლება.

ბატონი ბიძინა, ვხედავთ რა თქვენში ჭეშმარიტ პატრიოტიზმს, რომ მზად ხართ ემსახუროთ ჩვენს საფიცარ ქვეყანას, ჩვენ სამშობლოს ერთგული და ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლები, უზენაესი საბჭოს და ადგილობრივი საკრებულოს დეპუტატები, მთავრობის წარმომადგენლები, პრეფექტები, ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრები, ეროვნული გვარდიის ბატალიონის წევრები, კიდევ ერთხელ მზად ვართ დავდგეთ ჩვენი სამშობლოს სადარაჯოზე და დაგიჭიროთ მხარი არჩევნების გზით არსებული ხელისუფლების მშვიდობიანად შესაცვლელად, რათა ყველამ ერთად ავიხდინოთ ჩვენი ქართული ოცნება.

ხელმოწერები:

1. კახა სიხარულიძე ზვიად გამსახურდიას ნდობით აღჭურვილი პირი;
2. ნოდარ მგალობლიშვილი დეპუტატი; აფხაზეთის, დისიდენტი, ზ. გამსახურდიას მეგობარი
3. დიმიტრი ქებურია დეპუტატი; აფხაზეთის
4. ლადო ცოფურაშვილი დეპუტატი;
5. ანრი ყრუაშვილი დეპუტატი;
6. დათო ტაბიძე დეპუტატი;
7. ანზორ სიჭინავა დეპუტატი;
8. გია ფირცხალაიშვილი დეპუტატი;
9. თამაზ გველესიანი დეპუტატი, ვაჭრობის მინისტრი;
10. ჯემალ დავლიანიძე კასპის პრეფექტი, მწერალი, ზ. გამსახურდიას მეგობარი
11. იგორ ჩხეიძე მატერიალური რესურსების მინისტრი, ზ. გამსახურდიას მეგობარი
12. ლერი გირგვლიანი დმანისის პრეფექტი
13. მერაბ ღვინეფაძე ტყიბულის პრეფექტი
14. ანზორ აბრალავა ისნის რაიონის პრეფექტი
15. გოჩა მაკარიძე ზესტაფონის საკრებულოს დეპუტატი
16. ზაზა ბურჯანაძე ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვა;
17. გოჩა კეკენაძე ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვა;
18. ბაჩუკი გვანცელაძე ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვა;
19. თამრიკო გიორგობიანი თანამებრძოლი
20. ნინო ნიშნიანიძე იურისტი, უზენაესი საბჭოს კონსულტანტი, გურამ შარაძის ადვოკატი
21. შალვა თოიძე თანამებრძოლი
22. ლადო თოიძე თანამებრძოლი
23. პეტრე ივანიძე პოლიტპატიმარი
24. ზაზა ქირია პოლიტპატიმარი (ხობის ბატალიონის უფროსი)
25. ზალოგი კვარაცხელია პოლიტპატიმარი (წალენჯიხის ბატალიონის უფროსი)
26. ზაზა ჩიქოვანი პოლიტპატიმარი (ჩხოროწყუს ბატალიონის უფროსი)
27. დემზარი ქირია ვიცე პოლკოვნიკი (სოხუმის ბატალიონი), ზურა ირემაძის მოადგილე(ფოთი)
28. ამირან წიკლაური პოლიტპატიმარი
29. ზურა ჭილავა პოლიტპატიმარი
30. მამუკა ჩუხუა პოლიტპატიმარი
31. ზაქრო დიღმელაშვილი გვარდიელი
32. დათო ჩხაიძე გვარდიელი
33. ბონდო ხვიბლიანი გვარდიელი
34. ზურა მხატვარი გვარდიელი
35. თამრიკო ჟღენტი თანამებრძოლი
36. ნანა აროშიძე თანამებრძოლი
37. ფისო ნავროზაშვილი თანამებრძოლი
38. მაია შამათავა თანამებრძოლი
39. მანანა გაბელია თანამებრძოლი
40. ქეთევან აბდალაძე თანამებრძოლი
41. ხათუნა ბეძენიშვილი თანამებრძოლი
42. მიშა დათაშვილი თანამებრძოლი

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

SPIEGEL ONLINE

ბენიამინ ბიდერი

# biZina ivaniSvili: `me var ukanaskneli Tavisufali adamiani am qveyanaSi~

*ქართველი მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი ოპოზიციური მოძრაობის შექმნით გამოწვევას უგზავნის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. ახლახანს ბევრი მისი მხარდამჭერი დაკითხეს, რასაც **Amnesty International**-მა დაშინების მცდელობად შეაფასა. **SPIEGEL ONLINE**-თან ინტერვიუში, ივანიშვილი დასავლეთს სთხოვს უარი თქვას სააკაშვილის მხარდაჭერაზე, რომელსაც მისი მტკიცებით საქართველო დიქტატურისკენ მიჰყავს.*

*გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოში ვიზიტის მეორე დღეს (გიდო ვესტერველემ ამ ქვეყანას პრესის თავისუფლებისა და „ოპოზიციის უფლებების დაცვისკენ მოუწოდა“), პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მისი პოლიტიკური კონკურენტების წინააღმდეგ მასშტაბური კამპანია წამოიწყო. ამ თვის დასაწყისში ოპოზიციური ლიდერის და ოლიგარქის ბიძინა ივანიშვილის 100 ზე მეტი მხარდამჭერი დაკითხვაზე გამოიძახეს. დაკითხვები, რომელიც საათების განმავლობაში გრძელდებოდა, უფლებადამცველი ორგანიზაცია **Amnesty International**-სთვის იმის მიზეზი გახდა, რომ სააკაშვილი წინასწარ განზრახული დაშინების კამპანიის წარმოებაში დაედანაშაულებინა.*

*ივანიშვილი, რომელმაც 2003 წელს სააკაშვილის „ვარდების რევოლუცია“ დააფინანსა, იმედოვნებს, რომ შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში პრეზიდენტის პარტიას დაამარცხებს. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მის მოძრაობას „ქართულ ოცნებას“, რომელიც 2011 წლის დეკემბერში შეიქმნა, გამოკითხულთა 28% უჭერს მხარს. სააკაშვილის მთავრობამ უკვე გაამკაცრა კანონები პარტიების დაფინანსებაზე და ივანიშვილს, რომლის პირადი კაპიტალიც ჟურნალმა **Forbes**-მა 5 მილიარდ დოლარად (3.8 მილიარდი ევრო) შეაფასა, მოქალაქეობა ჩამოართვა. 56 წლის ბიზნესმენი საქართველოს დედაქალაქის, თბილისის ფერდობზე წამოჭიმულ მინისა და ლითონის ფუტურისტულ შენობაში ცხოვრობს.*

***SPIEGEL ONLINE**-თან ინტერვიუში, ივანიშვილი საკუთარ პოლიტიკურ ხედვაზე საუბრობს და სააკაშვილის მმართველობის პირობებში საქართველოსთვის ბნელ სურათს ხატავს.*



**— თქვენ, დღემდე არ იძლეოდით ინტერვიუებს. ამბობთ, რომ ჟურნალისტები არ გიყვართ და ვერ იტანთ ყირადღების ცენტრში ყოფნას. საიდან გაგიჩნდათ უცებ პოლიტიკური ამბიციები?**

— ჩემი ფილოსოფია ასეთია: მირჩევნია საზოგადოების ყურადღების მიღმა ვიყო. თავისუფლება მიყვარს. მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო სერიოზული ზეწოლის ქვეშ ვექცეოდი. არჩევანი უნდა გამეკეთებინა: ან უნდა დამეტოვებინა ქვეყანა, სადაც ჩემი ყოფნა სულ უფრო სახიფათო ხდებოდა, ან შეტევაზე გადავსულიყავი.

**— თუკი საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა არ გიყვართ, რატომ არ დაუჭირეთ მხარი უკვე არსებულ ოპოზიციურ პარტიას?**

— სააკაშვილმა პარტიები ერთი მეორეს მიყოლებით იყიდა. ეს ფსევდო ოპოზიციური პარტიებია. მაგრამ რამდენიმე წესიერმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმაც დაკარგა მოქალაქეების ნდობა. მე ვარ უკანასკნელი თავისუფალი ადამიანი ამ ქვეყანაში. მაქვს ფული, მაგრამ ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი კაპიტალი ხალხის ნდობაა.

**— ეს მაღალი სიტყვებია. რას გეგმავთ გამარჯვების შემთხვევაში?**

— ევროპა ჩვენთვის მისაბაძი მაგალითი, მიზანი და ბედისწერაა. გვინდა მისი ნაწილი გავხდეთ. ჩვენ სწრაფად მოვარგებთ ჩვენს ინსტიტუტებს ევროპულ მოდელს, გავათავისუფლებთ სასამართლოს და შევქმნით თავისუფალ მედიას. წელიწადნახევარ ან ორ წელიწადში მე წავალ პოლიტიკიდან.

**— და ყველაფერს ხელახლა მიატოვებთ?**

— არა. მე ვიმუშავებ სამოქალაქო საზოგადოებასთან. რა თქმა უნდა, ისეთი პასიური აღარ ვიქნები, როგორც ადრე. მე დავეხმარები საზოგადოებას იმ მთავრობის შეკავებაში, რომელსაც დავტოვებ.

**— რატომ შეიძინეთ სარეკლამო გვერდები ისეთ ამერიკულ გამოცემებში, როგორიც მაგალითად Washington Post, სადაც თქვენ მოუწოდეთ დასავლეთს შეწყვიტოს სააკაშვილის მხარდაჭერა?**

— ამერიკამ საქართველო უმცროსი პარტნიორის რანგში აირჩია. შეერთებული შტატები ფიქრობს, რომ სააკაშვილი დემოკრატიულ საქართველოს აშენებს, მაგრამ ეს მხოლოდ ფასადია. მე მინდა ამერიკელებს მისი ნამდვილი სახე დავანახო. სააკაშვილი მათ თვალში ნაცარს აყრის.

**— რას გულისხმობთ?**

— 2004 წელს ხელისუფლებაში მოსვლიდან ორი წლის განმავლობაში, ის მართლაც აშენებდა დემოკრატიულ სისტემას. მაგრამ მან ამ გზას გადაუხვია. ის ტოტალიტარულ სახელმწიფოს ქმნის.

**— რას მოითხოვთ დასავლეთისგან?**

— მე არაფრის მოთხოვნის უფლება არ მაქვს. მაგრამ მინდა უბრალოდ ვთხოვო დასავლეთს დაინახოს რეალური სიტუაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი და სააკაშვილს თავი არ მოატყუებინოს. ევროპამ და ამერიკამ საქართველოს ხელისუფლება მისი ქმედებების მიხედვით უნდა შეაფასოს და არა სიტყვების და დაპირებების. წინააღმდეგ შემთხვევაში სააკაშვილი საქართველოს დიქტატურად გადააქცევს.

**— თქვენი წინადადება რაში მდგომარეობს?**

— ბოლო დროს ხშირად ვსაუბრობ ევროპული ქვეყნების ელჩებთან. იმედი მაქვს, რომ ევროპა დაგვეხმარება ნამდვილად თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაში. საქართველოს სურს შექმნას პრეცედენტი, რომ ხელისუფლების გადაცემა აქ მოხდეს არჩევნების და არა რევოლუციის გზით, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე. მე მინდა, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები, მაგალითად, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციიდან (ეუთო), ექვსი თვის განმავლობაში დააკვირდნენ საარჩევნო კამპანიას.

**— სააკაშვილის ზედმეტად ნეგატიურ სურათს ხომ არ ხატავთ? მან პოლიციის რეფორმა ჩაატარა, რომელმაც უცხოეთში დიდი ყურადღება მიიპყრო**

— პოლიციის რეფორმა წარმატებული იყო. ათასობით პოლიციელმა შეწყვიტა ქრთამის აღება, მაშინ როდესაც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში პოლიცია კორუმპირებულია. მაგრამ კორუფცია აღმოიფხვრა დაბალ რგოლებში, მაშინ როდესაც მაღალ რგოლში ადამიანთა მცირე ჯგუფი ჯიბეს ისქელებს.

**— თქვენ ადანაშაულებთ სააკაშვილს იმაში, რომ იგი პირადადაც გამდიდრდა?**

— რა თქმა უნდა. მან შექმნა ეს სისტემა. ეკონომიკაში დაახლოებით 15, 20 ადამიანი დომინირებს. ქართული ეკონომიკის დიდ ნაწილს გენერალური პროკურორი აკონტროლებს; თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი აკონტროლებს გაზის და ნავთობის ბიზნესს.

**— მთავრობა, თავის მხრივ, კრემლის აგენტს გიწოდებთ. ქონება რუსეთში დააგროვეთ. რამდენად ვალდებული ხართ რუსეთის წინაშე?**

— არანაირად. მე ვარ ვალდებული ჩემი ქვეყნის წინაშე. ჩემი რესურსების 99% პროცენტს საქართველოში ვხარჯავ. მე განვაახლე აქ ყველა თეატრი და მუზეუმი; ავაშენე გზები, და 50 ახალი სკოლა. რუსი ჯაშუშები ასე რომ იქცეოდნენ, ჩემი ქვეყნის წარმატება ასეთი აგენტების სიმრავლეზე იქნებოდა დამოკიდებული. 10 წელია რუსეთში არ ვყოფილვარ.



**— კავკასია დენთის კასრია. ირანი, რომელიც ისრაელის საჰაერო დარტყმების სამიზნე შეიძლება გახდეს, თქვენი მეზობელია. აზერბაიჯანი თავის სამხედრო პოტენციალს აძლიერებს. საქართველოს კონფლიქტები სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში კვლავ გადაუჭრელია. ხომ არ სჭირდება საქართველოს სტაბილური პირობები, და არა ლიდერი, რომელიც თქვენი თქმით, ორი წლის შემდეგ გადადგომას გეგმავს?**

— ისეთ პატარა ქვეყნას როგორიც საქართველოა, ძალიან მცირე გავლენა აქვს გლობალური დონის კონფლიქტების გადაწყვეტაზე. დიახ, ჩვენ შეიძლება მოვლენათა ასეთი განვითარების მსხვერპლნი გავხდეთ, მაგრამ რთული რეგიონალური სიტუაცია არ ამართლებს ერთი ადამიანის მიერ ხელისუფლების შენარჩუნების გადაწყვეტილებას. ჩემთვის ცხადია, რომ დემოკრატიზაცია ძალიან რთული პროცესია.

**— როგორ გეგმავთ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის კონფლიქტების მოგვარებას?**

— ჩვენ აღვადგენთ პირდაპირ მოლაპარაკებებს ჩვენ დებთან და ძმებთან. ჩვენ დავიწყებთ მოლაპარაკებას რუსეთთან. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ჩვენი ისტორია. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენი თანაცხოვრება მშვიდობიანი იყო.

**— რა პირობებში იქნებოდა თქვენთვის მისაღები ამ რეგიონების დამოუკიდებლობა?**

— ქართველი ხალხი არასდროს დათანხმდება მათ დამოუკიდებლობაზე.

**— თბილისში ვიზიტის დროს მარტის შუა რიცხვებში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ გიდო ვესტერველეს სურდა თქვენთან შეხვედრა. რატომ არ მიიღეთ მიწვევა?**

— გულწრფელად, რომ გითხრათ, ცოტა არ იყოს შეურაცხყოფილი დავრჩი. მან იმავე შეხვედრაზე მიმიწვია, სადაც იმ ფრესვდო-ოპოზიციის წარმომადგენლებს ხვდებოდა, რომლებიც სააკაშვილს ჯიბეში ჰყავს. შესაძლოა, ის სწორად არ იყო ინფორმირებული. ვესტერველე ის იყო გაემგზავრა (ქვეყნიდან), როდესაც ასობით ჩემს მხარდამჭერს დაკითხვებს უწყობდნენ.

**— რუსმა ოლიგარქმა მიხეილ ხოდორკოვსკიმ ერთხელ გამოიწვია რუსეთის ლიდერი ვლადიმერ პუტინი. ის თქვენზე მდიდარი იყო, მაგრამ დღეს ციხეშია. არ გეშინიათ, რომ იგივე ბედს გაიზიარებთ?**

— მე ჩემს გადწყვეტილებას არ შევცვლი. ციხის არ მეშინია, არსებობს უარესი საფრთხეები. ისინი ყველაფერზე წამსველელები არიან.

**foreignpress.ge**

# vin daqoqa nacebis `kako-tako~ da vin `daaqaqebina~ jon basisTvis anu saakaSvili putinis ssrk-Si gvabrunebs?



გასულ კვირას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ბასმა, „ნაც.მოძრაობის“ თავკაცებსა და მათ დაქვემდებარებაში მყოფ კონტროლის პალატას, რბილად რომ ვთქვა, დაუცაცხანა და შეახსენა, რომ – დემოკრატიის მშენებარე ქვეყნებში მოქალაქეთა უფლებების დარღვევა და თანაც პოლიტიკური ნიშნით, ყოვლად დაუშვებელია, ჰოდა, გონს მოეგეთ ბიჭებო და გოგოებოო!

როგორც ეტყობა, ამ ბოლო დროს ნაც. მოძრაობას საკუთარი „ძლევამოსილების“ იმდენად სჯერა, რომ ცა ქუდად აღარ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, თორემ, აბა, სხვა როგორ უნდა გავიგოთ მათი „ლაშქრობა“, რომელიც ჯონ ბასის წინააღმდეგ მოაწყვეს?

არა, როდის იყო რომ სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი ხროვა, ვინმეს არაოფიციალურ შენიშვნაზე ასე საქვეყნოდ, ასე მრისხანედ და ასე უცერემონიოდ, (თანაც ჯგუფურად) გამოხმაურებოდნენ, გამომხტარიყვნენ და იმ ქვეყნის ელჩისთვის ფეხები ებაკუნებინათ, რომელი ქვეყნიდანაც გაყალბებულ არჩევნების „ვაპრავებთ“ დაწყებული ფინანსებით დამთავრებული ყველა სიკეთეს ერთად იღებენ?

უდავოა, „ნაცებს“ უფრო შორს მიმავალი და საფუძვლიანი მიზანი აქვთ ჯონ ბასისათვის პირში „ბურთის ჩასაჩრელად“ – მოკეტე, ჩვენი საქართველო ამერიკის 51 შტატი არ არის და შენი ჭკუის დარიგებაც არავის სჭირდებაო – თორემ „ნაცების“ „კაკო-ტრაკო“ ბობოხიძეს ვინ ეკითხებოდა, ასე რომ ამოხტა ტრუსიკიდან და თვალების ბრიალით ქუთეისურად რომ გაურჩია საქმე მთელ ამერიკას? ანდა ის, რომ ჰყავთ შოთა, მოლაშხია თუ მალაშხია, ის მაინც ვინ „დაქოქა“ და ვინ „დააქაქებინა“ ჯონ ბასზე? კაი, კაკოც და შოთაც გასაგებია, დეპუტატები არიან და დემოკრატიის უმთავრესი პრინციპებიდან გამომდინარე, – საკუთარი აზრის, პოზიციის დაფიქსირება უპრობლემოდ შეუძლიათ, მაგრამ ეს „ჩვენი მაღალი“, ეს ჩვენი „ეგრეთწოდებული“ ამერიკელების მიერ „დემოკრატიის შუქურად“ მონათლული, ჩეკისტი სააკაშვილი მაინც რამ გადარია და რამ ათქმევინა: „ჩვენ არავის დიქტატი არ გვჭირდება და ჯონ ბასის განცხადება საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევად უნდა განვიხილოთო“?

ვერავინ დამაჯერებს იმას, რომ ასე ერთ დღეს, ასე „ნაციონალურად“ და ასე ერთი შემართებით გალანძღული ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ჯონ ბასი მხოლოდ ამ განცხადების გამო მოიძულეს „ნაცებმა“, რადგან ჯონ ბასს იგივე 2011 წლის 26 მაისის ღამეს უფრო სერიოზული, მე ვიტყოდი, დანაშაულებრივი განცხადება ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ მაშინ მიშამ რატომღაც თავზე ხელი გადაუსვა და სრულებითაც არ გახსენებია, რომ ბატონი ბასი, სწორედ იმ ღამეს ჩაერია უხეშად ქვეყნის საშინაო საქმეებში და მეტიც, წააქეზა კიდეც ნაცები „დემოკრატიის დასაცავად“ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლეთო!

არც მაშინ გაულანძღავთ, „სააკაშვილებს“ ამერიკის საელჩო, როცა 2008 წლის არჩევნები „დემოკრატიულად“ მოანათვლინეს, ვიდრე საბოლოო შედეგები გამოცხადდებოდა, გამარჯვება მოალოცინეს და არც მაშინ, როცა 2008 წლის აგვისტოში „შავ ბრილიანტად“ წოდებულმა ქალბატონმა კონდოლიზა რაისმა აქ თბილისში ჩამოფრენისთანავე უყვირა სააკაშვილს –„არ გაბედოთ და არ დაიწყოთ ომი, თორემ შემდეგ ჩვენ ვერ გიშველითო!“ აი, ეს იყო ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის უხეში მაგალითები, თორემ „კონდის“ ვინ ეკითხებოდა საქართველოს ტერიტორიების აღსადგენად დაწყებული სამხედრო შტურმი ცხინვალზე! გინდა გაეკეთებინა ბასს და გინდა არა, ამით ქვეყანაში, ძირეულად რამე შეიცვლებოდა თუ, რა?

ისე, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ სააკაშვილი ამერიკულ და ამერიკელების დიქტატს ხელისუფლებაში მოსვლის წინაც აკრიტიკებდა და მათ არათუ პოლიტიკურ გემოვნებას, არამედ პოლიტიკურ არასწორ არჩევანშიც ადანაშაულებდა, რადგან მათ შევარდნაძეზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე! გახსოვთ 2003 წლის ნოემბერში „რევოლუციის“ დროს რომ საერთოდ არ გაიკარა ამერიკელები, კერძოდ, კი მაშინდელი ელჩი ჯონ ტეფტი გვერდით? და ალბათ, გახსოვთ, მიტინგზე მხოლოდ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის გვერდით დგომა რომ ისურვა, არა?

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებმა 2004-2008 წლის არჩევნები „დემოკრატიულად“ მოუნათლეს მიშას და მის ხროვას, ვერც ამით მოიგეს „ნაცების“ გულები, მაგრამ ის კეთილი რჩევები – სტრატეგიულ ობიექტებს ნუ გაჰყიდი, ბიჭოო – ამას, რომ ეუბნებოდნენ – მიშა მაინცდამაინც რუსებზე რატომ ჰყიდდა, დაფიქრებად არ ღირს? ანდა დავიჯეროთ, ამერიკის პარტნიორმა ქვეყანა საქართველომ – ამერიკის დაუძინებელ მტერ ქვეყანასთან – ირანთან სავიზო რეჟიმი ასე ჰაიჰარად რომ გააუქმა და ეს მაშინ, როცა რუსეთი იგივე ირანის სტრატეგიული პარტნიორების ჩამონათვალ ქვეყანათა სიაში ერთ-ერთი პირველია, არც ამაზე დავფიქრდეთ?

მეტად უცნაურია ისიც, რომ ამერიკელების ეგიდით, 2003 წლის ნოემბერში ხელისუფლებაში მოსული სააკაშვილი პირველივე ოფიციალური ვიზიტით ვაშინგტონში კი არა, მოსკოვში, კრემლში გაქანდა და მაშინდელ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინზე თქვა: –„ამ ადამიანს სიკეთით აღსავსე თვალები აქვსო!“ მეტიც, „საერთო გაზეთის“ წინა გამოშვებებში, შემოგთავაზეთ სააკაშვილის მაშინდელი რუსული „აღსარება“, სადაც ის ნათქვამს უფრო აკონტროლებს და ამბობს: „მე ვენდე პუტინს, მან ყველაფერი შემისრულა, რასაც დამპირდა“-ო და საინტერესოა ამ დითრამბებს „დემოკრატიის შუქურა“, მაინცდამაინც პუტინს რატომ „უძღვნიდა და არა ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუშს, თუკი მისგან ასე იყო დავალებული?

სააკაშვილმა, საქართველოს მთავრობა რომ რუსეთის მოქალაქე მინისტრებით გამოტენა – ესეც ამერიკული დემოკრატიის მაგალითით ჩაიდინა? ანდა ამერიკელი სენატორები თუ პრეზიდენტები ურჩევდნენ კოდორის ხეობას „ზემო აფხაზეთი“ და ცხინვალის რეგიონს კიდევ, სამხრეთ ოსეთი“ ხელმეორედ დაარქვითო? სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ ისიც, რომ ამერიკული, ანუ დასავლური რეკომენდაციები „ნაცებმა“ ხელისუფლებაში მოსვლიდან, მხოლოდ მეორე დღესვე, მაშინ გაითვალისწინეს, როცა რელიგიური თანასწორობის ეგიდით „იელოველების“ სექტა იუსტიციის სამინისტროს რეგისტრაციაში გაატარებინეს და შემდეგ კი გლდანის ეკლესიას ურალის ტიპის მანქანით კარები და კედლები დაულეწეს! – მაგრამ ნურვის ეგონება, რომ ამ კონკრეტული მაგალითებით მხოლოდ „ამერიკული საქმე“ გაკეთდა, არა, ბატონებო! ამ შემთხვევაშიც უპირველესად კრემლის საქმე კეთდებოდა იმიტომ, რომ ქართველებს „ამერიკელების მოყვანილი“ სააკაშვილი და მისი ბანდა შესძულებოდათ და დაფიქრებულიყვნენ იმაზე, ღირდა თუ არ ღირდა, ერთმორწმუნე რუსეთთან კონფრონტაციის ენაზე ლაპარაკი? გვეფიქრა იმაზეც, თუ ვის და რის პროპაგანდას ეწეოდა სააკაშვილის რადიო-ტელევიზიები, როგორი ორიენტაციის ადამიანებისთვის იხსნებოდა „ჩაკეტილი სივრცე“, რა მორალის ადამიანებისგან შედგებოდა „ამერიკელი სააკაშვილის“ მაქებართა წრე, როგორი „ეროვნული ღირებულებებით“ შემკული გუნდი უმშვენებდა გვერდს „დემოკრატ ბიჭუნას“ და გვეფიქრა იმაზეც, რომ ამ „ამერიკულ თანავარსკვლავედს“ საქართველოსთვის მხოლოდ ზიანის მოტანა შეეძლო და რუსები შიგადაშიგ იმასაც გვახსენებდნენ – სააკაშვილის ამერიკული ორიენტაცია, უპირველესად, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას დააყენებსო ეჭვქვეშ, რადგან ჩვენ, ჩვენი უკიდეგანო სამშობლოს სამხრეთით, ანუ საქართველოში „ნატოს“ პარპაშს არ დავუშვებთო! სხვათაშორის, მედვედევმა ეს ხმამაღლა თქვა!

2003 წლიდან მოყოლებული დღემდე სააკაშვილის მაქებარი ამერიკა, მისი ადმინისტრაცია და საელჩოს თანამშრომლებიც ჭირის დღესავით შეიძულა მოსახლეობამ და ამით ვისი საქმე გაკეთდა? ქართველებს სძულთ სააკაშვილი, ე.ი. სძულთ ყოველივე რაც ამერიკელებს უკავშირდება ჩვენში და დღეს რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს რუსებთან ურთიერთობა ურჩევნიათ, ვისი დამსახურებაა?

მიშასი, მიშასი, მიშასი, ხომ?

ჰოდა, რადგან მისი დამსახურებაა „დემოკრატიის“ დასამარება ჩვენში, ახლა თვალი მიმოვავლოთ ჩრდილოეთ ქვეყანაში, რომელი ძალა ებრძვის ადამიანთა უზენაეს უფლებას – იყოს ცოცხალი და იყოს თავისუფალი?

პუტინის ხელისუფლება, ხომ?

არადა, ეს ის პუტინია, ვისი პრეზიდენტობის პირველ ვადაში, აქ 2003 წელს 23 ნოემბერს „ჩეკისტი რევოლუციონერების“ – სააკაშვილის, ბურჯანაძის, ბიწაძის, ხაბურზანიას, იოსელიანის, შევარდნაძის და უამრავთა მიერ „რევოლუციად“ მონათლული გეგმიური სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, მაგრამ ვინმეს რომ არ ეეჭვა, „დასავლურით“ შეფუთეს და ხელში შემოგვაჩეჩეს ისევ ის ძალა, რომელიც ყოველთვის აქ იყო და არსადაც არ წასულა! ანუ, საქართველოს თავისუფლების დამსამარებელთა ცნობილი მე-5 კოლონა, თავისი მომხრეებითა თუ ე.წ. ოპოზიციის ჩათვლით!

რაც კი რამ მომხდარა 2003 წლის შემდეგ და რასაც საქართველოს ზიანი მოუტანია (როგორც სახელმწიფოსათვის), ყველაფერი კრემლში დაწერილი გეგმის ნაწილი იყო, თორემ სააკაშვილი რომ მართლაც მტერი ყოფილიყო რუსეთის, პუტინის, ანდა მედვედევის ამდენი ხანი ხელისუფლებაში დატოვებდნენ და აქამდე ალანძღინებდნენ თავს?

ცნობილი ხრიკია – ლანძღვის ფონზე ვერაგი საქმეების კეთება და ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ მთელი საქართველოს სტრატეგიული ობიექტები წლიდან წლამდე ობშორულ ზონებში დარეგისტრირებულ რუსულ ბიზნესს შეეწირა და ჩვენში კი ინგლისურენოვანი დასახელების ფირმების სახელით, მაგრამ რუსული სახელმწიფოს ინტერესებით დამკვიდრდნენ!

წყალი, ელექტროენერგია, გაზი, მადნეული, წიაღისეული, საზღვაო პორტები და ა.შ. სააკაშვილის ხელისუფლებამ რუსეთის სახელმწიფოს უფეშქაშა და თუ იმასაც გავიხსენებთ, ამ რუსული კაპიტალის უკან „ეფესბეს“ გენერალიტეტი რატომ დგას, ვფიქრობ, ზედმეტი კითხვების დასმა უადგილო იქნება და ცხადად იკვეთება, რომ სააკაშვილი „კგბ“-ს ხელშეწყობით, „კგბ“-ს წახალისებით გვირტყავდა თავში და იმ დავალებამოწოდებასაც ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდა, რომელიც აგრერიგად უყვართ, რუსეთის იმპერიის ინტერესების დამცველებს, კერძოდ: „ბეი სვოიხ, ჩტობ ჩუჟიე ბოიალის!“ – რაც ქართულად ასე ითარგმნება: „ურტყი შენიანებს, რათა უცხოებსაც შეეშინდეთო“.




2008 წლის აგვისტოში, როცა სააკაშვილის ხროვამ გათენებამდეც ვერ მოითმინა და ცხინვალში ვითომცდა „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა დაიწყო – ვინ შეშინდა ვინ მოიკუნტა ამ ომის შემდეგ და ვინ დაუწყო „შეშფოთებული ლაქუცი“ რუსეთს? – ერთი პოლიტიკური ან ეკონომიკურ სანქცია, თუნდაც სიტყვიერი კონკრეტული საყვედური დასავლეთის ლიდერების პირიდან ვინმემ მოისმინეთ რუსეთის პირველი პირების მისამართით? ორად ორი სიტყვა –„მოვუწოდებთ“, „შევშფოთდით“ გვესმის დღემდე, მაგრამ ამას რუსეთის იმპერიული, უფრო სწორად კი მოდერნიზებული საბჭოთა კავშირის აღდგენისათვის რაიმე ზიანი მიუყენებია, ანდა ხელი შეუშლია?

2008 წლის იანვარში, იქნებ გგონიათ, რომ შემთხვევით დარჩა სააკაშვილი ხელისუფლებაში? ის „ოპოზიცია“, რომელიც მიშას „ებრძოდა“, აბა, გაიხსენეთ ვინ იყვნენ? „კგბ“-ს ყოფილი „დანოსჩიკები“, თავის დროზე „კგბ“-ს ახალგაზრდული ფრთის – საუნივერსიტეტო სტუდ კავშირების და კომკავშირულ-პარტიულ თანამდებობებზე ნამუშევარი ადამიანები, ხომ? ახლა „ძაღლი ძაღლის ტყავს რომ არა გლეჯს“, ხომ ვიცით? და რადგან ვიცით – რატომ გაუკვირდა ვინმეს ან მაისში ჩატარებული არჩევნებისას დაუცველი ხმები, ანდა ის პოლიტიკური მორატორიუმი, რომელიც „ოპოზიციურმა გვარდიამ “ მიშას 8 აგვისტოს გამოუცხადა და ტერიტორიების დაკარგვის 20 პროცენტში „წილში ჩაუჯდა?“

თუკი სააკაშვილი მარიონეტია (ამ ლოგიკიდან მომდინარე), მის მიერ „ოპოზიციაში“ მყოფი, თავის დროზე მისი რუსული „რევოლუციის“ მეხოტბედამქაშები რატომ უნდა იყვნენ მიშაზე უარესები ან უკეთესები?

თუკი კაკოია ბობოხიძემ თქვა –„ვინ მიგდია ამერიკის ელჩი, ჭკუა გვასწავლოს“ და ჩვენს საშინაო საქმეებში ჩაერიოსო“. რა იგივე არ უთქვამთ კობა დავითაშვილს, ზვიად ძიძიგურს, შალვა ნათელაშვილს, „გრეჩიხას“, 26 მაისის ღამით ჯონ ბასის განცხადების შემდეგ ნინო ბურჯანაძეს და ა.შ.

ე.ი. რა გამოდის? ორივე ფრთაზე, უფრო სწორად კი ბრძოლის ველის მარცხნიდან და მარჯვნიდან, თანამოაზრეები ებრძვიან ერთმანეთს და ამავდროულად მიზანიც ერთი აქვთ?

მე კი ვიცი, მაგრამ არასამთავრობო სექტორშიც რომ ანტი-ამერიკული განწყობებია და მათ უფროსობას მხოლოდ დასავლური „გრანტების“ მუცლის გვრემა რომ ჭირთ, რაშია საქმე? 2004 წლის მაისში, როცა საქართველოდან მივემგზავრებოდი და როცა „ჟურნალისტის სახლში“ პრესკონფერენციაზე ვთქვი: „მოსკოვში წავალ, რუსული შესანიშნავად ვიცი და იქ ნათესავებიც ბლომად მყავს-თქო“, ერთმა ჟურნალისტმა მომაძახა: შენი ადგილი, ისევე როგორც აბაშიძის, რუსეთშია, სხვა ქვეყანა არც მიგიღებსო! ამ რეპლიკაზე გავგიჟდი და ვთქვი: „ძალიან სამწუხაროა, რომ თქვენისთანებს ამომწურავი ინფორმაცია არა გაქვთ. სააკაშვილი სინამდვილეში ვინ მოიყვანა ხელისუფლებაში, ამას ძალიან მალე გაიგებთ, მაგრამ უკვე გვიანი იქნება-თქო“.

„ვინ მოიყვანა, თქვი ბარემ, შენ ხომ ყველაფერი იცი? – ცინიკურად მკითხა სოზარ სუბარმა, რომელიც მაშინ „ომბუდსმენობდა“ და ჩემი, როგორც ადამიანის და როგორც ჟურნალისტის უფლებების „დასაცავად“ იყო იქ მოსული. „ვინ მოიყვანა და პუტინმა, იგორ ივანოვმა და მთლიანად კრემლმა, რა, დაგავიწყდათ 23 ნოემბრის „პარადი“ ვისი ხელმძღვანელობით გაიმართა? თუ ის არ იცით, კიევში „კგბ“ ელიტარულ ბატალიონში რომ მსახურობდა თქვენი ლენინი? – ასევე ცინიკურად ვუპასუხე მე და უნდა გენახათ, ჩემს ამ სიტყვებზე რო-

## mamuka areSiZe:

# Tqven geubnebiT pirvelad, am `band formirebebis~ wevrTa umravlesobas piradad vicnob

*გვესაუბრება ექსპერტი კავკასის საკითხებში, საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ რეგიონალური პოლიტიკის ეროვნული უმცირესობების საკითხთა მიმართულების ხელმძღვანელი* ***მამუკა არეშიძე:***

**— ბატონო მამუკა, სააკაშვილი საქართველოში აკრედიტირებულ საელჩოებს დაერია — ხალხს აწვალებთ, ვიზებს არ აძლევთო. მოკლედ, პრეზიდენტმა დასავლეთს, აშშ-ს უთხრა, მე ვარ და ჩემი ნაბადიო. რა ხდება რეალურად, ხელისუფლებამ ვექტორი შეცვალა თუ რა თამაში წამოიწყო?**

— ხელისუფლება, როგორც ჩანს, ცდილობს დასავლეთის მიმართ ერთგვარ პოზაში დადგეს და მათ ხელმძღვანელობას აგრძნობინოს შემდეგი



## Tu es simarTlea, maSin davRupulvarT da egaa

— იმ შემთხვევაში თუ ისინი სააკაშვილის რეჟიმს ცალსახად მხარს არ დაუჭერენ, თუ კვლავ არ გააგრძელებენ იმ პოზიციაზე ყოფნას, რომ თითქოს საქართველო დემოკრატიის შუქურა, სააკაშვილი კი ყველაზე დიდი დემოკრატია აღმოსავლეთ-ევროპაში, მაშინ შეიძლება მან სხვა მოკავშირეები მოძებნოს. აი, სწორედ ამის მანიშნებელია ის ნაბიჯები, რაც რუსეთთან, ირანთან მიმართებაში გადაიდგა. სააკაშვილმა ძალიან რისკიანი პოლიტიკური თამაში წამოიწყო, რაც მას ცუდ შედეგებამდე მიიყვანს. მისი გუნდის ბევრი წევრი ხვდება, რომ ეს შეგნებული, რისკიანი თამაშია, რომელიც შეიძლება ძალიან ცუდად დაგვირგვინდეს.

**— ადრე, ჩვენი დასავლელი პარტნიორები მხოლოდ შეშფოთებით შემოიფარგლებოდნენ. გამოდის, რომ პრეზიდენტს აღარ მოეწონა მათი შეცვლილი ტონი?**

— რასაკვირველია. გავიხსენოთ, აშშ-ს ადმინისტრაციის სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკისგან გაკეთებული რამდენიმე ხმამაღალი განცხადება. თუნდაც, ქეიდენაუსთან კამათი. ასევე, აშშ-ს თავდაცვის სტრუქტურის სპეციალური წარმომადგენლის ვიზიტი, რომელმაც ჯარისკაცებთან შეხვედრა მოინდომა და თქვა, რომ ჯარი არ უნდა ჩაერიოს არჩევნებში. ანუ, ამერიკელები დელიკატურად ცდილობენ სააკაშვილს და მის გუნდს გააგებინონ, რომ მათთვის მიუღებელია ქცევის ის წესი, რაც საქართველოში არჩევნებთან, კონსტიტუციასა თუ ადამიანის უფლებების დაცვასთან მიმართებაში ხორციელდება. წავიდა ის დრო, როდესაც აშშ რეჟიმის შესაცვლელად, საჰაერო სადესანტო დივიზიას, ანდა სამხედრო ხომალდს აგზავნიდა. ახლა სხვა ფორმით — სიტყვიერად ხდება ეს ყველაფერი. თუ ამან არ გაჭრა მერე ხდება საფინანსო, ეკონომიკური სანქციები და ბოლოს რევოლუცია, რომლის ნათელი მაგალითია, ის, რაც ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში მოხდა. დასავლეთი, ჯერჯერობით ცდილობს სააკაშვილს ორი მთავარი რამ გააგებინოს — სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში იმ ფორმით არ უნდა დარჩეს, როგორითაც დღესაა და მეორე — მისი ქცევის ნორმა და წესი არ შეესაბამება იმ ნორმებს, რასაც დასავლეთი ნებისმიერ თავის ევროატლანტიკური სივრცის წევრს უწესებს. თუ სააკაშვილს უნდა მისი გუნდი პოლიტიკაში დარჩეს, მაშინ მან თავისი ქცევის წესი უნდა შეცვალოს. ზოგერთი პოლიტიკური მოღვაწე თუ დეპუტატი თავს უფლებას აძლევს ძალიან უხეში ფორმით აკრიტიკოს დასავლეთის საელჩოები და პრეზიდენტთან უნისონში იმოქმედოს, რაც კიდევ უფრო მეტად ასხამს ცეცხლზე ნავთს. სხვათაშორის, უნდა ითქვას, რომ ის, რაც ზოგიერთ საელჩოში ხდება, ჩვენც არ მოგვწონს — აგდებული დამოკიდებულება, მოქალაქეების შევიწროვება და სხვა. მაგრამ საქმე ისაა, რომ როგორც ქვეყნის ხელმძღვანელობა იქცევა, იგივეს აკეთებს ამა თუ იმ საელჩოს წარმომადგენელიც. ჩვენ, ადრეც გვქონდა ასეთი შემთხვევები, მაგრამ კონკრეტულ ფაქტებს წლების მანძილზე ხელისუფლება უყრუებდა. ახლა, უცებ გაახსენდათ საელჩოების ქმედებები?! აქამდე არ იცოდნენ ამის თაობაზე?! როგორც კი სააკაშვილმა ეს განცხადება გააკეთა, აღმოსავლეთევროპის ორი ქვეყნის საელჩოს წარმომადგენლები მეორე დღესვე შემხვდნენ. ორივე შეხვედრა ერთ დღეს მოხდა. რასაკვირველია, ამ ქვეყნების წარმომადგენლები თავისი ნება-სურვილით არ მოსულან. ეს დასავლეთევროპელი საელჩოების კორპუსის საერთო აზრი იყო. მათ, ბევრად უფრო რბილად, ვიდრე ახლა თქვენთან ვსაუბრობ, შექმნილი ვითარების არსი ავუხსენი. ისინი ძალიან გაღიზიანებულები იყვნენ არა მიხეილ სააკაშვილის განცხადების გამო, არამედ იმ ლოგიკის გამო, რაც ხელისუფლებამ ბოლო წლების მანძილზე შექმნა. თუნდაც, რუსეთთან ურთიერთობის გააქტიურებით, კულუარული მოქმედებით, დაფარული ინფორმაციით, რომელიც დასავლელი პარტნიორებისთვის ახლა უკვე გაუგებარი ხდება ან საერთოდ უცნობია. ის, რომ ეს სერიოზული შეწუხების საგანი გახდა აშშ-ს ელჩის ნოლანდის ტექსტშიც გამოჩნდა. აქ ელჩი გვყავს და იქედან ნოლანდი განცხადებებს აკეთებს, ეს მოულოდნელია, მაგრამ მაინც ხდება ასე, რადგან უნდა იყოს დამატებითი ზეწოლა, რათა ხელისუფლებამ საკუთარი მიდგომები შეცვალოს.

დღეს ძალიან რთული გეო-პოლიტიკური ვითარებაა შავი და კასპიის ზღვის აუზების რეგიონში, რაც ირანის თემას უკავშირდება. აშშ-ს, დასავლეთსა თუ ევროკავშირს საქართველოში ხელმძღვანელი სჭირდებათ, რომელიც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ რუსეთის პროვოცირება არ მოხდეს, რათა ეს უკანასკნელი



მინიმალურად იყოს ჩართული დასავლეთისა და ირანის კონფლიქტში. სააკაშვილის რეჟიმის შემთხვევაში რუსეთს ბევრად უფრო გახსნილი აქვს ხელები, ვიდრე სხვა შემთხვევაში. ხელების გახსნა გულისხმობს შემდეგს — რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს საქართველოს ტერიტორია თავისი გიუმრის ბაზის გასამაგრებლად, რომელიც სომხეთშია. მითუმეტეს, რომ დღევანდელი რეჟიმის პირობებში, ამის გაკეთება მათთვის მორალურად უფრო გამართლებულია. ჩემთვის, რასაკვირველია, რასაც რუსეთი აკეთებს, ყველაფერი მორალურად გაუმართლებელია, მაგრამ მათ შესაძლოა ასეთი ნაბიჯი გადადგან. ისინი დღემდე „ოკუპანტები“ არიან. დღემდე რუსულ პოლიტიკურ ლექსიკონში არსებობს ტერმინი — სააკაშვილის რეჟიმი თავდამსხმელია მძინარე ქალაქზე. რამდენად ეძინა ამ ქალაქს, ეს მეორე საკითხია, მაგრამ ეს ტერმინები არსებობს.

**— რუსეთთან კი გვაქვს დაძაბული ურთიერთობა, მაგრამ სააკაშვილის ქმედება შანტაჟი ხომ არ არის აშშ-სადმი? კერძოდ, თუ არ მოგვცემთ ჩვენს ჭკუაზე ნავარდის უფლებას, აგერ გვყავს რუსეთიო?**

— კი, რასაკვირველია, ეს შეიცავს შანტაჟის ელემენტებს. მაგრამ როცა შანტაჟზე მიდიხარ, მაშინაც უნდა გყავდეს ძლიერი მხარდამჭერი, ვინც შანტაჟის განხორციელების საშუალებას მოგცემს. თუ შანტაჟი მხოლოდ შანტაჟისთვისაა, ეს არასერიოზულია. ეს ის შემთხვევაა, როცა ამ შანტაჟს არანაირი შედეგი არ შეიძლება მოჰყვეს იმიტომ, რომ იმდენი უჩიჩინა სააკაშვილმა ხალხს რუსეთი თქვენი მტერიაო, რომ დღეს მეგობრად თუ გამოაცხადებს, ხალხი გაგიჟდება. ანუ, ამ შანტაჟს არც შიდა და არც გარე მოხმარებისთვის არ შეიძლება შედეგი მოჰყვეს.

**— თუმცა, ხელისუფლება ყოველთვის ივანიშვილს ეძახდა პუტინის კაცს, მისივე ქმედებიდან გამომდინარე, ვინ გამოდის ახლა პუტინისტი. თანაც, საზოგადოებას გააზრებული არ აქვს, თორემ ეს ხელისუფლება ხომ უკვე ისედაც დიდი ხანია ჩახუტებულია რუსეთთან?**

— რასაკვირველია, უფრო მეტსაც გეტყვით — იმდენად ჩუმად, არაწესიერად თამაშობს ხელისუფლება რუსეთთან, რომ ნებისმიერი შემთხვევისას ჩნდება ეჭვი — ხომ არ აქვს ადგილი რუსეთისთვის სასარგებლო ნაბიჯის გადადგმას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. ამის ნათელი მაგალითია ცხინვალიდან გამოჟონილი ინფორმაცია — რუსები კვაისასთან რადიაქტიური სამარხის მოწყობას აპირებენო. სპეციალურად ჩამოიყვანეს ამ საქმის სპეციალისტი და სახელმწიფო მრჩევლად დაუნიშნეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის დღევანდელ პრემიერს და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს. ამას დაემთხვა შემდეგი ინფორმაციის გაგება — თურმე საქართველოს პარლამენტში არსებობს კანონპროექტი, რომლის მიხედვით საქართველოში შეიძლება ატომური ელექტროსადგურების აშენება და საქართველოს ტერიტორიაზე რადიაქტიური ნარჩენების ტრანზიტი. ჩნდება კითხვა — სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიაა და ხომ არ არის ეს ერთმანეთთან უნისონში?! ხომ არ მოილაპარაკეს რუსებთან, რომ რადიაქტიული ნარჩენები საქართველოს ტერიტორიაზე დაიმარხოს? — ეს ჩვენ, არ ვიცით. ამის თაობაზე ძალიან საფუძვლიანი ეჭვი მაქვს. ბევრს ვსაუბრობთ იმაზე, რომ რუსეთს გადაეცა ჩვენი სტრატეგიული ობიექტები, მაგრამ მარტო რუსეთს? — ვისაც არ დაეზარა ყველას გადაეცა. საქართველოს მიწა ყველაზე იყიდება, ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდება, რომ საქართველოში ქართველს არაფერი არ ეკუთვნის და რა მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკული სიმძლავრეები რუსეთისთვის იქნება მიყიდული თუ ირანისთვის. ცოტა ხნის წინ საგარეჯოში 5 ათასი ჰექტარი მიწა გაიყიდა, თან ისე, რომ მოსახლეობას არ უთხრეს. მიწა, მათ არენდით ჰქონდათ აღებული და მოსავალი მოჰყავდათ. საქართველოს ხელისუფლებისთვის საქართველოს მოსახლეობა, მიწა, ქონება ფასეულობას არ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ტოტალურად ხდება ქართული მიწის გასხვისება და მნიშვნელობა არ აქვს ვის გადაეცემა იგი — თურქს, ირანელს, თუ რუსს. რაც შეეხება, რუსეთს, ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთის პირდაპირი აგენტურაა, თუმცა ლოგიკა აქეთკენ მიბიძგებს. ჩვენი უბედურება ისაა, რომ ხელოვნურად ჩაციკლულები ვართ რუსეთზე, რომელიც ოკუპანტია, მაგრამ ამის ფონზე არცერთი ჩვენი მეგობარი საქართველოს ღირსებას და სიამაყეს ანგარიშს არ უწევს და ყველაფერს აკეთებს რაც უნდა. ეს ყველაფერი კი საქართველოს ხელისუფლების ნებართვით ხდება, აი ესაა მთავარი უბედურება. ვიძახოთ ახლა რუსეთი ოკუპანტიაო. ეს ისედაც მთელმა მსოფლიომ იცის, მაგრამ დანარჩენი ტერიტორიები გაყიდული რომ არის და ჩვენი აღარაფერია, ამას რა ვუყოთ?! დავიბრუნოთ აფხაზეთი და ვიყოთ სუყველა იქ თუ რა ვქნათ? ასე, რომ აფხაზეთის ხელისუფლებაში ბევრად უფრო ვაჟკაცი ხალხი აღმოჩნდა, კბილებით იცავენ საკუთარ მიწას და საკანონმდებლო დონეზე არავის აძლევენ. კანონიც კი არ არის, რომ აფხაზური მიწის გაყიდვა შეიძლებოდეს. ჩვენ კიდევ აფხაზებს თავში ვუტყაპუნებთ, ვეუბნებით, თქვენ საოკუპაციო რეჟიმში ხართ და ჩვენ ვართ მაგრებიო. სისულელეა ეს იმიტომ, რომ პრაქტიკულად ჩვენს წორედ ასეთივე, ჩვენივე ხელისუფლების მიერ შექმნილ ნახევრად საოკუპაციო რეჟიმში ვართ. მეტსაც გეტყვით, ამ ხელისუფლებაში ან სერიოზული მე-5 კოლონა არსებობს, რომელიც სხვის ინტერესებს ახორციელებს ჩუმად ეკონომიკური



7 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# sad arian Cveni `eris mamebi~, sanam magaT dedebs ar movikiTxav rogorc saWiroa ise, amoiRon xma!



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია ბატონი რეზო ამაშუკელი*

**— ბატონო რეზო, რომ დაგირეკეთ, ტელევიზორს უყურებდით, მომეჩვენა თუ მართლა გაბრაზებული იყავით...**

— რაღაც ახალი თოქ-შოუ გამოიგონა ვითომ „იმედმა“. მე პირდაპირ ვაცხადებ, რომ მისი ყველა თოქ-შოუ ერთი ბორდელის სხვადასხვა განშტოებაა. მინდა ვკითხო ამ ჩვენს ფანქლიან ნოდალის (რომელსაც თავისი პატრონივით, არველაძესავით აქვს კურტუმო გაბზეკილი და ისე ლაპალაკობს, რომ მტრისას და ავისას სადმე აღმოსავლურ ქვეყანაში მოხვდეს), რამ გაუცხელა თავი ისე, რომ ხან საქალწულე აპკს ვერ მოსცილდა, ხან პროსტიტუციის ლეგალიზება უნდა და ხან — რა. შეიძლება, მალე საკუთარი კურტუმოს ლეგალიზება მოუნდეს, აქეთ მიდის ყველაფერი... ამ ჩვენს ნოდალიკოს „საზოგადოებრივი ტელევიზიის“ ქოსა ვენტილიატორივით (დავით პაიჭაძე) ფანქალი უჭირავს ხელში, მაგრამ რომელს უფრო გრძელი უჭირავს, ჯერ არ ვიცით...

**ვერ ნახავთ თოქ-შოუს, სადაც უმრავლესობა პედერასტი, ლესბოსელი, ნაბოზარი ან პროფესიონალი ელიტარული პროსტიტუტკა არ იჯდეს. ეს ყველაფერი არის მაგის ტუჩებგამობერილი და კურტუმოგაბზეკილი არველაძის სკოლა, მთელი მიმდინარეობა შექმნა. ადრე თუ იყო „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“, ეხლა არის ყველაზე რეიტინგული „ნაბოზრების ტელევიზია“, ერთად არიან და ერთსა და იმავე ხალხს ატრიალებენ გამუდმებით.**

ადრე ასეთი გამოთქმა იყო საქართველოში „გათრიაქებული“. კაცზე რომ იტყოდნენ გათრიაქებულიაო, ამაზე დამამცირებელი აღარაფერი შეძლებოდა ეთქვათ, მომსპარი იყო ესე იგი. აღმოსავლეთიდან ნელ-ნელა აპარებდნენ ქართველ თავადებს ამას გამოსატვინებლად, ნოდალიკოს თოქ-შოუში კი „აგვიხსნეს“ კულტურები გავცვალეთო, ჩვენ ღვინო მივეცით, იმათ მოგვცეს კანაფიო. კანაფისგან ბაწრებს აკეთებდენ ადრე, კარგი მაგარი ბაწრები გამოდის და იმ ბაწრებზე უნდა ჩამოჰკიდო ისინი, ვის თავშიც ის აზრი დატრიალდა, რომ მარიხუანის დეკრიმინალიზაცია უნდა მოხდესო.

სულ ვიმეორებდი და გავიმეორებ, უარესზე უარესი რომ არ მოიგონონ, წარმოუდგენელია.

მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი დასჯის, მაგრამ ამათი ამბავი მაინტერესებს, ახლა რომ გაახსენდათ ეს „დეკრიმინალიზიაცია“, როცა ამდენი პრობაციონერი ჰყავთ, ამდენი პატიმარი, ჯიბეში თვითონვე რომ უდებდნენ და მერე ფულს სძალავდნენ, სად იყვნენ მანამდე?

**— სხვაგვარად შეხედეს საკითხს...**

**— სხვაგვარად კი არა, ახლა არჩევნები ახლოვდება და იციან, ახალგაზრდობა ისევ თავიანთი წამლებით გარყვნილი გამოიყენონ ხმებად. ხაზგასმით ვამბობ, ეს იყო სახელმწიფო პოლიტიკა. მე ხმამაღლა ვაცხადებ, ეს იყო ნაციონალების სახელმწიფო პოლიტიკა. თვითონ გარყვნეს, მერე თვითონ უდებდნენ ჯიბეში, ფულსაც შოულობდნენ ამითი და მონებადაც აქციეს.**

ბოლო დროს რომ არჩევნები იყო, ძალიან ბევრ საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა პირდაპირ რომ ურიგებდნენ „წამალს“...

ეს არის ამ ცოფიანის, ამ გადარეულის ბოლო ხრიალი... რასაკვირველია, ეს ხმები მაგათ ჯიბეშია უკვე...

მარიხუანა არ არის ისეთი ძლიერიო — ეს მოატყუონ ბებიამისებს!

ხელებს ნუ შლიან და ნუ პარჭყავენ, რა! იქ ერთი საყურიანი მახინჯი დავინახე, გულზე მარიხუანა ეწერა, მერე გამოიყვანეს ვიღაც ჭკადუა — ჭკადუას დასარიგებელი ვინაა?!

**— ამბაკო ჭკადუა გეცოდინებათ, მისი შვილია...**

— ამბაკოსია თუ თამბქოსია, მიაკითხოს ბაბუამისს, კაცო! რა მხატვარი ეგა მყავს, ნარკომანკა ჭკუას მასწავლის ჯამაიკიდან, რომ მარიხუანა უნდა მოვწიო. ჩემი გაჭირვება მეყოფა,

**ახალგაზრდობა ისედაც მოპარეს საქართველოს და ახლა უნდათ, საერთოდ მოსპონ. გააბოზეს, გაათახსირეს, ტვინი გამოურეცხეს და ათასი შეურაცხყოფა მიაყენეს ეხლა ტიციან ტაბიძეს და პაოლო იაშვილი და „ცისფერყანწელები“ ახსენეს — არ იყო ესე, საქართველო პურისა და ღვინის ქვეყანა იყო. ქართული სუფრა ჩვენი ტრადიციაა, ჩვენი კულტურაა, ეს დიდი ინსტიტუტია.**

ისე არაა, ესენი რომ ამბობენ, ჯგერენაიების და ამათი პედერასტების, ხურუშიანების ბანდა!... ხურუშიანები არიან ესენი, ხურუში სჭირთ ამათ, ჯერ „პლანს“ მოწევს და მერე სხვა რამეზე ჩამოჯდება კიდევ — არც ეგ არის შორს, ყველაფერს აკადრებინებენ...

სად არიან ჩვენი „ერის მამები“, სანამ მაგათ დედებს არ მოვიკითხავ როგორც საჭიროა ისე, ამოიღონ ხმა!

ქვეყანა იღუპება, უნდათ, რომ სამუდამოდ მოსპონ. ჩემი ხნის ხალხი ველარაფერს უზამს ამათ, ახალგაზრდობის ერთი თაობა მოს-



პეს და ახლა ახლიდან შეუტიეს...

მე ვხედავდი კადრში, როგორ იყვნენ ჩათესლილები — ახალგაზრდების უკან ერთი შავი გოგო იჯდა, ყურში კარნახობდა რაღაცას და ამათაც გაიხადეს და გამოაჩინეს მარიხუაიანი მაისურები — ეს არის სახელმწიფო პოლიტიკა. დიახ, ეს არის დაკვეთილი პოლიტიკა, რომ ხმები ამ გზითაც ჩაიდონ ჯიბეში — **ესენი ყველაფერზე წამსვლელები არიან!**

ამათ მარიხუანა კი არა, მარიხუინა უფრო უნდათ, როგორც ეტყობათ...

**მიმიფურთხებია იმ ქვეყნისთვის რომელიც ამას მოითმენს!**

**მიმიფურთხებია იმ ინტელიგენციისთვის, რომელიც ამაზე გაჩუმდება!**

**მიმიფურთხებია იმ ვითომ მწერლებისთვის, რაღაცებს რომ ბლანდავენ და ჯლაპნიან დღეს და ხმას არ იღებენ!**

მე 75 წლის კაცი ვარ, რამდენ ხანს შემეძლება, რომ ვიომო და ვიყვირო... იქამდე ვარ მისული, შეიძლება, ხელი ჩავიქნიო საერთოდ... ერთხელ კი ვთქვი, აღარ გავეკარები არაფერს-მეთქი, მაგრამ ანათემას გადამცეს, რომ ჩემი გაჩუმება ღალატს ნიშნავს და არ დარჩენილა კუთხე საქართველოში, საიდანაც ჩემთვის არ დაერეკათ. ყველაფერს აქვს საზღვარი, გაცვდა ნერვები ამათ ყურებაში და ზომებს არავინ არ ღებულობს.

მე არ მაინტერესებს არც პარტიული კონფერენციები და არც მათი დეკლარაციები და როგორც თვითონ ამბობენ, მათი ღირებულებები. ჩემი ღირებულებები არის ქართული, რაშიც აკუმულირებულია მსოფლიო კულტურა, ესთეტიკა და საერთოდ, ყველა ადამიანური თვისება, აი, ეს მოპარეს საქართველოს, ეს წალეკეს და ამის ბოლომდე განადგურება უნდათ.

ამოიღოს ხმა ყველამ, გადავარჩინოთ ახალგაზრდობა!

**— წინდაწინ ვიცი თქვენი პასუხი, მაგრამ მაინც გკითხავთ, როგორ გგონიათ, არჩევნების ჩატარება რაიმე სასიკეთო ძვრების მომტანი იქნება?**

— ხაზგასმით გეუბნებით, არავითარ შემთხვევაში არავითარი არჩევნებით წამსვლელი არ არის მიშა სააკაშვილი, ამას ვამბობ მე უკვე ხუთი წელია. აქ დენთის სუნი ტრიალებს უკვე... ეს გათახსირებულები და გარყვნილები ესენი!

თვალი მოვკარი რომელიღაც გაზეთში, ხიდაშელს ეკითხებიან მიხეილ მაჭავარიანის ძმაზე, მართალია, რომ შეიძლება, ის თქვენს „ოცნებაში“ შემოვიდესო? ხიდაშელი პასუხობს, არც ვადასტურებ, არ უარვჰყოფო. ერთი ძმა არის, ყელამდე სისხლშია და მისი და გოგორიშვილის უდიდესი წილია რაც საქართველოს სჭირს და მეორე ძმა სხვა მხარეს მიძვრება? — იმისი არ იყოს, გაბაშვილების. კოტე გაბაშვილი ბოლომდე შევარდნაძესთან იყო ვითომ, გაიმარჯვებდა შევარდნაძე? — აგერ იყო მამა, დამარცხდებოდა შევარდნაძე? — აგერ იყო ეს ზოოპარკის გველიჭამია ბუ, გოკა.

**საქართველოში წიკლაურის დასაცავი გახდა საქართველო და ჯამაიკიდან ჭკადუას დასარიგებელი, — დეკრიმინალიზაცია უნდა მოხდეს თუ არა მარიხუანასი.**

**— მარიხუანას დეკრიმინალიზაციის მომხრეების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ის არის, რომ მისი მოხმარებისთვის დაკავება აღარ იქნება...**

— დაპატიმრების სასტიკი წინააღმდეგი ვარ, მითუმეტეს, თუ ავადმყოფზეა საუბარი, მაგრამ ამის გამიჯვნა უნდა მოხდეს და არა მარიხუანას არაფრად ჩაგდება. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმიტომ, რომ როგორც კი ადვილად ხელმისაწვდომი გახდება, კატასტროფულ შედეგს მოიტანს.

მოგეხსენებათ, საქართველოში თითქმის ვერ ნახავთ ოჯახს, რომელსაც ეს არ შეხებია და მივმართავ ყველას, მშობლებს, ბიძებს, ახლობლებს, მათ, ვისაც ქართული სისხლი და სამშობლოს სიყვარული კიდევ შერჩა, ამოიღეთ ხმა, თქვე დალოცვილებო!

დღეს თუ ამაზე ხმა არ ამოიღო ხალხმა, ხვალ დიდი და პატარა ჰალსტუხიანი ხვლიკები დაეპატრონებიან საქართველოს და გვიანი იქნება...

**— რას იტყვით, ახლა რა უნდა ქნას გონიერმა კაცმა...**

— მიუხედავად ჩემი დამოკიდებულებისა ზოგიერთი პარტიის მიმართ და ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის მიმართ, მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე უნდა მოხერხდეს რაღაცნაირად ზოგ რამეზე თვალის დახუჭვა. მე თუ შემიძლია, რომელსაც ამხელა და ამდენი წყენა მახსოვს, თან ისეთი, რომლის დასაბუთება შემიძლია, ისეთი, რომელთაც არანაირი გამართლება არ აქვს, მაგრამ ვივიწყებ, სხვამაც დაივიწყოს ეს და ისე გაკეთდეს, რომ ეს შავი ჭირი, რომელიც ყველაფერზე წამსვლელია, ერთიანი ძალისხმევით იქნებ, მოვიცილოთ როგორმე.

**დიდი ასოებით დაბეჭდეთ, საუბედუროდ და სამწუხაროდ, ძალიან დიდი სისხლის სუნი ტრიალებს, იმიტომ, რომ არაფრის დამთმობები ესენი არ არიან...**

გამოვიდა აკაკი ბობოხიძე და — ეხლა აღარ აყენებთ მანქანაზე სერიად მაკ კეინს? ადრეც ვთქვი, იყო ფილმი „მაკენას ოქრო“ და აქ იყო მაკ კეინის ნეხვი, სააკაშვილი... სუბელიანი რომ არის, ერთუჯრედიანს რომ ჰგავს, მანქანაზე რომ დააწერა „მაკ კეინი“, ეხლა აღარ აწერს? ხან ასე უნდათ, ხან ისე უნდათ, როცა უნდათ ჩაუდებენ „წამალს“, დასაჭერია, როცა არ უნდათ, არა, მარიხუანაზე დაჭერა როგორ შეიძლება...

თუ ქართველი ერი ამასაც გადაყლაპავს ისე, როგორც აქამდე მონდომებით ყლაპავს ყველაფერს, დაკარგულია ყველაფერი!

**როგორც ამბობენ, იმედი ბოლოს კვდება და მე მეტი იმედი აღარ დამრჩა, გარდა ერთისა, მე ვიტოვებ იმედს, რომ ბიძინა ივანიშვილი მოახერხებს თავგანწირული ადამიანებით გარემოცული, საქართველოს გადარჩენას. ისეთებით კი არა, რომლებიც იმაზე იფიქრებენ, რომ თავიანთი პარტიები გააძლიერონ, ან ისეთებით, იმის ლაპარაკს რომ დაიწყებენ, ივანიშვილი დღეს მოვიდა პოლიტიკაში, მათ კი დიდი პარტიული კულტურა აქვთ, არა! კიდევ ისინი ქილიკობენ შეფარვით, ვინც ბიძინამ გვერდზე დაიყენა — ეს სირცხვილია!**

მე დიდ პატივს ვცემ **სოსო ჯაჭვლიანს** და **ლუკა კურტანიძეს**, მიუხედავად იმისა, რომ მე ჩემი გარკვეული დამოკიდებულება მაქვს ნინო ბურჯანაძის მიმართ. მათ კაცურად თქვეს, არ წამოვალთ იქიდანო,

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**აი, სიტყვის კაცები, აი, ვაჟკაცები! არ მწამს იმ ხალხის, აქეთ-იქით რომ დარბიან... ჩემთვის უფრო ფასეულია ის ხალხი, რომლებიც დღეს „სახალხო კრებაში“ არიან და ვისურვებდი, რომ ასეთი კაცები ყოფილიყვნენ ბიძინა ივანიშვილის გვერდზეც...**

ძალიან გამიხარდა კიდევ **ირაკლი ალასანიას** ბოლოდროინდელი გამოსვლები იმიტომ, რომ დროა — როცა ვირს ელაპარაკები, თახსირს, მსტოვარს და გამყიდველს, უნდა ელაპარაკო იმ ენაზე, რაც მისია, იმიტომ, რომ შენს კეთილშობილებას, შენს მორალს, შენს ზნეობას, ზრდილობას და აღზრდას ის ვერ გაიგებს... ჩემზე ლაპარაკობს ეს მართლა ვერანი ვარანი — საკაშვილთან ძოვდაო?

**— ვისზე ამბობთ?**

— ვისზე და დავით ბერძენიშვილზე! გამოჩენის დღიდან ვერბრძვი ამ გიჟ გადარეულს და იმათ, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ყლორტები რომ არიან და ეხლა რომ ჩამოიყვანა კიდევ, ჭიაბერაშვილი — ყარს ოთახი მაგის ტელევიზორში გამოჩენისთანავე. დააკვირდით, რას ჰგავს!

**ერთი სიტყვით, უსაქციელო კაცების პარადია დღეს!**

**ერთი რამდენ ხანს იკუნტრუშებენ და იტლინკავებენ ეკრანზე აჩიკო მეფარიძეები და ვიღაც ხურუშიანები? ეხლა მეტყვიან, რომ ეს ჩემი საქმე არ არის. არ არის ჩემი საქმე და არც ხელს არ ვაფარებ უკანალზე, მაგრამ ქვეყანა ილუპება, რა დროს ცვედნების კუნტრუშია, ამათი დრო არის ეხლა? აი, ასეთი ხალხის პრეზიდენტია ის ცოფიანი, მაგრამ მოვა დრო, რომ ამ ბორდელებსაც მოეთხოვებათ პასუხი ქართული სულიერების გარყვნისთვის და კაცური კდემამოსილების წაშლისთვის. იმდენად მოსპეს ის ღირსებები, რომ ახალგაზრდობას აღარ აქვს ის მარცვალი, რის გამოც შეიძლება, რომ თავი გადადოს სამშობლოსთვის...**

ვაცხადებ: — არ შეიძლება, რომ მორალზე, ზნეობაზე და ღირსებებზე ვილაპარაკოთ, თუ ჩვენს გვერდზე აღმოჩნდებიან ის ადამიანები, რომელთა ზნეობაზე და ღირებულებებზე ძალიან დიდი კითხვის ნიშნებია. ვისაც დაფიქრება მართებს, ქალია თუ კაცია, ამაზე დაფიქრდეს, თორემ...

მე ჩემი სათქმელი ნათქვამი მაქვს, ვერავინ დამაბრალებს, რომ ერთი ნაბიჯი უკან დამეხიოს როდესმე. მიუხედავად იმისა, რომ უცოდველი არასდროს ვყოფილვარ, მიქეიფია, მიჩხუბია, მითამაშია, ათასი რამ ჩამიდენია, მაგრამ სამშობლოსთვის არასდროს მიღალატია; არასოდეს სხვისი სისხლი არ დამილევია; არასოდეს არ მიღალატია არავისთვის — როცა მითქვამს, რომ კაცის გვერდზე ვდგავარ, ბოლომდე ვმდგარვარ...

**კიდევ ერთხელ ვამბობ და მრავალჯერ გავიმეორებ, რომ თავიანთი მსხლის ტანით, ესენი არიან ქალის ჰორმონებით გაძეძგილი იდიოტი ქალაჩუნები, რომელთაც ეზიზღებათ ეს ქვეყანა!**

შეხედეთ სახეზე, რას ჰგვანან!

ძალიან მაინტერესებს, სად არის ის ბეგაშვილი, საზამთროს გამყიდველს რომ ჰგავდა, სად დამალეს? ან ის სად არის, ზედამხედველი ნადირაძე, თუ ჰგონიათ, რომ აღარ გამოაჩენენ, ვინმეს რამე დაავიწყდება? ერთი მთხლე, ერთი ფუნისგან გაკეთებულები ეგენი!

მინდა მივმართო იმ გაუბედურებულ ახალგაზრდებს, რომელთაც თანავუგრძნობ და არავითარ შემთხვევაში არ მინდა, რომ გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ, დაუბრუნდნენ სულიერებას, მამაპაპურ სარწმუნოებას, შეხედონ პატრიარქს, ილოცონ, რომ დააღწიონ თავი იმ უბედურებას, რასაც „გაბრუება“ ჰქვია და ნუ მისცემენ ხმას იმ სატანას, რომელმაც ამ მდგომარეობამდე მიიყვანა ისინი... რამდენი ოჯახი დაინგრა ამ მიზეზით და ამას კიდევ, ამ სატანას, მასაჟისტები და ბოზები ჩამოჰყავს მილიონებად...

**გაჩუმებულები იყვნენ თითქოს და ისევ განახლდა ჩემი მისამართით მუქარის ზარები – თქვე უბედურებო, თქვე არაკაცებო, წესიერად არ გიცხოვრიათ არასოდეს, წესიერად სიტყვა არ გითქვამთ არასოდეს; რა არის ძმობა, რა არის მეგობრობა და სიყვარული, წარმოდგენა არ გაქვთ; ბებიათქვენებზე ხართ ჩამოკიდებული მთელი ცხოვრება, იმიტომ, რომ პანჩურამორტყმულები და დაკომპლექსებულები იყავით ყოველთვის. ახლა ძალა მოიგდეთ ხელში და შურისძიების მიზნით, გინდათ გადაუაროთ მთელ საქართველოს. აი, ესა ხართ, თქვე მახინჯებო!**



ამათ ხომ არასდროს არაფერს ვაპატიებ და არც იმათ, ვინც იტყვის, რომ მათთან თანამშრომლობა შეუძლია...

**მაია ჭელიძე**

---

## mamuka areSiZe:

# Tqven geubnebiT pirvelad, am `bandformirebebis~ wevrTa umravlesobas piradad vicnob

5 gv.

ექსპანსიის ხარჯზე, ან იმდენად იდიოტები არიან ვერც ხვდებიან რას აკეთებენ, ან ჩქარ-ჩქარა ყიდიან ყველაფერს, რათა რაც შეიძლება მეტი ფული დააგროვონ, რომ აქედან დროზე წავიდნენ, ჩვენ დაგვრჩება — აბსოლუტურად არაფერი.

**— ახლახან ირაკლი ალასანიამ განცხადება გააკეთა სამეგრელოში არსებულ ბანდფორმირებებთან დაკავშირებით. ადრე, ცხინვალში მოხდა პროვოკაცია, ხომ არ შეიძლება ახლა იგივე სამეგრელოში მოხდეს და რუსეთი შემოვიდეს ჩვენს ტერიტორიაზე?**

— თქვენ გეუბნებით პირველად, ამ „ბანდფორმირებების“ წევრთა უმრავლესობას პირადად ვიცნობ. ეს ის ხალხია, ვინც ჩვენთან ერთად აფხაზეთში იბრძოდა, ოღონდ მაშინ ისინი ლოთი ქობალიას სამხედრო ფორმირებაში იყვნენ. რამოდენიმე მათგანი ჩემთან ერთად, სამაჩაბლოში იყო. ესენი არიან შეიარაღებული რაზმები, რომელშიც შემდეგი კატეგორიის ხალხი მოხვდა: პირველი — თავდაცვისა და შსს სამინისტროს კადრის თანამშრომლები, მეორე — ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერები, რომლებიც უსაქმოდ იყვნენ, ზოგიც ციხეში ნაჯდომია და ა.შ. მესამე — უბრალოდ უმუშევარი ადამიანები, ახალგაზრდები. კი, ზოგი კრიმინალი იყო, ციხეშიც იჯდა იმიტომ, რომ ტერაქტებში მონაწილეობდა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. სუფთა კრიმინალურ საქმიანობაზე 2-3 პროცენტი იჯდა. მე არ ვიცი, რა იგულისხმა ბანდაში ირაკლი ალასანიამ, მაგრამ შემიძლია ვივარაუდო რომ იგულისხმა ის, რასაც ახლა მე გეტყვით — ამ შემთხვევაში ბანდა ჰქვია შეიარაღებულ სამხედრო ფორმირებას, რომელსაც სახელმწიფოს მიერ იურიდიული სტატუსი მინიჭებული არ აქვს. სადმე წერია კონსტიტუციაში, რომ ტერიტორიული რეზერვი უნდა გყავდეს? — არსად წერია. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ეს ბანდაა, მაგრამ მე ამ ადამიანების დიდ უმრავლესობას, განსაკუთრებით მათ, ვინც ჩვენთან ერთად აფხაზეთში იბრძოდა, ბანდიტებს ვერ დავარქმევ. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც უსახსრო მდგომარეობამ იძულებულები გახადა ხელისუფლების ნებას დაჰყოლოდნენ — ზოგი 700 ლარს იღებს, ზოგი 400, ზოგთან ხელშეკრულებაა გაფორმებული, ზოგთან სიტყვიერი მოლაპარაკება. დარწმუნებული ვარ, ბევრი მათგანი არ შეასრულებს იმ ფუნქციას, რაც დავალებული აქვს. უბრალოდ უნდათ ოჯახები შეინახონ, სოფლის მეურნეობა იქ არ არის და აბა რა გააკეთონ?! უბედურება სხვა რამაა, ისმის კითხვა რად გვინდა ახლა ეს? — თუ ომს ვაპირებთ ვინმესთან, გვითხრან, იქნებ მეც მივდივარ ამ ტერიტორიულ რეზერვში, ჩემს სოფელში წყალტუბოს რაიონში და ვიცავ წყალტუბოს აბაზანებს, ხომ მაქვს ამის უფლება? ესენი ვისთან აპირებენ ომს, თუ ასეთი მაღალი ხარისხის ომის დაწყების საშიშროება არსებობს, რატომ არ გვეუბნებიან, ე.ი. ომი არ არის ხომ?! და თუ ომი არ არის, მაშინ რად უნდათ ეს ფორმირებები, რისთვის იყენებენ?! საზოგადოებას ეჭვი უჩნდება — რა არის ეს სხვა მიზანი? — ერთი, ეს შეიძლება იყოს საზოგადოების დათრგუნვა, დაშინება და მეორე — ადამიანის ხელოვნური დასაქმება, რათა მერე ისინი სათავისოდ გამოიყენონ — ხმების ჩასაყრელად, ზონდერ-ბრიგადების შესაქმნელად და ა.შ. ამ ადამიანების სხვა ფუნქციას ვერ ვხედავ. თუმცა, ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ ტერიტორიული რეზერვის შექმნის თაობაზე მოხსენება თავად მოვისმინე ორი წლის წინ ანდრო ბარნოვისგან. შარშან ეს პრეზიდენტმა გააახმოვანა. იარაღი უნდა დაურიგდეს ამ ხალხს, თუ როგორი ტიპის კონტროლი უნდა იყოს, ავტომატებით უნდა ეომონ რუსების ტანკებს თუ რა უნდა ჰქნან? ამ ტიპის ტერიტორიული რეზერვი, სერიოზულ, რეგულარულ ჯარს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. აქედან გამომდინარე, რადგან ეს რეზერვი საომარი მოქმედებისთვის არ სჭირდებათ, ე.ი. სულ სხვა რამისთვის სჭირდებათ. აი, ამ სხვა რამის გამოა სწორედ ამდენი ვნებათაღელვა.



„საქართველოს ხელისუფლებამ მოიფიქრა თავისთვის გენიალური სვლა — შექმნა „გასავლელი ციხის“ ინსტიტუტი, ანუ როდესაც მოსახლეობის ნაწილმა ციხე უნდა გაიაროს. ადამიანი, რომელიც იქ ხვდება, ისეთი პრესის ქვეშაა, რომ მას აღარ უჩნდება სურვილი (ეს ხელისუფლების ჩანაფიქრია) პოლიტიკურად აქტიური იყოს. ეს არის „გასავლელი ციხე“. აი, ამ „გასავლელი ციხის“ ფენომენს, ხელისუფლების ჩანაფიქრით, უნდა დაემორჩილებინა, მონად ექცია მოსახლეობა.“

**— მაგრამ, განა გამორიცხულია, რომ მიშამ თუნდაც რუსეთისგან გაგდებულის იმიჯის შესაქმნელად საარჩევნოდ ომის პროვოცირება მოახდინოს?**

— ომის პროვოცირებას არ გამოვრიცხავ. შემიძლია შევთხზა ასეთი ვერსია — არ არის გამორიცხული ირანთან ესკალაციის შემთხვევაში ჩვენი ხელისუფლება მართლაც ელოდება რუსეთისგან სამხედრო აქციას საქართველოს წინააღმდეგ და ამ კორიდორის გაჭრას ბორჯომი-ახალქალაქის მიმართულებით, რათა თავის ბაზა დაიცვას. აქედან გამომდინარე, შეიძლება იყოს აგრესია საქართველოს დედაქალაქის და ხელისუფლების მიმართ. ამ ლოგიკაში ჯდება პარლამენტის ქუთაისში გადატანა. არ არის გამორიცხული საქართველოს ხელისუფლებაში ვიღაც ფიქრობდეს, რომ ამ საომარი ვითარების ესკალაციის შემთხვევაში მთავრობა მთლიანად ქუთაისში გადავიდეს და აღმოსავლეთ საქართველო მიატოვონ. ეს ტერიტორიული რეზერვი და სხვა საჯარისო ფორმა — სენაკის დიდი სამხედრო ელიტა და ბათუმის ბრიგადა უღელტეხილების დასაცავად და რუსების შემაკავებლად გამოიყენონ. თანაც დასავლეთ-საქართველო უფრო მომგებიანი პლაცდარმია — პორტები, ბოსფორი ახლოსაა, მოგეხმარება მოკავშირე და აფხაზეთის მიმართულება ამ ხალხით შეიძლება ჩაკეტო. მოკლედ, მთელი სამხედრო ძალის დასავლეთ-საქართველოში მოყუჩება მოხდეს. ამ ვერსიას ვთხზავ, მაგრამ ეს თუ რეალურად ასეა, მაშინ დავღუპულვართ. თუ საქართველოს ხელისუფლებას თავისი თავდაცვითი დოქტრინა ამაზე აქვს აგებული, ვიმეორებ, მაშინ დავღუპულვართ.

— ანუ სააკაშვილმა შეიძლება ჩაკეტოს ქვეყანა და აქ ცოდვის კალო დაატრიალოს? იზოლაციისკენ მივექანებით თუ რა ხდება?

— ხოდა, ამაშია საქმე, არ მინდა ეს დავიჯერო, მაგრამ მოგიყევით ის, რასაც ვფიქრობთ სპეციალისტები, რა ვარიანტებიც არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ გავიგე აბა რაში სჭირდებათ ეს? — პეტრე ცისკარიშვილი გამოდის და ამბობს — ქუთაისში პარლამენტი იმიტომ გადაგვაქვს, რომ თბილისიდან 70 კმ-შია რუსული ტანკებიო. ვითომ, იქ, აფხაზეთში არ არის 120 კმ-ში რუსული ტანკები?! 50 კმ-ზეა საუბარი?! ხაზგასმით ვამბობ, მინდა რომ ეს სიმართლე არ იყოს, მაგრამ თუ ეს რეალობაა, მაშინ დავღუპულვართ და ეგაა. მაშინ საქართველოს არსებობა-არარსებობის საკითხი სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დაუყენებია თავად ხელისუფლებას.

**— ბოლოს საზოგადოების როლზეც მინდა გკითხოთ. მუბარაქს აშშ, დასავლეთი წლების მანძილზე უჭერდა მხარს, მაგრამ როცა ხალხმა უსამართლობა აღარ მოითმინა, ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. რა ვითარებაა ჩვენთან, ხალხში ისევ შიშია დასადგურებული თუ რატომ ვერ ვაღწევთ დასახულ მიზანს?**

— საქართველოს ხელისუფლებამ მოიფიქრა თავისთვის გენიალური სვლა — შექმნა „გასავლელი ციხის“ ინსტიტუტი, ანუ როდესაც მოსახლეობის ნაწილმა ციხე უნდა გაიაროს. ადამიანი, რომელიც იქ ხვდება, ისეთი პრესის ქვეშაა, რომ მას აღარ უჩნდება სურვილი (ეს ხელისუფლების ჩანაფიქრია) პოლიტიკურად აქტიური იყოს. ეს არის „გასავლელი ციხე“. აი, ამ „გასავლელი ციხის“ ფენომენს, ხელისუფლების ჩანაფიქრით, უნდა დაემორჩილებინა, მონად ექცია მოსახლეობა, მაგრამ ეს მაინც არ შედგა, ეს ქართველების შემთხვევაში არაეფექტურია. ამან შეიძლება ასე თუ ისე შუა აზიის ქვეყნებში იმუშაოს, მაგრამ ბოლომდე იქაც არ მუშაობს, ამაში არაბულმა გაზაფხულმა დაგვარწმუნა. საქართველოსნაირ ქვეყანაში, რომელსაც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით საკვანძო ადგილი უკავია ხანგრძლივად ავტორიტარული რეჟიმი ვერ იქნება, მითუმეტეს ტირანული.

**თამარ შველიძე**

# rezervistebis proeqtis fonze adamianTa kriminaluri jgufebis mobilizeba xdeba

***გვესაუბრება კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს წევრი და „თავისუფალი დემოკრატების“ პოლიტიკური მდივანი ალექსი პეტრიაშვილი:***

**— ბატონო ალექსი, როგორ მიმდინარეობს პარტიული სტრუქტურის მშენებლობა, რა ვითარებაა რეგიონებში?**

— საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში პირველად ოპოზიციამ კოალიციური ინფრასტრუქტურის მშენებლობა დაიწყო. მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან ხელის შეშლის არაერთი მცდელობისა, აპრილის მეორე ნახევრისთვის „ქართული ოცნების“ ოფისების გახსნა ყველა რეგიონში დასრულებული იქნება. ოფისების გაუხსნელობას ხელისშემშლელი ობიექტური მიზეზები ჰქონდა: კონკრეტულ ადამიანებთან ოფისის ქირავნობასთან დაკავშირებით გაფორმდა ხელშეკრულებები, თუმცა მეორე, მესამე დღეს ისინი გვეუბნებოდნენ — დიდი ბოდიში, მაგრამ კონტრაქტები უნდა გავაუქმოთო. არაფორმალურ საუბრებში, უმეტესობა აღნიშნავდა, რომ ისინი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას განიცდიან, ხორციელდება ადამიანების მასობრივად დაშინება. ახლახან, რაჭაში, ონის ოფისის გახსნაზე გახლდით, ადგილობრივებმა განაცხადეს, რომ არ შეუშინდებიან ხელისუფლებიდან განხორციელებულ ზეწოლებს, მაქსიმალურად გააქტიურდებიან. ამის პარალელურად ე.წ. საარჩევნო სკოლის ჩამოყალიბება ხდება — პირდაპირ გეტყვით, არჩევნებისთვის მთელს არმიას მოვამზადებთ. ათასობით ადამიანი მზად იქნება იმისთვის, რომ არჩევნების დღეს ჩვენთან ერთად დაიცვან მოპოვებული ხმები. მესამე, რაც კოალიციურ საქმიანობაში მნიშვნელოვანია, გახლავთ ის, რომ ყველა რაიონიდან გვთხოვენ კონკრეტული გეგმები, პროგრამები წარმოვადგინოთ. მინდა გითხრათ, რომ ყველა მიმართულებით უაღრესად მაღალი დონისა და კვალიფიკაციის სპეციალისტები მუშაობენ. მალე შემუშავდება კოალიციის ერთიანი ხედვა, რომელიც ადაპტირდება ყოველდღიურ გზავნილებთან.



**— რაც შეეხება ირაკლი ალასანიას განცხადებას, მან დიპ. კორპუსს მიმართა, რომ სამეგრელოში გასამხედროებული ჯგუფები ყალიბდება, რაც მოწმობს, რომ სააკაშვილი არ აპირებს სამართლიანი არჩევნების ჩატარებას და პოლიტიკური ოპოზიციის გასანადგურებლად ემზადება.**

— არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ სამეგრელოში, ახალაიების კლანს, მთელი რეგიონი ტერორის ქვეშ ჰყავს, ძალაუფლების შესანარჩუნებლად ისინი უკან არაფერზე იხევენ. მეორეც, რადგან, დღეს ამ ხელისუფლების ბედი კითხვის ნიშნის ქვეშაა და მათი შეცვლა დღითიდღე რეალური ხდება, ახალაიები ცდილობენ კონკრეტულ ადგილას ისეთი რესურსი შეიქმნას, რომელიც მათ გარკვეული შედეგებისთვის სჭირდებათ. რეზერვისტების პროექტის ფონზე, რომლის კონცეფციაც ჯერ უმაღლესი მთავარსარდლის მიერ დამტკიცებული არ არის, ხდება ადამიანთა კრიმინალური ჯგუფების მობილიზება, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ოფიციალურ სამხედრო ფორმირებებთან. ამავე დროს, ისინი ჯგუფ-ჯგუფად, ცეცხლსასროლი იარაღით გადაადგილდებიან მაცხოვრებლებით დასახლებულ პუნქტებში. სწორედ ამის შესახებ მივაწოდეთ ინფორმაცია ეროვნული უშიშროების საბჭოს რეაგირებისთვის. თუ ხელისუფლება რეალურადაა დაინტერესებული ქვეყანაში სამართლიანი, თავისუფალი არჩევნები ჩატარდეს, მაშინ მათ ამ განცხადებას შესაბამისი რეაგირება უნდა მისცენ. თუ ასე არ მოხდება, ჩვენ სხვა ინფორმაციებიც გვაქვს, გავაგრძელებთ მათ გამოვლინებას და ამ ყველაფერს აუცილებლად განვასაჯაროებთ.

**— ალასანიას განცხადებას, „მშვიდობა საქართველოსთვის“ გამოეხმაურა და მოითხოვა გეცნობებინათ ვინ არიან ამ დაჯგუფებების ორგანიზატორები, დამფინანსებლები ან წევრები. ზუგდიდში, „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთმა წევრმა ამ ფორმირებების ხელმძღვანელების გვარები დაასახელა. როდის მიწვდით საზოგადოებას კონკრეტულ ინფორმაციას?**

— ირაკლი ალასანიამ ჩათვალა, რომ უშიშროების საბჭო არის ის ორგანო, რომელმაც ამ ყველაფერზე რეაგირება უნდა მოახდინოს. ჩვენს მიერ დასახელებულ გვარებში ნაწილი თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები, მეორე ნაწილი კი შსს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაღალჩინოსნები არიან. რეზერვთან მიმართებაში შსს სამინისტროს კუდ-ის დეპარტამენტის თანამშრომლებს ნამდვილად არაფერი ესაქმებათ. მათ აქვთ კონკრეტული კომუნიკაცია ამ დაჯგუფების ლიდერებთან, წარმომადგენლებთან, რომლებიც უშუალოდ ახალაიების დავალებითა და ხელმძღვანელობით იქმნებიან. ეს უნდა დასრულდეს. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ საქართველო კიდევ ერთხელ დადგეს სამოქალაქო დაპირისპირების წინაშე. შსს და თავდაცვის სამინსტროს ჯარებში არის ბევრი ღირსეული ადამიანიც, რომელიც აუცილებლად გამოადგება სამშობლოს. ჩვენ არ ვაპირებთ ყველას და ყველაფრის ჩანაცვლებას. ღირსების საკითხია — ჩვენს პოლიციელებს ჰქონდეთ პირობები, რათა საკუთარი საქმე აკეთონ და არ გახდნენ ვიღაცის პოლიტიკური დაკვეთის, მორიგი ახირებული ნება-სურვილების მსხვერპლი თუ თანამონაწილე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გარდა იმ ადამიანებისა, ვინც კონკრეტულად მიბმულია თავდაცვის მინისტრსა და მის ძმაზე — ახალაიების ოჯახზე, ყველა პირნათლად შეასრულებს საკუთარ მოვალეობას.

**— თუმცა, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ალასანია სამეგრელოს ჰომსით დაემუქრა. მან აღნიშნა, რომ ახლა 1992 წელი არ არის. ცნობილია, ადრე სააკაშვილს ამ რეგიონში მხარდამჭერები ჰყავდა. კონკრეტულად თქვენ, თუ იცნობთ ამ რეგიონს, როგორია მოსახლეობის განწყობა?**

— სააკაშვილმა ამ განცხადებით კიდევ უფრო მეტად დაადასტურა, რომ იგი წარსულის პოლიტიკოსია. იგი ჩაბღაუჭებულია სკამს და ძალაუფლების შენარჩუნებისკენ სწრაფვა მას უკიდეგანო ფანტაზიის ჟამს აკეთებინებს ისეთ განცხადებებს, რაც, პირველ რიგში მასვე აზიანებს. სამეგრელოს რეგიონში არ მეგულება ადამიანი, რომელიც დაიჯერებს, რომ ალასანია იმ საშინელებებით დაემუქრა მეგრელ მოსახლეობას, რაც სააკაშვილმა ჩამოთვალა. ალასანიამ, თავის დროზე ბანდფორმირებებისგან გაათავისუფლა პანკისის ხეობა და როგორ შეიძლება სამეგრელოს დაემუქროს? იგი ყოველთვის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდა. სხვათაშორის, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის მერე იმატა ადამიანებში ოპტიმიზმმა. ხალხში გამოცოცხლება აშკარაა. ძალიან მაღალია პროცენტი დადასტურებულად არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა. თუ საქართველოს მოსახლეობის 65 პროცენტი, რომელიც არჩევნებში წასვლას ადასტურებს, შევინარჩუნეთ, იმ დღიდან თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის ქართული ოცნების ახდენა დაიწყება. ამიტომ ყოველგვარი ქმედება, რასაც ბოლო დროს სააკაშვილი აკეთებს, მის წინააღმდეგაა მიმართული.

**— მაგრამ, სანამ არჩევნებში წავალთ, სააკაშვილი ახალ პოლიტიკურ თამაშებს იწყებს და საელჩოებს აკრიტიკებს...**

— დიახ, იგი ძალიან სახიფათო თამაშს თამაშობს. გარკვეულწილად ცდილობს კონკრეტული სეგმენტის გულის მოგებას. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც შეიძლება მართლაც დგანან რიგში იმისათვის, რომ უცხოეთში წავიდნენ და მართლაც ძალიან მძიმე სამუშაოზე მოეწყონ. უცხოეთიდან საქართველოში ქართველი თანამოქალაქეების მიერ 1 მილიარდზე მეტია უკვე გადმორიცხული, რაც შემაშფოთებელი მაჩვენებელია იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენი თანამოქალაქეები, ძირითადად გარედან გადმორიცხული თანხებით სულდგმულობენ. აქ ეკონომიკა არ ვითარდება, სამუშაო ადგილები არ იქმნება. ენ-დი-აი-ს კვლევების შედეგად გამოკითხული ადამიანების 70 პროცენტი თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს, ეს წარმოუდგენლად მაღალი ციფრია. თუ საქართველოში ძლიერი საშუალო ფენა არ შეიქმნება, სულ ასეთი ვითარება გვექნება. აი, ვინ არიან, და სად არიან ოლიგარქები. დავით კეზერაშვილი, ყოფილი თავდაცვის მინისტრი, სააკაშვილის ხელდასმით, დღეს თავიდან ბოლომდე აკონტროლებს ნავთობის ბიზნესს. დააკვირდით, როგორ კარტელურად, ერთხმად ხდება 5 თეთრის მომატება, ამის ქვემოთ არ მოდის. სუფთა მოგების შექმნილი მარჟა 20-30 თეთრი, ამის ქვემოთ ხელშეუხებელია იმიტომ, რომ იგი ნაციონალური მოძრაობის სალაროში მიდის მისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად. აი, სად არის ოლიგარქიული ფული. გიორგი არველაძე, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი, მოურიდებლად აცხადებს — „იმედის“ 49 პროცენტი მან მიიღო იმისთვის, რომ კარგი სამსახური დაუფასდა. ეს ცინიზმია. ავიღოთ სამეგრელო. მარტვილის რაიონში ვიყავით შეხვედრაზე, აქ გოროზიების კლანი მიწებს ართმევდა მოქალაქეებს, რათა საკუთარი ბიზნეს-ინტერესები განეხორციელებინათ. იქ იყო ურთიერთშიდა დაპირისპირება ახალაიებსა და გოროზიების კლანებს შორის. ამიტომაც, გოროზია დღეს სოფლის მეურნეობის მინისტრადაა გადმოყვანილი. ყველამ კარგად ვიცით, რა დღეშია სოფლის მეურნეობა. 5-5 მილიონი უცხოური კიტრი და პომიდორი შემოდის საქართველოში. რაჭაში გვითხრეს, რომ ღორი მიზანმიმართულად წყდება საქართველოში. სტატისტიკით, ადრე 4-ჯერ უფრო მეტი ღორის ხორცი იწარმოებოდა ჩვენთან, ვიდრე შემოდიოდა. 2010 წელს ეს მაჩვენებელი გათანაბრდა. როცა რაჭველებისთვის ლორი დელიკატესი გახდება, ამის იქით ველარ ალვწერ რა მდგომარეობაა. იგივე ვითარებაა სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებზეც. სოფლის მეურნეობა „ქართული ოცნებისთვის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება. ალბათ, გახსოვთ, ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლისთანავე შესთავაზა ხელისუფლებას 1 მილიარდიანი ინვესტიციის განხორციელება სოფლის მეურნეობაში. ივანიშვილი სიტყვის კაცია და მჯერა იგი აღორძინებს სოფლის მეურნეობას. რაჭაში სასტუმროები ცარიელია. 12 მილიონი ტურისტის შემოსვლა, რომ უზრუნველყო, საშუალოზე მაღალი ევროპული დონის ქვეყანა უნდა იყო. რამდენი ადამიანიც გადაკვეთს და გადმოკვეთს ქვეყანას, ამის მიხედვით იძახიან ტურისტების რაოდენობა გაორმაგდაო. სააკაშვილმა ტურისტულ სააგენტოს ხელმძღვანელს პირდაპირ ეთერში მისცა მკაცრი გაფრთხილება, როდესაც იგი შედარებით მოკრძალებული მაჩვენებლის გაჟღერებას შეეცადა. სააკაშვილმა უთხრა შენ, არ იცი ზუსტი მონაცემები იმიტომ, რომ ახალი ხარო. სამწუხაროა, როცა დიდი მეგაპროექტების დევნასა და საკუთარი სახელის განდიდებაში იხარჯება ჩვენი მოქალაქეების ფული. არცერთმა მოქალაქემ არ იცის, რაში დახარჯა სააკაშვილმა 110 მილიონი უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. იგი დასდევს ბიძინა ივანიშვილის პირად თანხებს და ანგარიშებს, მაგრამ საკუთარი მოსახლეობისთვის არ უთქვამს თავად სად დახარჯა 110 მილიონი ლარი. პრემიერ-მინისტრი წარსდგა პარლამენტის წინაშე და აღნიშნა — შემოსავლები გაიზარდაო. რა თქმა უნდა შემოსავლები ერთმნიშვნელოვნად გაიზარდა, რის დიდ ნაწილს წარმოადგენს ბიძინა ივანიშვილის ქონებიდან და შემოსავლებიდან დაყადაღებული თანხები.



**— ამერიკისთვის თითის დაქნევით, რა თამაში წამოიწყო ხელისუფლებამ? ქვეყნის სახელმწიფო ვექტორი რადიკალურად შეიცვალა?**

— დღეს ხელისუფლებამ რეალურად კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ურთიერთობები ჩვენ ყველაზე აქტიურ მხარდამჭერებთან. მინდა სააკაშვილს და მის დამფრთხალ ხელისუფლებას შევახსენო — სად იდგნენ 2008 წელს იმ ქვეყნის ლიდერები, როდესაც საქართველოს მიმართულებით რუსის ტანკები მოდიოდნენ, როგორ იქცეოდა თავად ხელისუფლება. ომის დასრულებისთანავე საქართველომ არნახული მასშტაბის მხარდაჭერა მიიღო 1 მილიარდ დოლარზე მეტი იმ ქვეყნის ხელმძღვანელობიდან, რომელსაც დღეს პოლიტბიუროს დანიშნულ ადამიანთან უვლებენ პარალელს. მხედველობაში მყავს ამერიკის ელჩი, რომელმაც გამოხატა თავისი უარყოფითი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რაც კონტროლის პალატის მხრიდან ხდება და ასევე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შექმნას წინასაარჩევნოდ კონკურენტული გარემო. მივესალმებით მათ გააქტიურებას. გაეროს წარმომადგენელმაც დააფიქსირა უმწვავესი კრიტიკული შენიშვნები, კონკრეტულ საკითხებზე. ხელისუფლებას არ მოსწონს, რომ მათ დანაშაულებებზე თანამეგობრობა თვალს არ ხუჭავს. უპასუხისმგებლო ხელისუფლება აღარაფრად აგდებს საქართველოს ამ ქვეყნებთან ურთიერთობის მომავალ პერსპექტივებს და მაშინათვე აგრესიულ შეტევაზე გადადის, რითაც აზიანებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს. მათ ის ტოტი უკვე დიდი ხანია მოჭრილი აქვთ, რომელზეც სხედან. მომსწრე ვხდებით ხელისუფლების განწირული ქმედებებისა. ამის მანიშნებელი შეიძლება იყოს თელავში სააკაშვილის გამოსვლისას რუსეთის პრეზიდენტის პაემანზე მიპატიჟება. მინდა გითხრათ, რომ პარტნიორული ურთიერთობები მიხეილ სააკაშვილსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის აშკარაა. ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტები, რეალურად რუსეთის, კრემლთან დაახლოებული უმსხვილესი კომპანიების ხელშია.

**თამარ შველიძე**

**P.S. ინტერვიუს აღებიდან მეორე დღეს ირაკლი ალასანიას განცხადებას უშიშროების საბჭო გამოეხმაურა, რის თაობაზეც „თავისუფალი დემოკრატების“ პრეს-სამსახურამ ოფიციალური განცხადება გაავრცელა: „უშიშროების საბჭომ გამოაქვეყნა ეს ინფორმაცია, ხოლო საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ დაადასტურა, რომ ამ სიაში ჩამოთვლილი პირები თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ან რეზერვისტები არიან, რითაც გიგა ბოკერიამ ასევე დაადუსტრა, რომ ზემოაღნიშნულ სიაში ჩამოთვლილი არაფორმალური ფორმირებების წევრები, რომელთაგან ზოგიერთი სავარაუდოდ კრიმინალური წარსულის მქონე ელემენტიცაა, ასევე წარმოადგენენ სახელისუფლებო სტრუქტურებს.**

**ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ ირაკლი ალასანიას განცხადებების შემდეგ დაიწყო რეზერვისტების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და საკუთარ ინტერესებზე მორგება და ნებაყოფლობითი რეზერვის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაასახელა სწორედ კრიზისულ სიტუაციებში სამოქალაქო ხელისუფლების დახმარება, კიდევ უფრო მეტად აძლიერებს ჩვენს ვარაუდს ხელისუფლების გეგმების შესახებ.**

**ამასთან, საზოგადოებისთვის ცნობილი რამდენიმე დამნაშავის რეზერვის ნაწილად გამოცხადება და მათი კერძო სახლებში შეიარაღებით განთავსება, ხელისუფლების მხრიდან მორიგ უკანონობაზე მეტყველებს. მაგალითად, მოქმედი კანონმდებლობა კრძალავს რეზერვში მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის გაწვევას.**

**დასასრულს გვინდა ცალსახად აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მხარდაჭერა პატიოსანი და პატრიოტი სამხედროების და პოლიციელების მიმართ ურყევია და გიგა ბოკერიას მცდელობა, დააპირისპიროს ისინი საზოგადოებასთან, განწირულია წარუმატებლობისთვის. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ მას ზედმიწევნით შეასრულოს მისთვის დაკისრებული ფუნქციები ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.“**

# saakaSvili 2033 wlamde qarTul politikaSi mmarTvel Zalad darCeba

## vin aris feThula giuleni da ra interesebi aqvs mas saqarTveloSi?

*გვესაუბრება პოლიტოლოგი*
***ჰამლეტ ჭიპაშვილი***



**— ბატონო ჰამლეტ, ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა ქართულმა საზოგადოებამ თურქული ექსპანსიის მოძალებად აღიქვა. თქვენი აზრით, რეალურია თურქული საფრთხე?**

— თუ გახსოვთ, ერთ ხანს სააკაშვილი აქტიურად საუბრობდა კავკასიის ქვეყნების გაერთიანების საკითხზე. თქვენს გაზეთშიც იწერებოდა ამ თემაზე. მაგრამ რასთან იყო დაკავშირებული სააკაშვილის ეს ინიციატივა. შემიძლია გითხრათ, რომ, სავარაუდოდ, იდეა სააკაშვილს თურქი პოლიტიკოსისა და ისლამის მქადაგებლის ფეთჰულა გიულენისგან აქვს ნასესხები. გიულენის შესახებ ჩვენ გვქონდა საუბარი „საერთო გაზეთის“ ფურცლებზე. ეს ადამიანი — ფეთჰულა გიულენი — ამერიკაში ცხოვრობს და მას ძალიან კარგად იცნობს მიხეილ სააკაშვილი. გიულენს აქვს ორგანიზაცია, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში ღონისძიებებს მართავს, სხვათა შორის გასულ წელს ჩერქეზთა გენოციდთან დაკავშირებული ფაციფუცი და შემდეგ გენოციდის აღიარება გიულენის ორგანიზაციის ინიციატივა იყო. ეს ორგანიზაცია ძლიერ კაპიტალს ფლობს და აშკარა ანტირუსული სულისკვეთებით გამოირჩევა. მიხეილ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ხალხთან. პატივცემული მიხეილ ამერიკაში ვიზიტებისას ხშირად სტუმრობს ამ ორგანიზაციას და როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ ბოლო, ვიზიტისასაც იმყოფებოდა ფეთჰულა გიულეთან.

**— სხვათა შორის, ამას წინათ ჯონდი ბაღათურიამაც დაადასტურა ის, რომ საქართველოში თურქული კაპიტალი მონოპოლისტურ ძალად ჩამოყალიბდა. „ამ კაპიტალის უკან თურქი მოქალაქე ფეთჰულა გიულენი დგას, რომელიც საკუთარ ვებგვერდზე თავს ისლამის მქადაგებელს უწოდებს“. — აცხადებს ჯონდი ბაღათურია.**

**გიულენის შესახებ, ბატონო ჰამლეტ, მხოლოდ ის ვიცით, რომ მდიდარი ადამიანია, ფლობს კომპანია „ჩაღლარს“ წილები აქვს შავი ზღვის უნივერსიტეტებში. ჯონდი ბაღათურიას მტკიცებით, „ჩაღლარს“ ეკუთვნის დემირელის სახელობის საბავშვო ბაღი, თბილისის სკოლა-ლიცეუმი „სხივი“, ბათუმის შაჰინის სახელობის დაწყებითი სკოლა, ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის დაწყებითი სკოლა. რუსთავის რუსთაველის სახელობის სახელოვნებო სკოლა, ბათუმის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი. დემირელის სახელობის კოლეჯი. ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა, ბათუმის შაჰინის სახელობის დაწყებითი ლიცეუმი, ქუთაისის ლიცეუმი, რუსთავის ლიცეუმი, მარნეულის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი.**

**„ჩაღლარი“ თავისი კაპიტალით და გიულენის იდეოლოგიით მთელ საქართველოსაა მოდებული და მას ზურგს საააკაშვილის დედა გიული ალასანია უმაგრებს“.**

**რას იტყვით, ვინ არის ფეთჰულა გიულენი?**

— თქვენი ნებართვით, ცოტა შორიდან დავიწყებ: 2010 წელს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტმა და იორდანიის სამეფოს ისლამისტური კვლევის ცენტრმა მსოფლიოს სახელგანთქმულ მუსულმანთა სია გამოაქვეყნა. სიაში მე-13-ე ადგილზე ფეთჰულა გიულენია. იგი ხელმძღვანელობს გავლენიან რელიგიურ თემს — ჯამაათს. ამ ორგანიზაციაში შედის ადნან ოქტარიც, ფსევდონიმით ხარუნ იაჰია. გიულენი თურქეთში არ სარგებლობს სახარბიელო ავტორიტეტით, მაგრამ იგი მაინც იყო ერთხანს პრემიერ-მინისტრ ერდოღანის კონსულტანტი.

თანამედროვე თურქი პოლიტიკოსების კავშირები ჯამაათთან და გიულენთან კონსპირაციულია, მაგრამ 2000 წელს მაინც გახდა ცნობილი, იმ პერიოდში ოპოზიციაში მყოფი ერდოგანი გიულენს რომ შეხვდა ამერიკაში. გიულენთან ხშირი შეხვედრების შემდეგ ერდოღანი დარწმუნდა ისლამის მნიშვნელობაში მის პოლიტიკურ ასპარეზზე და ამ იდეით დახვეწა პოლიტიკური პარტია. ჯამაათმა სერიოზული ფინანსური დახმარება გაუწია ერდოღანს.

ჯამათის კრიტიკოსი ჰაბლემიტოღლუ ბევრს წერდა ჯამაათის ძირგამომთხრელ საქმიანობაზე სახელმწიფო ორგანოებში და განსაკუთრებით უშიშროების სამსახურში. „ფეთჰულისტები დიდ ორგანიზაციად იქცნენ. წლიური კაპიტალის წყალობით (25 მლრდ დოლარი) და სხვა ფულადი შემოწირულობებით მზად არიან იყიდონ ნებისმიერი სახელმწიფო მოხელე“. — წერდა ჰაბლემიტოღლუ.

1971 წელს 3 წლით პატიმრობა მიუსაჯეს გიულენს ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისთვის. იგი მიზნად ისახავდა შარიათზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნას და შემდეგ თურქულ-ისლამისტური კავშირის ჩამოყალიბებას.

ჯამაათს სერიოზული კაპიტალი აქვს. ამ სახსრებით იხსნება სკოლები, სასწავლო-იდეოლოგიური ცენტრები სხვადასხვა ქვეყანაში. განსაკუთრებით აქტიურობს ფეთჰულა გიულენი დსთ-ს სივრცეში, კავკასიაში, რუსეთში.

2000 წლამდე რუსეთში ჯამაათი აქტიურად მოღვაწეობდა, საბოლოოდ, ამ ორგანიზაციის მოქმედებები აკრძალეს. „დროა, შევასრულოთ ჩვენი ვალი“, — აცხადებდა გიულენი და მოუწოდებდა ისლამისტ ბიზნესმენებს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ათვისებაში.

„რა საჭიროა არმია, ან საგანმანათლებლო მხედრები? იმისთვის, რომ აზია ისევ დავიპყროთ, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, მწვანე ნოხის დაფენა სალოცავად. მოსალოდნელ გარდაქმნებში ყველაზე მაღალი ისლამის ხმა იქნება“. — ამბობს გიულენი.


გიული ალასანია



ფეთჰულა გიულენი

გიულენი მოუწოდებს ბალკანეთში, დსთ-ში, კავკასიაში მცხოვრებ ისლამისტებს გაერთიანებისკენ.

ადნან ოქტარის, ფეთჰულა გიულენის ორგანიზაციის აქტიური წევრის აზრით, თურქული სამყარო ადრიატიკის ზღვიდან ჩინეთამდე არის გადაჭიმული. ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები ადრე თურქეთის ფრთებქვეშ იყვნენ. უზბეკები, ყაზახები, უიღურები, თათრები, ჩერქეზები, აფხაზები, ბოსნიელები, ჩეჩნები, კავკასიის სხვა ხალხები ოსმანური სისტემის ნაწილი იყვნენ. ვერც რუსეთმა, ვერც საფრანგეთმა, ინგლისმა ან აშშ-მა ვერ შეძლო ამ ხალხისთვის მშვიდობის მოტანა. — ამბობს ოქტარი.

კავკასიაში დიდი პოტენციალის გავლენის მოპოვების საქმეშიო, — მიიჩნევს იგივე ადნან ოქტარი.

ჯამაათის იდეით, თუ თურქეთი თავის შესაძლებლობებს გამოიყენებს, უდაოდ გადაიქცევა მსოფლიოს ლიდერ სახელმწიფოდ, მაგრამ მანამდე თავისი გავლენა უნდა აღადგინოს დაკარგულ ტერიტორიებზე. თურქულმა ძალამ უნდა შეარყიოს რუსეთის გავლენა რეგიონში. ევროკავშირის მსგავსად უნდა შეიქმნას ახალი — თურქული კავშირი, რომლის შემადგენლობაში იქნებიან — ბალკანეთი, ახლო აღმოსავლეთი, კავკასია და ცენტრალური აზია, — მითითებულია ჯამაათის პერსპექტივებში.

**— ბატონო ჰამლეტ, რა გამოდის, სააკაშვილი თავისი დედის გიული ალასანიას თანხლებით თურქეთს უწყობს ხელს ამ მიზნების განხორციელებაში? და ამას პირადი კეთილდღეობისთვის აკეთებენ?**

— რა გითხრათ, თვითონ განსაჯეთ, აქ მატერიალური დაინტერესების გარდა სხვა რა უნდა იყოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის მაინც ვიცით, რომ სააკაშვილი და დედამისი თურქები არ არიან და თუ კეთილდღეობა არა, მაშ, რატომ უნდა აინტერესებდეს თურქეთის გაძლიერება?!

**— სხვა საკითხია, რა რეაქცია ექნება ამაზე რუსეთს და აშშ-ს, მაგრამ, ძალიან მაინტერესებს, რას შეიძლება ნიშნავდეს სააკაშვილის ხისტი განცხადება ამერიკის ელჩის — ჯონ ბასის წინადადებაზე. არსებობს მოსაზრება, რომ მიხეილ სააკაშვილს სურს ახლა რუსეთს „ჩაეხუტოს“.**

— სააკაშვილისთვის ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა. იგი, ზოგადად, ასეთი დამოკიდებულებით გამოირჩევა დიპლომატიური კორპუსისადმი.

2004 წელს მან უკანასკნელი სიტყვებით გალანძღა ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში პლამენ ნიკოლოვი და თქვა, რომ ეს კაცი უნდა გამოცხადდეს პერსონა ნონ გრატად. მერე ბურჯანაძე შეეცადა მდგომარეობა გამოესწორებინა და ეს ადამიანი არ გამოუცხადებიათ პერსონა ნონ გრატად, მაგრამ საქართველოდან კი გააძევა მიშამ.

სააკაშვილი ეუკმეხებოდა რიჩარდ მაილსსაც.

რაც მან ჯონ ბასის მიმართ თქვა, ეს არის მისი ჩვეულებრივი დამოკიდებულება ელჩებისადმი. სააკაშვილი არ მიიჩნევს, რომ ამათ რევერანსები გაუკეთოს, რადგან 10-ჯერ და 100-ჯერ უკეთესი დამოკიდებულება აქვს უმაღლეს ეშელონებში — კონგრესთან, სენატთან, პოლიტიკურ წრეებთან, თეთრი სახლის ადმინისტრაციასთან. ისეთ ხალხთან, ვინც ქმნის პოლიტიკას. ამიტომაც არ უწევს ანგარიშს არავის.

რაც შეეხება რუსეთთან „ჩახუტებას“. ამ საკითხში სრულიად ვეთანხმები სააკაშვილს, თუმცა რუსეთისადმი სააკაშვილის კეთილგანწყობა და ურთიერთობის გაუმჯობესების მცდელობა წმინდა წყლის ბლეფია. განცხადებას ვიზებთან დაკავშირებით სარეკლამო ხასიათი ჰქონდა. მან აჩვენა მსოფლიოს, რომ რუსეთისკენ დგამს ნაბიჯებს. ამავე დროს, ეს არის მინიშნება ამერიკის ადმინისტრაციისთვის — თუ არ გაითვალისწინებთ ჩემს შეხედულებებს ხელისუფლებაში ჩემი დარჩენის საკითხში, იძულებული ვიქნები, გადავდგა ნაბიჯი ჩრდილოეთისკენო.

**— სანამდე აპირებს სააკაშვილი ასეთ თამაშებს? მით უმეტეს, რომ შემოდგომაზე აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებია და შეიძლება ობამა აღარ იყოს პრეზიდენტი. მხარდამჭერები მაინც უხვად ჰყავს აშშ-ის ადმინისტრაციაში? ამიტომაც არის გადიდგულებული და შანტაჟზეც არ იხევს უკან ჭირვეული ბავშვივით?**

— ადვილი მოსალოდნელია ობამამ დათმოს პრეზიდენტის სავარძელი და როგორც პრაიმერი იტყობინება, ამ სავარძელს რესპუბლიკელი მიტ რომნი უმზერს. მიტ რომნს საააკაშვილის მეგობარი ჯონ მაკკეინი უდგას მხარში და მოსალოდნელია „ქორებმა“ კვლავ დაიბრუნონ ძალაუფლება. რაც ნიშნავს, რომ

**სააკაშვილი 2013-მდე კი არა, 2033-მდე საქართველოს პრეზიდენტი იქნება. ასე, რომ მიშამ იცის, რასაც აკეთებს. ზოგს ის სულელი ჰგონია, მაგრამ ვისაც ჰგონია სულელი, თვითონაა ასეთი. ეს კაცი არაა სულელი.**

**— მოსახლისეთა შეიარაღებულ რაზმებს ქმნის ხელისუფლება. რისთვის არის ეს საჭირო, ხომ არ ჩანს იმის ნიშნები რომ რუსეთთან კვლავ მოხდეს შეიარაღებული კონფლიქტი?**

— ეს რაზმები არჩევნებისთვის იქმნება, რათა ოპოზიციას არ მიეცეს არჩევნებში რაიმე წარმატების შესაძლებლობაც კი. ეს იქნება ხალხის დაშინების საშუალება, თუმცა ამ რაზმების შექმნის მიზეზად ირანს ასახელებენ. სურთ, ასე შენიღბონ თავიანთი ზრახვები.

მაგრამ, შეიძლება, ნაციონალებს ესეც არ დასჭირდეთ, რადგან ივანიშვილი, რომლის რეიტინგი უმაღლესი დონეზე იყო, რაც დრო გადის სულ უფრო მეტად კლებულობს. და ეს არავის ბრალი არ არის. მიმაჩნია, რომ ივანიშვილმა ეს თვითონ მოუხერხა საკუთარ თავს. ხალხს განსაკუთრებით არ მოსწონს მისი გარემოცვა. ამომრჩევლის, ხალხის მოთხოვნა სხვაა და ივანიშვილი სხვა რამეს სთავაზობს, ის და მისი კოალიცია, სავარაუდოდ, შევა პარლამენტში, მაგრამ ეს იყო „ქართული ოცნება“? რაღაც არ მგონია.

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



## kaxa kaxiSvili:

# rTuli dasajerebelia, adamiani, romelic `qarTuli ocnebis~ gazeTebs arigebda mas ofisis xarjebTan dakavSirebiT raime dokumentacia eqneboda

***ცოტა ხნის წინ არასამთავრობო სექტორმა გამოთქვა ინიციატივა, ადვოკატთა მობილური ჯგუფების შექმნის შესახებ. კონკრეტულად რა ეტაპზეა პროცესი, ვის დასახმარებლად გაერთიანდნენ იურისტები და რატომ გახდა აუცილებელი ამ ტიპის გაერთანების ჩამოყალიბება, „საერთო გაზეთს" „საარჩევნო პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის" ხელმძღვანელი კახა კახიშვილი ესაუბრა***

**— ბატონო კახა, ცოტა ხნის წინ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა გამოთქვით ინიციატივა, იურისტებით დაკომპლექტებული მობილური ჯგუფების შექმნის შესახებ. რა ეტაპზეა პროცესი და თუ ჩამოყალიბდა კონკრეტული ჯგუფები?**

— ამ საკითხთან დაკავშირებით ინტენსიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები და მუშაობა. არა მგონია, კონტროლის პალატა მხოლოდ გამოკითხვებს დასჯერდეს. ამიტომ, რაც უფრო ახლოს იქნება კენჭისყრის დღე, მით უფრო, აქტუალური გახდება ამ ტიპის ჯგუფების მუშაობის აუცილებლობა. სხვათა შორის, ბევრ არასამთავრობოს კამპანია „ეს შენ გეხება", ფარგლებში შეკრება გვქონდა სოროსის ფონდში, სადაც გადავწყვიტეთ, რომ შეიქმნას მონიტორინგის საბჭო, რომელიც ჩაატარებს სამართლებრივ მონიტორინგს. შეისწავლის ყველა იმ მასალას, რომელიც კონტროლის პალატას მოეპოვება და ჩვენი მხრიდან დავდებთ სამართლებრივ დასკვნას, თუ რამდენად კანონიერად მოქმედებს კონტროლის პალატა. მიუხედავად იმისა, რომ კონტროლის პალატა აცხადებს, ისინი მოქმედებენ მხოლოდ კანონიერების ფარგლებში, თავს ვალდებულად ვთვლით, გამოვკითხოთ ის ადამიანები, რომლებიც ღიად აცხადებენ, რომ მათ მიმართ არასათანადო და შეურაცხმყოფელი მოპყრობის შემთხვევები დაფიქსირდა. ასეთ მოქალაქეებს გამოვკითხავთ და თუ დაადასტურეს ნამდვილად ასეთი ფაქტების არსებობა, ცხადია, ეს უკვე არის კონტროლის პალატის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება და ასეთ შემთხვევაში მოვამზადებთ სარჩელს მთავარ პროკურატურაში. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ იქმნება მუდმივმოქმედი მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ყოველდღიურ ურთიერთობაში შევა, კონტროლის პალატასთან იმ კუთხით, რამდენად კანონიერად იქცევა იგი, რამდენად კანონიერად ახორციელებს თავის უფლებამოსილებას და რამდენად არის შერჩევითი მიდგომა პოლიტიკური პარტიების მიმართ.

**— ამ ეტაპზე მონიტორინგის განსახორციელებლად რამდენი ადვოკატი გაერთიანდა?**

— ის ჯგუფი, რომელიც ამ მიმართულებით შეიქმნა, საკმაოდ დიდია და აერთიანებს თითქმის ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, ვინც მუშაობს და მუშაობდა ამ კუთხით. ამიტომ რამდენი ადამიანიც განაცხადებს, რომ მისი უფლებები ირღვევა იმდენივე ადვოკატი მივა მათთან მათი უფლებების დასაცავად. გარდა ამისა, შეიქმნება ცხელი ხაზიც, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება დაკავშირება და ინფორმაციის მიღების შემდეგ ჩვენი მობილური ჯგუფი გავა პრობლემის შესასწავლად.

**— თუ იმუშავებენ ადვოკატთა მობილური ჯგუფები რეგიონებში, თუ მხოლოდ თბილისის მასშტაბით შემოიფარგლებით?**

— ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და მსგავსი ტიპის არასამთავრობოებს ჰყავთ თავისი წარმომადგენლობა რეგიონებში, ამიტომ ამ კუთხით არანაირი პრობლემა არ არსებობს.

**— რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, ვინ უზრუნველყოფს ადვოკატებს სათანადო ფინანსური რესურსით?**



— ეს ფორმალური საკითხებია, რომლის მოგვარება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, მითუმეტეს ამხელა მასშტაბის კოალიციის ფარგლებში. მე, პირადად, ძალიან ბევრ ადვოკატს ვიცნობ, ვისაც სურვილი აქვს, უფასოდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დაეხმაროს ადამიანებს.

**— ბატონო კახა, რამდენადაც ცნობილია, ადვოკატთა ჯგუფები კონტროლის პალატაში დაბარებული ადამიანების დასახმარებლად შეიქმნა?**

— ადვოკატთა მობილური ჯგუფები არა მხოლოდ, მათ დასახმარებლად ჩამოყალიბდა, არამედ ყველა იმ ადამიანის მხარდასაჭერად, რომელიც ჩათვლის, რომ მისი უფლებები უკანონოდ ირღვევა.

**— ცნობილია, რომ კონტროლის პალატაში ხშირ შემთხვევაში „ქართული ოცნების" წარმომადგენლები იყვნენ დაბარებული. თუ მიიღეთ საზოგადოებრივი მოძრაობის წარმომადგენლებისგან ადვოკატებისთვის ფინანსური დახმარების შეთავაზება?**

— არა, არანაირი დახმარება და გამოხმაურება არ მიგვიღია. არც არანაირი დახმარება გვჭირდება, რადგან გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ობიექტურად, დამოუკიდებლად ვიმოქმედოთ.

ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ კონტროლის პალატა შერჩევითი სამართლის პრინციპის მიხედვით არ უნდა მოქმედებდეს. მე, პირადად, მათი არგუმენტები მოვისმინე იმასთან დაკავშირებით, თითქოს რეგიონებში გახსნილი „ქართული ოცნების" ოფისების კეთილმოწყობის დამადასტურებლად არანაირი ფინანსური დოკუმენტაცია არ არსებობს. პრინციპში, ასეთი სახის დოკუმენტაცია ჩვეულებრივ ადამიანებს, ვინც კონტროლის პალატამ ახსნა-განმარტებისთვის დაიბარა, არც ექნებოდათ. ამიტომ თუ უნდოდათ დარღვევის მოგვარება, დაებარებინათ იგივე „ქართული ოცნების" ლიდერები და ბუღალტერი, რომელიც შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენდა. რთული დასაჯერებელია, რომ ადამიანი, რომელიც „ქართული ოცნების" გაზეთებს არიგებდა, ოფისის ხარჯებთან დაკავშირებით, ან თუნდაც შენობის იჯარით აღების შესახებ რაიმე დოკუმენტაცია ჰქონოდა —ეს ხომ აბსურდია.

**— თქვენ რას უკავშირებთ, კონტროლის პალატის ბოლოდროინდელ ქმედებებს?**

**— კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახური, რომ ჩამოყალიბებული ყო 2004 წელს, 2005 წელს, ან თუნდაც 2010 წელს, ანუ მანამდე, სანამ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდებოდა, ვიტყოდით, რომ ნამდვილად თავის უფლებამოსილებას ახორციელებს. მაგრამ, რატომღაც, კონტროლის პალატის ეს სამსახური მხოლოდ ბიძინას პოლიტიკაში შემოსვლის შემდეგ გახდა საჭირო. ახლა არის აუცილებელი ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება, თუნდაც ისეთის, რომელიც 2004 წლიდან მოყოლებული ხელისუფლებას თაროზე ჰქონდა შემოდებული და არ ითვალისწინებდნენ. ვგულისხმობ, ევროსაბჭოს რეკომენდაციებს, რომელიც ითხოვდა, რომ ყოფილიყო პარტიების ფინანსური გამჭვირვალობა. 2004 წლიდან მოყოლებული ეს საკითხი არ აინტერესებდათ, თუმცა, რატომღაც, ახლა დაინტერესდნენ.**

დღეის მდგომარეობით ცალსახაა, რომ კონტროლის პალატა მოქმედებს შერჩევითი სამართლის პრინციპით და მხოლოდ ერთი პარტიის მიმართ არაა კეთილგანწყობილი. კონტროლის პალატის ამ სამსახურს ჰქვია პარტიების მონიტორინგის სამსახური და არა მოქალაქეების კონტროლის სამსახური, ამიტომ გაურკვეველია, რის საფუძველზე იბარებენ, ჩვეულებრივ, ადამიანებს ახსნა-განმარტებისთვის.

**მირანდა ნაბახტეველი**

4 gv.

# vin daqoqa nacebis `kako-trako~ da vin `daaqaqebina~ jon basisTvis anu saakaSvili putinis ssrk-Si gvabrunebs?

გორ გადაიხარხარეს მიშას ტელევიზიების ჟურნალისტებმა და ბეჭდური მედიის წარმომადგენლებმა! — აქაოდა, ერთი ამ უბედურს შეხედეთ, ჩვენს „ამერიკელ ვაჟკაცს" რეებს აბრალებსო?

იცინეთ, იცინეთ, ჩემო კარგებო, რა მენაღვლება?

მე მიშას მიერ ამერიკელების გამოლანძღვას დიდი ხანია ველოდი და მოვასწარი კიდეც, მაგრამ იქნებ თქვენი ტელევიზიებით, თქვენი გაზეთებით, სადმე საგულდაგულოდ „მოჩხრიკოთ" — თუნდაც ერთი შენობა, თუნდაც ერთი ბიზნესი, თუნდაც ერთი „ინვესტორული" კაპიტალდაბანდება, რომელიც ამერიკელებს უკავშირდება საქართველოში? ანდა, მე თუ ვერ ვხვდები, იქნებ თქვენ მიმანიშნოთ, 2003 წლის დროინდელი ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი — ამჟამად რუსეთში, კერძოდ კი მოსკოვში რატომ გადმოიყვანეს სამუშაოდ? იქნებ იმაშიც გამარკვიოთ, თქვენმა სააკაშვილმა გაზეთ „იზვესტიასთან" 2004 წლის თებერვალში — „ამქვეყნად ბევრ ქალაქში მიმოგზაურია, ბევრი ქვეყანა მომწონს, მაგრამ მოსკოვში ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ თავსო — რატომ თქვა და იმავე ინტერვიუში ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინს რატომ შეუძვრა ერთ ადგილას? იქნებ იმაშიც გამარკვიოთ პუტინის და სააკაშვილის მართვის სტილი და დიქტატორული ლტოლვა ასე რატომ ჰგავს ერთმანეთს?

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, „ნაც. მოძრაობას", ანუ იგივე „შულავერის კომიტეტს" ბოლშევიკური რუსეთისთვის ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, მაგრამ ისევე როგორც ეს 1921 წელს მოხდა — ჩვენს ტერიტორიებსაც და განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებსაც, შესაძლოაეს ყველაფერი სისხლის ფასად დაუჯდეს!



თუმცაღა რატომ სისხლის?

1921 წელსაც თითო-ოროლა ქართველი შეეწინააღმდეგა რუსულ არმიას და 2008 წელსაც ასე მოხდა, თორემ „სააკაშვილები" საით გარბოდნენ და ვის უკანალში ძვრებოდნენ რუსეთთან კაპიტულაციის ჩათვლით, ესეც ხომ ვნახეთ, არა? შემდეგ, რამდენიმე თვეში, 31 იანვარს, შუაღამისას იგივე რუსეთისთვის ენგურჰესის გადაცემის მოწმენიც ხომ გავხდით? და იქნებ ვინმე ტვინგარეცხილმა მკითხოს — სააკაშვილი ადრეც და დღესაც რა ვალდებულებების გათვალისწინებით იქცევა ასე?

იმ ვალდებულებათა გათვალისწინებით, ჩემო კარგებო, რომელიც იქ, ახალგაზრდობის დროს „მწვანე ბატალიონში" შეისისხლხორცა, და რომელიც აქ, საკუთარ ოჯახში კარგად დაიმახსოვრა და რომ არ დაავიწყდეს — ხან ბიძია თემური ალასანია და ხანაც რუსეთიდან საგულდაგულოდ ჩამოყვანილი „რუსეთის სამხედრო დაზვერვის ატაშე" — გრიგოლ ვაშაძე, რუსეთის „ლუბიმჩიკი" ვანო მერაბიშვილი, კახა ბენდუქიძე და უამრავი ღია თუ ფარული პირი ყოველდღიურად ახსენებენ!

მორჩა, „ლენტი გაჭრილია", მიშამ ქვეყნის ისტორიაში უკვე მესამედ, საქართველოს დამოუკიდებლობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა და მეტიც, უცხოური საელჩოები კორუფციულ მაქინაციებში ღიად დაადანაშაულა. ამხილა ისინი ჩვენი მოქალაქეების უფლებების შელახვაში და დიდი რაოდენობით ფულის გამოძალვაშიც კი.

მოხსნა რა სავიზო რეჟიმი რუსეთთან, რუსულმა პასუხმაც არ დააყოვნა — კი, ბატონო, ჩვენც გავხსნით საზღვარს ქართველებისთვის, მაგრამ დიპლომატიურ ურთიერთობებს, ვიდრე სააკაშვილია ხელისუფლებაში, ვერ აღვადგენთო. ძვირფასო მკითხველო! ესეც ფანდია, რადგან ასე უცბათ სააკაშვილს ვერ „შემოირიგებენ" რუსები, რადგან როგორც მოგახსენეთ, ამ „შერიგებას" წინ დიდი ხარკი უნდა უძღოდეს და თუ დღეს, საქართველოში საქართველოს საზღვრებთან და მეზობელ ქვეყნებში წინასაომარ ვითარებასაც გავითვალისწინებთ, ის დროა, ვიფიქროთ — რა სახის „ხარკის გაღება" ხელეწიფება სააკაშვილს ყველაზე კარგად და კიდევ რას ელოდებიან რუსები მისი მხრიდან.

2012 წელი საქართველოსთვის დიდი „სიურპრიზებით" დაიწყო და ამ „სიურპრიზთა" ჩამონათვალში, უპირველესად, ნიშანდობლივი ის არის, რომ ვიღაცამ მარჩენალის, ამერიკის გალანძღვა და პირის ამოქოლვის ბრძანება უკვე გასცა! ყოველივე ამის შემდეგ კი რა დაუდგება წინ „დიდი საბჭოთა კავშირის" აღდგენა რესტავრაციას, ამხანაგებო?!

**ირინე გოგოსაშვილი**

# soso cincaZe:
# Cven ar unda aRviqvaT basis sityvebi da SeniSvnebi ise, rom, TiTqos, amerikas aRar surs saqarTvelos daexmaros. es ase ar aris

*„საერთო გაზეთს“ ესაუბრება პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე***

**— ბატონო სოსო, მოგეხსენებათ, ჯონ სააკაშვილის და ნაცმოძრაობის მიერ გაკიცხულ-გაკრიტიკებული ბასის ელჩობის ვადა იწურება, ლაპარაკია, ახალ ელჩზე — რიჩარდ ნორლანდზე, რას გვეტყვით მის შესახებ?**

— უნდა ითქვას, რომ ჩვენი ელჩების მხოლოდ 5 პროცენტს აქვს პროფესიული დიპლომატიური განათლება. ასევეა ზუსტად აშშ-შიც. ელჩები ინიშნება არა პროფესიული ნიშნით, არამედ პოლიტიკური მოტივაციით.



ნორლანდი ცნობილი პიროვნებაა, მაგრამ მთავარი ისაა, როგორ იცნობს ის რეგიონს. ამერიკაში არ არიან საქართველოს სპეციალისტები, არ იციან, რა ხდება აქ სიღრმისეულად, ახალგაზრდა სახელმწიფოა საქართველო და მის შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ არის ცნობილი. რაც შეეხება ელჩებს, მათ აქვთ იმის „ფუფუნება“ რომ მობილური ტელეფონით ღებულობდნენ ინსტრუქციას. ამიტომაც უნდა ვიცოდეთ, რომ ელჩის დამოუკიდებლობის ხარისხი დაბალია. ახლა ხომ აღარ არის ტალეირანის ან ბისმარკის დრო, ერთი ინფორმაციის გადასაცემად 5 თვე რომ იყო საჭირო. ამერიკის ვლჩმა ჯონ ბასმა ამას წინათ ისეთი განცხადება გააკეთეა, რამაც გააღიზიანა პრეზიდენტიც და მმართველი გუნდიც. მიმაჩნია, რომ ელჩმა ცოტათი გადააჭარბა და რატომღაც მეტის უფლება მისცა საკუთარ თავს. მართალია, საქართველოს მხარდაჭერა და დახმარება სჭირდება რეფორმების კუთხით და ა.შ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყოველ ნაბიჯზე მერვეობა გაუწიონ საქართველოს.

**რასაკვირველია, აშშ-ი ჩვენს საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე გარკვეულ გავლენას ახდენს, მაგრამ არსებობს რაღაც ზღვარი, რაც ეწინააღმდეგება სუვერენიტეტის პრინციპებს.**

ამერიკული დიპლომატია, როგორც წესი, განსხვავებულია ევროპულისაგან, იმ კუთხით, რომ აშშ-ს ახასიათებს ე.წ. კოვბოური, ტეხასური სტილი. რის უფლებასაც თავს არასოდეს მისცემს პროფესიონალი ევროპელი დიპლომატი, თავისუფლად გააკეთებს ამერიკელი. ამიტომ ჩვენ არ უნდა აღვიქვათ ბასის სიტყვები და შენიშვნები ისე, რომ, თითქოს, ამერიკას აღარ სურს საქართველოს დაეხმაროს. ეს ასე არ არის.

ელჩი მეტად წინდახედული უნდა ყოფილიყო, რადგან მისი სიტყვები მოსალოდნელი იყო ოპოზიციას „სატოპკედ“ გამოეყენებინა და კიდევაც მოხდა ასე, მთელი ოპოზიცია ერთ ენაზე ალაპარაკდა.

**— ჯონ ბასმა მიხეილ სააკაშვილი 26 მაისის აქციის დარბევისკენაც წააქეზა, მერე ნამოქმედარიც მოუწონა. თქვენ ზემოთ თქვით, ელჩი ადმინისტრაციიდან იღებს მითითებებსო, ასე თუ ვიმსჯელებთ აშშ-ის ადმინისტრაციის კარნახით ლაპარაკობდა და ლაპარაკობს ბასიც.**

— შეიძლება კარნახობენ კიდეც. ახლა რომ შეიქნა ერთი ამბავი — ბასმა ესა თქვა, ისა თქვაო, მაშინ რატომ არ იყო არავითარი რეაქცია, ჯორჯ ბუშმა (მამამ) რომ მისწერა წერილი შევარდნაძეს — უნდა გადავდგეთ, უნდა წახვიდე პოსტიდანო?!

**— სააკაშვილს რომ მსგავსი წერილი მისწეროს ვინმემ, რას იზამს თქვენი აზრით, გადადგება?**

— ცხადია, არ გადადგება რადგან მიხეილ სააკაშვილს დღეს აქვს არგუმენტი. შევარდნაძის დროს საქართველო სულ სხვა იყო, დღეს სულ სხვაა — რასაც უბედავდნენ შევარდნაძეს, ის მე არ უნდა გამიბედონო, ამას ამბობს სააკაშვილი.

**— შევარდნაძის დროს სხვა ვითარება იყო, გეთანხმებით ამაში, მაგრამ დღეს რა ვითარებაა?**

— დღეს სულ სხვა ვითარებაა. პირველად გამოჩნდა პოლიტიკაში მმართველი პარტიის მოწინააღმდეგე — ადექვატურად ძლიერი რესურსით, ფინანსურ რესურსს ვგულისხმობ. ესეც განსაზღვრავს იმას, თუ როგორ აღიქმება ესა თუ ის განცხადება ელჩების მხრიდან. ყველას ეშინია, რადგან მოდის აგერ, ამოდენა ძალა. რითაც შეიძლება ერთი ხელის დაკვრით მოხდეს ყველაფრის ერთად გადახარშვა. დღეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია, თუ ფული გაქვს, შეგიძლია ისეთი პიარკამპანია დაიქირავო, რომელიც ნებისმიერი მარგინალი პოლიტიკოსისგან ბისმარკს ჩამოგიყალიბებს. იცით, თქვენ რამდენი რამ გააკეთა სააკაშვილმა პიარით. ამით იმის თქმა მინდა, რომ შეიქმნა კომპლექსური რეალობა და ეს განსაზღვრავს ნაციონალების მხრიდან გაღიზიანებულ ტონს. დააკვირდით ერთ რამეს — ელჩის ასეთი ტიპის განცხადებები 5-6 წლის წინ მსგავს რეაქციებს გამოიწვევდა? ცხადია, არა.

ოპოზიცია არის სუსტი და მისი სისუსტე პირდაპირ კავშირშია საკუთარ ანატომიასთან. ის, რომ შეუძლებელი ხდება სტრატეგიულ მომენტში გაერთიანება, როცა გამარჯვების სხვა ვარიანტი არ არსებობს და ოპოზიცია ამჯობინებს დამარცხებას, ვიდრე გაერთიანდეს, რათა შეინარჩუნოს თავისი „ქალწულებრივი ხელშეუხებლობა“, აი, ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი. როცა ოპოზიცია კატეგორიულად უგულებელყოფს საზოგადოების მთავარ მოთხოვნას გაერთიანებაზე, იმ სიტუაციაში როცა ოპოზიციის გამარჯვების ღერძი საზოგადოებას უპყრია ხელთ, ოპოზიცია მაინც ჯიუტად გაიძახის, რომ ის მარტო გაიმარჯვებს, გაერთიანების გარეშე.

**— ბიძინა ივანიშვილიც კი ვერ შეძლებს ძირითადი ოპოზიციური ძალების გაერთიანებას?**

— არა, და ვერც გაერთიანდებიან. მაგალითად, „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი მთავარი ამოცანა დღეს არის ის, რომ გააგებინონ საზოგადოებას, რაში და რატომ არ ეთანხმებიან ივანიშვილს. როცა ნათელაშვილს უამრავი არგუმენტაცია მოეპოვება ივანიშვილის წინააღმდეგ, თავის მხრივ, ბიძინა ივანიშვილსაც აქვს კონტრარგუმენტები ცალკეული პოლიტიკოსების, ჟურნალისტების და სხვადასხვა პიროვნებების მიმართ, ამ სიტუაციაში რომელ გაერთიანებაზე არის ლაპარაკი ამ ერთი ციცქნა საქართველოში?

**— ასეთ სიტუაციაში, თქვენი ვარაუდით, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში კვლავ ნაციონალური გუნდი გაიმარჯვებს?**

— ჩემი აზრით, კვლავ ეს გუნდი დარჩება გამარჯვებული. დღესდღეობით განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ თუ კვლავ ამ დინამიზმით გაგრძელდა ყველაფერი, ეჭვიც არ მეპარება, რომ მმართველი გუნდი გაიმარჯვებს, მაგრამ ის, რაც ჩემში უკმარისობის გრძნობას იწვევს არის ის, რომ მე საქართველოში ვერც ერთ პარტიაში ვერ ვხედავ იდეოლოგიურ დინამიზმს — ეს არ ჩანს არც მმართველ პარტიაში, არც ერთ ოპოზიციურ პარტიაში.

მოდით, ერთი წუთით გადავიდეთ ჰიპოთეტურ რეალობაში და წარმოვიდგინოთ, სააკაშვილს გაუქრა პოლიტიკაში დარჩენის სურვილი. ეს წარმოუდგენელი რამ არის, მაგრამ მაინც ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რადგან „არასოდეს არა თქვა არასოდეს“, ნახეთ, რა ხდება — ნაციონალური მოძრაობა რჩება ბელადის გარეშე და ნებისმიერ არჩევნებში მარცხდება.

**პარტია, რომლის მთელი რესურსი ერთ პიროვნებაზე არის დამყარებული, იმ პარტიას ხანგრძლივი სიცოცხლე არ უწერია და ძალიან გაუჭირდება ახლანდელი ლიდერის გარეშე.**

**— „ქართული ოცნების“ შანსებზე რას გვეტყვით, არჩევნებში გაუწევს სერიოზულ კონკურენციას ნაციონალურ მოძრაობას?**

— პერსპექტივა ყველას აქვს, მაგრამ „ქართული ოცნების“ მომავალი დამოკიდებულია იმაზე, მისცემენ თუ არა მოქალაქეობას ივანიშვილს. რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებში წარმატებებს— შემიძლია გითხრათ, რომ ივანიშვილის კოალიცია მოხვდება პარლამენტში არა ერთი, ორი, ან სამი დეპუტატით, არამედ თუ სათანადოდ წარმართავს საარჩევნო კამპანიას, უფრო მეტ დეპუტატს შეიყვანს. არადა, საარჩევნო მარათონი, რატომღაც, „ქართულ ოცნებას“ ჯერ არ დაუწყია. სააკაშვილმა კარგა ხანია დაიწყო და საკმაოდ დინამიურადაც მიდის ეს პროცესი მათთვის. ივანიშვილი კი, შთაბეჭდილება მრჩება, ემზადება რაღაც დიდი სამეცნიერო კონფერენციისთვის და არა არჩევნებისთვის. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ ის, რომ გადაავსო კოალიცია მაღალი დონის მეცნიერებითა და პროფესორებით — თედო ჯაფარიძე, მინდია უგრეხელიძე, ცნობილი სოციოლოგები და ა.შ. ბრძოლის ტაქტიკას იქ მე ვერ ვხედავ. ამბობენ — მოიცადეთ, ყველაფერი მზადდება, ყველაფერი წინაა, მაგრამ რას აპირებენ, საინტერესოა, როცა ცაიტნოტში არიან, 6 თვეა დარჩენილი და ეს 6 თვე წინასაარჩევნო კამპანიისთვის ერთი თვალის დახამხამებაა.

**— ბატონო სოსო, თქვენი დაკვირვებით, სააკაშვილმა ხომ არ შეცვალა რუსეთთან ურთიერთობის რადიკალური ტაქტიკა?**

— რაც ჩვენთან ხდება, ეს არის არაჩვეულებრივი მოვლენა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა პირდაპირ ეგზოტიკის სფეროს მიეკუთვნება. მე არსად მსმენია მეზობელ ქვეყნებს შორის სრულად იყოს გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობები. ამ ორ ქვეყანას შორის არის, ფაქტობრივად, ერთი ხელშეკრულება და ეს არის ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულება. იყო ლაპარაკი, თითქოს რუსეთ-საქართველოს შორის ზავი დაიდო და ა.შ. არავითარი ზავი არ დადებულა. მას შემდეგ, მიუხედავად ამ ლანძღვაგინებისა საქართველოში შემოდის რუსული ინვესტიციები, „გამხდარი“ ჩინოვნიკი რომ გვყავს, ბენდუქიძე, ის ამბობს, რომ მიესალმებიან ნაციონალები, რაც მეტი რუსული ინვესტიცია შემოვა საქართველოში. ბოლო ხანს სააკაშვილმა გახსნა საზღვარი და უვიზო მიმოსვლის განკარგულება გასცა. ეს



კლასიკური დიპლომატიის ისტორიისთვის ნონსენსია, მაგრამ მეორეს მხრივ, შესაძლებელია ურთიერთობების დალაგება მაღალი დონის დიპლომატიური სვლებით და მოხერხებით. სწორი პოლიტიკის შემთხვევაში შეგვიძლია გავლენა მოვახდინოთ რუსეთის ელექტორატზე, ისე, რომ რუსმა ხალხმა იფიქროს — არ ყოფილა ისეთი ცუდი ქართველი ხალხი, როგორც ვფიქრობდითო და რუსეთის მოსახლეობამ აიძულოს ხელისუფლება შეცვალოს ჩვენს მიმართ დამოკიდებულება.

**ირანდა კალანდაძე**

## რონ პოლი: აშშ რისკავს გადაიქცეს ფაშისტურ სახელმწიფოდ



**„ჩვენ დავშორდით რეალური რესპუბლიკს პრინციპებს. ამჟამად, ჩვენ ვმოძრაობთ ფაშისტური სისტემის ფორმირებისკენ, რომლის დროსაც ქვეყანას ერთობლივად მართავენ მთავრობა და ყველაზე მსხვილი ბიზნესმენები. ჩვენ შეიძლება შევეჯახოთ მართვის ავტორიტარულ ფორმას ყველა ამერიკელი მოქლაქის უფლებების დარღვევით“, — განაცხადა რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატმა რონ პოლმა მისურის შტატში საკუთარ ამომრჩეველთან შეხვედრისას.**

# demokratia _ `opiumi xalxebisTvis~

## isev tyuili, Tu `demonokratiis~ damkvidrebis xerxi?!

საზოგადოებას საუკუნეები დღეს კი ყველაზე აქტიურად უჩნდება კითხვა: “რა არის დემოკრატია”? — “თავისუფლება, სამართლიანობა, ადამიანის უფლებების დაცვა, სხვადასხვა ეროვნებების ხალხთა ტოლერანტული თანაცხოვრება” თუ “ვიღაცის” სურვილით თავსმოხვეული იდეოლოგია? ”დემოკრატია” ის “ლურჯი ფრინველია”, რომლის “დაჭერასაც” თაობებია ცდილობენ. ასე “ბურჟუაზიიდან სოციალიზმისკენ, კომუნიზმისკენ, განვითარებული კომუნიზმისკენ” და ბოლოს “ლიბერალურ დემოკრატიამდეც” მივედით. “ლურჯი ფრინველის დაჭერასაც” “რატომღაც” სულ რევოლუცია უსწრებს ხოლმე. **შედეგი კი ყოველ ჯერზე “ვირის “თავ-ფეხი” გამოდიოდა.** “ღმერთის მოფიქრებულზე” უკეთესს ადამიანი ვერ მოიფიქრებს. აბსოლუტური დემოკრატია საბერძნეთშიც არ ყოფილა. პატრიციებიც “პლებსსა დემოსს” სათავისო დოგმა-წესებს უდგენდნენ. ეგვიპტეში დემოკრატიაზე საუბარიც არ იყო, მაგრამ იეროფანტი ქურუმებიც “ქურუმული დემოკრატიით” მართავდნენ მას. ასე იყო ძველ იდუდეაშიც სინედრიონის ფარისეველ-თალმუდისტი უხუცესების მიერაც. “ღვირახსნილობა-გარყვნილების ბაბილონისეული დემოკრატიით” დგინდებოდა “ფასეულობები” ძველ ბაბილონშიც, რომსა და სოდომ-გომორაშიც. “ქურუმთა თანამედროვე კასტა”, რომელსაც დღეს “მსოფლიო მთავრობა” წარმოადგენს, მსოფლიოს ხალხების “მოკლე სადავეზე სამართავად” სახელის მონახვას ყოველთვის მოახერხებს. ”დემოკრატიის მსგავსი” “ძმობის, ერთობის, თავისუფლების”, “ყველა ქვეყნების პროლეტარების შეერთების იდეა” მარქსის, ენგელსისა და ლენინის დროსაც არსებობდა. “ხალხთა მეგობრობა, ძმობა და ეროვნულ-რელიგიური თანასწორობა”, “დემოკრატიული ცენტრალიზმიც” სწორედ “ბოლშევიკურმა რევოლუციამ” მოიტანა. თაობებს “ბიძია თომას ქოხზე” იძულებითი ქვითინი გვქონდა გამოწერილი. “თავისუფლების სიმბოლოალმართულ” “დემოკრატიის ფლაგმან” ქვეყანაში კი “კუ-კლუქს კლანიც” მძვინვარებდა. შავკანიანს, ზანგს თუ აფროამერიკელს თეთრკანიანის გვერდით ჯდომაც ეკრძალებოდა. დრო შეიცვალა, 21-ე საუკუნეა? იცვლება დროც, ხელისუფლებებიცა და წყობებიც, მაგრამ არ იცვლება მარადიული ფასულობები, ზნეობრივი პრინციპები, ღირებულებები და საკაცობრიობო მორალი, რადგან “ეს მორალი” და ცხოვრების წესი კაცობრიობისთვის უფალის დადგენილია. ვინც უფლის დადგენილს უმხედრდება “უფლის წინაალმდეგ ამხედრებული ანგელოზის” გზას ადგას. “უფალთან თანასწორობის მცდელობის” სურვილიც პირველად სწორედ ლუციფერს გაუჩნდა! უფლისგან დადგენილ თანასწორობაზე, სამართლიანობაზე დიდი დემოკრატია არც ერთ პოლიტიკურ ფორმაციას და ხელისუფლებას შეუქმნია. თუმცა “დემოკრატიების ლაბორატორიების” ხელმძღვანელებს სწორედ “უფლისეული დემოკრატია” არ აწყობთ. “საბჭოეთიც” ასეთ ადამიანთა ერთობისა და თავისუფლების” პრინციპით შეიქმნა, მაგრამ არც ამან ივარგა. არც “კომუნისტური დემოკრატიისა და მორალის ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპებით” ჩანაცვლება ამართლებს დღემდე. ისევ “ლურჯ ფრინველს ვეძებთ”, მაგრამ ახლა რისი თავისუფლებისკენ ვილტვით? ყოველ ჯერზე ვინ, რატომ და რა პრინციპით ადგენს ”თავისუფლების კრიტერიუმს”? თუ ბუნებით მინიჭებულ სიცოცხლის თავისუფლებაზე საუბარი, ეს თავისუფლება მუდმივად ამ “დემოკრატიების სახელით” რატომ ითრგუნება? “თავისუფლების კრიტერიუმების დამდგენად” ყოველ ჯერზე ის “ზესახელმწიფო” რატომ გამოდის, რომელსაც ადამიანთა ჩაგვრისა და უფლებების დარღვევის ყველაზე დიდი ისტორია აქვს. უფლისმიერ თავისუფლებასაც იმდენად დაშორდა, რომ “საინაუგურაციო ფიცის” დადებაც “ბიბლიის” ნაცვლად თავისივე შედგენილ “კონსტიტუციაზე” ფიცის დადებით შეცვალა. რაც იმას ნიშნავს, რომ “უფლისმიერი თავისუფლების გარანტიისა და ზნეობის” ნაცვლად ის სწორედ “ამ კონსტიტუციის შემდგენელი ქურუმების თავისუფლებასა და მორალის” შესრულების ფიცს უდებს ხალხს, “ეს დემოკრატიაც” იგივე იქნება, რაც აქამდე იყო. “თავისუფალ, საზღვრებგარეშე, დემოკრატიული ლიბერალიზმის მსოფლიოშიც”, “თავისუფალ ადამიანს” ასეთი დემოკრატიისადმი აზრის გამოხატვა “ტაბუირებულად” ეკრძალება. “თავისუფლების ქვეყანაში” სატანისტების შემდეგ მეორე, “მორმონების სექტის რესპუბლიკელი წევრი” მით რომანი ემზადება საპრეზიდენტოდ. პოლიგამიის მიმდევარ მორმონებთან 13-14 წლის გოგონებზე ქორწინებაც (ანუ პედოფილია) ჩვეული წესია. რატომ ჰგავს გაჭრილი ვაშლივით “ლიბერალურ-დემოკრატიული თავისუფლება” “ბოლშევიკების თავისუფლებასა და იდეოლოგიას”? იმიტომ ხომ არა, რომ “თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური” და “საზღვრებგარეშე, დემოკრატიულ-ლიბერალური მსოფლიოს გეგმაც” ერთი “იდეოლოგიური მამების” დაიწერილია? “ღია საზოგადოება” “საზღვრებგარეშე უზნეობასთან, ღია, დაუფარავ გარყვნილებასთან” რატომ იგივდება!უ ტაბუდადებული თემების გახსნის ფონზე რატომ “ედება ტაბუ” “ლიბერალური უზნეობის” გმობას? ვინ და რა უფლებით “უფექშაშა” გრანტებითა და ანტიეროვნულობით “სახელმოხვეჭილ არსაიდან მოსული ტიპებს” — პოლიტიკოსებს ყველასთვის კლიშეებისა და იარლიყების მინიჭების უფლება? იგივეს უფლება ჩვეულებრივ მოქალაქეს რატომ არა აქვს? “ყველაფერი დასავლური” — სექტანტობაც, სექსუალური აღვირახსნილობაც, აპრიორში მისაღები რატომაა? არადასავლური ხედვა კი “სახელმწიფო დანაშაულად” და “კომუნისტურად” რატომ ითვლება, როცა ეს ერთიდაიგივე იდეოლოგიის ორი განშტოებაა? ბოლშევიკი და დღევანდელი ბელადების გამონათქვამებიც იდენტურია: ”ჩვენ ვიმუშავებთ, რათა მასების შეგნებაში, ჩვეულებაში, ყოველდღიურ საქმიანობაში დავნერგოთ წესი: **“ყველა-ერთისათვის და ერთი-ყველასათვის”.** (ლენინი. მუშკეტერებისგან აღებული მასონთა ლოზუნგი) **“ძალა ერთობაშია”**. (სულხან-საბასაგან აღებული ნაციონალების ლოზუნგი.) **“კომუნიზმი — არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია”.**(ლენინი.) სააკაშვილის სიტყვების არსი: **“დემოკრატიული საქართველო ეს არის სააკაშვილი, პლუს მთელს ქვეყანაში ელექტრო ჰესების მშენებლობა”.** ერაყსა და ავღანეთში წასვლის უარზე ჯარისკაცებს 28 000-ის გადახდას ვაიუძულებთ. “მოსწავლეს სკოლიდან




ვაგდებთ”, როდესაც მისი დირექტორი “პატარა ბავშვებისადმი ტრფიალშია” შემჩნეული. ახლა “დემოკრატიულად” სააკაშვილის წარმომავლობაზე საუბარსაც აგვიკრძალავენ. **იმიტომ, რომ სააკაშვილის მსგავსად, ხელისუფლების უმეტესობა სწორედაც სომეხია და თავის წარმომავლობას იმიტომ მალავენ, რომ საქართველოს მიმართ მზაკვრული ჩანაფიქრები ამოძრავებთ.** ეს ქსენოფობიაა!!! სამაგიეროდ, არ არის ქსენოფობია რუსის ლანძღვა, იმიტომ რომ ისინი, ვინც ამით “ამერიკას ეტენება”, ხვალ, “საჭიროებისამებრ”, იგივენაირად ამერიკელს გალანძლავს, რადგან სწორედ მათი ბოლშევიკი ბაბუები და მამებიც ასე იქცეოდნენ. “კვიცი კი გვარზე ხტის”. გაუგებარია, რატომაა დანაშაული ვინმეს წარმომავლობის გამჟღავნება. **თუ მე დღეიდან ვიყვირებ, რომ “სააკაშვილი ქართველი, ძირძველი კოლხი და ლაზია”, ამით სომეხი აღარ იქნება? ვიყვირებ, რომ “დაამარცხა დიდი რუსეთი”, “დღედაღამ საქართველოს კეთილდღეობაზე ზრუნავს” — მართალი ვიქნები?** ეს “იგივე სიმართლე” არ იქნება, როგორი მართალიც სააკაშვილია: **რომ “ჩვენ არ ვიქნებით არასდროს არც სხვა ქვეყნების მონები და არც სხვა ფეოდალის მონები, რომ აღარ ვართ რუსეთის გუბერნია”.** “ამერიკის გუბერნია” ხომ გავხდით? “მონობაც” თანდაყოლილი მოთხოვნილებაა. ბევრი მონად მაშინაც არ გრძნობდა თავს, როდესაც **“დიდი კოლხი სააკაშვილი”** უკრაინაში კაგებეს ჯარში მსახურობით “იტყავებდა მუხლებს”. ბიძამისი “ფეესბეს” კადრი იყო და არის. **”ერთი ფეოდალებისგან, მეორის მონად”** ქართველი ხალხი “ძირძველმა ლაზმა სააკაშვილმა” არ აქცია, როდესაც მშობლიურ ენაზე საუბარს გვიშლის, მიწა-წყალს გვიყიდის და საუკუნეებით დადგენილი სარწმუნოების დაცვისთვის უდანაშაულო ბიჭებს “ციხეში ალპობს”? მართლმადიდებლობის არადეკლარირებული, ფარული დევნა “ფობიად” და “უფლებების დარღვევად” “ლიბერალებისთვის” არ ითვლება? 2005 წლის რეფერენდუმით “ნატოში” გაწევრიანებას მოსახლეობის მხოლოდ 30%-მა მისცა ხმა, მაგრამ ხელისუფლებამ “დემოკრატიულად” 75%-ი დაწერა. იგივე “თავისუფლების ქვეყნის” ყოფილი პრეზიდენტი ბუში, პრეზიდენტი მხოლოდ მისი სენატორი ძმისგან გაყალბებული ხმით არ გახდა? “დემოკრატიულად ხუმრობდნენ” მომავალი ნაციონალებიც, “ნატოში” შესვლას კონფლიქტური ტერიტორიების გარეშე რომ გულისხმობდნენ და აშშ-სგან აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ჩატარებული არჩევნების არცნობაც “დემოკრატიულ ხუმრობად” ხომ არ უნდა მივიჩნიოთ. ასეთივე “დემოკრატიულად ხომ არ ხუმრობს” აშშ-ს ადმინისტრაცია, როცა “საქართველოს ბედის ქართული საზოგადოებისგან გადაწყვიტაზე” გვესაუბრება. “ძირძველი კოლხის დემოკრატიულ ნათქვამიც” “ხუმრობად” უნდა გავიგოთ: “რომელ ქვეყანაში შეიჭრა რუსეთი და არ გატკეპნა ის”, რადგან სხვა ქვეყნებში “საპარტნიოროდ შესულმა” აშშ-ა “როგორ არ გატკეპნა” არც ვიეტნამი, არც ერაყი, როგორ “დემოკრატიულად ააყვავა” ჰიროსიმა და ნაგასაკიც, არავის დაგვიწყნია. რატომ გვეშინია იმის აღიარება, რომ “პედერასტ ამერიკელს” ისევ “რუს ვანიასთან”, ოღონდ ნორმალურ პირობებზე ურთიერთობა რომ გვირჩევნია?! წამგებიანი პოზიციაა?—იყოს. პედერასტობაზე, სექტანტობაზე და “საქართველოს წაბილწვაზე წამგებიანი” მაინც არ არის!

„მსოფლიოს პროლეტარული და ნარინჯისფერი რევოლუციების” სახელით მოსული ხელისუფლებების იდეოლოგიაცა და დემოკრატიულობაც” ტყუპი ძმებივით წააგავს ერთმანეთს. “ქართველი ბელადების” მსგავსად, “პროლეტარული და ნარინჯისფერი რევოლუციის” ბელადებიც მალავდნენ თავიანთ წარმომავლობას. როზელფელდსაც, ზინოვიევსაც, კამენევსაც, ტროცკისაც, ურიცკისაც, სვერდლოვსაც, საბელსონსაც, ლენინსაც და “ნარინჯისფერ ლენინებსაც” ამერიკელი ბანკირები აფინასებდნენ. რატომ ეწეოდნენ ბოლშევიკებიც დენაციონალიზაციას, ტრადიციულის, მართლმადიდებლობის დევნას ისტორიის გადაკეთებას. “პროლეტარების” დროსაც “რელიგია ხალხისთვის გადაგდებული ოპიუმი იყო”. დღესაც ჩვენი რელიგია “ასე შეუთავსებადი” რატომაა “ლიბერალ-დემოკრატიასთან”? აშშ-ს ყოფილმა ელჩმა ტეფტმა საქართველოში მართალმადიდებლობის უპირატესობა რატომ ვერ აიტანა და რელიგიის ანტისახელმწიფოებრივი კანონითაც “დიდმა ლაზმა” მისი დავალება რატომ შეასრულა? ქრისტეს მორალი და ზნეობაც ეწინააღმდგებოდა “ფარისეველ ქურუმთა დემოკრატიას” და ჯვარზეც აცვეს! ო”ორივე “დემოკრატიის” (პროლეტარული და ლიბერალური) დროს, რატომ ანადგურებენ პროფესურას, არისტოკრატიას (დღეს ინტელიგენციას) მეცნიერებას, კულტურას, ხელოვნებას, პოეზიას, არქიტექტურასა და თეატრს. მოსვლისთანავე ბოლშევიკმა სწორედ ვეროპასთან ახლოს მდგომი მაშინდელი რუსული კულტურა რატომ აითვალწუნეს? დახურეს უნივერისიტეტი. გაყარეს ძველი პროფესურა და მათ ადგილზე უგვანო, გაუნათლებელი ადამიანები რატომ მოიყვანეს? დახვრიტეს მწერალი გუმილიოვი. შალიაპინი გააძევეს. “ნაციონალებმა” დახვრიტეს შარაძე და რობიკო სტურუას ქვეყნიდან წასვლა აიძულეს! ორივე იდეოლოგიისთვის ჩაშვება-დასმენა მისაღები რატომაა? ბოლშევიკებიც ძარცვავდნენ ეკლესია-მონასტერებს. “დემოკრატი-ლიბერალებიც” ძარცვავენ მუზეუმებში შენახულ სიწმინდეებსა და ეროვნულ მემკვიდრეობას. “დემოკრატიულმა აშშ-მაც”, “დემოკრატი ბოლ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

შევიკების'' მსაგავსად, ''არ იცის'', რომ ქართველი ხალხის ნება ''არაქართულენოვანი საქართველო'' არასდროს ყოფილა? რუსეთის ბაზები იმისთვის გავიყვანეთ, ავღანეთში ''საბჭოთა ჯარისთვის'' საომრად გაგზავნილი ქართული გენოფონდის გაწყვეტა იმისთვის შეწყდა, რომ ''ახალი დიდი ძმის'' ინტერესს შევაკლათ გენოფონდი? მაშინ რას გადავიმტერეთ რუსეთი. დავკარგეთ ისტორიული მიწები თუ ''ახალ კაბალაში'' გავყოფდით თავს! მით უფრო რუსეთთან გეოგრაფიული, ისტორიული, კულტურული და სარწმუნოებრივი სიახლოვე, ბევრად მეტი ნათესაური კავშირები გვაქვს — ვიდრე ''ცხრა მთას იქეთა'' ამერიკასთან.

,,ბოლშევიკი კომისრების'' რიგებიც ''ნაციონალი კომისრების'' მსგავსად, სავსე არ იყო პედერასტებით, პედოფილებითა გარყვნილი ცხოვრების მოყვარულებით? ''ლიბერალიზმისა და ბოლშევიზმის ბელადებსაც'' ნათესაური ''ზნეობრივი ფასეულობებით'', ერთი ბედი აქვთ, ლენინი გარყვნილი ცხოვრებით შეძენილი სიფილისით შეირყა. სააკაშვილს, შესაძლოა, თანდაყოლილმა სოციოპათიამ, ან 21-ე საუკუნეში გავრცელებულმა სხვა ვენერიულმა დაავადებებმა მოუღოს ბოლო. რაც აღვირახსნილობის გარდა, ნარკოტიკების მოხმარებითაც გადადის. თუ რუსეთი არ შესულა ქვეყნებში ''მეგობრობისა და პარტნიორობისთვის'', ამერიკა რომელ ქვეყანაში არ შედის ამისთვის? რომელი არ გაანადგურა, დაამონა და არ გამოიყენა თავისი სტრატეგიული ინტერერესებისთვის. **<u>რა განსხვავებაა ''კომუნისტურ-რუსულსა'' და ''არაკომუნისტურ აშშ-ს დემოკრატიას'' შორის!</u>**

1661-1774 წლებში აშშ-ა აფრიკიდან მილიონამდე ცოცხალი მონა ჩამოიყვანა. ცხრა მილიონზე მეტი გზაში, ჩამოყვანისას დაიღუპა. დაპყრობილი კონტინეტის ინდიელთაგან გასათავისუფლებლად ''დემოკრატიულმა ამერიკამ'' 100 მილიონამდე ინდიელი ამოწყვიტა. ''ინდიელების გენოცი'' ისევე ტაბუირებულია, როგორი ''ტაბუირებულიცაა'', ბოლშევიკების მიერ 2 000 000 მართლმადიდებლის ამოწყვეტის თემაც. რა დროსაც, ჰიტლერის მიერ ამოხოცილ 6 000 0000 ებრაელზე ფილმებს იღებენ, მუზეუმებს აწყობენ და მსოფლიოში აღიარებულ ყველაზე დიდ გენოციდად ითვლება. სწორედ აშშ-ს დაზვერვის მიერ, ფაშისტებისგან გათავისუფლებული საკონცენტრაციო ბანაკებიდან, უამრავი ნაცისტი ექიმი, ებრაელებზე სასიკვდილო ქიმიური ცდებით მომუშავე მეცნიერი იქნა აშშ-ში გადაყვანილი და სამხედრო ტრიბუნალს აცილებული, რათა შემდგომში აშშ-ს ბირთვული იარაღისა და ბაქტერიოლოგიური ვირუსების გამოსაყვანად გამოეყენებინათ.

გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, სანამ ჩემი ხალხი ''ჭაში ჩამჯდარი ზებუს ზარის ჩამოკვრას ელის და ''ლიბერალური დემოკრატიის გვირაბს თხრის'', ''მჯერა, მჯერას გადაცემის'' აღდგენაც შეიძლება მოვითხოვო რომელიმე ტელევიზიაში. ''იმასაც ვიჯერებ'', რომ **<u>''პუტინს განუხორციელებია კახურ ღვინოზე შეტევა. ''ბადაგონის ღვინოც გადაუსხამს და ვაზის აჩეხვაც პუტინს დაუვალებია მიშასთვის''!</u>** ეკლესიების შენგრევა-დანგრევასაც და მართლმადიდებლობის დევნასაც, როგორც ბევრ სხვა რამეს, ''ძირძველ ლაზსაც'' სწორედ პუტინი აიძულებდა. მეც, რადგან ''დემოკრატიული პრინციპებით ცხოვრებას ვიწყებ'' ,,ყველაფერ ქართულსა და ისტორიულს ვგმობ, პედერასტობის, ლესბოსელობის, ზოოფილობის მხარდამჭერად ვაცხადებ თავს. ვხდები ''იელოვას მოწმე'', ''უსათნოესი მორმონიც'' და რაც კი არატრადიციული სექტაა — ყველას წევრი. ვიცვლი სქესსა და ეროვნებასაც.'' ოღონდ არაგულწრფელობაში ამას ნუ ჩამითვლით, რადგან როგორც ''საქართველოს უეროვნებო მოქალაქე'', თუ ამ ''დემოკრატიული პრინციპებით ცხოვრებას ვაპირებ'' ზუსტად ისე უნდა მოვიქცე, როგორც ადრე ათეისტი ''ბოლშევიკების იდეოლოგია'', დღეს კი ''ლიბერალური დემოკრატიის მორალით'' გვასწავლიან. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ არც რუსეთის ხელისუფლების მომწონს, ამათი დემოკრატია პირდაპრი ''დემონოკრატიაა''. ''ასეთი დემონოკრატიის'' პირობებში კი დისიტენტობაც რომ დავიწყო — ნუ გაგიკვირდებათ.

**ბაია ამაშუკელი**

## ბაღათურია სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის სწავლის გადასახადის დაფარვას სარეზერვო ფონდებიდან ითხოვს



პოლიტიკური პარტია ''ქართული დასის'' ლიდერი, პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია სტატუსშეჩერებული სტუდენტების დაფინასებას პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდებიდან ითხოვს. როგორც მან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, 10 000 სტუდენტს სტატუსი მხოლოდ იმის გამო შეუჩერდა, რომ მათ სპეკულაციურად გაზრდილი სწავლის თანხა ვერ გადაიხადეს. ეს კი უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება იყო. ,,როცა 10 000 სტუდენტი სწავლის ქირას ვერ იხდის, იმას ნიშნავს, რომ სისტემაში კრახი გვაქვს და მდგომარეობა გამოსასწორებელია. მოვითხოვ, ამ სტუდენტებისათვის სწავლის გადასახადი პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან დაიფაროს. ეს სულ 2-3 კონცერტის ფულია'', — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

**,,მედიანიუსი''**

# ratom ar Cxrialebs `saxelmwifo reketis~ kakali da ratom gaudis braxabruxi `qarTuli ocnebis~ bambas?



როდესაც ერს ანდაზა აქვს: ,,ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს, ზოგისა კაკალიც კი არაო'', ალბათ, იმ ერს თავისივე ხელისუფლებისგან ბევრი რამ აღარ უნდა გაუკვირდეს. პრინციპში, არც არავის არაფერი უკვირს, უბრალოდ, ფაქტის კონსტატაცია ხდება ხოლმე და სულ ესაა მთელი გაფართხალება.

დღევანდელი ქართული სინამდვილეა, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველა საშუალებით, ათასგვარი ახლადგამოგონილი ხრიკითა თუ მიუღებელი მეთოდებით ებრძვის პოლიტიკურ კოალიციას ,,ქართულ ოცნებას''. მას შემდეგ, რაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა ,,ქართული ოცნების'' სახით, მის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივად, თავდაპირველად პუტინის ხელისუფლებასთან მეგობრობა დასახელდა. ამას ხან რუსეთში მოქმედი მსხვილი კრიმინალები მიებნენ, ხან რუსი კრიმინალი გუბერნატორები, ხან სამხედრო პირები და ხან რა და ვინ. ტელეგადაცემათა ამ ,,ციკლს'' რომ შესაბამისი რეაქცია არ მოჰყვა, მოკლედ ითქვა, ივანიშვილს ,,რუსული წარმომავლობის'' ფული აქვსო და ისე გამოჰყავთ დღემდე, თითქოს ამ პირის საწინააღმდეგო არაფერია, გარდა ამ ბრალდებისა.

ვის სადაური წარმომავლობის ფული აქვს, ეს საკითხავი არცაა, ისედაც ყველამ კარგად იცის. აღსანიშნია, რომ ბატონი ივანიშვილი, მიუხედავად დიდი მცდელობისა, გადაცემათა კიდევ ერთი ციკლით, ,,ხალხზე ფულის შემწერავი'', საზოგადოების თვალში მაინც ვერ დასცეს, ვერ წარმოაჩინეს იმად, რაც ჩაფიქრებული ჰქონდათ.

აბა, აქეთ ბოსტანში მოვიკითხოთ — უცნობია (ვითომ), რა ,,უეცარი ტრფიალი'' ჰქონდათ ატეხილი იმ მოქალაქეებს, რომლებიც შუაღამისასაც კი წამოვარდებოდნენ ხოლმე თბილი ლოგინებიდან და ნოტარიუსთან გარბოდნენ, ჩქარა, ჩემი უძრავი ქონება მაჩუქებინე ვარდოსანი ხელისუფლებისთვისო, მაგრამ ხომ იყო ასე.

უცნობია (ვითომ), რა ,,ტრფიალი'' ჰქონათ ატეხილი ბიზნესმენებსაც, რომლებიც შეფარულად კვებავდნენ იგივე ხელისუფლებას, როგორი ,,ნეტარებით'' ქველმოქმედობდნენ ,,ქორთიარდ მერიოტში'' თუ სხვა ,,თავშეყრის ადგილებში'', ხომ იყო და ასეა დღემდე.

ძალიან ბევრი ამოუცნობი (ვითომ) ,,ტრფიალებია'' ჩამოსათვლელი, იმდენად ბევრი, ამ საქმეს მხოლოდ მრავალ პირთაგან შემდგარი ჯგუფი თუ დაალაგებს...

ახლახან ერთმა ნაცნობმა აჭარაში არსებული იმ შ.პ.ს-ების სია მომაწოდა, რომელთაც იგივე სახეობის ,,ტრფიალი'' ასტეხვიათ, თვითმმართველობის არჩევნებისთვის მცირე ხნის წინ, 2010 წელს და ,,ნაციონალური მოძრაობისთვის'' გვარიანი თანხები ჩაურიცხავთ. საქართველოდან საქართველოში ჩაურიცხეს, ამას ,,რუსული წარმომავლობის ფულის'' იარლიყი ვერ მიეკვრება, მაგრამ უარესი რომ არტყია ბეჭდად, ,,სახელმწიფო რეკეტი'', ეს არაფერიაო?

,,სახელმწიფო რეკეტი'' არ ჩხრიალებს, ბრახაბრუხი ,,ქართული ოცნების'' ბამბას გაუდის და კიდევ, ალბათ, მოგელაძეს სახით კონტროლის პალატა არ იყო მაშინ სამზეოზე-მეთქი. ახლა ხომ არის, ამგვარივე სიები რომ დავუდოთ წინ, უწინ მამას არ მოკლავს და დედას არ მიაღრჩობს, ვიდრე კრინტს დასძრავსო? — არ შემარჩინა სიტყვა ნაცნობმა.

საიდან მოიპოვა მან ეს სია, მნიშვნელობა არ აქვს, ვისაც ეხება, მან არკვიოს, ჯერ რა ,,ტრფიალი'' ჰქონდათ ატეხილი ბათუმში 2010 წელს თვითმართველობის არჩევნებისთვის, შემდეგ, კატებივით მარტ-აპრილში რატომ ,,აუტყდათ'' და შემდეგ მიჰყვეს და მიჰყვეს. გზად ისიც იკითხოს, თვითმმართველობის არჩევნებისთვის რომ ასეთი ,,ტრფიალი'' ჰქონდათ ატეხილი ნაცმოძრაობის ,,მოტრფიალეებს'', ნეტავ, ,,სხვა რამის არჩევნებისთვის'' რა თანხები იყო ,,შეწერელიო''? უკაცრავად, შეწირულიო?

1. შ.პ.ს ,,აჭარის ელექტროკავშირი''. ბათუმი, 26 მაისის №47, ფულადი 7.000.00 04/03/2010 წ

2. შ.პ.ს ,,აჭარგანათება''. ბათუმი, გ. ბრწყინვალის ქ. №27, ფულადი 15.000.00 15/03/2010 წ

3. შ.პ.ს ,,ამაზონი-4''. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №8, ფულადი 2.000.00 18/03/2010წ

4. შ.პ.ს ,,ანაგი'', ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. №42/5, ფულადი 20.000.00 18/03/2010წ

5. შ.პ.ს ,,ბი-ემ-სი ჯორჯია'', ბათუმი, სოხუმის ქ №10, ფულადი 15.000.00 19/04/2010წ

6. შ.პ.ს ,,გზა'', ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №64, ფულადი 25.000.00 19/03/2010წ




7. შ.პ.ს ,,გზა'', ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №64, ფულადი 25.000.00 01/04/2010წ

8. შ.პ.ს ,,გზა'', ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №64, ფულადი 50.000.00 14/04/2010წ

9. შ.პ.ს ,,გზები'', ბათუმი წერეთლის ქ. №4, ფულადი 25.000.00 16/03/2010წ

10. შ.პ.ს დიზაინკომპლექსი, ბათუმი, ლორიას ქ №32, მე-3 ჩიხი №5 ფულადი 20.000.00 04/03/2010 წ

11. შ.პ.ს ,,ელჯი-2010'', ბათუმი, ლეონიძის ქ. №27 (13), ფულადი 1.200.00 04/03/2010

12. შ.პ.ს ,,ერა პალასი'' ბათუმი, ერას ქ. №77, ფულადი 2.000.00 12/04/2010წ

13. შ.პ.ს ,,ზიმო-7'' ბათუმი, ხახულის ქ. №35, ფულადი 30.000.00 14/04/2010წ

14. შ.პ.ს ,,მლ-იმპორტი'', ბათუმი, 26 მაისის ქ. №58, ფულადი 10.000.00 18/03/2010წ

15. შ.პ.ს ,,მეტალიკ'' ბათუმი, დუმბაძის ქ. №10, ფულადი 10.000.00 06/04/2010წ

16. შ.პ.ს ,,ორბი-2005'', ბათუმი, ერას ქ №88 ფულადი 30.000.00 31/-03/2010წ

17. შ.პ.ს ,,პეტროლ აბი'', ბათუმი, პუშკინის ქ. №44, ფულადი 7.000.00 17/03/2010წ

18. შ.პ.ს ,,პატრიოტი 2006'', ბათუმი, პუშკინის ქ. №18, ფულადი 10.000.00 10/03/2010წ

19. შ.პ.ს სპეცმონტაჟი, ბათუმი, მერკვილაძის ქ. №2, ფულადი 8.000.00 04/03/2010წ

20. შ.პ.ს ,,სხალთა მე-12'', ბათუმი, ხულოს ქ. №3, ფულადი 10.000.00 19/03/2010წ

21. შ.პ.ს ,,ფიროსმანი'', ბათუმი, ლეონიძის ქ. № 11ა, ფულადი 50.000.00 31/03/2010წ

22. შ.პ.ს ,,ფიროსმანი'', ბათუმი, ლეონიძის ქ. №11ა, ფულადი 50.000.00 12/04/2010წ

23. შ.პ.ს ,,ქრეატივ იმპრესიონს კავკასუს'', ბათუმი, ერას ქ №91 ფულადი 50.000.00 13/04/2010წ

24. შ.პ.ს ,,ხახუტა'', ბათუმი, ლომონოსოვის ქ. №19, ფულადი 50.000.00 23/03/2010წ

25. შ.პ.ს ,,ხიდი-2006'', ბათუმი, რუსთაველის ქ. №57, ფულადი 5.000.00 10/05/2010წ

26. შ.პ.ს ,,ჰეკატე'' ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №24/28, ფულადი 2.000.00 22/03/2010წ

27. შ.პ.ს ,,ბომბორა'', ბათუმი, ხელვაჩაური ანგისა ფულადი 20.000.00 13/04/2010წ

28. შ.პ.ს ,,ბომბორა'', ბათუმი, ხელვაჩაური ანგისა ფულადი 5.000.00 11/05/2010წ:

29. შ.პ.ს bmc gorgia, ბათუმი, სოხუმის ქ. №10 ფულადი 4.000.00 04/03/2010წ

30. შ.პ.ს promex, ბათუმი, ქუთაისის ქ. №12/14 ფულადი 15.000.00 24/03/2010წ

31. შ.პ.ს promex, ბათუმი, ქუთაისის ქ. №12/14 ფულადი 40.000.00 24/03/2010წ

32. შ.პ.ს promer engineerinj archite, ბათუმი, გოგოლის ქ. №4, ფულადი 20.000.00 24/03/2010წ

33. ,,ექსპრეს-ბათუმი'', ბათუმი, გოგებაშვილის ქ №32 გაურკვეველი ოდენობის თანხა გადარიცხულია 24/05/2010წ

რა თქმა უნდა, ეს სია ნაცმოძრაობის ბათუმელ ,,მოტრფიალეთა'' სრული ჩამონათვალი არ არის.

გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი სია საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა თუ ქალაქის ტიპის დასახლებებშიც არის, ნაცმოძრაობის ,,მოტრფიალეთა'' მიერ გაღებული თანხა ნაცმოძრაობისავე ,,ბოსებისთვის'' გვარიან ციფრს მიუკაკუნებს. ,,რუსული წარმომავლობის'' ფული არ არის, არა, საკუთარი ხალხის ჯიბეებიდან დაშინებით ამოტაცებული ფულია...

**მაია ჭელიძე**

# ramaz sayvareliZe: samxedro SenaerTebi xelisuflebas qveynaSi Sida procesebis CasaxSobad sWirdeba



***რეალურად რას შეიძლება უკავშირდებოდეს დასავლეთ საქართველოში შეიარაღებული ფორმირებების შექმნა და, როგორ შეიძლება განვითარდეს ქართულ-ამერიკული ურთიერთობები? „საერთო გაზეთს“ პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ესაუბრა.***

**— ბატონო რამაზ, ბოლო დროს მუსირებს აზრი, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში შეიარაღებული ფორმირებების შექმნის შესახებ. გასულ კვირას ეს ინფორმაცია ირაკლი ალასანიამაც დაადასტურა. თქვენ რამდენად სარწმუნოდ მიგაჩნიათ ეს ინფორმაცია?**

— თუ დააკვირდებით, აღნიშნული ინფორმაციის სანდოობასთან დაკავშირებით არც თავად საზოგადოებაში გაჩენილა ეჭვი. ამას ნუ დავაბრალებთ ვინმეს ხელისუფლების გარდა. შეგახსენებთ, რომ ხალხის მეხსიერებაშია შვიდი ნოემბერი და 25 მაისის ღამე. ქუჩაში როდესაც გამოვიდა ხალხი, გაუგებარი ჩაცმულობის, გაუგებარი სტრუქტურის მქონე წარმომადგენლები უსაშინლესად გაუსწორდნენ. ამიტომ, ამ ფონზე, თანაც საკმაოდ დაძაბულ პოლიტიკურ სიტუაციაში, სავარაუდოდ, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ხელისუფლებას მოუწევს, პოლიტიკურ ოპონენტებთან და ხალხთან გამკლავება. აამიტომ დაპირისპირების მისეული ფორმაა სწორედ ნილბიანი, შეიარაღებული ადამიანის გამოყენებაა შესაბამისად, აღარც გაჩენილა ეჭვი ახალი სამხედრო ფორმირებების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

**— თქვენ რას უკავშირებთ, სამხედრო შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბებას?**

— სამხედრო რეზერვი, როგორც ხელისუფლება უწოდებს, შესაძლოა, გამოიყენონ არჩევნებამდე მოსახლეობის დასაშინებლად. არჩევნების შემდეგ თუ ხალხს სურვილი ექნება ქუჩაში გამოვიდეს და დაიცვას საკუთარი ხმები. შესაძლოა, სწორედ მათი საშუალებით ჩაახშონ. სამხედრო ფორმირებების შესახებ ინფორმაციას, არც თავად ხელისუფლება უარყობს, თუმცა მხოლოდ მოჩვენებითია ის, რომ, თითქოს, ეს უბრალო რეზერვია დდა მეტი არაფერი.

**— შესაძლოა, ვივარაუდოთ, სამხედრო ფორმირებების ჩამოყალიბება პოლიტიკური დაკვეთით ხორციელდება და ხელისუფლებამ ისინი სახალხო პროტესტის ჩასახშობად გამოიყენოს?**

— ხელისუფლება თუ არჩევნებს გააყალბებს, დიდი მასშტაბის სახალხო პროტესტი ნამდვილად მოსალოდნელია. ამიტომ იმ მასშტაბის პროტესტის მოვლა იმ სადამსჯელო რესურსით, რაც ხელისუფლებას აქვს, გაუჭირდება და სავარაუდოა, სწორედ ესაა სამხედრო ფორმირებების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ, შესაძლოა, ხელისუფლებას შეიარაღებული ფორმირებები ხალხის პროტესტის ჩასახშობად სჭირდებოდეს. რას ფიქრობთ, არჩევნების შემდეგ მოსალოდნელია სერიოზული საპროტესტო ტალღა?**





— 2003 წელს, როდესაც პარლამენტთან ხალხი იყო შეკრებილი, მიკროფონთან მდგარი მიხეილ სააკაშვილი, თუ არ ვცდები, ასე მიმართავდა შევარდნაძეს, 35 000 ადამიანი შევიკრიბეთ და განა რამდენი უნდა შევიკრიბოთ, რომ გადადგე. ფაქტობრივად, გამოდის, რომ 35 000 კაცმა შეცვალა ხელისუფლება. გაცილებით სუსტი პოლიტიკური ფიგურა იყო ლევან გაჩეჩილაძე, ვიდრე დღესაა ბიძინა ივანიშვილი. არა იმიტომ, რომ მხარდამჭერები ცოტა ჰყავდა, უბრალოდ, გაჩეჩილაძის მისამართით, პოლიტიკურ პოზიციებთან დაკავშირებით, ბევრი კითხვა ჩნდებოდა. **ბიძინა ივანიშვილს კი 20 წლის განმავლობაში საკუთარი ქვეყნისთვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია. მისი გამოჩენის შემდეგ ადამიანებში გაჩნდა განცდა, რომ გამოჩნდა ადამიანი, ვისაც საქართველოს, ქართველი ხალხის მოვლა-პატრონობა სიამოვნებს, ფულს არ მოიპარავს, რადგან არ სჭირდება, ამიტომ ამ კომპონენტების გათვალისწინებით, შეიქმნა გაცილებით უფრო მიმზიდველი პოლიტიკური ფიგურის სურათი, ვიდრე ოდესმე არსებობდა. შესაბამისად, უნდა ველოდოთ, რომ ხალხი საკუთარი უფლებებისა და ხმების დასაცავად ქუჩაში აუცილებლათ გამოვა და იქნება მასშტაბურ პროტესტი.**

**— თქვენი აზრით, როდისაა მოსალოდნელი სახალხო პროტესტი, არჩევნებამდე, თუ არჩევნების შემდეგ?**

— თუ გავითვალისწინებთ იმ დამოკიდებულებას, რაც აქვს ბიძინა ივანიშვილს ნინო ბურჯანაძესთან დაკავშირებით, ივანიშვილის მხრიდან ყოველ შემთხვევაში არცევნებამდე მაინც ქუჩის აქციებს არ უნდა ველოდოთ.

**— არჩევნების საკითხზე ვსაუბრობთ და გასულ კვირას „რესპუბლიკელების“ ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა გამოაქვეყნა ამერიკელი კონგრესმენის ვიდეოჩანაწერი. კონგრესმენი საუბრობს იმაზე, რომ საქართველოში წინასაარჩევნოდ იზღუდება ოპოზიციის უფლებები და გააკრიტიკა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა. რას ნიშნავს ეს გზავნილი ამერიკელების მხრიდან, რას უნდა ველოდოთ მომავალში ამერიკულ-ქართული ურთიერთობებიდან?**

— ცალსახაა ის, რომ შეიცვალა ამერიკულ-ქართული ურთიერთობები. უპირველეს ყოვლისა, შეიცვალა ის, რომ ბუშსს „ვარდების რევოლუცია“ თავის პირმშოდ მიაჩნდა. ბუშს ასეთი პირმშო მსოფლიოში რამდენიმე ჰყავდა. მაგალითისთვის, უკრაინის, ყირგიზეთის რევოლუციები, ერაყში შექმნილი მდგომარეობა და მოვლენები აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს უკავშირდება. ამათგან უკრაინა, ყირგიზეთი, ერაყი წამგებიანი გამოდგა და გაამართლა ქართულმა პროექტმა. ამიტომ ჯორჯ ბუშს ქვეყნის შიგნით ისეთი კლიმატი ჰქონდა შექმნილი, ლამის ცენზურაც ჰქონდა დაწესებული, რაიმე კრიტიკული არ თქმულიყო საქართველოს შესახებ, რადგან საქართველოს კრიტიკა უკვე ბუშის კრიტიკა იყო. ბუშის ბოლო აკორდი საქართველოსთან მიმართებაში გახლდათ 2008 წელი, სადაც ჯერ კიდევ ბევრი რამ, კითხვის ნიშნის ქვეშაა მოქცეული. ჩვენ არ ვიცით, რა როლი ითამაშა ბუშის ადმინისტრაციამ იმაში, რაც საქართველოში აგვისტოში მოხდა. ამიტომ დღეს ბარაკ ობამასთვის ქართული პროექტი მისი პირმშო აღარაა, პირიქით, მისი მეტოქის პროექტად განიხილება.

ამ ლოგიკის ფონზე, რაც დღეს არსებობს, თუ არ შეიცვალა ქართული ადმინსტრაციის ქმედება, ამერიკული მხარე ძალიან უკმაყოფილო იქნება. ის უკვე ძნელად დაიცავს საქართველოში თავის ინტერესებს, ხოლო ამის შემდეგ, სავარაუდოდ, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პრობლემები შეექმნება.

**— ბატონო რამაზ, თქვენ აღნიშნეთ, რომ საქართველო აშშ-ის ჯერ კიდევ განიხილება სტრატეგიულ პარტნიორად, მაშინ რატომ უნდა ველოდოთ ურთიერთობის გამწვავებას?**

— ამერიკისთვის საქართველო არის მეგობარი, ამიტომ მეგობარი თუ ისე არ იქცევა, როგორც გინდა, მაინც გააგრძელებ ურთიერთობას და მურაბიან ჩაის მიართმევ?

**— რას გულისხმობთ, საქართველო არ იქცევა ისე, როგორც აშშ-ს უნდა?**

— ამერიკა ქართული მხარისგან მოითხოვს არჩევნების ისე ჩატარებას, რომ არ გაჩნდეს კითხვის ნიშნები. თუმცა ქართული მხარე ყველაფერს რომ აკეთებს იმისთვის, ამ მიმართულებით არ წავიდნენ, ამერიკული მხარე ამასაც უკვე კარგად ხედავს — მიღებული კანონებით, დაწესებული შეზღუდვებით, მოქალაქეობის ჩამორთმევით და ა.შ. მითხარით ერთი, რატომ უნდა შეიწუხოს აშშ-მა თავი არაპოპულარულ პარტნიორზე ფიქრით? ამაში ვგულისხმობ იმას, თუკი ყველა დაიძახებს— სააკაშვილი დიქტატორი, მის დასაცავად ამერიკულ მხარეს სათანადო რესურსი აღარ ექნება.

ახლა ძალაუფლების შესანარჩუნებლად სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობის დაძაბვას რაც შეეხება. ყოველივე ეს ისეთმა პრაგმატიკოსმა ადამიანმა, როგორიც სააკაშვილია, კარგად იცის. ბრწყინვალე პოლიტიკოსია სწორედ იმ გაგებით, რომ რომანტიულ ილუზიებში არ ვარდება.



**— თქვენ გინდათ თქვათ, რომ მიხეილ სააკაშვილი რეალისტია?**

— პრაგმატიკოსი არის. პრაგმატიკოსი შეიძლება იყო და არ იყო რელისტი. შეიძლება სუფრიდან სხვისი კუთვნილი ქათმის ბარკალი აიღო და შეჭამო, თუ გშია, მაგრამ ეს რეალისტურად რამდენად გამართლებული ნაბიჯია და რამდენად გათვლილი აქვს ამას რა მოყვება, სხვა საკითხია. რაც შეეხება იმას, შეიძლება სააკაშვილმა პარტნიორი გაწიროს, ცოტა ღიმილისმომგვრელია.

2008 წლის ომის შემდეგ, როდესაც მიხეილ სააკაშვილის გარშემო ცივი სარტყელი გაჩნდა, ევროპიდან, ამერიკიდან და ა.შ. გახსოვთ, რა მოიმოქმედა მიხეილ სააკაშვილმა—ირანთან გახსნა უვიზო მიმოსვლა. ანუ როდესაც პარტნიორებისგან დაინახა, რომ ისინი გასწირავდნენ, ამ საკითხში მან თავად დაასწრო და ამით სააკაშვილმა მოიგო. მიხეილ სააკაშვილმა, როგორც კი ეს ნაბიჯი გადადგა ყინულიც გალღვა და მის გარშემო თავად დიპლომატები, მსოფლიოს ყველა სახელმწიფოდან, მორბოდნენ. ამიტომ თუ დაინახავს სააკაშვილი პარტნიორების მხრიდან რაიმე უსიმოვნებას, მათ თავად გასწირავს, თუმცა რა სახით იქნება ეს გაწირვა, სხვა საკითხია.

სავარაუდოა, რომ მიხეილ სააკაშვილი იმის გარანტიასაც შეიქმნის, რომ რუსეთმა არ დაარტყას.

**— რის საფუძველზე უნდა შეიქმნას ეს გარანტია?**

— გახსოვთ, ალბათ, რის გამო მოხდა 2008 წლის ომი. ერთ-ერთი მიზეზი სწორედ სააკაშვილის დასავლური ორიენტაცია იყო. თუ დასავლეთი საქართველოს ზურგს შეაქცევს, რატომ უნდა დაარტყას რუსეთმა საქართველოს. ამიტომ იმის წარმოდგენა თითქოს, დასავლეთთან ხიდის ჩატეხვა სააკაშვილის დაღუპვაა, ძალიან გულუბრყვილო ვერსიაა.

მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილზე ამბობენ, რომ იმპულსურია, ისე იმპულსურიც არაა, ვიფიქროთ, იმ წუთას რაც მოუარა თავში ის თქვა. ქართული ოპოზიციის ერთ-ერთი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ ეგონათ, იმპულსურობის გამო სააკაშვილს პოლიტიკურ თამაშებს ადვილად მოუგებდნენ, თუმცა ჯერჯერობით ყველა თამაში მიხეილ სააკაშვილმა მოიგო. „იგი სვლებს აკეთებს საკმაოდ მკაფიოს, ეფექტურსა და მიზანსწრაფულს.

პრეზიდენტმა ამ განცხადებით, იმ სცენარის მოსინჯვა სცადა, რომ, შესაძლოა, დასავლეთისთვის საქართველო ჩაიკეტოს.

თუკი დასავლეთის მხრიდან საქართველოს კრიტიკის გამო ამერიკა-ქართული ურთიერთობები გაფუჭდება რუსეთს საქართველოსთვის კომბლის ჩარტყმა აღარ მოუწევს. სწორედ, 2008 წლის მოვლენების დროს რუსეთმა დასავლეთს დაანახვა, რომ საქართველოს როზგავდა, თორემ მაშინ საქართველოს ინტერესი პრაქტიკულად არც ჰქონია.

**მირანდა ნაბახტეველი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# biZina ivaniSvili biZina ivaniSvilis winaaRmdeg





**ბიძინა ივანიშვილი: „წასვლა მინდოდა აქედან და ჩემს გადაწყვეტილებას იმით ვხსნიდი, რომ პოლიტიკაში მოსვლით მე თვითონვე ვანგრევდი ჩემს მიერვე სავალდებულოდ მიჩნეულ ნორმას, რომ მე არასოდეს მოვალ პოლიტიკაში და არ გადავუხვევ იმ მსოფლმხედველობას, რომელიც ავირჩიე.“**

თავის პირველ წერილში ბიძინა ივანიშვილი წერს: „რატომ მოვედი პოლიტიკაში“? ბევრი სვამს ამ კითხვას და ბევრს უკვირს, მე, წარმატებულმა ბიზნესმენმა, ყოველმხრივ უზრუნველყოფილმა ადამიანმა, რატომ შევაგდე ყველაფერი სასწორზე და რატომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა?

**ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია, იმიტომ რომ, ვხედავ სამშობლო მეკარგება, ხოლო როდესაც სამშობლო გეკარგება, არაფერს არ აქვს ფასი, არც ქონებას, არც ფულს, არც პრივილეგირებულ მდგომარეობას.**

ეს სიტყვები ჩვენს კონფორმიზმით დაავადებულ საზოგადოებაში შეიძლება ვინმეს ხმამაღლა ნათქვამად მოეჩვენოს და სწორედ ამაშია ჩვენი ყოფის უბედურება.

**არ დავმალავ, სანამ პოლიტიკაში მოსვლას გადავწყვეტდი, ორჯერ დავაპირე საქართველოდან წასვლა.**

ვისაც არ სჯერა, შეუძლია გადაამოწმოს და ნახოს, როგორ დავაბრუნე უკან შეკვეთილი თვითმფრინავები, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ოჯახის წევრებმა, ჩემმა მეუღლემ და ჩემმა ვაჟებმა მითხრეს — შენ შეგიძლია წახვიდე, ეს შენი ნებაა, მაგრამ ჩვენ აქ ვრჩებითო.

**ჩემმა უფროსმა ვაჟმა, უტამ მითხრა, თუ შენ არ წახვალ პოლიტიკაში, მაშინ მე წავალო.**

**მე და ჩემმა მეუღლემ იმას მივაღწიეთ, რომ ჩვენი შვილები, რომლებიც საფრანგეთში გაიზარდნენ, ჩვენზე უფრო დიდი პატრიოტები და ჩვენზე უფრო კარგი ქართველები არიან. უტას სიტყვები ბოლო წვეთი იყო, რამაც ყველაფერი გადასწონა და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.**

მე შევძელი, მეჯობნა საკუთარი თავისთვის, დამეძლია ჩემს თავში შიში, ეჭვი, სკეპტიციზმი, ახლა კი ჯერი თქვენზეა.

პოლიტიკაში იმიტომ მოვდივარ, რომ მივხვდი, მხოლოდ ქველმოქმედებით, ფინანსური დახმარებით და სპონსორობით, ცალკეულ სფეროებში ინვესტიციების ჩადებით და ლოკალური ღონისძიებებით, ქვეყანაში არსებულ საერთო ვითარებას და საერთო მდგომარეობას ვერ შევცვლი, თუ ყოველივე ამას ქვეყნის ხელისუფალთა პოლიტიკური ნება და მხარდაჭერა არ უმაგრებს ზურგს.

მე მივხვდი ჩემს შეცდომებს და მივედი იმ დასკვნამდე, რომ საჭირო და აუცილებელია, პირველყოვლისა, შეიცვალოს პოლიტიკური გარემო ქვეყანაში, შეიცვალოს ზოგადად პოლიტიკოსის და პოლიტიკის არსის და დანიშნულების გაგება ჩვენს ცნობიერებაში.

**მე მოვდივარ პოლიტიკაში არა ვინმეს დასამარცხებლად, არა ვინმეზე შურის საძიებლად, არამედ საქართველოს თითოეული მოქალაქის გასამარჯვებლად.“**



ამ ფრაგმენტიდანაც კარგად ჩანს, თუ რამდენად რთული და მტკივნეული იყო ბიძინა ივანიშვილისთვის უარი ეთქვა წლების განმავლობაში მტკიცედ ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობისთვის და პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება მიეღო.

ეს იყო საკუთარი პრინციპების და მსოფლმხედველობრივი კონცეფციის, ანუ საკუთარი თავის წინააღმდეგ გადადგმული პირველი ნაბიჯი.

**რა თქმა უნდა, მართლაც ძნელია, 55 წლის ასაკში ძირფესვიანად შეცვალო ცხოვრების წესი და ახალ ამპლუაში ახალი სახით მოევლინო საზოგადოებას.**

**ეს ხელახალ დაბადებას ჰგავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ბიოლოგიური მშობლები არ გყავს და საკუთარი თავის მშობელი და შემქმნელი თვითონ შენ ხარ.**

ეს ის დაბადებაა, პირველივე წამებიდან ობლობისთვის რომ ხარ განწირული...

* * *

სანამ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდოდა, მას ბიზნესმენს და ქველმოქმედს ეძახდნენ, თუმცა, რასაც ივანიშვილი აკეთებდა, როგორც ქველმოქმედი, აშკარად ცილდებოდა ქველმოქმედების სფეროს და იმ მასშტაბებს, რასაც ქველმოქმედების მსოფლიო ისტორია იცნობს.

ბიძინა ივანიშვილი არა მხოლოდ ქველმოქმედებას ეწეოდა, არამედ

**მან იტვირთა კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ქართული სახელმწიფოს გადარჩენის და სახელმწიფო სტრუქტურების აშენება-გაძლიერების მისია.**

ეს არის უნიკალური შემთხვევა, როდესაც ერთმა ადამიანმა საკუთარი სახსრებით მთელი სახელმწიფოს შენახვა და აღორძინება გადაწყვიტა.

არ დარჩენილა არც ერთი დარგი, არც ერთი სფერო, რომელიც ბიძინა ივანიშვილს არ დაუფინანსებია.

მის მიერ გაკეთებული საქმეების სიისთვის, უბრალოდ, თვალის გადავლებაც კი შოკისმომგვრელია, იმდენად გრანდიოზული და მასშტაბურია იგი — ეკლესია-ტაძრების მშენებლობა და რესტავრაცია, არმია, პოლიცია, სკოლები, თეატრები, მუსიკალური ანსამბლები, სპორტი, ჯანდაცვა, სტიპენდიები და შემწეობები, სხვადასხვა სახის სოციალური პროექტები და ა.შ.

**კერძო პირი ბიძინა ივანიშვილი წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, თავად წარმოადგენდა სახელმწიფოს სახელმწიფოში.**

ამიტომაც ვთქვით ზემოთ, რომ ის, რაც ივანიშვილმა საქართველოსთვის გააკეთა, ვერ ეტევა ქველმოქმედების აქამდე ცნობილ ჩარჩოებსა და სტანდარტებში.

**ის ბიზნესმენი და ქველმოქმედი კი არა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანია, სახელმწიფო მოღვაწეა, რომელსაც თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად ქვეყნის მსახურება დაუსახავს.**

16 gv.

15 gv.

არ არის ეს მაღალფარდოვანი, პათეტიკური სიტყვები — ეს სინამდვილეა, თუმცა ისეთი სინამდვილე, რომლის დაჯერება ეგოისტურ-მეშჩანური ინსტინქტებით დაავადებულ და ანგარებიან ჩვენს საზოგადოებას გულის სიღრმეში უჭირს.

ამიტომაცაა ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი ზოგჯერ ეჭვის თვალითაც რომ გაიხედავს ივანიშვილისკენ — რატომ ხარჯავს ამდენ ფულს ასე უანგაროდ? რა რჯის? რა ინტერესი აქვს?

კომუნისტურ-ბოლშევიკური იდეოლოგიის წნეხიდან ახლახან თავდაღწეულ ადამიანებს მთლად ბოლომდე არ ესმით, როგორ შეიძლება, ასე იქცეოდეს ადამიანი და სანაცვლოდ არაფერს ითხოვდეს?

საბჭოთა პერიოდის სამოცდაათმა წელმა, როგორც ჩანს, თავისი მახინჯი დაღი დაასვა ჩვენს ცნობიერებას და დაგვავიწყა მთავარი — ვინ არის ადამიანი ზოგადად და რას უნდა ემსახურებოდეს იგი?

მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა სწორედ ამ კითხვას უტრიალებდა და შეძლებისდაგვარად ცდილობდა ადამიანში, პირველ რიგში აღეზარდა მოქალაქე, რომელიც თავის უპირველეს მოვალეობად ქვეყნის მსახურებას მიიჩნევდა.

**საქართველო, რომელსაც არ ჰქონდა დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა, ზნემაღალ, განათლებულ, თავდადებულ ადამიანებს უნდა გადაერჩინათ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ ადამიანების კერძო ინიციატივები უნდა ჩანაცვლებოდა სახელმწიფოებრიობის არქონას, სახელმწიფო სტრუქტურების არარსებობას.**

მრავალმა დიდებულმა ქართველმა იტვირთა მაშინ საქვეყნო ტვირთი, მაგრამ მათგან ყველაზე გამორჩეული როლი მაინც დავით სარაჯიშვილს ერგო.

**არ არსებობდა ქართული სახელმწიფო, მაგრამ არსებობდა დავით სარაჯიშვილი, რომელიც თვითონ იქცა ქართული სახელმწიფოებრიობის არაოფიციალურ სტრუქტურად და ინსტიტუტად.**

**როცა ბიძინა ივანიშვილზე ვსაუბრობთ, თუ ვინმესთან შეიძლება პარალელის გავლება, უპირველეს ყოვლისა, დავით სარაჯიშვილთან.**

**ბიძინა ივანიშვილიც, როგორც თავის დროზე დავით სარაჯიშვილი, თვითონ მოგვევლინა, მეორე, არაოფიციალურ სახელმწიფოდ და საკუთარი ფინანსებით სცადა დაქაბუნებული ქართული სახელმწიფოს ფეხზე დაყენება, რაც ნაწილობრივ მოახერხა კიდეც.**

სწორედ მან უზრუნველყო ფინანსურად ქართულ პოლიციაში, ქართულ არმიაში, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში ჩატარებული რეფორმები.

**— სოროსიც მე ვიყავი და მე ვუხდიდი ხელფასს პირველ ხანებში ამ ხელისუფლებას. სხვა გამოსავალი არ იყო. ხაზინა ცარიელი იყო. არსებობდა სახელმწიფო მანქანის სრული პარალიზების საფრთხე, — ამბობს ივანიშვილი ერთგან.**

პარალელურად ივანიშვილი ხელფასებს და სტიპენდიებს უხდიდა შემოქმედებითი და ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებს, სპორტსმენებს, მსახიობებს, მუსიკოსებს, არემონტებდა თეატრებს, აშენებდა სკოლებს, სპორტულ ბაზებს და მოედნებს, საავადმყოფოებს, რესტავრაციას უკეთებდა ისტორიულ ძეგლებს ანუ ყურადღების მიღმა არ ტოვებდა საზოგადოებრივი ყოფის არც ერთ სფეროს, არც ერთ მიმართულებას.

ფაქტობრივად, ეს ერთი კაცი აშენებდა მთელ სახელმწიფოს, ის იყო ადამიანი — სახელმწიფო, ოღონდ უჩინარი და უხილავი.

მან აკრძალა მისი სახელის ხსენება, აკრძალა, ესაუბრათ მის განუზომლად დიდ ღვაწლზე ქვეყნის წინაშე, რითაც შესანიშნავად ისარგებლეს მტაცებლური ბუნების სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებმა.



**ივანიშვილი აშენებდა, ესენი ივანიშვილის აშენებულს საკუთარ გვარ-სახელს აწერდნენ.**

სხვისი ამაგის, სხვისი ღვაწლის მითვისება, რა თქმა უნდა, ქურდობა და ყაჩაღობაა, მაგრამ ამის გამო ჩვენს ძვირფას ხელისუფლებას სირცხვილისგან ლოყა არასოდეს შეფაკვლია...

**მოვა დრო, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, პლაგიატების და ყაჩაღების გვარ-სახელები ჩამოიფხიკება სხვის მიერ აშენებული შენობების კედლებიდან, აღინუსხება და იწერება ქართველი ხალხისა და საქართველოსთვის გაკეთებული ყველა სიკეთე და მაშინ კიდევ ერთხელ გაოცდება საქართველო, თუ რა შესძლებია ერთ კაცს, ერთ ადამიანს, მის თავგანწირვას და თავდადებას.**

* * *

— ვხედავდი, რომ სამშობლო მეკარგებოდა და ამიტომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა, — ასე ახსნა ბიძინა ივანიშვილმა თავისი მოულოდნელი და უეცარი გადაწყვეტილება პოლიტიკაში მოსვლის შესახებ.

ეს იყო ბიძინა ივანიშვილის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, იმ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, რომელიც კატეგორიულად გამორიცხავდა ყოველგვარ მონაწილეობას პოლიტიკაში.

როცა ყველა იმედი გადაეწურა, რომ სააკაშვილს და მის გუნდს რაიმეს შეასმენდა, ივანიშვილმა საქართველოდან წასვლა გადაწყვიტა.

აქვე გავიხსენოთ, რამდენჯერ დაუყარა ჭორები ხელისუფლებამ ივანიშვილს — ივანიშვილი საქართველოდან მიდის, ივანიშვილი საქართველოდან გაიქცაო.

ნახევარი საქართველოს აღმშენებელ კაცს გასაქცევი რა ჰქონდა, მაგრამ ხელისუფლება ამით ივანიშვილს მესიჯს უგზავნიდა და პირდაპირ ეუბნებოდა — უნდა წახვიდე აქედან, უნდა გაიქცე, თორემ, შეიძლება, დიდ ხიფათს გადაეყაროო.

ივანიშვილს ორი ალტერნატივა ჰქონდა: — ან მართლაც დროულად გასცლოდა აქაურობას ან პოლიტიკაში მოსულიყო...



*ბატონი ბიძინა წერს — „წასვლა მინდოდა აქედან და ჩემს გადაწყვეტილებას იმით ვხსნიდი, რომ პოლიტიკაში მოსვლით მე თვითონვე ვანგრევდი ჩემს მიერვე სავალდებულოდ მიჩნეულ ნორმას, რომ მე არასოდეს მოვალ პოლიტიკაში და არ გადავუხვევ იმ მსოფლმხედველობას, რომელიც ავირჩიე.*

*მაგრამ დიდი სულიერი ჭიდილის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ვცდებოდი...*

*... შეცდომა იყო, მე ვიტყოდი, ღალატის ტოლფასი შეცდომა იყო, საქართველოდან წასვლა რომ დავაპირე. წასვლა ერთია, მაგრამ მერე რა პირით უნდა დაბრუნდე უკან, როცა შენს ქვეყანას იმ დროს მიატოვებ, როცა ძალიან უჭირს.*

*როგორც გითხარით, ჩემმა უახლოესმა ადამიანებმა დამარწმუნეს, რომ ვცდებოდი, თუმცა არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ ჩემი ოჯახიც, სხვა ქართული ოჯახებივით, ორი წლის განმავლობაში ჩურჩულით ველაპარაკებოდით ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთის იმედით და თანადგომით შიში ძლიეთ“.*

**საქართველო სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოს ოდნავ მაინც რომ წარმოადგენდეს, ამ სახელმწიფოს მოქალაქეს, ამ ქვეყანაში დაბადებულ კაცს, რომელმაც მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა ამ ქვეყნის აღმშენებლობაში, რისი უნდა შინებოდა, ან რატომ უნდა ელაპარაკათ ერთმანეთში ჩურჩულით მას და მისი ოჯახის წევრებს, რატომ უნდა ყოფილიყო სარისკო და სახიფათო ამ ამაგდარი ადამიანისთვის ქართულ პოლიტიკაში მოსვლა?**

ზოგიერთი შეცდომად უთვლის ბიძინა ივანიშვილს, რომ ის თავის დროზე აქტიურად ეხმარებოდა სააკაშვილს და მის გუნდს, თუმცა როგორც თავად ივანიშვილი აცხადებს, ის ეხმარებოდა არა სააკაშვილს, არა ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულ ხელისუფლებას, არამედ ეხმარებოდა კრიზისულ, უფრო ზუსტად კატასტროფულ სიტუაციაში აღმოჩენილ საქართველოს.

ივანიშვილი იმ დროისთვის მტკიცედ იცავდა საკუთარი თავისთვის მიცემულ სიტყვას და არანაირი ფორმით არ ერეოდა პოლიტიკაში.

ივანიშვილს არც ვარდების რევოლუციაში მიუღია მონაწილეობა, არც ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორების მოჯანყე გუნდი დაუფინანსებია, არც „კმარასთვის“, არც „რუსთავი-2“-სთვის ჩაუკუჭია ზოგიერთებივით მილიონები, ის აკეთებდა თავის საქმეს — ეწეოდა ქველმოქმედებას, აფინანსებდა თეატრებს, აშენებდა სკოლებს, რესტავრაციას უკეთებდა ეკლესია-მონასტრებს და, რაც მთავარია, აშენებდა „თავის სვეტიცხოველს“ — გრანდიოზულ სამების ტაძარს.

**უამრავი ეროვნული საქმისთვის ხელის წამშველებელი კაცი, სამების ტაძრის ქტიტორი ბიძინა ივანიშვილი 2003-2004 წელს, როგორც იტყვიან, ფაქტის წინაშე დადგა, ან უნდა დახმარებოდა ხაზინაგამოცარიელებულ ქართულ სახელმწიფოს, ან სასწორზე უნდა შეეგდო ამ სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი და შორიდან ეცქირა მოვლენათა ტრაგიკული განვითარებისთვის.**

ბიძინა ივანიშვილმა მიიღო ის გადაწყვეტილება, რაც მისი ყაიდის ადამიანს უნდა მიეღო — ბოლომდე ებრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად და შესანარჩუნებლად.

იმაში, რომ საქართველომ და მისმა მოსახლეობამ ხელისუფლების ცვლის შემდგომი პერიოდისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური სიძნელეები და სხვადასხვა ტიპის პრობლემები შედარებით მშვიდად და უმტკივნეულოდ გადაიტანა, ბიძინა ივანიშვილის დიდი დამსახურებაა, ხოლო მისი დადანაშაულება იმაში, რომ ვარდებით ხელში მოსული ხელისუფლება დროთა განმავლობაში ურჩხულად იქცა, აბსოლუტური უსამართლობაა.

ბიძინა ივანიშვილს არ შეიძლებოდა წინასწარ სცოდნოდა, რომ ეს ახალგაზრდები, რომლებიც დემოკრატიული და ზოგადკაცობრიული ფასეულობების მხარდამჭერებად ასაღებდნენ თავს, სულ მცირე ხანში ნეობოლშევიკებად მოგვევლინებოდნენ და სახელმწიფოს მართვისთვის გასული საუკუნის 30-იანი წლების მეთოდებს გამოიყენებდნენ.

თუ კარგად დავაკვირდებით ჩვენს დღევანდელ რეალობას, მასში ძალზე ცოტაა, ან საერთოდ არ არის დემოკრატიის ნიშნები.

ეს არის ფარსი დემოკრატიის თემაზე, ეს არის უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი, რომლის მთავარი პერსონაჟები ძვირფას კოსტუმებში გამოწკეპილნი, ლამაზ და ფერადოვან ფრაზებს ისვრიან მაყურებელთა გასაგონად, მაგრამ კულისებში ზუსტად ისე იქცევიან, როგორც მათი წინაპრები **Í ÊÂÄ**-დან.

**ეს ახალგაზრდები მოვიდნენ ვითომ ახლის შენების ენთუზიაზმით შეპყრობილნი, სინამდვილეში კი ისინი ნგრევის მანიაკალური ექსტაზით არიან გათანგულნი.**

**ისინი აშენებენ გზებს, ხიდებს, სასტუმროებს, მაგრამ ანგრევენ ქართულ სახელმწიფოებრიობას, ანგრევენ მის საძირკველს, მის ფუნდამენტს, ამიტომაც ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებენ, თითქოს ჰაერშია გამოკიდული.**

აქედან მოდის უწონადობის, არასტაბილურობის შეგრძნება, რომელსაც საქართველოს თითოეული მოქალაქე გრძნობს.

ბიძინა ივანიშვილი აბსოლუტურად საპირისპირო მოვლენაა ქართულ სინამდვილეში.

შემთხვევითი არაა, რომ ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს, ეკლესია-მონასტრების რესტავრაციას და არც ის არის შემთხვევითი, რომ სწორედ ის მოგვევლინა სამების გრანდიოზული ტაძრის ქტიტორად.

ეს უკვე კონცეფციაა, იდეოლოგიაა, რომელიც სახელმწიფოს მშენებლობის უმთავრეს პრიორიტეტად სულიერებას, სულიერ ფასეულობებს და ადამიანში ამ ფასეულობების განმტკიცება-გაძლიერებას მიიჩნევს.

ღმერთის „საკონტროლო პუნქტებით" — ეკლესია-მონასტრებით, დაფარულ ქვეყანაში, როცა ამ ქვეყნის მოქალაქეებს ყველა მხრიდან ღმერთის თვალი უყურებს და აკონტროლებს, ბოროტების დათრგუნვის და სიკეთის ქმნისთვის ფართო ასპარეზი იშლება.

**საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას საქართველო წარმოუდგენია, როგორც სურსათ-სანოვაგით სავსე სუპერმარკეტი, ბიძინა ივანიშვილს როგორც ტაძარი, სადაც შენი ცხოვრება ერთ უსასრულო ლოცვას უნდა ჰგავდეს.**

ეს ხელისუფლებაც იმაშიც საოცრად ჰგავს თავის წინაპრებს, ბოლშევიკებს, რომ ისინიც მატერიალისტები არიან, ულმერთო, უფესვო, უწარსულო, კოსმოპოლიტი მატერიალისტები, რომლებიც ბიბლიაზე კი არა მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლებზე გაიზარდნენ.

**ბავშვი დედამ უნდა გაზარდოს, — თქვა ბიძინა ივანიშვილმა და ზოგიერთმა ირონიულად ჩაიცინა — ეს რა მარტივი და უბრალო რამ თქვა ივანიშვილმა, ბავშვი დედამ რომ უნდა გაზარდოს, ყველამ იცისო.**



არა, არ იცის ეს ყველამ და მითუმეტეს, ძალიან ცოტამ იცის, რა იგულისხმება ამ ერთი შეხედვით, საყოველთაოდ ცნობილი აქსიომის მიღმა.

**ბავშვი დედამ უნდა გაზარდოს, დედა კი მხოლოდ ბიოლოგიური მშობელი არ არის, ქართველი კაცისთვის ის არის კრებითი სახელი — დედა არის სამშობლო, დედა არის მთელი სამყარო, ანუ დედამიწა, დედა არის ღმერთი, დედა არის საწყისი და სათავე ყოვლისა და ყველაფრისა.**

— მე არ დავბადებულვარ ადამიანად, მე ადამიანად კომუნისტურმა პარტიამ შემქმნა, — ეს სიტყვები გასული საუკუნის 30-იან წლებში ითქვა.

კომუნისტები ახალი ყაიდის, ახალი ცნობიერების, ახალი ჯიშის ადამიანის შექმნას ცდილობდნენ.

იგივეს ცდილობენ თანამედროვე ქართველი ბოლშევიკები ამხანაგ სააკაშვილის მეთაურობით — ახალი ადამიანი, ახალი ქართველები უნდა გამოვძერწოთო — იქადნებიან.

ღმერთის ჩანაცვლების ყოველი ასეთი შიზოიდური მცდელობა კატასტროფით, დიდი ტრაგედიით და დიდი მსხვერპლით მთავრდება.

საბოლოო ჯამში, ადამიანები ყოველთვის ამარცხებდნენ მათი გადაკეთება-რეკონსტრუქციის მოსურნეებს და თავიანთ ადამიანურ სახეს იბრუნებდნენ.

ადრე თუ გვიან ასე მოხდება საქართველოშიც და ბიძინა ივანიშვილი სწორედ ამ მიზნის განხორციელებისთვის, ანუ ადამიანებისთვის ღირსების დაბრუნებისთვის იბრძვის.

**ამ ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობისთვის უცხო და გაუგებარია დედააზრი იმ სიტყვებისა, რომლითაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მისი მოსვლის მიზეზები ახსნა — ვხედავდი, რომ სამშობლო მეკარგებოდა და ამიტომ გადავწყვიტე, პოლიტიკაში მოსვლაო.**

გაუგებარია ეს მათთვის, რადგან ისინი სამშობლოს უყურებენ, როგორც გასაყიდ ობიექტს, საიდანაც შეიძლება დიდი სარგებელი ნახო, ბიძინა ივანიშვილისთვის სამშობლო ტაძარია, რომელსაც უშურველად უნდა შესწირო ყველაფერი და თუ საჭირო გახდა, საკუთარი მრწამსის და პრინციპების წინააღმდეგაც უნდა წახვიდე.

**სააკაშვილი და მისი გუნდი სამშობლოს ყმასავით იმსახურებენ, ივანიშვილი სამშობლოს ემსახურება.**



* * *

**— ბიძინა ივანიშვილს უფრო დიდი ქველმოქმედება, ვიდრე მისი პოლიტიკაში მოსვლაა, არ ჩაუდენია, — თქვა ერთმა პოლიტიკოსმა.**

საინტერესო შეფასებაა და კიდევ უფრო საინტერესოა ის ქვეტექსტი, რომელიც იმ შეფასების მიღმა იგულისხმება.

თუ აქამდე ივანიშვილის მიერ გაწეული ქველმოქმედება მეტწილად ფინანსური ხასიათისა იყო, პოლიტიკაში მოსვლა საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად გაღების და ყოფნა-არყოფნის სასწორზე შეგდების ტოლფასი „ქველმოქმედებაა".

ჩვენი ეგოისტური ბუნების საზოგადოებისთვის, რომლისთვისაც უფრო მისაღები და ბუნებრივი ფორმაა — წართმევა, წაგლეჯა და არა გაცემა, ბიძინა ივანიშვილის ფინანსური სახის ქველმოქმედებაც კი, რაღაცნაირად საეჭვო და საყოყმანო იყო, ხოლო სამშობლოსთვის, ქვეყნისთვის, ხალხის კეთილდღეობისთვის სიცოცხლის სასწორზე შეგდება მთლად დაუჯერებელი ამბავია.

ალბათ, ბევრი ფიქრობს ასე: — ეს როგორ, კაცს მილიარდები ჰქონდეს, ბედნიერად და უზრუნველყოფილად ცხოვრობდეს და თავი გაწიროს?

მშიერი, არასმქონე, ლატაკი რომ წირავს თავს, კიდევ გასაგებია, მაგრამ მილიარდერს რატომ უნდა გაუჩნდეს ასეთი სურვილი? — დარწმუნებული ვარ, ბევრი ფიქრობს ასე საქართველოში.

**— რა არის ის ზღვარი, რომელიც გაგაჩერებს? — უკითხავს გუბაზ სანიკიძეს ივანიშვილისთვის.**

**— მხოლოდ სიკვდილი! — უპასუხნია ბატონ ბიძინას.**

სიკვდილი ღმერთმა აშოროს ბიძინა ივანიშვილს, თუმცა მან კარგად იცის, რომ ქართული პოლიტიკის ჯუნგლებში, სადაც მგლებად ქცეული ადამიანები ერთმანეთს ყელებს ღადრავენ და ერთმანეთს ჭამენ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო, მათ შორის სიკვდილისთვისაც.

**ბიძინა ივანიშვილმა იცის, რა ძალა უპირისპირდება, იცის, ამ ძალის მუხანათური და ვერაგული ხასიათი და მაინც არ აპირებს უკან დახევას.**

**ეს უკვე თავგანწირვისთვის მზადყოფნაა და ასეთი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ქვეყნისთვის მართლაც თავდადებულ ადამიანს შეუძლია.**

* * *

— საქართველოს დღეს პოლიტიკაზე მეტად თავდადებული გმირი სჭირდება — მიმტკიცებდა ერთი მეგობარი.

ამ მოსაზრებას მხოლოდ გარკვეული კორექტივებით თუ დავეთანხმები.

საქართველოს დღეს ისეთი პოლიტიკოსი სჭირდება, რომელიც მზად არის გმირობისთვის, ასეთ გამორჩეულ პერსონად კი ბიძინა ივანიშვილი მესახება.

მან უკვე ჩაიდინა მოქალაქეობრივი გმირობა, რაც შეეხება პოლიტიკას, ის, როგორც უაღრესად გონიერი და ნიჭიერი ადამიანი, პოლიტიკურ ლაბირინთებშიც უცებ გაერკვა და უცებ აითვისა პოლიტიკის ბილინგვური ენა.

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე შემდგარი პოლიტიკოსია. რის სწავლასაც სხვები 5 წელს ანდომებენ, მან 5 თვეში აითვისა.**

მან ღირსეულად გაუძლო ულირსთა ულირს შემოტევებს და მიუხედავად ათასგვარი ბინძური ცილისწამებისა, ერთხელაც არ დაუკარგავს წონასწორობა, ერთხელაც არ აუწევია ხმისთვის და ზოგიერთებივით არც ხალხისთვის დაუძახია, მიშველეთო.

**ის შესაშური სტოიციზმით, აუღელვებლად, მტკიცედ და ურყევად მიდის დასახული მიზნისკენ, ისე მიდის, თითქოს მძიმე ჯვარი მიჰქონდეს.**

თავისი ნებით წამოიკიდა მან ეს ჯვარი, თავისი ნებით შეუდგა ამ ნარ-ეკლიან აღმართს და რადგან ეს გადაწყვეტილება მიიღო, ბოლომდე აივლის ამ აღმართს.

**ბევრი უნამუსობა და უსინდისობა მსმენია, მაგრამ არ მსმენია უფრო დიდი უსინდისობა, ვიდრე ბიძინა ივანიშვილისთვის უცხოური, გნებავთ, რუსული, გნებავთ, ამერიკული პროექტის დაძახებაა.**

**უმადურია, უთავმოყვაროა საზოგადოება, რომელიც ამას ითმენს.**

ვინ ვინ და ქართველმა საზოგადოებამ ხომ ზუსტად იცის, რა გაუკეთებია ამ კაცს მთელი საქართველოსთვის და თვითოეული ქართველისთვის, ყოველივე ამის შემდეგ, როგორ უნდა ბედავდეს ვინმე მისთვის ჩირქის მოცხებას?

არადა, ბედავენ, ქართველი საზოგადოება კი გულგრილად უსმენს და უყურებს ამ შემზარავ სანახაობას, თითქოს ეს ამბავი მას არ ეხებოდეს.

რაც ქართველებს გვჭირს, ჩვენი თავით გვჭირს...

ჩვენ არ გვიყვარს ჩვენი თანამედროვე გმირები, ჩვენ არ გვიყვარს ჩვენთვის თავდადებული თანამედროვეები, ჩვენ გვიჭირს, სიცოცხლეშივე პატივი ვცეთ მათ, სათანადოდ დავაფასოთ, გვერდით დავუდგეთ და მივბაძოთ მათ თავდადებას.

სამაგიეროდ, სიკვდილის შემდეგ ვიცით დიდი ვაი-ვიში და ქვით-ქვითი, თითქოს ჩვენ არ მოგვეკლას ჩვენი სათაყვანებელი რჩეული ჩვენივე გულგრილობით და უმადურობით.

18 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

17 gv.

* * *

**„მე მჭირდება რეალური შეფასება და კრიტიკა, რომ შეცდომა არ დავუშვა მომავალში“, — წერს ბიძინა ივანიშვილი თავის დღიურებში.**

ბიძინა ივანიშვილი მისი პოლიტიკური საქმიანობის და მისი, როგორც პოლიტიკოსის, რეალურ შეფასებას და კრიტიკულ მოსაზრებებს ითხოვს, რომ მომავალში შეცდომები არ დაუშვას.

რა არ მომწონს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობის ამ ხანმოკლე, ხუთთვიან პერიოდში და რა, კონკრეტულად, პოლიტიკოს ბიძინა ივანიშვილში, ვიმეორებ, პოლიტიკოს ბიძინა ივანიშვილში?

ჩემი აზრით, შეცდომაა, როცა ის ძალიან დაჟინებით ცდილობს პოლიტიკოსის „სტატუსის“ მოპოვებას.

**პოლიტიკოსი ბიძინა ივანიშვილი, ვფიქრობ, ვერაფრით ვერ იქნება უფრო აღმატებული, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლამდე.**

**როგორც ზემოთ ვთქვით, ის იყო (და არის) კაცი — სახელმწიფო, რომელმაც ერთმა, მარტო კაცმა, დამოუკიდებლად სცადა ამ ქვეყნის გადარჩენა და მოახერხა კიდეც.**

აი, ასეთი პიროვნების „ჩამოპოლიტიკოსება“ და პოლიტიკურ მარაქაში გარევა, რაღაცით აუბრალოებს და აკნინებს იმ იმედს, რაც ივანიშვილის სახელთან არის დაკავშირებული.

**როცა ხარ ბიძინა ივანიშვილი, არ არის საჭირო პოლიტიკური სუბიექტების დონეზე ჩამოპოლიტიკოსდე.**

ბიძინა ივანიშვილი ხშირად იმეორებს, რომ ის ახალბედაა პოლიტიკაში, რაც მის პოლიტიკურ პარტნიორებს, „ვეტერან“ პოლიტიკოსებს, უფლებას აძლევს, თავი მოძღვრის და მასწავლებლის როლში წარმოიდგინონ და „შეგირდს“ პოლიტიკური გაკვეთილები ჩაუტარონ.

სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკური სპექტრი ფრიად ღარიბია პროფესიონალი „კადრებით“ და უმრავლესობას პოლიტიკა მეტრო „რუსთაველიდან“ „თავისუფლების მოედნამდე“ აღმა-დაღმა სიარულში აქვს ნასწავლი.

მათ რა უნდა ასწავლონ ბიძინა ივანიშვილს, ან რა უნდა ურჩიონ ისეთი, რაც ივანიშვილმა არ იცის და ამათ იციან?

როცა ერთ საქმეს ბევრი აკეთებს ერთად, ის საქმე ან ძალზე უხარისხოდ კეთდება, ან საერთოდ ვერ კეთდება, რადგან ბევრნი ერთად ერთმანეთის კონკურენტები ხდებიან და ერთმანეთს უშლიან ხელს.

არსებობს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური კოალიცია, თუმცა, ჯერჯერობით, არ არსებობს თავად ივანიშვილის პოლიტიკური პარტია.

**რამდენად არის ტაქტიკურად და სტრატეგიულად გამართლებული პარტიული სტრუქტურის მშენებლობის თვალსაზრისით ის ფაქტი, რომ ჯერ ფუძნდება კოალიცია, შემდეგ კი გზადაგზა იწყება ამ კოალიციის მთავარი სუბიექტის — ივანიშვილის პოლიტიკური ორგანიზაციის მშენებლობა, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ კოალიციაში შემავალი პარტიების წარმომადგენლები?**

საკითხავია, რამდენად მყარი და საიმედო იქნება ის პოლიტიკური სახლი, სხვადასხვა პარტიები თავიანთი კოალიციის ლიდერს უშენებენ?

საერთოდ ხომ არ სჯობდა, ჯერ თავისი პოლიტიკური სახლი აეშენებინა ბიძინა ივანიშვილს, აეშენებინა თვითონ, საკუთარი „კალატოზების“ და „დურგლების“ მეშვეობით და არა მოწვეული „სამშენებლო ბრიგადის“ დახმარებით?

**„ფინაჩობა“ სჩვევიაში მოწვეულ ხელოსნებს, „ფინაჩობა“ და ცუღლუტობა — რომ გგონია, შენს სახლს აშენებენ, ამ დროს საკუთარი სახლის კედლებს ამატებენ სამშენებლო მოედნიდან მოპარულ აგურს და არმატურას.**

რას იზამ, ასეთია ადამიანის ბუნება და პოლიტიკოსებიც ხომ ადამიანები არიან, თანაც ისეთი ტიპის ადამიანები, რომლებსაც განსაკუთრებული ამბიციები და საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის უკომპრომისო ბრძოლა ახასიათებთ?

რაც შეეხება საბაბს, საბაბს ყოველთვის გამოძებნის ვერაგობით და უტიფრობით გამორჩეული ეს ხელისუფლება.

**მაშინ რატომ გვარწმუნებს ასე დაბეჯითებით, ასე კატეგორიულად ივანიშვილის პოლიტიკური გარემოცვა, ივანიშვილს საქართველოს მოქალაქის სტატუსის აღდგენა გარანტირებული აქვსო?**

პერსონალურად და კონკრეტულად არავის არ ვადანაშაულებ და არავის კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ შემაქვს, უბრალოდ, პრაგმატულად, ცი-



კვლავ უმწვავეს პრობლემად რჩება ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნების საკითხი.

ივანიშვილს მისი იურისტები და პოლიტიკოსები დაბეჯითებით არწმუნებენ, რომ აპრილის დასაწყისში ხელისუფლება მას აუცილებლად დაუბრუნებს მოქალაქეობას, როგორც ნატურალურ ქართველს.

— ხელისუფლება იძულებული იქნება ასე მოიქცეს, მას სხვა გზა არა აქვსო — არწმუნებენ ივანიშვილსაც და დანარჩენ საქართველოსაც მისი მრჩევლები და პოლიტმეგობრები და, როგორც ვთქვით, მთავარ არგუმენტად ნატურალიზაციას ასახელებენ.

— კი, მაგრამ, ივანიშვილი ნატურალური ქართველი არ იყო, როცა მოქალაქეობა შეუჩერეს?

ვი გონებით რომ ავწონ-დავწონოთ, კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს ხელს აძლევთ, რომ ივანიშვილს მოქალაქეობა არ დაუბრუნონ და მისი პარტიაც სუსტი და ულიმღამო იყოს.

მათ ხელს აძლევთ ასეთი სიტუაცია, რადგან ამ დროს ბიძინა ივანიშვილი უფრო მეტად იქნება დამოკიდებული მათზე, ვიდრე ისინი ივანიშვილზე. ბრჭყალებს კი ეს პარტიები არჩევნების მოახლოებისას გამოაჩენენ და თავიანთ ამბიციურ პირობებსაც აუცილებლად წამოაყენებენ.

რატომ შეიძლება ეს მოხდეს?

ყოველ შემთხვევაში, არა იმიტომ, რომ ეს პარტიები ცუდები და ბოროტები არიან, არამედ იმიტომ, რომ ასეთია პოლიტიკური ცხოვრების ლოგიკა.

**სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა პარაზიტული, უფრო ზუსტად, ტკიპოლოგიურ-წურბელოლოგიური ბუნებისაა და ახლად გამოჩენილი მსხვერპლისგან სისხლის გამოწოვა ფრიად ემარჯვებათ და ეხერხებათ.**



ამ ოცი წლის განმავლობაში უამრავი პოლიტიკური გაერთიანება, კავშირი, საბჭო, ფრონტი, კოალიცია თუ ცენტრი შექმნილა. შექმნილა, მაგრამ დროის მცირე მონაკვეთში უსახელოდ გამქრალა.

რატომ ვერ ხერხდებოდა ამ გაერთიანების ერთიანობის შენარჩუნება, რატომ ქრებოდნენ ისინი ასე უკვალოდ — თითქოს ფორმალინის ხსნარი გადაასხესო?

იმიტომ რომ მათ აერთიანებდათ რაღაც მცირე მასშტაბის ლოკალური პარტიული ინტერესი და არა სამშობლოს ხსნის და გადარჩენის მიზანი.

**სამშობლო — დავიწყებული დიადი სიტყვა, რომელიც ბატონმა ბიძინამ გაგვახსენა...**

* * *

როგორც წინა თავში ვთქვით, საკმაოდ ბევრი პოლიტიკური გაერთიანება შექმნილა ამ ბოლო ოცწლეულის განმავლობაში, მაგრამ ყველა უკვალოდ და უსახელოდ გაქრა.

ამ გაერთიანებათა უმრავლესობა არჩევნების წინა პერიოდში იქმნებოდა და, ცხადია, მათი ამოცანა არჩევნებში გამარჯვება იყო, თუმცა ამ გაერთიანებებს ნათლად არ ჰქონდათ წარმოდგენილი და გარკვეული, რაში სჭირდებოდათ ეს გამარჯვება, რისთვის უნდა მოეხმარათ იგი და რა იყო ის სანუკვარი საერთო მიზანი, რისთვისაც ღირდა ამდენი შრომა და ენერგიის ხარჯვა.

აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ სეპარატისტული „ბუნტის“ შემდეგ ეს საერთო მიზანი გაჩნდა — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მაგრამ როგორ უნდა მოხერხებულიყო ამის გაკეთება, ამის შესახებ პოლიტიკურ სუბიექტებს ფრიად ბუნდოვანი და სუმბურული წარმოდგენა ჰქონდათ.

**არჩევნების წინ და არჩევნების პერიოდში უაღრესად აქტუალური და ფართოდ რეკლამირებული ეს ლოზუნგი — აღვადგინოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა — არჩევნების შემდეგ უკანა პლანზე გადაიწევდა და ცოტა ხანში საერთოდ დავიწყებას ეძლეოდა.**

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და პლუს დემოკრატიის მშენებლობა — აი, ეს ორი ლოზუნგი დროთა განმავლობაში პოპულისტურ, მაგრამ სავალდებულო მოწოდებებად იქცა — ყველა პარტია თუ პარტიული გაერთიანებები დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას და დემოკრატიის აშენებას ჰპირდებოდა ქართველ ამომრჩეველს, მაგრამ ხმამაღალი, პათეტიკური სიტყვის იქით საქმე არ წასულა — არც ტერიტორიული მთლიანობა აღუდგენია ვინმეს და არც დემოკრატიული ინსტიტუტების მშვენიერი შენობა აუგია.

ასე გლახაობს პოლიტიკური სპექტრი თითქმის ოცი წელია და ასე გვაგლახავებს ჩვენც, საქართველოს ბედკრულ მოსახლეობას.

**სიტყვა დემოკრატიას, რომელიც თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიის სახელწოდების სავალდებულო დანამატად იქცა, ჩვენს სინამდვილეში არა აქვს კონკრეტული შინაარსი, კონკრეტული ფორმა.**

**სიტყვა დემოკრატია მისამღერივითაა, რომელიც სიმღერის აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსის ტექსტს არანაირად არ ესადაგება.**

ვაშენებთ, ვაშენებთ ამ დემოკრატიას და რატომღაც ავტოკრატია თუ დიქტატურულ-პოლიციური რეჟიმი გამოგვდის.

ვიბრუნებთ, ვიბრუნებთ ამ დაკარგულ ტერიტორიებს და სინამდვილეში კიდევ უფრო ვაღრმავებთ უფსკრულს ჩვენსა და აფხაზებს, ჩვენსა და ოსებს შორის.

2008 წლის აგვისტოში საბოლოოდ კრახით „დავაგვირგვინეთ" ამაო მცდელობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა.

რა გვჭირს, რა გვემართება, რატომ ვერ ვახერხებთ ამ მოჯადოებული წრიდან გამოსვლას?

**რატომ ჰგავს ქართული-პოლიტიკური ცხოვრება ფარსს, ტრაგიკომედიას, რატომ იცვლიან ქართველი პოლიტიკოსები ხელთათმანივით იდეებს, პრინციპებს, შეხედულებებს, პატრონებს?**

შემზარავი სანახაობაა, შემაძრწუნებელი მოსასმენია, როცა ერთი და იგივე პოლიტიკოსი საღამოს სხვას ამბობს, დილით კი აბსოლუტურად სხვას, თითქოს ღამით ვიღაცამ ტვინი გადაუბრუნაო.

სხვა წვრილმან თუ მსხვილმან უამრავ მიზეზთა შორის, მთავარი მიზეზი ყოველივე ამისა ის გახლავთ, რომ ეს პოლიტიკური პარტიები თუ მათი გაერთიანებები ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე კი არ მოქმედებენ, არამედ მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი, მხოლოდ პირადული ინტერესების მიხედვით, ხოლო დემოკრატიაზე და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ინტენსიური საუბარი მხოლოდ რეიტინგის შესანარჩუნებლად და ფასადად სჭირდებათ.

ჩვენი პოლიტიკოსები, როგორც ვთქვით, ბევრს საუბრობენ დემოკრატიაზე, საუბრობენ სოციალურ თემებზე, ეკონომიკის განვითარების გზებზე, მაგრამ,

**დამოუკიდებლობის პირველ წლებს თუ არ ჩავთვლით, არ მახსოვს სეროზული განსჯის საგანი ყოფილიყოს კონცეფცია, თუ როგორი უნდა იყოს ქართული სახელმწიფო, რას ნიშნავს ქართული სახელმწიფო, რა საძირკველს უნდა დაეყრდნოს ქართული სახელმწიფო.**

ეს უპირველესი და უმთავრესი თემა საერთოდ ამოვარდნილია ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგიდან.

**დღეს ჩვენ ვაშენებთ არა ქართულ სახელმწიფოს არამედ სუპერმარკეტს,**

დიდ ბაზრობას, ხოლო პოლიტიკოსთა ბრძოლა არის არა ბრძოლა საქართველოსთვის და ქართული სახელმწიფოსთვის, არამედ სუპერმარკეტის დირექტორობისთვის.

ბიძინა ივანიშვილის შემოსვლა ქართულ პოლიტიკაში იმითაც არის უაღრესად მნიშვნელოვანი, რომ მან თავის წერილებსა და ინტერვიუებში დიდი



ხნის შემდეგ პირველად ახსენა დავიწყებული დიადი სიტყვა სამშობლო და თავისი მოსვლა პოლიტიკაში სამშობლოს გადარჩენის სურვილით ახსნა.

მან ქართველ პოლიტიკოსთაგან პირველმა წამოიწყო საუბარი სამყაროს უპირველესი ფენომენის, ადამიანის, შესახებ.

ვინ არის ადამიანი, რას უნდა ემსახურებოდეს იგი, რა იდეალებით და რა ღირებულებებით უნდა ცხოვრობდეს? – ეს კითხვები დღეს, გლობალიზმის და კოსმოპოლიტიზმის ეპოქაში უაღრესად აქტუალური და მნიშვნელოვანია, განსაკუთრე-



ბით კი მცირერიცხოვანი ერებისთვის, რომლებიც ადვილად შეიძლება შთანთქას გლობალიზმის ოკეანემ.

ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, მთელი მე-19-ე საუკუნის ქართული მწერლობა სწორედ ამ საკითხს, ადამიანში მაღალზნეობრივი ადამიანის აღზრდის, ადამიანში ჭეშმარიტი მოქალაქის აღზრდის საკითხს უტრიალებს, რადგან ჩვენმა კორიფეებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ქვეყანას მხოლოდ ასეთი ადამიანები აშენებენ, უღირსნი ადამიანები კი ანგრევენ.

სამწუხაროდ, პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში აქტიურად ჩართვის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა მიივიწყა ეს თემა, არადა, ეს მისი ექსკლუზიური თემაა, რომელიც მას გამოარჩევს ერთსა და იმავე პრობლემებზე ხმაშეწყობილად მოჟღურტულე სხვა პოლიტიკოსებისგან, რომელია ინტერესთა სფერო საოცრად ბანალური და ერთფეროვანია.

**ბიძინა ივანიშვილი თავისი პირადი ცხოვრებით, თავისი ცხოვრების წესით, მსოფლმხედველობით და პრინციპებით, თვითონ არის ნათელი მაგალითი იმისა თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი – ღირსეული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, გულუხვი, გულმოწყალე, პატრიოტი, თავისი ქვეყნის ჭირისუფალი.**

ამიტომაც ბიძინა ივანიშვილს სრულებითაც არ სჭირდება თავისი პერსონის ზედმეტი რეკლამირება და პიარტექნოლოგიების მოშველიება, რაც ასე აუცილებელია სხვა პოლიტიკოსებისთვის.

ბიძინა ივანიშვილს საზოგადო მოღვაწეს, ქველმოქმედს, ერისკაცს, მთელი ქვეყნის მოჭირნახულეს, დღეს ერთი სერიოზული კონკურენტი ჰყავს – ეს არის პოლიტიკოსი ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც, უნდა თუ არ უნდა, იძულებულია იმოქმედოს იმ პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება.

მას მოუწევს თავის გვერდით მოითმინოს ის ადამიანებიც, რომლებსაც ის ბოლომდე არ ეთანხმება და არც ენდობა.

**მას მოუწევს ზოგჯერ თქვას ის, რასაც შინაგანად არ ემხრობა, ითამაშოს თამაშის იმ წესებით, რომლებიც მისთვის მიუღებელია.**

**ყოველივე ეს შეიძლება მას ძალიან დიდ ტკივილს აყენებს და დისკომფორტსაც უქმნის, მაგრამ რას იზამ – პოლიტიკას თავისი ქცევის წესები აქვს და როცა პოლიტიკაში ხარ, ამ წესებს უნდა დაემორჩილო.**

პოლიტიკაში მოსვლის პირველსავე დღეებში ხელისუფლება შეეცადა ერთგვარი ტესტირება ჩაეტარებინა ბიძინა ივანიშვილისთვის და გამოერკვია, რუსეთის კაცია ივანიშვილი თუ პროდასავლელია?

დიდი უზნეობა, დიდი უნამუსობა და უტიფრობაა, როცა ივანიშვილის „გამოტეხვას" ცდილობ ამგვარი „ჩამჭრელი" კითხვებით.

ბიძინა ივანიშვილი კარგა ხანია „გამოტეხილია", გამოტეხილია იმაში, რომ ის პროქართული ორიენტაციის ადამიანია და მისი პოლიტიკური მოღვაწეობა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს მოემსახურება.

* * *

მიჭირს ბიძინა ივანიშვილი წარმოვიდგინო, როგორც ერთი პოლიტიკური პარტიის, ერთი კოალიციის ლიდერი.

მე მას მთელი ქართველი ხალხის ლიდერად ვხედავ, ქართველ ხალხში კი მხოლოდ ივანიშვილის მომხრეებს კი არა, იმათაც ვგულისხმობ, რომლებიც, მოცემულ მომენტში, შეიძლება, ბიძინა ივანიშვილის ოპონენტები არიან, მაგრამ სინამდვილეში მათი მომავალი ბევრად არის იმაზე დამოკიდებული, მიაღწევს თუ არა წარმატებას ბიძინა ივანიშვილი, როგორც პოლიტიკოსი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე.

**შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს ვინმეს, რასაც ახლა ვიტყვი – თვით მიხეილ სააკაშვილის, მისი გუნდის და მთელი ნაციონალური მოძრაობისთვის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა შეიძლება იყოს ერთადერთი ხსნა და ერთადერთი გამოსავალი იმ ჩიხიდან, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ.**

მთავარია, სააკაშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა დროულად გააცნობიერონ ეს და რეპრესიებიდან და სადამსჯელო მეთოდებიდან პოლიტიკური ურთიერთობის ცივილიზებულ ფორმებზე გადავიდნენ, თუმცა, ვეჭვობ, მათ ეყოთ პოლიტიკური გამჭრიახობა და წინდახედულება გონივრული გადაწყვეტილების მისაღებად.

**არ მომწონს, როცა ვხედავ, რომ ზოგიერთი პოლიტიკური ძალა ბიძინა ივანიშვილის, როგორც პოლიტიკოსის, „პრივატიზებას" ცდილობს და თავისი გადაჭარბებული ზედმეტი აქტიურობით საქმეს ისე წარმოაჩენს, თითქოს ივანიშვილს მხოლოდ ეს ძალა მიაჩნია მთავარ საყრდენად.**

რაც უფრო ხშირად გამოჩნდებიან ისინი ივანიშვილის გვერდით, რაც უფრო მეტს ილაპარაკებენ ივანიშვილის სახელით, მით უფრო დიდ დარტყმას და ზიანს მიაყენებენ ივანიშვილს და მის რეიტინგს.

თანამშრომლობა სხვა რამ არის, თანამშრომლობა შეიძლება ყველასთან, მაგრამ როცა თანამშრომლობა თანამშრომლობის ფარგლებს სცილდება და მავანი შენი სახის საკუთარ სახედ გასაღებას ცდილობს – ის და მე ერთნი ვართო – ამ შემთხვევაში იმაზე მაინც უნდა დაფიქრდე, შენს დისკრედიტაციას ხომ არ ცდილობს ეს ახლადმოვლენილი თვითმარქვია „ორეული".

მახსოვს, ზვიად გამსახურდიამ „საქტელერადიოს" თავმჯდომარედ ვინმე კვანტალიანი დანიშნა, რამაც ტელევიზიის თანამშრომელთა დიდი პროტესტი გამოიწვია.

ამ კვანტალიანს ტელევიზიის არაფერი გაეგებოდა (მგონი, ვაჭრობის დარგის მუშაკი იყო) და სულ მალე ყველაფერი აურდაურია.

2500 კაცი ტელევიზიის კიბეებზე ჩამოჯდა და – ან ჩვენ, ან კვანტალიანიო – მოითხოვა.

გამსახურდიამ კვანტალიანი არ დათმო, რასაც სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავება მოჰყვა.

ფაქტობრივად, იმ დღიდან დაიწყო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების რღვევა.

20 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

19 gv.

როცა ხალხი ულტიმატუმს გიყენებს — ან მე, ან კვატალიანიო— ეს კვანტალიანი, თუნდაც შენი ბიძაშვილი ან მამიდაშვილი იყოს, უნდა დათმო, რადგან როცა პოლიტიკოსი ხარ, არ შეიძლება გიყვარდეს ის, ვინც ხალხს არ უყვარს.

ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაშიც ტრიალებენ ახალი დროის „კვანტალიანები", რომლებიც ქართველებს ძალიან, ძალიან არ უყვართ.

არ არის გამორიცხული, რომ ერთ დღეს ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილს კატეგორიულად მოსთხოვოს — ან ჩვენ, ან „კვანტალიანები".

ღმერთმა ნუ ქნას, რომ არჩევანი კვლავ „კვანტალიანებზე" გაკეთდეს — მაშინ ყველაფერი დამთავრდება და შეიძლება დიდი ნდობა დიდი უნდობლობით შეიცვალოს.

ღირან კი ამად „კვანტალიანები"?

* * *

არჩევნებს არჩევნებამდე იგებენ.

ეს კი წარმოუდგენელია ხალხის მხარდაჭერის და პოლიტიკურ პროცესებში მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე.

„მრგვალმა მაგიდამ", ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, არჩევნები 1990 წლის არჩევნებამდე გაცილებით ადრე მოიგო, რადგან ის არჩევნებამდე უკვე ფლობდა საკმაოდ სერიოზულ ძალაუფლებას და ეს ხალხის შეუპოვარი მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.

იგივე განმეორდა 2003 წელს „ვარდების რევოლუციის" დროს და მის შემდგომ, 2004 წლის არჩევნებში.



მიხეილ სააკაშვილი და ის პოლიტიკური გუნდი, რომელსაც სააკაშვილი ეყრდნობოდა, არჩევნების ჩატარებამდე თითქმის ორი წლით ადრე ნაწილობრივ აკონტროლებდა ყველა სახელმწიფო სტრუქტურას, ჰყავდა მოკავშირეები სამთავრობო და ბიზნესწრეებში, ჰყავდა ლობისტები საერთაშორისო ორგანიზაციებში, ევროპაში, აშშ-ში, რუსეთში, თუმცა ვერც სააკაშვილი და მისი გუნდი გააწყობდა ვერაფერს, რომ არ ჰქონოდათ ქართველი ხალხის მხარდაჭერა.

როგორც ზვიად გამსახურდია, ასევე მიხეილ სააკაშვილი არჩევნებამდე მივიდნენ ხალხის მრავალრიცხოვანი მასის საპროტესტო გამოსვლების ფონზე, რაც მათ საფუძველს აძლევდა ხმამაღლა განეცხადებინათ, რომ ისინი ახორციელებდნენ ხალხის შეკვეთას, ხალხის მოთხოვნას.

**ბიძინა ივანიშვილის კატეგორიული განცხადება, რომ ხელისუფლება მხოლოდ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს, პირადად ჩემთვის, ისე როგორც ასიათასობით ქართველისთვის, მისაღები და გასაგებია — ხელისუფლება, ცხადია, არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს და არა სამხედრო გადატრიალებით ან სამოქალაქო ომით,**

თუმცა, აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ არ აქვს ხალხს არჩევნების დღემდე ქუჩაში გამოსვლის და თავისი საპროტესტო განწყობის დაფიქსირების უფლება, თუნდაც არა ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით, არამედ ჩვეულებრივი სოციალური პრობლემის ან ხელისუფლების მხრიდან სხვადასხვა სახის უსამართლობის, თვითნებობის, უკანონობის გაპროტესტების უფლება?

**რა არის პროვოკაციული და მიუღებელი იმაში, რომ ხალხი ერთი საათით, გნებავთ, ერთი დღით ქუჩაში გამოვიდეს და მოითხოვოს დაუბრუნდეს მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილს, შეწყდეს კონტროლის პალატის აღვირახსნილობა, განთავისუფლდნენ პოლიტიკური პატიმრები და ა.შ. და ა.შ.**

**— ხელისუფლებას სურს ქუჩაში გამოგვიტყუოს და იქ გაგვისწორდეს! — ასეთია პასუხი ამ კითხვებზე.**

**იქნებ ხელისუფლებას ხელს უფრო ის აძლევს, რომ სახლებში ჩავიკეტოთ და არჩევნებამდე ხმა არ ამოვიღოთ?**

იქნებ ხელისუფლებას ზუსტად ეს სურს — მოჩვენებითი სტაბილურობა, სამოქალაქო ჰარმონიის და სიმშვიდის ილუზიის შექმნა, და ასე მდუმარედ და მუნჯურად მისვლა საარჩევნო ურნებამდე.

**როცა არჩევნების დღემდე იდილიური სიწყნარეა ქვეყანაში, არჩევნების დღეს და მის შემდგომ რით უმ-**



**ტკიცებთ ჩვენ მსოფლიოს დემოკრატიულ თანამეგობრობას, რომ არჩევნები გაყალბდა, თორემ ხელისუფლებას არ შეიძლებოდა ამდენი ხმა მიეღო?**

რატომ არ შეიძლებოდა მიეღო — ვინმე რამეს აპროტესტებდა, ვინმე რაიმეს ასაჩივრებდა თუ რა?

„ამირანი" გულში რომ მღეროდა, ეს არ არის არგუმენტი...

დემოკრატია ხალხის ძალაუფლებაა, დემოკრატია ხალხმა უნდა აშენოს და როცა ხალხს ვთიშავთ დემოკრატიის მშენებლობის პროცესიდან, ეს, ფაქტობრივად, დემოკრატიაზე უარის თქმაა.

— ხალხს სხვა ტრიბუნა არ აქვს — მიტინგები, აქციები, დემონსტრაციები ხალხისთვის ერთადერთი საშუალებაა, ყველას გასაგონად გამოხატოს თავისი სურვილები, მოთხოვნები და ხმა მიაწვდინოს, როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას.

როგორც ვთქვით, დემოკრატია ხალხის ძალაუფლებაა და სწორედ ამ ძალაუფლებას ავლენს და აფიქსირებს იგი აქციებსა თუ მიტინგებზე.

**არ შეიძლება ადამიანებს მოვუწოდოთ ოღონდ არ გამოვიდნენ ქუჩაში, და გამზადებულ-გახაზირებულ დემოკრატიას ჩვენ თვითონ მივართმევთ სახლში.**

ამგვარი მიდგომა ხალხისადმი ხალხში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს, რომელიც თანდათან გაუცხოებაში და უნდობლობაში გადადის.

ვფიქრობ, საზოგადოებაში დღემდე მოქმედებს 26 მაისის სინდრომი, როცა ხელისუფლება უმოწყალოდ გაუსწორდა მომიტინგეებს.

სხვადასხვა ტელეარხებზე უამრავჯერ დატრიალებული დარბევის შემაძრწუნებელი კადრები, გამაოგნებელი თავისი ხაზგასმული სისასტიკით და დაუნდობლობით, არის ის არგუმენტი, რომლის გამოც ოპოზიცია თავს იკავებს მასობრივი გამოსვლების მოწოდებისკენ, თუმცა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება ვერც 26 მაისს, ვერც 7 ნოემბერს ვერ გაიმეორებს.

გაიმეორებს და ეს იქნება მისი დასასრული.

* * *

**საოცარი ამბები მოხდა ამ ბოლო დღეებში — თითქოს ხელისუფლებამ და ოპოზიციამ ადგილები გაცვალეს — ხელისუფლება ლაპარაკობს იმას, რასაც ოპოზიცია უნდა ლაპარაკობდეს.**

**სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ოპოზიციის ნიშა დაიკავა.**

ისინი თამამად აკრიტიკებენ აშშ-ს, ევროპულ ქვეყნებს და მათ საელჩოებს, ხაზს უსვამენ იმას, რომ საქართველო დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა და არავის არ აქვს უფლება უხეშად ჩაერიოს მის შინაურ საქმეებში და ა.შ.

ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო ჰქვია ამას.

**სააკაშვილი ახლა ხელისუფლებაშიც არის და იმავდროულად ოპოზიციაშიცაა შეთავსებით.**

ამ ახალ ამპლუაში ის გვევლინება, როგორც თავდადებული პატრიოტი და ქომაგი ქართველი ხალხისა, რომელსაც ვიღაცები ზემოდან დაჰყურებენ, მაგრამ ის ამის უფლებას არავის არ მისცემს.

როგორც ირკვევა, სააკაშვილმა ზუსტად იცის ხალხის განწყობა და ის ახლა ამ განწყობას ახმოვანებს.

ის ხან კაკოს, ხან აკოს ხელით, როგორც იტყვიან, „შპილკებს" ესვრის იმ პოლიტიკას, რომელსაც თვითონ ატარებდა, თუმცა თავი ისე უჭირავს, თითქოს თვითონ არაფერ შუაში იყოს.

ეს უცნაური, მოულოდნელობით სავსე და ძალზე ეფექტური მეტამორფოზა სააკაშვილისა იმით აიხსნება, რომ მან იცის, რა უფრო მომგებიანია დღეს ელექტორატის მოზიდვის და გადმობირების თვალსაზრისით.

**რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, სააკაშვილი ოპოზიციაში „გადასვლით" ცდილობს ხმები წაართვას ოპოზიციას — თავისავე მოედანზე.**

სააკაშვილი თავისი ბოლო განცხადებებით ქართველ ხალხს მიანიშნებს, რომ არავითარი დიდი პროდასავლელი ის არ არის და არც აშშ-ზე და ევროპაზე ამოსდის მზე და მთვარე, რითაც ქართველი ხალხის გულის მოგებას ცდილობს.

ბიძინა ივანიშვილი საპირისპიროს ამტკიცებს და ხაზგასმით ამბობს, რომ ის პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსია, რომელიც თვლის, რომ საქართველოს ნატოში შესვლას ალტერნატივა არ აქვს, რომ მისი ხელისუფლებაში შესვლის შემდეგაც გაგრძელდება ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების გაგზავნა, რომ საქართველომ ევროკავშირისკენ სვლა უნდა გააგრძელოს, რომ პუტინი დამპყრობელი და ოკუპანტია და ა.შ.

ასე, შეიძლება, დასავლეთის მხარდაჭერა კი მოიპოვო, მაგრამ დაკარგო ქართველი ხალხის ნდობა და სიყვარული, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მომავალ არჩევნებს ატარებს არა აშშ, არა ევროპა, არამედ საქართველო და სწორედ მისმა მოსახლეობამ უნდა მოგცეს ხმები, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არჩევნებში დიდ სირთულეებს წააწყდები.

**ნატოსთან დაახლოებაც კარგია, დასავლეთთან დაახლოებაც კარგია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ქართველ ხალხს და ქართული სახელმწიფოს ინტერესებს არ დაშორდები.**

ქართველ ხალხს ბიძინა ივანიშვილი იმიტომ კი არ უყვარს, რომ ის თურმე პროდასავლური ორიენტაციისაა, არამედ იმიტომ, რომ ის ბიძინა ივანიშვილია, თხემით ტერფამდე ქართველი კაცი, საქართველოს დიდი მოამაგე და ჭირისუფალი, რომელმაც იცის, რომ ქართველი ბავშვი ქართველმა დედამ უნდა აღზარდოს და არა, ევროპელმა ან ამერიკელმა დედინაცვალმა...

* * *

როგორც არაერთხელ ვთქვით, ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკოს ბიძინა ივანიშვილზე უფრო სერიოზული და საშიში კონკურენტი და ოპონენტი არ ჰყავს.

თვითონ ბატონმა ბიძინამაც შესანიშნავად იცის ეს და ამიტომაც იკავებდა თავს წლების განმავლობაში პოლიტიკაში მოსვლისაგან.

**პოლიტიკოსმა ბიძინა ივანიშვილმა შეიძლება შეცდომებიც დაუშვას, არაპოპულარული ნაბიჯებიც გადადგას, ტაქტიკური მოსაზრებით ზოგი რამ ისეთიც თქვას, რასაც შინაგანად თვითონაც არ ეთანხმება, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი „პოლიტიკური ჩალმაა" და სხვა არაფერი.**

პოლიტიკაში მოსვლა მისი მხრიდან ეს არის შეგნებული მსხვერპლი, ბოლომდე გააზრებული თავგანწირვა საქართველოს გადასარჩენად.

**ვახტანგ ხარჩილავა**

# ratom Camodis hilari klintoni saqarTveloSi?

19 მარტის ინტერნეტ გვერდებზე გამოჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უახლოეს დღეებში ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჰილარი კლინტონი საქართველოში ჩამოვა!

თითქოსდა გასაკვირი არ უნდა იყოს შტატების რომელიმე მაღალჩინოსნის ჩვენთან სტუმრობა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ იგივე ქალბატონმა რამდენიმე დღის წინ – აპრილის 14-18-ში ირანზე „წერტილოვანი“ იერიშების მიტანა არ გამორიცხა, მაშინ ცხადი ხდება მისი ვიზიტის რეალური არსი!

საქართველოს ე.წ. პრეზიდენტმა კი ჰილარი კლინტონის საქართველოში ჩამოსვლა ჯერ კიდევ მაშინ გვამცნო, როცა მიშა ბარაქ ობამასთან იმყოფებოდა და ვიზიტის ადგილად მაშინ ბათუმი დაასახელა!

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უკვე რამდენიმე დღეა საქართველოში, კერძოდ კი ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ქართველი და ამერიკელი ჯარისკაცების ერთობლივი სამხედრო სწავლებები მიმდინარეობს. ამ „უჩენიებს“ ამერიკის საელჩო და სახელმწიფო დეპარტამენტი მაღალ შეფასებას აძლევენ ისევე, როგორც საქართველოს ე.წ. ხელისუფლება და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი ამერიკა იარაღით საქართველოს მომარაგებასაც დადებითად აფასებს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას წინ დიდი „სამხედრო სიურპრიზები“ ელის და დიდი ალბათობით სააკაშვილი ამ შანსს „ხელიდან არ გაუშვებს“! ვაზიანის სამხედრო ბაზაზე სასწავლო-საექსპერიმენტო თვალსაზრისით გამოყვანილია ქართული სამხედრო ტექნიკა, კერძოდ კი ჯავშანტრანსპორტიორი „დიდგორი“ და როგორც ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფმა არხებმა გვამცნეს, „დიდგორი“ თურმე ტოლს არ უდებს რუსულ ჯავშანტექნიკას და უფრო მეტიც, მობილურობის, სისწრაფის და მანევრირების თვალსაზრისით, ბევრად აღემატება კიდეც რუსულს. გაუგებარია, ქართული ტექნიკის საპირწონედ, მაინცდამაინც რუსულ ტექნიკა რატომ სახელდება?

საქართველოში რომ უეჭველად „რაღაც დიდი უბედურება გველის, ამაზე მრავალი ყოფილი სამხედრო თუ რიგით მეორე ადამიანი საუბრობს, მაგრამ ქართული მედიის დიდი მოწადინების მიუხედავად, ვერც ერთმა ჟურნალისტმა რომ ვერ შევიტყვეთ რას ემსახურება ე.წ. „ნებაყოფლობითი რეზერვის“ შექმნა და რატომ ხდება, რომ ე.წ. „რეზერვისტებს“ საკუთარი უბნების „დასაცავად“ ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღის სახლში წაღების უფლებას აძლევენ ნაცხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი თავდაცვის სამინისტროს მესვეურები. რაშია საქმე?

ვის ელოდება, როდის ელოდება ან საიდან ელოდება სააკაშვილის ხელისუფლება დღე დღეზე „თავდამსხმელს“ და რა აუცილებლობით იქნება გამოწვეული „უბნების დამცველთა“ ე.წ. „ქუჩის ბრძოლებში“ მონაწილეობა არავინ უწყის, მაგრამ რადგან მიშა ამ ყველაფერს ძალიან ასაიდუმლოებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ტყუილუბრალოდ არც ამჯერად „გაირჯებოდა“ და სავარაუდოდ, ახლო მომავალში არათუ „ქუჩის“, არამედ უფრო მასშტაბური ბრძოლების პერსპექტივა გველოდება წინ!



პირადად მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ „თავისუფალი დემოკრატების ლიდერს ასე ჰაიჰარად, სააკაშვილის მსგავსად რაიმე წამოცდენოდა და რადგან ირაკლიმ ეს განცხადება პირველი ინფორმაციის მიღებისთანავე საჯაროდ და ხმამაღლა თქვა, როგორც ეტყობა, ფაქტობრივი, დოკუმენტურად დადასტურებული უტყუარი ინფორმაცია გააჟღერა, თორემ სხვა მხრივ „ნაცები“ ასეთ ჟივილ-ხივილს და ტალახის სროლას არ დაიწყებდნენ არც პარლამენტში და არც საკუთარ რადიო-ტელევიზიებში!

შესაძლოა, სერიული მკვლელების და თუნდაც საფრანგეთში, ქ.ტულუზაში მათი ნამოქმედარის ადგილი აქ ამ სტატიაში არაფერ შუაში არ იყოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტულუზაშიც და სხვაგანაც ებრაელი ბავშვები და მასწავლებელი დახოცა „ვიღაცამ“, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს სამეზობლო აზერბაიჯანში სამართალდამცველებმა „ირანელი ტერორისტების“ დიდი ჯგუფი დააკავეს, ვერ აღკვეთეს ისრაელის ელჩის მანქანის აფეთქება ვერც ბაქოში და ვერც სტამბულში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მაინცდამაინც ებრაელების წინააღმდეგ განხორციელებული სისხლიანი ფაქტები ვიღაცას ხელს აძლევს წინასაომარი ვითარების შესაქმნელად და რადგან ეს „ვიღაც“ ასე თუ ისე უკვე ცნობილია, დიდ „შარში“ ჩვენი გახვევის პერსპექტივაც არ უნდა იყოს სამარჩიელო, ხომ?

„საერთო გაზეთი“ იმასაც იუწყებოდა, რომ საქართველოს მხრიდან რუსეთის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის ცალმხრივი გაუქმების პარალელურად, აბსოლუტურად გაუგებარი ხდებოდა რუსეთის ხელისუფლების მისამართით აგორებული ახალი სახელისუფლებო „ლანძღვა-გინების“ შტურმი რაში აწყობდა სააკაშვილს? მაგრამ დღეს, როცა ჩვენს რეგიონში დღითიდღე საგანგაშო ვითარება იქმნება საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით, ვფიქრობ, ძნელი მისახვედრი არც ის ხდება, პუტინის რომელ „პაემნებზე“ მიგვანიშნებს სააკაშვილი, რადგან თუკი ირანში საომარი მოქმედებები მართლაც დაიწყო, რუსეთის ხელისუფლება ვალდებულია სამხედრო ტექნიკით თუ ცოცხალი ძალით მაშინვე მიეხმაროს თავის ბაზას, რომელიც სომხეთში, გიუმრიში აქვს და ახლა, თუ საქმე აქამდე მივიდა, ჩვენთან „ხელის ჩამორთმევისთვის“ მაინც ვერ მოიცლის? თანაც ბოლო-ბოლო, განა ჩვენი ტერიტორიიდან არ მოუწევს თავისი სამხედრო „ავლადიდების“ ტრანსპორტირება სომხეთამდე?

სხვათაშორის, სააკაშვილი რომ „რაღაცისთვის“ მართლაც ემზადება, ეს იქიდანაც იკვეთება, რომ თელავში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს ფრაზა: „პუტინმა აი აქ, კახეთში დაგვინიშნა პაემანიო“, – ბოლმიანად თქვა და რატომ თქვა ეს ფრაზა, მაინცდამაინც რთული მისახვედრი არ უნდა იყოს! თუმცა ასე „ცამოწმენდილზე“ პუტინი რომ პირდაპირ კახეთში ვერ მოხვდება, ფაქტია, მაგრამ იქამდე ზუგდიდი, ქუთაისი, გორი და შემდეგ რომ თბილისიც უნდა გამოიაროს, ამას დიდი გეოგრაფიის ცოდნა რად უნდა?

„საერთო გაზეთში“ არაერთ ჩემს რესპონდენტს უთქვამს, რომ გაზაფხულზე პოლიტიკური ვითარების უეცარი დაძაბვა მოხდება, მაგრამ ეს დაძაბულობა მხოლოდ ისრაელ-ამერიკა-ირანის შესაძლო დაპირისპირების გამო კი არ გვემუქრება, არამედ შიდა პოლიტიკური დაპირისპირების ესკალაციასთან უნდა ველოდოთო და თუ გავითვალისწინებთ ირაკლი ალასანიას ამასწინდელ სიტყვებს: „უცნაური და შემაშფოთებელია, რატომ ურიგებს ხელისუფლება თავის ერთგულ მომხრეებს იარაღსო? – მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ „სააკაშვილები“ 90-91 წლების განმეორებითაც იმუქრებიან. ამ ომშიც რომ მხოლოდ საქართველო დარჩება წაგებული, ესეც ხომ ფაქტია?

ეჭვგარეშეა ისიც, რომ ქალბატონი ჰილარი კლინტონის ვიზიტი, ფაქტობრივად, ცუდად ემთხვევა იმ განცხადებებს, რომელიც აზერბაიჯანის და თურქეთის პირველმა პირებმა ამას წინათ გააჟღერეს და სადაც ნათქვამია, რომ: ეს ქვეყნები, მიუხედავად იმისა, რომ ისლამური ქვეყნებია, ირანთან შესაძლო დაპირისპირების დროს ამ



კონფლიქტში არ ჩაერთვებიან და არც სამხედრო დანიშნულების ობიექტებს (სამხედრო ბაზები, ჰოსპიტლები, აეროდრომები) გამოყენების საშუალებას მისცემენ ამა თუ იმ მხარეს!

დიდი მარჩიელობა არ სჭირდება იმ ქვეყნის და იმ ხელისუფლების ამოცნობას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს არათუ სამხედრო ბაზებს, აეროდრომებს, ცოცხალ ძალას მისცემს, არამედ თუ დასჭირდა, მთლიანად ქვეყანასაც „ხურდაში“ გაატანს და ნეტავ, რომელია ეს „ბედნიერი“ ქვეყანა? ჩვენ, ხომ?

აბა, გაიხსენეთ, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის საჰაერო ძალებმა რომელი ობიექტები დაბომბეს უმოწყალოდ? სამხედრო სახმელეთო-საზღვაო ობიექტები, არა? ჰოდა, თუკი სააკაშვილი თავის პარტნიორ ამერიკას, ანუ „ნატოს“ შესაძლებლობას მისცემს საქართველოს ტერიტორიაზე ვაზიანში, კოპიტნარში, დედოფლისწყაროში, ბათუმსა და თბილისშიც კი „ნატოს“ ბომბდამშენებმა თუნდაც საწვავის მომარაგების მიზნით ერთი დაჯდომა განახორციელონ, რად „გვინდა“ ირანული „შახ 1“, „შახ 2“, აქვე არა „გვყავს“ რუსული ბომბდამშენები, რომლებიც „ნატოს“ გაფართოებას რუსეთის სამხრეთის რეგიონში, ანუ საქართველოში არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ? რა, არ ვნახეთ ნაცარტუტად ქცეული, ამერიკელების დახმარებით აღჭურვილი, „უმაღლესი სტანდარტებით“ ნაგები ჩვენი ბაზები ერთ წუთში ცეცხლის ალში როგორ გაეხვია?

ისიც ხომ აშკარაა, რომ რუსეთის ხელისუფლების მისამართით გაკეთებული ბოლოდროინდელი, ზღვარსგადასული, მეტიც, ძალიან არადიპლომატიური ლანძღვა-გინება კონფლიქტის ახალი ესკალაციის წინაპირობად შეიძლება განვიხილოთ? და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი წინასწარი რიტორიკა სააკაშვილის ხელისუფლებას არც 2008 წლის გაზაფხულზე დაუშურებია, მაშინ ცხადი ხდება, რომ „კგბ“-ს ჩინოსანი სააკაშვილი კიდევ ერთ „სატოპკე“ მიზეზს აძლევს კრემლს, რათა რუსეთ-საქართველოს სისხლიანი დაპირისპირება საბოლოო შედეგებამდე მივიდეს! ანუ, სააკაშვილმა მშვენივრად იცის ის გეგმა, რომელიც პუტინის „პაემანთან“ არის დაკავშირებული და ნურავის ჰგონია, რომ თელავში ეს ფრაზა – ასე ჰაიჰარად წამოსცდა!

ის, რომ სააკაშვილს თურმე არჩევნებში ვიღაც შეგნებულად „ითრევს“ (ეს სააკაშვილის სიტყვებია), არც მოულოდნელი და არც განსაცვიფრებელი არ უნდა ყოფილიყო მისთვის, მაგრამ ფრაზა: „ვიღაც არჩევნებში ჩვენს ჩათრევას ცდილობსო, რადგან თქვა, ეს ხომ შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, რომ:

1) კი, ბატონო ჩაგვითრიეთ და ნახავთ როგორც დაგამარცხებით! ანდა,

2) არჩევნები ჩვენთვის საშიშია, შესაძლოა, ხელისუფლებაში ყოფნას დავემშვიდობოთ და ამიტომ, ისეთ ვითარებას შევქმნით ქვეყანაში, არჩევნებისთვის აღარ გეცალოთო!

პირველი ვარიანტითაც და მეორეთიც, ქვეყანაში ქაოსური პროცესებია მოსალოდნელი, მაგრამ პირადად მე „სპიჩკიანი გიჟის“ მიერ პროვოცირებული რამდენიმე კონფლიქტის მეშინია და ამიტომ არჩევნებამდე სრულიადაც არ გამოვრიცხავ ისეთ ვითარებას, რომ აქ, საქართველოში, სააკაშვილის გამიზნული „უტვინობით“ კიდევ ერთი დიდი კოცონი აგიზგიზდეს.

არადა, თუ დააკვირდებით დღითიდღე სოკოებივით მომრავლებული ახალი „საავადმყოფო-ჰოსპიტლები“ ამ ეჭვის საფუძველს ნამდვილად იძლევა! ამ ეჭვებს აძლიერებს ჰილარი კლინტონის ვიზიტი ჩვენთან და ის დაძაბული ფონიც, რომელიც ჩვენს მეზობელ ირანთან დღითიდღე მძიმდება! აღარაფერს ვამბობ, ვაზიანში ქართველი და ამერიკელი ჯარისკაცების ერთობლივ წვრთნებზე, რომელიც დროში „უცნაურად“ ემთხვევა საომარი მოქმედებების დაწყებას ირანის ტერიტორიაზე.

**ირინე გოგოსაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

ჯემალ დავლიანიძე

### ორი დიდი ექსპერიმენტი

თუმცა არც ისეთი მიამიტი ვარ, რომ ეჭვის თვალით არ ვუცქირო და დავაკვირდე ამერიკისა და საბჭოეთის ურთიერთმსგავსებას... ეჭვი, ოჰ, ეს ეჭვი... თითქოსდა მსოფლიოში ორი დიდი ექსპერიმენტი ჩაატარეს: წარმოიქმნა ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. შემოკლებით: აშშ და სსრკ... აბა, გავმ-



ხიარულდეთ, გავიხუმროთ და უკუღმა ვთქვათ: ამერიკის შტატების კავშირი და საბჭოთა სოციალისტური შტატები... როგორ ჟღერს ბატონებო? კეთილი და პატიოსანი, თემას ნუ გადავუხვევთ... მაშასადამე ორ უზარმაზარ კონტინენტზე, უზარმაზარ ტერიტორიაზე გაერთიანდნენ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. ამერიკაში ეს მოხდა მთელი მსოფლიოს ქვეყნებიდან გადმოსახლებულ ადამიანთა ხარჯზე, ხოლო რუსეთში ემიგრანტებიც იყვნენ და თვით ქვეყნებიც თავიანთი მიწა-წყლიანად. საინტერესოა, რომ ამ ორ ექსპერიმენტს ვიღაც უხილავის ხელი მართავდა, რომელიც იმ წლებში საერთოდ არ სჩანდა. უფრო მეტიც, არც კი იგულისხმებოდა. დღეს უკვე ბევრზე-ბევრს მოეხსენება, რომ საიდუმლო მმართველობა მართლაც არსებობს უკვე საუკუნეთა მანძილზე. მათი გეგმით, დედამიწაზე ადრე თუ გვიან სიმშვიდემ და, რაც მთავარია, ერთმმართველობამ უნდა გაიდგას ფესვი. ადამიანები უნდა გააერთიანონ. სულ ერთია: კავშირი იქნება თუ გაერთიანებული შტატები, მნიშვნელობა არ გააჩნია... სხვათა შორის, ევროპარლამენტი, ერთი ვალუტა, ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი და ევროპის ქვეყანათა კავშირი (ექკ), სწორედ ამ მიზნით ჩამოყალიბდა. ესე იგი: აშშ, სსრკ, ექკ და... ალბათ უნდა ველოდოთ კიდევ სხვა კავშირ-შტატებსაც... ჰოდა, ხალხის ერთიანობა, მათი ცხოვრების ერთ სპექტრში მოქცევაა საჭირო. რისთვისაო? იმიტომაო, რომაო, მიწა-წყლისთვის ომები, ტაციაობა აღარ იყოსო. ასე ფიქრობენ, რა თქმა უნდა, ის უხილავი მმართველნი ამა მსოფლიოსი (რას ფიქრობს ამის შესახებ მამა-ღმერთი, შემდგომ ვისაუბროთ!). როგორც ჩანს, მთელი საკაცობრიო ძალისხმევის გამადიდებელ შუშაში მოქცევაა საჭირო ზუსტად ისევე, როგორც მზის სხივთა კონისა. თუ ფოკუსის გასწორება-დაყენებაც შეძლეს, მსოფლიოს ენერგიის ერთ წერტილში მოქცევა მოხდება, რაც სასურველი შედეგია ამ უცნაურ ინჟინერთა, მაგრამ... ჩანს, ნათლად ჩანს, ჩვეულებრივი თვალით დაუნახველი განხეთქილებაა მმართველთა შორის. თითქოს გენერალური ხაზი ერთია, მაგრამ წვრილმანების გამო კინკლაობენ და ერთმანეთს ეჯახებიან თვითონ კი არა, არამედ სხვა ქვეყანათა ხარჯზე. ერთმანეთს ნამდვილად არ ეომებიან! ერთმანეთს გაურბიან და გაუგებრობას სხვათა გაუბედურების, სხვა მიწაზე ომებით აგვარებენ...

როგორ მოგწონთ მეგობრებო ჩემი ვარაუდი? რაო, ვარაუდის უფლებასაც აღარ მაძლევენ? როგორაო, რა, მაშ რა ეგონათ? მხოლოდ პოლიტიკოსებმა უნდა იყაყანონ სიტყვის თავისუფლებაზე? მე, როგორც მოქალაქეს, არ გამაჩნია უფლება საკუთარი აზრი გამაჩნდეს ევროპაზე, ამერიკაზე, ისრაელზე, ჩინეთზე და რუსეთზე? მაშ რა ჰგონიათ, დღე და ღამ ადამიანის უფლებაზე და დემოკრატიულ ფასეულობებზე რომ ბღავიან, ამიკრძალავენ ლაპარაკს თუ წერას? ნუთუ უფლება არ გამაჩნია გავიხსენო სხვადასხვა ფაქტები და ამბები მსოფლიოში მომხდარ უბედურებათა შესახებ! მოგართვათ მეცნიერთა, მკვლევართა მიერ შექმნილი მასალა, თუნდაც კომენტარების გარეშე! ააა! თქვენ უკვე ჩამკირკიტებთ, რომ აქცენტებიც აღარ გამოვიყენო? კეთილი, სიტყვას გაძლევთ, რომ მხოლოდ ფაქტებს მოვიყვან და მხოლოდ განცვიფრების, გაოცების, შეკითხვის უფლებასღა დავიტოვებ.

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14

### სტალინი და ... ტროცკიზმი მიწაში

ახლა გავაგრძელოთ საბჭოთა კავშირში ჩემი ცხოვრების ამბები, რადგან პატარაობიდანვე ვმტრობდი ამ სახელმწიფოს და რაც მივიღე, ვნახოთ... თუმც აქვე გამოგიტყდებით, რომ მთლად გულუბრყვილო არ გახლდით, მცირეოდენად, მაგრამ მაინც ვგრძნობდი, რომ რუსეთს, როგორც ასეთს — ჭეშმარიტ რუს ხალხს, ვიღაცის უხილავი ხელი მართავდა... თითქოსდა მართავდა... რაღაც შეფარული ძალა, გასაიდუმლოებული ობობა, უჩინარი ნესტრით შეიარაღებული... გადაცმული ვინმე მოქმედებდა, თვით რუსეთს ადამბლავებდა და ისე ოსტატურად მოქმედებდა, ყოველივე ჩადენილი უბედურება რუსი ხალხის სახელით მომხდარიყო. თითქოსდა ასე იყო... თითქოსდა... დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში უკვე ყოველივე ნათლად ვიცი, მაგრამ ორი, სამი ათეული წლის უკან, ამაში მხოლოდ ეჭვის შეტანა თუ შემეძლო...

1956 წლის 9 მარტს ვის აძლევდა ხელს ქართველი მოსახლეობის დახვრეტა? ვითომ ნიკიტა ხრუშჩოვის პირადი შურისძიება გახლდათ და მეტი არაფერი? ხომ არ იყო ეს ამბავი დიდი, ბნელი გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც კავკასიაში დღევანდელი არეულობის წინაპირობადაც კი შეიძლება ჩაითვალოს?

სხვათა შორის, დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება, გორში აღმართულ სტალინის ვეებერთელა ძეგლს ამრეზით და ალბათ ხრუშჩოვის თვალით უმზერს. ახლანდელი, სააკაშვილის კომკავშირელები უკვე ბილწავენ ძეგლს და მის გადატანას მოითხოვენ. ჯერ მუზეუმში შეათრევენ, მერე კი უროებით დაამსხვრევენ. მაშინდელმა მსოფლიომ ხრუშ-ჩოვი დემოკრატიის ნაპერწკლად მონათლა, რადგან ამ კაცმა მთელს საბჭოეთში სტალინი უამრავი ქანდაკება, ბიუსტი თუ ძეგლი გაანადგურა! ასეა თუ ისე, სტალინი საბჭოთა კავშირის, აქედან გამომდინარე — რუსეთის სიძლიერის სიმბოლო გახლდათ... დღეს, ხრუშჩოვის საქმეს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რუსეთშიც აგრძელებენ. კიდევ არის ერთი კითხვა: 1921 წელს, როცა საბჭოთა რუსეთის რამდენიმე არმია დამოუკიდებელ საქართველოს შემოესია, სად იყო მაშინდელი დემოკრატია და ე.წ. წამყვანი ქვეყნები? განა მაშინ გაცილებით ადვილი არ გახლდათ საქართველოს დაცვა? განა მაშინ, საბჭოთა ჯარი ისეთი ძლიერი გახლდათ, როგორც დღესაა? სად იყო ამერიკა და სად იყო ევროპა?

როცა სტალინი მოწამლეს, ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნობის კანდიდატად ლავრენტი ბერია მოიაზრებოდა, მაგრამ ყველასდა გასაოცრად, ისეთი ჭკვიანი და გამოცდილი შინსახკომელი, როგორიც ბერია გახლდათ, ნიკიტამ მოიშორა. თან მაშინვე გავრცელდა ხმა, რომ ბერია საზღვარგარეთის რომელიღაც ქვეყნის (თუ არ ვცდები — ინგლისის) აგენტი ყოფილა. მართლაც საოცარია — შეუძლებელია ნიკიტა ხრუშჩოვს ჭკუა-გონებით ეჯობნა ლავრენტი ბერიასათვის, რომელიც უთუოდ ევროამერიკელთა საიდუმლო მცდელობა-ჩალიჩმა და თავისმა თავდაჯერებულობამ დაღუპა. ცნობილია, რომ სრულიად სხვაგვარი გეგმები ჰქონდა და საბჭოთა კავშირში გრანდიოზულ ცვლილებებს აპირებდა. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ბერიას მეოხებით საბჭოთა რუსეთს მოაშორეს სტალინი, ყველაფერს დაჰპირდნენ ბერიას და მერე ისიც მოიშორეს. კითხვაა მუდამ — ვინ და რატომ? აქ იგივე გათამაშდა, როგორც 1900-იანი წლების დასაწყისში. მაშინ მსოფლიოს იმდროინდელმა ე.წ. „წამყვანმა" ქვეყნებმა იყნოსეს, რომ რუსეთის იმპერია ძლიერდებოდა. სტოლიპინმა ააღორძინა სოფლის მეურნეობა. ფეხზე დგებოდა მრეწველობა. რუსეთი რუსების ხელში ვარდებოდა და... ყოველივე ამის დასაღუპად სასწრაფოდ გამოჩხრიკეს ვლადიმერ ულიანოვი, შეუქმნეს სათანადო იმიჯი, ააყირავებინეს ქვეყანა, დაახვრეტინეს მეფე, მისი ოჯახი, დაანგრევინეს ეკლესია-მონასტრები, ამოაჟლეტინეს ასი ათასობით მღვდელთმსახური და ზედ მიაყოლებინეს მილიონობით ნაღდი სულისა და ხორცის რუსი ადამიანი, ვისი ნაკლებობის გამო, შემდგომში შავ დღეშია არა მხოლოდ თავად რუსეთი, არამედ ჩვენი უბედური საქართველოც! პირწმინდად გაჟლიტეს ინტელიგენცია, წინ წამოსწიეს არარუსი, ათასი ჯურის პიროვნება! ქვეყანა აიკლეს და მოაოხრეს. ჯამში, - რუსეთის პროგრესი, მისი განვითარება შეაფერხეს. რამდენი წლით? ეს, ბატონებო, თქვენვე იანგარიშეთ... ჰოდა, როცა ლენინი საჭირო აღარ გახლდათ, ისიც მოიშორეს, ესროლეს, დაჭრეს, იქნებ კიდეც მოწამლეს? ახლა სტალინმა იწყო მკაცრი ხელით ქვეყნის აღორძინება. რა მეთოდი აღარ იხმარა... სისხლის წვიმებსაც არ მოერიდა. რა აღარ მოიგონა და კვლავ გაახილა თვალი საიდუმლო ურჩხულმა — ბიჭოს, რუსეთი კვლავ ფეხზე დგებოდა. გამოჩნდა ტროცკიც. მისმა მეგობრებმა იწყეს მოქმედება. თითქოსდა რუსთა სახელით იჟლიტებოდა რუსეთი. სტალინმა კუბოში ჩააწვინა მთელი ტროცკიზმი. შეშფოთდა ბნელეთი! ადგილი დაუთმეს ჰიტლერს. გამოკვებეს, გზა გაუხსნეს. გერმანია ფეხზე დააყენეს, საშინლად შეიარაღეს და საბჭოთა კავშირს დაუმიზნეს, როგორც ტყვია, რომელიც მალე გავარდა. სტალინი რისი სტალინი იქნებოდა, ყოველი ეს სამზადისი რომ არ დაენახა. და, თვითონაც მოემზადა... დაიწყო (თუ დააწყებინეს?) მეორე მსოფლიო ომი! კვლავ დაასუსტეს საბჭოთა რუსეთი! მაგრამ სტალინმა ომი მოიგო. ვინ იცის, იქნებ ასეც ჰქონდათ გათვლილი, რუსეთს უნდა მოეგო ომი და არა ჰიტლერს. ორივე იმპერია ამ ომში ისე დაუძლურდებოდა, რომ მათი მართვა გაუადვილდებოდათ. განა მხოლოდ მართვა? რა თქმა უნდა ძარცვა-გლეჯაც! გაყოფა, ნედლეული, რესურსები და ა.შ. ყველას გასაოცრად, ომმა უფრო გააძლიერა საბჭოთა კავშირი და იმ დროს, სათანადო სურვილი რომ ყოფილიყო, მთელ ევროპას გააკომუნისტებდნენ! სტალინმა მაინც მოახერხა ქვეყნის გაძლიერება! ატომური იარაღიც მოიპოვა და... ბოლოს, იგი მოკლეს. მოიშორეს მოხუცი (ჯერაც საკმაოდ ჯანმრთელი) ბელადი, ურომლისოდაც იდუმალი ხელისა და გონების მეოხებით ხელისუფლებაში მოვიდა უბადრუკი ხალხი. მათ თავი ვეღარ მოაბეს საქმეს. ქვეყნის განვითარება, წინ წაწევა ვეღარ შეძლეს. თუმც სტალინის მიერ ჩაყრილმა საძირკველმა მაინც ისე გაამაგრა კომუნისტური კედელი, რომ მსოფლიო შეშინებული, დაზაფრული შესცქეროდა საბჭოთა კავშირის სიძლიერეს.





წეღან ე.წ. ბოლშევიკების მიერ ეკლესია-მონასტრების ნგრევის და სასულიერო პირთა ხოცვა-ჟლეტაზე გესაუბრებოდით. (ამ ყოველივეს ხომ ხომ პირშავი ტროცკი ახორციელებდა, რომლის დემოკრატობაზე, დღეს კინოფილმებსაც კი იღებენ ევროამერიკელები და სტალინზე განრისხებულები, პირზე დუჟმორეულები ამტკიცებენ, კაცთმოყვარე ტროცკი სტალინმა მოაკვლევინაო!) ეს ამბავი, რაღა თქმა უნდა, საქართველოშიც განივრცო. ქართველობა ერთმა დიდმა ნაწილმა (სულგაყიდულებმა!), როგორც შემოსეულმა მტერმა, ააოხრა საქართველოს სულიერება... მაინც, რა იყო, საიდან იღებდა სათავეს ამგვარი ბარბაროსობა? ამ ღრმადმორწმუნე რუსეთში, ასე უცბად, რად იფეთქა ამგვარმა სიძულვილმა ქრისტიანობისადმი. საინტერესოა, შიგნით,

24 gv.

რუსეთის წიაღში წარმოიქმნა ეს სისხლიანი ურწმუნოება თუ საიდანმე იქნა შემოტანილი? ხომ არ არსებობს რაიმე ხელმოსაკიდი, რითაც შეიძლება დაამტკიცო, რომ რუსეთს თავზე მოახვიეს ანტიქრისტიანელების აღზევება? და, აქედან გამომდინარე, დღევანდელ მსოფლიოში ხომ არ შეინიშნება აშკარა თუ ფარული ბრძოლა ქრისტიანობის, უფრო კი მართლმადიდებელი ქრისტიანობის წინააღმდეგ? ჰა? რაო? რომ გავიხედ-გამოვიხედოთ, ვითომ საამისო ცდებს ვერ დავინახავთ?

## ალენ დალესი და არქიმანდრიტი არსენი

თმები ყალყზე დაგიდგება კაცს, როდესაც ალენ დალესის ომის შემდგომ დოქტრინას კითხულობ:



„დავთესავთ რა სსრკ-ში ქაოსს, ჩვენ მათ ფასეულობებს ნელ-ნელა შევცვლით სიყალბით. ჩვენს მომხრეებს ვიპოვნით თვით რუსეთში – დავდგამთ გრანდიოზულ ტრაგედიას და სცენაზე გათამაშდება მსოფლიოში თვით ყველაზე დაუმორჩილებელ ხალხთა აგონია... ლიტერატურა, კინო, პრესა და ყველაფერი ასახავს, შეაქებს და განადიდებს ადამიანის მდაბალ, ცხოველურ ინსტინქტებს. ჩვენ მხარს დავუჭერთ ე.წ. ხელოვან პიროვნებებს, რომლებიც ადამიანებში დაამკვიდრებენ სექსის, ძალადობის, გარყვნილების და ღალატის კულტს. სახელმწიფოს მმართველობაში ჩვენ შევქმნით ქაოსს. შეუმჩნევლად, თუმც აქტიურად შევუწყობთ ხელს ჩინოვნიკების თავნებობას, ახირებას და მექრთამეობას! მასხარად, აბუჩად ავიგდებთ პატიოსნებასაც და ზნეობრიობასაც, რადგან ისინი ჩანაფიქრის განსახორციელებლად არად გვესაჭიროება. დავთესავთ უხეშობას, თავხედობას, უსინდისობას, სიცრუეს, ლოთობას, ნარკომანიას. ერებს შორის გავაღვივებთ შიშს, შუღლსა და მტრობას. ამათგან უპირველესი იქნება – სიძულვილი რუსი ხალხის მიმართ! ყოველივე ეს, ჩვენი მხრიდან დაინერგება ეშმაკურად, შეუმჩნევლად... მხოლოდ ერთეულები თუ მიხვდებიან – რა ხდება ირგვლივ, მაგრამ ასეთ ადამიანებს და ქვეყნებსაც ჩავაყენებთ უკიდურესად უმწეო მდგომარეობაში. უფრო მეტიც – მათ გავაკრავთ სამარცხვინო ბოძზე! თითით საჩვენებლად ვაქცევთ! ცილს დავწამებთ და საზოგადოების ნაგვად გამოვაცხადებთ" („ც.რ.უ პროტივ სსრ", 1945 წ., ასევე – ი. ვლასოვის „რუს ბეზ ვოჟდია", მოსკოვი, 1995წ.).

აქ, უპასუხოდ, მხოლოდ ერთ კითხვას დავსვამ:

– სადღეისაოდ ეს დოქტრინა არის თუ არა აღსრულების პროცესში?

სურათი ნათელზე ნათელია, მაგრამ ამ ჩემს თანამემამულეების უმრავლესობას ბოლომდე არა აქვს შეგნებული, - საით მიგვერეკებოდა შევარდნაძე... მანამ ამ ადამიანის ბნელ საქმიანობას შევეხები, ზემოთ მოყვანილ ალენ დალესის დოქტრინის კომენტარიც ვთქვათ. ბევრ ურწმუნოს, ვისაც თვალწინ გადაშლილი ცხოვრების წიგნის კითხვა არ შეუძლია, დაუჯერებლად მოეჩვენება ყოველივე. ასეთი ხალხი ისე ჩადის საფლავში, ბრმად მოარულნი, ბრმადვე რჩებიან, მაგრამ ნებაყოფლობით თვალისჩინდაკარგულთა და ეშმაკის მოწაფეებისათვის არც დრო და არც სურვილი არ გამაჩნია ვისაუბრო... რომ იტყვიან – ერთი მაგათი დედაც! (ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ... ვიყენებ ყბადაღებულ ადამიანთა უფლებებს, დემოკრატიასაც და თავისუფალი სიტყვის უფლებასაც!)

მაშასადამე, ალენ დალესის დოქტრინის კომენტარს მე კი არ შემოგთავაზებთ, უფრო სწორად, კომენტარი ჩემი კი არა, არქიმანდრიტი არსენისა იქნება:

„უკვე საყოველთაოდ დამკვიდრდა აზრი, რომ კაცობრიობამ ყველაზე საშინელი და ტრაგიკული იერი შეიძინა. მართლაც, ნათელია, რომ აწ მთავრდება ახალი აპოკალიფსური ეპოქა – დრო საშინელი წინააღმდეგობებისა და უგუნურებათა, დრო – ღვთისგან გაუგონარი განდგომილებისა, წარღვნამდელი სოდომური სიშლეგისა და ორგანიზებული ათეიზმისა... ამიტომაც, არნახული აღმოჩენები და ადამიანის კოსმოსში გაჭრა, არავითარ იმედს არ იძლევა საიმისოდ, რომ კაცობრიობა ბოროტებას დასძლევს და თავს დააღწევს მომავალ წარწყმედას, რაც შედეგია აპოსტასიისა (აპოსტასია – ღვთისაგან განდგომა) და უფლის წინააღმდეგ ამხედრებისა. ამჟამად, მსოფლიო ხედავს რა, თავის უმძიმეს მდგომარეობას და გრძნობს რა, სავალალო პერსპექტივას, რომელიც მას ემუქრება, ცხოვრობს გამუდმებული შიშით შეპყრობილი. დიდია მოლოდინი მომავალი უბედურებისა, რომელიც კაცობრიობას მზარდი, აღმავალი ხაზით დღითი-დღე უახლოვდება და მალე თავს დაატყდება (იხ. ლუკა 21,26). აგრეთვე, ჩვენც, მღელვარებით თვალს ვადევნებთ რა ყოველივეს, უკვე მრავალი წელიწადია განგაშის ზარს ვარისხებთ წიგნებისა თუ სტატიების მეშვეობით იმ დიდი საშიშროების შესახებ, რომელიც გვემუქრება: - ჩვენ ვამცნებთ, რომ თანახმად წინასწარმეტყველებებისა და წმინდა მამათა განმარტებებისა (რაც გასაოცარი სიზუსტით სრულდება მოვლენათა დღევანდელი განვითარებისას) – უმეცრებაში, გულგრილობასა და ცოდვებში შთაფლული წყეული მსოფლიო უსწრაფესად მიექანება საბოლოო კატასტროფისაკენ. აწ აღესრულება მრავალი წინასწარმეტყველება იუდეველთა მიერ იერუსალიმის ხელში ჩაგდების შესახებ, რომლის თანახმადაც – იერუსალიმს გათელავენ ერები, ვიდრე არ ამოიწურება ჟამი ერებისა (ლუკა 21,24). ამავე დროს, წმ. იოანე ოქროპირი უქადაგებს სოფლის აღსასრულის წინა პერიოდს. გავიხსენოთ აგრეთვე დანიელის წინასწარმეტყველება, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს აღსასრულის წინ ცოდნა გაღრმავდება (დანიელ. 12.4). არსებობს აგრეთვე გასაოცარი წინასწარმეტყველება წმ. მოციქულ იოანე ღვთისმეტყველისა ანტიქრისტეს ბეჭდის შესახებ... ჩვენს დროში უკვე დაიწყო მსოფლიო მასშტაბით გამოყენება ეკონომიკური მიმოქცევის ახალი მეთოდისა, რომლითაც კიდევ უფრო მიზანდასახულად ისარგებლებს მომავალი ანტიქრისტე. – საქმე ეხება ალებმიცემობის ახალ სისტემას, ე.წ. კოდური რიცხვის მეშვეობით, რომელიც ყველა პირს მიეცემა განსაკუთრებულ ციფრ 666-თან ერთად და ლაზერული სხივით წარუშლელად დაესმება ადამიანს შუბლსა და მარჯვენა ხელზე. ეს ბეჭედი და რიცხვი შემცველი იქნება აპოკალიფსის მხეცის – ანტიქრისტეს სახელისა და ქრისტეს უარყოფისა... აი, როგორ აგვიწერს წმ. მოციქული იოანე ღვთისმეტყველი აწინდელ მდგომარეობასა და ეკონომიკურ ზომებს: „და ყვნეს ყოველნივე – მცირენი და დიდნი და მდიდარნი და გლახაკნი და აზნაურნი და მონანი, რაითა მიიღონ ბეჭედი ხელსა მათსა მარჯვენესა ზედა, ანუ შუბლსა ზედა მათსა და რაითა არავის ხელ-ეწიფებოდის სყიდად ანუ განსყიდად, გარნა რომელთა აქუნდეს ბეჭედი სახელისა მხეცისაი მის, ანუ რიცხვი სახელისა მისისაი. აქა არს სიბრძნე, რომელსა აქუს გონებაი, აღიპყრან რიცხვი იგი მხეცისაი, რამეთუ რიცხვი კაცისაი არს რიცხვი მისი ექვსას სამეოც და ექუს" (გამოცხ. 13,6-18). უცნობია, თუ სახელდობრ, ვინ აიძულებს ადამიანებს ანტიქრისტეს ბეჭდის მიღებას, მაგრამ ერთი რამ ცხადია – ამას იქმს ანტიქრისტეს წინამორბედი, რომელსაც აპოკალიფსი უწოდებს ორ რქიან მხეცს. ორი რქა ორი ხელისუფლების ფლობას მოასწავებს, ამიტომაც შესაძლოა ეს მხეცი ან ორი ხელისუფლების მქონე კერძო პიროვნება იყოს, ანდა – კოლექტიური პირი. შემდგომ აპოკალიფსი გვამცნებს, თუ რა მოელის მათ, ვინც ანტიქრისტეს ნიშნით აღიბეჭდება: „და კუამლი ტანჯვისა მისისაი უკუნითი უკუნისამდე აღვიდოდეს და არა აქუნდეს განსუენებაი დღე და ღამე, რომელთაცა თავყუანი სცენ მხეცსა მას და ხატსა მისსა, ანუ მიიღონ ბეჭედი სახელისა მისისაი" (გამოცხ. 14-11). რიცხვი 666 ჩვენს დროში უკვე ყველგან გვხვდება. ამ მხრივ დიდ ინტერესს იჩენენ პროტესტანტები, რომელნიც თავიანთ წიგნებში, ჟურნალებსა და ფოტოსურათებში ნათელს ჰფენენ ამ საკითხებს, მაშინ, როდესაც ჩვენ - მართლმადიდებლები და – პაპისტებიც, ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ მას. აი, როგორ აღწერა ეს მოვლენა ხუთი წლის წინ ამ დარგის სპეციალისტმა – ევროპის საერთო ბაზართან არსებული სტატიკური კვლევის განყოფილების თავმჯდომარემ დოქტორმა ჰელდემონმა (ბრიუსელი): „მზადდება ელექტრონულ გონებათა ახალი სისტემა, რომელიც დაკავდება მთელი მსოფლიოს ინტერესების სფეროში შემავალი პრობლემებით. –საქმე ეხება სამსართულიან შენობათა ერთობლიობას, სადაც განლაგებულია შესაბამისი ხელსაწყოები. სისტემის არსი მდგომარეობს რიცხვთა აკრეფაში. დედამიწის ყოველ კუთხეში თითოეული ადამიანი მიიღებს საკუთარ ნომერს – რიცხვს, რისი მეოხებითაც ნებისმიერი მოქალაქე შეძლებს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, ეკონომიკურ ცვლა-ბრუნვაში. ამავე დროს, ეს რიცხვი თვალით უხილავი იქნება. იგი ადამიანს დაესმება შუბლზე და ხელისგულზე ლაზერული სხივით სპეციალური აპარატის მეშვეობით და ნებისმიერ მომენტში შესაძლებელი იქნება მისი წაკითხვა. დოქტორმა ჰელდემონმა აგრეთვე დასძინა, რომ სამი ექვსციფრიანი რიცხვის საშუალებით დედამიწის ყველა მოქალაქე მიიღებს საკუთარ, დამოუკიდებელ ნომერს".

ყოველივე ზემოთქმული დაიწერა 5-6 წლის წინ, მაგრამ პრესაში უკვე გაცხადდა, რომ ყოველივე მზადაა და პრაქტიკაშიც კი ინერგება... ისმება თავზარდამცემი კითხვა: რა ვიღონოთ ჩვენ, - ღრმამორწმუნეებმა თუ ანტიქრისტეს ბეჭდის დასმა ძალდატანებით მოხდება?! და, ეს რომ ასე იქნება, ვუწყით ისევ და ისევ უცდომელი ბიბლიიდან! ჯერჯერობით გაუსაძლისი ჟამი არ მოწეულა, მაგრამ ყველაფერი უმალვე შეიცვლება, როცა მსოფლიოს მოევლინება ანტიქრისტე და ტოტალურ ძალაუფლებას ხელში აიღებს... ამიტომაც, ხელახლა ვტეხთ განგაშს მოახლოებული საფრთხის გამო და მოვუწოდებთ წმინდა სავანეებს, სამონასტრო საძმოებს და ქრისტიანულ თემებს, – მღვდლებს, მღვდელმთავრებს, ათონის წმინდა მთის პატივცემულ კინოტისსა და ყველას, ვისაც უყვარს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, განამტკიცონ რწმენაში ქრისტეს სამწყსო, რათა უარი თქვას მხეცის ბეჭდის მიღებაზე, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდეს".

აი, ბატონებო, დასრულდა არქიმანდრიტი არსენის ეს მოწოდება, თავიდან ბოლომდე შევიგრძენი მოსალოდნელი უბედურება და თავზარიც დამეცა.

ახლა, ვნახოთ გაზეთი „არჩევანი" (№3, 1995 წ.), რომელ-შიც გამოქვეყნებულია ნაწყვეტი „ავსტრალიის საბანკო მოსამსახურეთა საინფორმაციო ბიულეტენიდან" (ტ. 15, №13, 1984 წ.):

„არავითარი საბანკო ბარათი, არც საკრედიტო, არც ფული, არამედ – კაცის თვალისათვის უხილავი ნომერი ხელზე, - ან – შუბლზე! როგორი სრულყოფილი საშუალებაა 1984 წლისათვის... ამაშია ცდის არსი, რომელიც დაიწყო შვედეთში 1983 წლის მარტის თვეში – 6000-მა მოხალისემ მონაწილეობა მიიღო ექსპერიმენტში. თითოეულმა მათგანმა მიიღო სპეციალური ნიშანი სხეულის შესაბამის ადგილზე. უმტკივნეულო დასხივებით ისინი დანიშნულები არიან სიკვდილამდე, რადგანაც ნიშანი წარუშლელია და რეგისტრირებულია კომპიუტერში, აღრიცხულია ბანკებში და, საერთოდ, ყველგან, სადაც კი დაღდასმული ადამიანი რაიმეს შეძენას ისურვებს. მაღაზიის მფლობელი, გამყიდველი თუ მოლარე უბრალოდ, ფანქრით შეეხება ნიშანს. სათანადო ხელსაწყო უმალ აგზავნის ციფრს ცენტრალურ კომპიუტერში. ეს უკანასკნელი კი მთელ ინფორმაციას აწვდის ბანკს, სადაც მაღაზიას და მყიდველს ანგარიშები აქვთ გახსნილი. ამრიგად, ფულის ნიშნები სრულიად ამოიღება მიმოქცევიდან".



პატივცემულო მკითხველო, როგორ ხასიათზე ბრძანდებით? 1984 წელს თურმე შვედეთში დაუნიშნავთ ადამიანები... თითქოსდა ექსპერიმენტი ჩაუტარებიათ. მას შემდეგ ოცდახუთი წელიწადია გასული. სადღეისოდ კი იქ (და სხვაგანაც) რაოდენი მიღწევები იქნება, შეგიძლიათ ამის წარმოდგენა?

საგულისხმოა ერთი პატარა ფაქტიც: საქართველოში 2003 წლის ნოემბერში, საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში შემოიღეს ე.წ. მარკირება ანუ დაღდასმა (თუნდაც დანიშვნა) ამომრჩევლისა! ეს ნიშანი უფერული სითხით უკეთდებოდათ ადამიანებს ცერა თითზე და სათანადო დროს კომპიუტერი მას კიდეც აღნიშნავდა!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `23 seqtembridan 23 oqtombramde periods politikosebisTvis moaqvs Zalian kargi Sansebi, maTTvis es periodi saukeTesoa am weliwadSi~

***ვესაუბრებით ასტროლოგს, ბატონ მიხეილ ცაგარელს***



**— ბატონო მიხეილ, ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, საკმაოდ მრავალფეროვანი და მღელვარე პერიოდი გველოდება. როგორი იქნება წლევანდელი დრაკონის წელი საქართველოსთვის, რამდენად მომგებიანია ქვეყნისთვის ასტროლოგიური თვალსაზრისით არჩევნების შემოდგომაზე, კერძოდ ოქტომბრის თვეში დანიშვნა? ხომ არ სჯობდა გაზაფხულზე?**

— არავითარ შემთხვევაში არ სჯობდა, პირიქით, კიდევ კარგი, არ დაინიშნა მაის-ივნისში. მზე ამ დროს შედის ძალიან უარყოფით ენერგიულ ველში, გამომდინარე აქედან, ქვეყანაში იქნებოდა დიდი დაძაბულობა. ეს ურთულესი პერიოდია მთელი წლის განმავლობაში. მაის-ივნისი შეიძლება ითქვას, წელს არის ყველაზე ცუდი თვეები. თქვენ ნახავთ, რამდენი ეკოლოგიური კატასტროფა, დამანგრეველი ცუნამები და მიწისძვრები მოხდება მსოფლიო მასშტაბით, ასევე იქნება დიდი აფეთქებები მზეზე. ადამიანები თავს ცუდად იგრძნობენ, იქნებიან აგრესიულები, მოიმატებს კონფრონტაცია, აგრესიულობა. ამიტომ, ხსენებული პერიოდის უფრო დაძაბვა პოლიტიკური მოვლენებით და არჩევნებით არ შეიძლება.

**— ეს პერიოდი წელსაა ასეთი რთული, თუ საერთოდ?**

— საერთოდ, მაისი მშვიდ თვედ ითვლება, მაგრამ არა წელს.. ამ წელიწადში 5 აპრილიდან 5 მაისამდე ძალიან რთული პერიოდია, ყველაზე უიღბლო. ახლა რაც შეეხება ზონას, რომელიც უკავშირდება ოქტომბერს: 23 სექტემბრიდან 23 ოქტომბრამდე პერიოდს პოლიტიკოსებისთვის მოაქვს ძალიან კარგი შანსები. მათთვის ეს პერიოდი საუკეთესოა ამ წელიწადში. მერე უკვე ნაკლებია წარმატებებისა და სტაბილურობის შანსები. საერთოდ, ნოემბერი და მისი პირველი ნახევარი ძაბავს სიტუაციას. მატულობს აგრესია, რადგან მზე იმყოფება ყველაზე აგრესიულ ზონაში, ასევე მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, თუ ირანზე მოხდება თავდასხმა, ეს იქნება 4 აპრილიდან 4 მაისამდე პერიოდში. ავღანეთშიც სწორედ ამ დროს დაიწყო ომი.

**— ანუ, საკმაოდ რთული პერიოდი ელის უახლოეს თვეებში როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს...**

— დიახ და მე ახლა შემოგთავაზებთ ამ წლის ზოგად პროგნოზს. 2012 წელი – დრაკონის წელიწადია, რომელსაც აღმოსავლეთში იან ენერგიის მატარებლად აღიქვამენ და წარმოადგენს ცის სიმბოლოს. ამიტომ კოსმიური ენერგია და რითმები წელს განსაკუთრებულ ზეგავლენას მოახდენენ ადამიანებზე, ხელს შეუწყობენ განახლებასა და ცვლილებებს როგორც საქმიანობაში, ასევე ურთიერთობებში, რითაც იწყება ახალი 60-წლიანი განვითარების ეტაპი კაცობრიობის ისტორიაში, ეს შეიძლება იყოს სერიოზული კლიმატური ცვლილებების ერთ-ერთი მიზეზიც.

რადგან უკვე ამ წლის მესამე თვე – მარტი დასასრულს უახლოვდება, პროგნოზს დავიწყებ აპრილის, მაისის და ივნისის თვეებით: ეს პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული და დისჰარმონიულია 2012 წლის განმავლობაში. 27 მარტიდან 20 აპრილამდე დედამიწა მოექცევა ნეგატიური ენერგორეზონანსის ზონაში, რაც რადიკალურად გაზრდის ავარიულობას, ეკოლოგიურ კატასტროფებს, ტექტონიკურ ძვრებს, ჯანმრთელობის გაუარესების ტენდენციებს. ამასთანავე, 1-10 მაისს და ივნისის პერიოდში თვალში საცემი იქნება მსოფლიო ეკონომიკის არასტაბილურობა, სამხედრო კონფლიქტებისა და ტერორისტული აქტების მცდელობის ტენდენცია. „კონფრონტაცია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სარბიელზე საკმაოდ მძაფრ ელფერს შეიძენს. შესაძლებელია მნიშვნელოვანი საპროტესტო აქციებისა და მიტინგების ჩატარება ძველი კანონებისა და სოციალური რეფორმების მიმართ. ბევრმა თანამდებობის პირმა შეიძლება დაკარგოს თანამდებობა, ან ხალხის ნებამ მთლიანად შეცვალოს მმართველი კლანი ზოგიერთ ქვეყანაში. ყოველივე ეს ნეგატიურ დაღს დაასვამს ბიზნესის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას. ამ პერიოდში შესაძლებელია ზოგიერთი ქვეყანა აღმოჩნდეს ცუნამისა და მიწისძვრის საფრთხის წინაშე, განსაკუთრებით 15 – 26 აპრილისა და 20 – 30 ივნისის შუალედებში, რაც კიდევ უფრო დაძაბავს პოლიტიკურ სიტუაციას. მეტად თვალში საცემი იქნება ადამიანთა შორის ემოციური მოუთმენლობა, კონფლიქტები ურთიერთობებში. მზეზე აფეთქებების ინტენსიურობა მოიმატებს, რაც ნეგატიურ გავლენას მოახდენს ადამიანთა გულსისხლძარღვოვან სისტემასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ეს პერიოდი, ალბათ, წლის ყველაზე ნეგატიური ტენდენციებით დაგვამახსოვრდება.

**ივლისი, აგვისტო, სექტემბერი:**

1-16 ივლისის პერიოდი კვლავ დაძაბულია, ანუ ივნისის შტორმული მოვლენები გამოძახილს ჰპოვებენ. ამ პერიოდში ეკოლოგიური, ატმოსფერული და ტექტონიკური კატასტროფებით, ანომალიური მოვლენებით, ჯანმრთელობის გაუარესებით, კონფლიქტებით, კონფრონტაციებით, კრიმინალური მდგომარეობის გაუარესებით. ივლისის მეორე ნახევრიდან დედამიწის ბიოსფერო შედარებით მშვიდ ელფერს შეიძენს, რაც პოზიტიურ გავლენას მოახდენს ადამიანთა გუნება-განწყობაზე, ურთიერთობებზე, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებზე. აგვისტოს მეორე და სექტემბრის პირველ ნახევარში დედამიწა კვლავ მოექცევა დისჰარმონიული კოსმოპლანეტალური ენერგიების ზონაში, რაც განაპირობებს სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაძაბულობებს, კონფრონტაციებს, საპროტესტო გამოსვლებსა და დაპირისპირებას. მოიმატებს ეკო და ტექტონიკური კატასტროფების, ხანძრების, ექსტრემალური და ტერორისტული აქტების, წყალდიდობების ალბათობა. მოსალოდნელია სირთულეები კომუნიკაციის (ჟურნალისტიკა, ტელევიზია, რადიო და ა. შ.) ბიზნესის სფეროებში, საბანკო სისტემებში. შესაძლებელია უმაღლეს წერტილს მიაღწიოს ფინანსურმა კრიზისმა, რაც აგრეთვე გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას.

**ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი:**

შედარებით მშვიდი პერიოდია ნოემბრის პირველი ნახევრისა და დეკემბრის მეორე ნახევრის გამოკლებით, როდესაც დედამიწა კვლავ ნეგატიური რეზონანსული ენერგიების ზეგავლენას განიცდის. ეს ყოველივე კი განაპირობებს აქტიურობის შემცირებას, დაავადებების (მათ შორის უცნაური დაავადებების) მატებას, ეპიდემიებს, სხვადასხვა პრობლემების გაზრდას ადამიანთა ცხოვრებაში, ფსიქოლოგიურ სტრესებს, რაც განსაკუთრებით გამახვილდება დეკემბრის მეორე ნახევარში პლანეტების აღლუმის, ანუ მათი ენერგიების შეერთებისა და დედამიწაზე ნეგატიური ზეგავლენის შედეგად. ცის კაბადონზე პლანეტების აღლუმი, პლანეტა ნიბირუს მოახლოება გამოიწვევს არასტაბილურობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ კავშირებსა და ურთიერთობებში, მათ შორის ცალკეულ ქვეყნებს შორისაც. ასევე გამოიწვევს ატმოსფერულ ცვლილებებსა და ანომალიურ მოვლენებს, ეკოლოგიურ კატასტროფებს, მაგრამ უკვე არა იმდენად რთულს. ასევე ეს პერიოდი ხელს უწყობს აზროვნების ტრანსფორმაციას და ახალი 60-წლიანი, უფრო სასიკეთო ცვლილებების პერიოდის დაწყებას კაცობრიობის ისტორიაში.

**თამუნა ქადაგიძე**

# vin daexmareba saxelmwifosgan mitovebul lukas, maTes da ioanes?



„ოჯახი რომ შევქმენით მე და ჩემმა მეუღლემ ჩემს მშობლებთან ვცხოვრობდით, მაგრამ შემდეგ ჩემს ძმას ისეთი დაავადება დაემართა, რომელიც გადამდები და საშიში იყო პატარების ჯანმრთელობისთვის. ერთმა მადლიანმა კაცმა აქ, სოფელ გლდანში სახლი გვათხოვა და გადმოვედით. თუმცა შენობა სახლს საერთოდ არ ჰგავდა, მიტოვებული ნაგებობა იყო, გავასუფთავეთ, კარები ჩავსვით, ფანჯრებიც. თუმცა ხომ ხედავთ, იატაკი არ აქვს, პირდაპირ მიწაზე ვცხოვრობთ, წვიმის დროს ჭერიდან წყალი ჩამოგვდის, სახლის უკან რომ არხია, წვიმაში იმ არხიდან იმხელა წყალი მოდის სახლში შემოგვდის. მუხლამდე წყალში ვდგავარ ხოლმე და ბავშვები ხელში მიჭირავს. ამ არხის წყალმა შარშან გაზაფხულზე ბავშვი წამართვა, მე და ჩემმა მეეუღლემ ძლივს ამოვიყვანეთ გაქანებული ნიაღვრიდნ. ნაგავი, გველები, სიბინძურე მოაქვს წყალს და ამ პატარა ეზოში გროვდება“. — საქართველოს სინამდვილისთვის ამ ჩვეულებრივ ამბავს სამი ბიჭის ახალგაზრდა დედა ნატო მეკოკიშვილი ჰყვება. და მისი გაჭირვება უკვე წლებია გრძელდება. სოფელი, სადაც ნატო მეკოკიშვილი სამ მცირეწლოვან და ავადმყოფთან ქმართან ერთად ცხოვრობს ქალაქის გარეუბანში, თითქოს ყველასგან მიტოვებულია. ახლომახლო არაა არც სამედიცინო დახმარების დაწესებულება, არც აფთიაქი, არც მაღაზია, არ არის წყალი. ნატო წყლისთვის ნახევარ კილომეტრზე დადის ბავშვებთან ერთად. პატარებს უმეთვალყურეოდ მარტო ვერ ტოვებს.

„ჩემ ქმარს ყური ჩირქით აქვს სავსე, მთელი ორგანიზმი ეწამლება და საშინელი ტკივილებით იტანჯება, უმწეოთა პოლისი გვაქვს, მაგრამ გზის ფული და ტანსაცმელიც არ გვაქვს, ქალაქში გავიდეთ და ექიმი აქ ხომ არ მოგვაკითხავს? ვინმემ ცოტაოდენი ფული თუ გვწყალობა, კაპიკებს ვუზოგებ ბავშვებს, პური რომ ვუყიდოთ.

რითი ვიკვებებით?

იმით, ვინმე რამეს თუ გვიწყალობებს. დედა ვარ, შვილებისთვის ყველაფერს გავაკეთებდი, ვინმეს მოსამსახურედ დავუდგებოდი, მაგრამ ჯერ პატარები არიან, ვის დავუტოვო? თანაც მარჯვენა მკერდზე საეჭვო დიაგნოზი დამისვეს და ხელს ველარ ვამოძრავებ“, — აგრძელებს ნატო.

იოანე, ლუკა და მათე — სამი და ოთხი წლისა არიან, ისინი საქართველოს მოქალაქეებად ითვლებიან, მაგრამ ეს პატარები დღეს არავის სჭირდება. ტანსაცმელი არ აქვთ, რომ საბავშვო ბაღში იარონ, როგორც ქალბატონი ნატო ამბობს, შეიძლება, სკოლაშიც ვერ ატაროს: სკოლა გლდანშია და სწავლაც ხარჯებთანაა დაკავშირებული, — ამბობს ის.

— პრეზიდენტისთვის რომ ხმა მიმეწვდინა, იქნება დაგვეხმარებოდა, — ნატრობს ქალბატონი ნატო და თავს ხრის, დამნაშავესავით თავის ხელებს დაჰყურებს. სახელმწიფოსგან ჯანდაცვის პოლისის გარდა არავითარ დახმარებას არ იღებს, მაგრამ ის საქართველოს სახელმწიფოს მაინც ეხმარება — სამ ქართველს ზრდის გაჭირვებით ქვეყნის მომავლისთვის.



— „ქვეყანა ალბათ გაძლიერდება, სულ ასე ხომ არ იქნება, მერე ჩვენთვისაც მოიცლის ვინმე, მოგვხედავენ, — იმედს არ ჰკარგავს ნატო და გულში იკრავს იოანეს, ლუკა ფეხებზე ეხვევა. ჭიშკრამდე ველარ მაცილებს, ქარია, ბავშვებს ქუდი არ აქვთ...

იღბალის იმედად ვტოვებ ამ პატარა ოჯახს და ვხვდები, რომ ნატო მომავალს ჩემზე უფრო იმედიანად უყურებს...

**ანა ვადაჭკორია**

# aRsasrulis win, rogorc hitlerma gaswira germania, ise wiravs saakaSvili saqarTvelos

*21 მარტს, პარლამენტის მიერ განხილულმა ახალმა კანონპროექტმა, მოსახლეობის დიდი ნაწილი აღაშფოთა.*

*საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით, „მწვანეთა პარტიის“ ლიდერს ბატონ **გია გაჩეჩილაძეს***

**— ბატონო გია, ვიდრე ძირითად საკითხზე ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ახალ კანონპროექტზე ვისაუბრებდეთ, მინდა გკითხოთ, როგორ დღეს უკვე, ყველაფერი რაც იყო დაფარული — გახდა ღია. ამიტომაც პირდაპირ აფიქსირებს სააკაშვილი ყველაფერს.** როგორც კი აშშ-დან ობამასთან შეხვედრის შემდეგ ის ქვეყანაში დაბრუნდა, ღიად გაუხსნა. გზა და უვიზო რეჟიმი დაამკვიდრა რუსეთის საზღვრებზე, ამით რუსეთის სამხედრო კონტინგენტს გაუხსნეს გზა სომხეთში რუსეთის ბაზისკენ. ეს არის ყველაზე დიდი ბაზა რეგიონში.



**— რატომ არ მოხდა რუსეთის მხრიდანაც უვიზო რეჟიმის შემოღება, ის ხომ ცალმხრივია...**

— იმიტომ, რომ ფორმალურად მოხდეს დაძაბულობის შენარჩუნება, ეს არის სტრატეგიული გეგმა. დიდი პროექტები რომ ვერ განახორციელოს ევროპამ კავკასიის რეგიონში, მუდმივად უნდა არსებობდეს ჩვენსა და რუსეთს შორის დაძაბულობა — ეს ხორციელდება კიდეც. ასევე, ეტყობათ რომ მიუხედავად ყველაფრისა, ნაციონალები საკმაოდ შეშინებულები არიან, ეს იქიდანაც ჩანს, რომ კონსტიტუციის შეცვლას თუ ადრე პარლამენტის ორი მესამედი ხმა სჭირდებოდათ ახლა სამ მეოთხედზე აიყვანეს ეს მონაცემი.

ამ ყველაფრიდან ჩანს, რომ სააკაშვილი ფაქტობრივად წასულია ხელისუფლებიდან, მაგრამ როგორც ჰიტლერი იბრძოდა ბოლომდე და მისი ბოლო ბრძანება იყო ის, რომ ბერლინი მიწასთან გაესწორებინათ, ასევე სურს მას. ამას უკავშირდება ასევე, დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებული არაფორმალური სამხედრო გაერთიანებების შექმნა. ***ის ყველაფერზე წავა, ნებისმიერ უბედურებას ჩაიდენს. და თუ ეს მოხდა, ყველა ის ადამიანი დაისჯება, ვინც 2003 წლის ბოლოს მასთან ერთად მოვიდა ქვეყნის სათავეში.*** დაისჯებიან იმიტომ, რომ იცოდნენ, რომ ის ასეთი ფსიქოპათი იყო და მაინც გვერდით დაუდგნენ. მე მაშინაც ვიცოდი ის ვინ იყო და როდესაც მაშინ მკითხეს ჩემი აზრი მასზე, როგორც პიროვნებზე, ასე ვთქვი და დღესაც ამ აზრზე ვარ: **ის არის გარედან, იმპორტირებული ბანდეროლი, რომელიც ბრჭყვიალა ქაღალდშია შეხვეული, მაგრამ შიგნით უხარისხო პროდუქტია „შეფუთული“.**

**— რა მოხდა 21 მარტს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე?**

— 21 მარტს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ენერგეტკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილემ, **ქალბატონმა ნინო ენუქიძემ** ახალი კანონის **„ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ —** განხილვისას თავის გამოსვლაში მოქმედი 1998 წლის კანონის გაუქმებისა და ახლის მიღების შესახებ აუცილებლობის დასადასტურებლად მოიყვანა ერთადერთი არგუმენტი, თითქოს ძველი კანონით საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული იყო რადიაქტიური ნარჩვენების იმპორტი, ექსპორტი და ტრანზიტი, რაც სრული სიცრუეა, რადგან 1998 წლის კანონის ორი მუხლით — პირდაპირ აკრძალულია რადიაქტიური ნარჩენების ტრანზიტი „ექსპორტი რეექსპორტი და იმპორტი ***„მუხლი 5: საქართველოს ტერიტორიაზე იკრძალება რადიაქტიური ნარჩენების შემოტანა გადამუშავება ნებისმიერი მიზნით. ასევეა 41 მუხლითაც: „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იკრძალება ყოველგვარი რადიაქტიური ნარჩენების ტრანზიტი, ექსპორტი, რეექსპორტი და იმპორტი ნებისმიერი მიზნით?***

— ეს ყველაფერი ნინო ენუქიძემ დამალა იმიტომ, რომ ახალი კანონი შემოიღონ ახალი ნორმების გადასაფარავად. ჩვენ ვეკითხებით ქალბატონ ენუქიძეს, რატომ არ იკრძალება „ახალი“ კანონით ძველისაგან განსხვავებით საქართველოს ტერიტორიაზე:

***1. ბირთვული ობიექტების, მათ შორის ატომური სადგურების მშენებლობა?***

***2. რადიაქტიური ნარჩენების რეექსპორტი?***

***3. ბირთვული იარაღის, ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობათა ექსპორტი, იმპორტი, ტრანზიტი და რეექსპორტი?***

საქართველოს „მწვანეთა პარტია“ აცხადებს, რომ სეისმურად აქტიურ და პოლიტიკურად დაძაბულ რეგიონში ატომური სადგურების მშენებლობა და საქართველოს ბირთვული ტექნოლოგიების სატრანზიტო კორიდორად ***გადაქცევა არის როგორც საქართველოს, ასევე რეგიონის ეკოლოგიური და პოლიტიკური უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ქმედება.***

***ამიტომ, დებატებში ვიწვევთ „ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების“ მინისტრს ნებისმიერი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში!***

სამწუხაროა, რომ პარლამენტმა დაიწყო ამ კანონის დაჩქარებული წესით განხილვა. ***ეს კანონპროექტი წარმოადგენს მცდელობას, რომ საქართველო გადააქციოს ბირთვული ობიექტების მშენებლობის პოლიგონად და ბირთვული ტექნოლოგიების სატრანზიტო დერეფნად.***

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ გრძელდება საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, რაც შეიძლება მეტი საფრთხე შეუქმნას ქვეყანას და რეგიონს. ამის მცდელობა იყო ჯერ კიდევ 2007 წელს, როდესაც საფრანგეთში ვიზიტის დროს, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ინიცირებული იქნა საქართველოში რეგიონული მასშტაბის ატომური სადგურის მშენებლობის საკითხი. თუმცა, „მწვანე პარტიისა“ და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ძალისხმევით — ეს პროექტი ვერ განხორციელდა!

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ***სეისმურად აქტიურ და პოლიტიკურად დაძაბულ რეგიონში ატომური სადგურების მშენებლობა და საქართველოს ბირთვული ტექნოლოგიების სატრანზიტო კორიდორად გადაქცევა არის როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე, რეგიონის ეკოლოგიური და პოლიტიკურ უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ქმედება,*** ამიტომ პროტესტს ვაცხადებთ ქვეყნისა და მოსახლეობისათვის დიდი საფრთხის შემცველი, გაუაზრებელი და სრულიად არაადექვატური საკითხის განხილვასთან დაკავშირებით.

***ამიტომ მოვითხოვთ, შეჩერდეს აღნიშნული კანონპროექტის განხილვა! მივმართავთ „გაეროს“ აშშ-ს, ევროკავშირის წარმომადგენლებს საქართველოში, — როგორ ეთანადება ამ კანონპროექტის სულისკვეთება თქვენს მიერ რეგიონის ზოგიერთი ქვეყნებისადმი გატარებულ ანტიბირთვული პოლიტიკას და ბირთვული ტექნოლოლოგიების აკრძალვას? — იქნებ გაგვცენ დიპლომატებმა ამაზე პასუხი!***

**შეაფასებდით პრეზიდენტ სააკაშვილის ბოლოდროინდელ რადიკალურ შემობრუნებას რუსეთისკენ.**

— მე ეს ყველაფერი ერთ მნიშვნელოვან რამეს მახსენებს, კერძოდ, 1942-43 წლებში, აშშ-ში შეიქმნა საბჭო, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, რომელთაც დადეს უმნიშვნელოვანესი შრომა, ადოლფ ჰიტლერის ფსიქოტიპთან დაკავშირებით. მეცნიერებს ჰქონდათ ასევე პროგნოზებიც, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ მოიქცეოდა ჰიტლერი მძიმე შემთხვევაში და როგორ დაამთავრებდა ის, სავარაუდოდ თავის სიცოცხლეს. ის იყო მხდალი და ფიზიკურად სუსტი პიროვნება. მისი ძირითადი პრობლემა იყო ის, რომ ყველასათვის ღიად არ გამოვლენილიყო მისი პიროვნება და არ შეეცნოთ ის.

სწორედ მსგავს სიტუაციასთან გვაქვს საქმე სააკაშვილის შემთხვევაშიც. ყველამ იცის, რომ ის არის მხდალი და არაადეკვატური პიროვნება და აქვს ჰიტლერივით უდიდესი შიში, რომ ყველამ არ შეიცნოს მისი ნამდვილი სახე. **როგორც ჰიტლერმა დააყენა თავისი სამშობლო საფრთხის წინაშე, ასეა ჩვენს შემთხვევაშიც. ამ ხელისუფლების დარჩენის შემთხვევაში საქართველოს ყოფნა არ უწერია!**

პირველად, როგორც კი მოვიდნენ ნაციონალები ქვეყნის სათავეში, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ქართველ კაცს სამშობლოში არ ეგრძნო თავი დაცულად და უსაფრთხოდ. სამშობლოში ხომ ყველაზე პერსპექტიულად უნდა იგრძნოს ადამიანმა თავი — ჩვენთან კი პირიქით ხდება. სხვაგან ეძებენ ნიჭიერი ადამიანები თავისი თავის რეალიზებას აქ ეს შეუძლებელიია.

პირველი დარტყმა იმიტომ მიიტანეს აგრარულ სექტორზე და რეგიონებზე, რომ იქ ქართული სული, ეროვნული მენტალიტეტი ჯერ კიდევ შენარჩუნებული ძლიერად იყო. სწორედ ამიტომ პირველ რიგში მათ მოუსპეს არსებობის საშუალება, უიმედო მდგომარეობამდე მიიყვანეს, ფსიქოლოგიურად დათრგუნეს. მიაღწიეს იმას, რომ სოფლები დაცალეს!

**ყველამ უნდა გაიგოს, საქართველო გააქვთ აუქციონზე, სჯობია, რომ საქართველო რუსეთის საზღვარზე დაკიდონ აბრა — „მიმდინარეობს საქართველოს ლიკვიდაცია“!**

**იყიდება ყველაფერი მეათედ ფასში!**

**ეთერ კასრელიშვილი**

# facebook

# xalxis azriT

უსულგულო ნაბიჭვრებით გაავსეს სახელმწიფო სტრუქტურები, კანონის დაცვის საბაბით ფეხქვეშ თელავენ სითბოს, ადამიანურ ურთიერთობებს, შემწყნარებლობას!!!

ტრაკში ამოისვევ ყველაფერი ღირებული, რაც ჩემს ერს გააჩნდა და რითიც მეამაყებოდა ქართველობა!

ღმერთმა ჰქნას თქვენს შვილებსაც ეგეთი ცივი სიფათები ჰქონდეთ მშობლების დანახვაზე და ისეთივე უსულგულო დამოკიდებულება თქვენს მიმართ როგორ თქვენ ექცევით ჩემს თანამოქალაქეებს!!!

ყველას, რიგითი პოლიციელიდან და იმ არქიფო სეთურით დამთავრებული ჰავლაბარში რომაა მოკალათებული, ყველას გეხებათ!!!!

წინ გაიხედეთ, თორე თქვენს შვილებს ხელებს დაუკოცნი, როცა სახლიდან აგაჩათლახებენ და მოხუცებულთა თავშესაფარში მიგაბარებენ!!!!!

რაცხა ძაან მოდაში ვართ, აი... სამტრედიელებზე ვამბობ... ჭიაბერაშვილი გუშინწინ იყო... დღეს ფინანსთა მინისტრი ყოფილა ჩამოსული... არა რა, ევროპა ჩვენგან იწყება... ევროპა ეს ჩვენ ვართ... სამტრედიელები ყველაზე ძველი ევროპელები... ხვალ-ზეგ მსოფლიოში ყველაზე ძველი ველოსაპეტის ერთ ბორბალს და ორ ზაპასნოი პაკრიშკას აღმოაჩენენ, აგერ ნახეთ თუ არა.

ეს არ არის მოდა! დაზუსტებული ინფორმაციით, მთავარსარდალი სამტრედიაში აპირებს გენშტაბის გადმოტანას, რადგან ქუთაისელებს ბოლომდე არ ენდობა!

მართალია, საქართველოს გაერთიანება ვერ მოხერხდა, მაგრამ სამაგიეროდ, კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია და თეატრალური უნივერსიტეტი შეუერთდებიან ერთმანეთს.

ეს მაღლა ამხტარი ბალერინა არ გეგონოთ, ის ბალერინას მომყოლი - კერძოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამარცხვინო მინისტრი გრიშა ვაშაძე-ანანიაშვილისაა.. შევარცხვინე ის ქვეყანა, ვისაც ასეთი არადიპლომატი საგარეო საქმეთა მინისტრი ეყოლება... უსმინეთ გრიგოლის დიპლომატიურ მარგალიტებს: “რიჩარდ ნორლანდის სიტყვებს ჯერჯერობით არანაირი პოლიტიკური დატვირთვა არ აქვთ...” :))))) ჰაჰაჰაჰაჰ :)))) აი, ეს კაცი ეძახის ირაკლი ალასანიას მიერ მოყვანილ ფაქტებს, შიზოფრენიულ ნაბოდვარს... გრიგორი!!! მიშაში ხომ არ შეგეშალა, ირაკლი? ეტობა, ხშირად გიფიქრია მიშას გამონათქვამებზე, რომ შიზოფრენიკის ნაბოდვარია და ეხლა უნებურად ირაკლის დასწამე იგივე... დაახტი მიწას, გრიგორი... აწი, შენ ზევით ველარ აიჭრები... შენ თუ დიპლომატი ხარ, მაშინ კობა ხაბაზი მარიუს პეტიპაა :)

ბევრი ვიცინე და მინდა თქვენც გაგაცინოთ... გაიგეთ, ხალხო, რა უთქვამს შოთიკო მალაშხიას? ... ივანიშვილები ვერ მოვლენ, ტყუილად ნუ გამოყოფს თანხებს პუწინიო.



# „სველი“ ღამეები

პატარა ბავშვებში შარდის შეუკავებლობა, როგორც დღისით ისე ღამით თითქოს ჩვეულებრივი რამ არის, მაგრამ როდესაც ისინი მოიზრდებიან და გარკვეულ ასაკობრივ ზღვარს გადააბიჯებენ, ღამით, ძილში შარდვას კი კვლავ აგრძელებენ, ეს უკვე არანორმალურია. ამიტომ გოგონებში – 4 წლის, ხოლო ვაჟებში 5 წლის შემდეგ შარდის შეუკავებლობას სპეციალისტები როგორც კონკრეტულ დაავადებას ისე განიხილავენ და მას ღამით შარდის შეუკავებლობას, ანუ ღამის ენურეზს უწოდებენ.

სტატისტიკური მონაცემებით, „სველი ღამეები“ 5 წლის ასაკში მოსახლეობის 14 პროცენტს, 7 წლის ასაკში – 7, ხოლო 14 წლის ასაკში – 2 პროცენტს ახასიათებს. რაც შეეხება მოზრდილებს, შარდის შეუკავებლობა მთელი მოსახლეობის 0,5 პროცენტის ხვედრი ყოფილა, ანუ თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ პატარების გარდა, ენურეზი მოზრდილთა მთელი არმიის პრობლემაც ყოფილა.

ცნობილია პირველადი და მეორადი ენურეზი.

დაავადება პირველადია, როდესაც შარდის შეუკავებლობა ვლინდება მხოლოდ ღამით, ძილში, ისიც იმიტომ, რომ პატარას ვერ ეღვიძება შარდის ბუშტის ავსებისას;

მეორადია ენურეზი, როდესაც თანდაყოლილი ან ცხოვრების მანძილზე შეძენილ დაავადებათა გამო, ბავშვი შარდს ვერ იკავებს როგორც დღისით, ისე ღამით, როგორც ძილში, ისე ფხიზლად ყოფნისას.

**ღამით შარდის შეუკავებლობის ხელშემწყობი ფაქტორებია:**

**ნერვული** – ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფაქტორია, რაც ნერვული სისტემისა და შარდის ბუშტის გარკვეულწილად მოუმწიფებელ და შეუთანხმებელ მუშაობაში ვლინდება, ამ ფაქტორის არსებობისას „გადამცემი მოწყობილობები“, რომლებმაც ტვინამდე უნდა მიიტანოს ინფორმაცია – შარდის ბუშტი სავსეა და დროა მისმა მფლობელმა მოსაშარდად გაიღვიძოს, მწყობრიდან არის გამოსული და ვერ ახერხებს დაკისრებულ მოვალეობათა დროულად და ხარისხიან შესრულებას;



**ინფექციური** – შარდის შეუკავებლობა ზოგჯერ შარდ-სასქესო სისტემის ინფექციებს უკავშირდება;

**ორგანული** – ეს ფაქტორი საშარდე სისტემის თანდაყოლილ დეფექტებს გულისხმობს, როცა სტრუქტურულ-ფუნქციური მანკების (სფინქტერის მოდუნება, კუნთოვანი აპარატის სპაზმი და სხვა) გამო დარღვეულია შარდის გამოყოფის პროცესები;

**ფსიქოლოგიური** – ხშირად პატარა ასაკში შარდის შეუკავებლობა გადატანილ სტრესულ სიტუაციებს, საკონტროლო წერას, მშობლებთან კონფლიქტსა თუ სხვა მწვავე მოვლენებს უკავშირდება.

**როგორ ვუშველოთ?**

მედიკამენტური მკურნალობა ძირითადად ორი სახის პრეპარატით ტარდება, რომელთაგანაც პირველი – ბავშვს უკეთ და ღრმად დაძინებაში ეხმარება და ამავდროულად აუმჯობესებს შარდის ბუშტსა და ტვინს შორის შეთანხმებულ მუშაობას, მეორე პრეპტარატი კი უშუალოდ შარდწარმომქმნელ პროცესთა კორექციას ისახავს მიზნად.

გახსოვდეთ: მედიკამენტური მკურნალობა მხოლოდ დროებითი დამხმარე საშუალებაა. თუ გსურთ, რომ გარკვეულ ასაკამდე თქვენი შვილი ამ „უხერხულ“ ჩვევას გადააჩვიოთ, უნდა ასწავლოთ შარდის გამოყოფის კონტროლი, მხოლოდ და მხოლოდ ასე თუ შეძლებთ სასურველი შედეგის მიღწევას.

**გაითვალისწინეთ!**

შარდის ფუნქციური შეუკავებლობისას მკურნალობის პროცესში ძალიან დიდია მშობელთა როლი, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ბავშვს გარეთა სასქესო ორგანოების პირადი ჰიგიენის წესები ასწავლოთ, არ არის აუცილებელი ხშირად შეახსენოთ ტუალეტში შესვლის თაობაზე, რადგან ეს მასში კიდევ უფრო მეტ ნეგატიურ ემოციას იწვევს;

ხშირად მშობლები ბავშვებს ძალით აღვიძებენ და საჭირო ოთახში წასვლას აიძულებენ. თუ თქვენ ახერხებთ პატარას სრულ გამოღვიძებას, მაშინ ასეთი რამ კიდევ დაშვებულია, მაგრამ თუ პატარა ნახევრადმძინარე მიგყავთ ტუალეტში, ამით მის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებთ, რადგან ფიზიოლოგიურად გამოუღვიძებელი ბავშვის ძალით ტუალეტში შეყვანა, მხოლოდ და მხოლოდ ამყარებს მასში ენურეზის გამომწვევ მექანიზმს;

რამდენადაც შესაძლებელია, მიაჩვიეთ ბავშვი, საღამოს და ძილის წინ შეზღუდოს სითხის მიღება. ზოგიერთნი ამას უპრობლემოდ ახერხებენ, ზოგიერთს კი ძალიან უჭირს, თუ ასეთი რამ პატარას გაუძნელდება, უმჯობესია მას თავი დაანებოთ, რადგან ზედმეტი გაღიზიანება მხოლოდ და მხოლოდ დამძიმებს მის მდგომარეობას;

ნურასოდეს დასჯით ბავშვს იმისთვის, რომ ღამით საწოლში მოშარდა, განსაკუთრებით ნუ ჩაიდენთ ამას სხვების თვალწინ, პატარა საკუთარ მდგომარეობაზე თქვენზე ნაკლებად როდი წუხს;

ბავშვის მდგომარეობის შესახებ აუცილებლად უნდა აცნობოთ საბავშვო ბაღის აღმზრდელსა თუ დაწყებითი კლასის დამრიგებელს, რათა სურვილის გამოთქმისთანავე გაუშვან ბავშვი საჭირო ოთახში;

ნუ აუკრძალავთ მას ლაშქრობებში, ექსკურსიებზე თუ დასასვენებელ ბანაკებში წასვლას, რადგან, როგორც ცნობილია, სახლიდან მოშორებით „სველი ღამეების“ რაოდენობა საგრძნობლად მცირდება.

ნუ დაიზარებთ და ყოველი „მშრალი ღამის“ შემდეგ შეაქეთ შვილი, ტკბილი სიტყვებით, ალერსითა და კოცნით წაახალისეთ;

და ბოლოს, ყველაზე მთავარი: ვიდრე ამ რეკომენდაციათა შესრულებას შეუდგებოდეთ, აუცილებლად ეწვიეთ ექიმს და აჩვენეთ ბავშვი სპეციალისტს.

# ტვინზე იერიშის დროს

გაინტერესებთ, სად გაქრა უწინდელი ენთუზიაზმი და რატომ იქცა საყვარელი სამსახური სასჯელად? გიჭირთ ინტერესდაკარგულ სამსახურში ყოფნა და ერთი სული გაქვთ, სწრაფად დასრულდეს სამუშაო დღე?

სპეციალისტები ამის რამდენიმე მიზეზს ასახელებენ: 1. სამსახური აღარ გაკმაყოფილებთ; 2. ამჩნევთ, რომ ისე არ გაფასებენ, როგორც საჭიროა; 3. უბრალოდ, გადაიღალეთ და მეტი აღარ შეგიძლიათ.

თუ მდგომარეობის გამოცვლის პერსპექტივა გაქვთ, ამას არაფერი სჯობს, მაგრამ თუ ასეთი რამ, ჯერჯერობით, შეუძლებელია, გირჩევთ, ვიდრე ახალ საქმეს ხელს მოჰკიდებდეთ, კარგად დაისვენოთ და გადაწყვეტილება ისე მიიღოთ; ამასთან გახსოვდეთ: ადამიანი ისე შრომობს, როგორც მისი ტვინი, რომლის შრომის უნარსაც პირდაპირ ჩვენი საკვები განსაზღვრავს.

ასე რომ, გთავაზობთ მენიუს, რომელიც ყველა იმ პრობლების გადაჭრაში დაგეხმარებათ, რომლებიც გონებრივი თუ ფიზიკური გადაქანცვის გამო სამსახურში იჩენს თავს.

**მენიუ ტვინისათვის**

ტვინს განსაკუთრებით უყვარს შემდეგი ათი ნივთიერება: გლუკოზა, რკინა, C, $B_2$ და $B_{12}$ ვიტამინები, ლეციტინი, კალციუმი, მაგნიუმი და კალიუმი.

შესაბამისად, მენიუ ტვინისთვის სწორედ მათი დიდი შემცველობის მქონე პროდუქტებით უნდა იყოს გაჯერებული.

**რკინა** – ის ტვინს ყურადღების კონცენტრაციასა და ემოციური წონასწორობის შენარჩუნებაში ეხმარება, ამიტომ საპასუხისმგებლო შეხვედრის წინ, ტონუსის გასაძლიერებლად, კარგი იქნება, თუ მწიფე ბროწეულს, ორ ცალ მწვანე ვაშლს, ან რკინით მდიდარ შავი პურის რამდენიმე ნაჭერს მიირთმევთ;



ინფორმაციის – დიდი რაოდენობით ახალი ამბების დამახსოვრებაში სტაფილო, ანანასი და ავოკადო დაგეხმარებათ.

გამოცდისთვის ემზადებით? – მიირთვით ზეითუნის ზეთით შეზავებული სტაფილოს სალათი (სტაფილოში არსებული კაროტინი გაცილებით უკეთ შეიწოვება მცენარეულ ცხიმებთან ერთად) ან დაკონსერვებული ანანასის კომპოტი და თავადაც დარწმუნდებით, რომ განცდილი სიამოვნებისთვის ტვინი არავის რჩება ვალში;

**გლუკოზა** – თუ სამსახურში ძლიერ იტვირთებით, დღის ბოლოს კი თავში აბსოლუტურ სიცარიელს გრძნობთ და ხვდებით, ერთ ციფრსაც კი ველარ დაიხსომებთ, სწორედ რომ ტვინის გლუკოზით მომარაგების დრო დამდგარა. ის ადამიანის ნერვული უჯრედების – ნეირონებისთვის ენერგიის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს და ამასთან, ტვინს მეტად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებაშიც ეხმარება.

რაფინირებული ნახშირწყლებიდან მიღებული გლუკოზა (ნამცხვარი, თეთრი პური, შოკოლადი) სისხლში სწრაფად ხვდება, მაგრამ შაქრის კონცენტრაცია ასევე სწრაფადვე კლებულობს. იმავეს ვერ ვიტყვით ჭარბად „ტკბილ“ კალორიებზე, რომლებიც საკმაოდ დიდი ხნით იდებენ ბინას ჩვენს წელსა და თეძოებზე, ასე რომ, ორგანიზმის გლუკოზით შევსებისას, უმჯობესია, უპირატესობა ხილსა და ბოსტნეულში არსებულ პოლისაქარიდებს მიანიჭოთ.

**გაგეფანტათ ყურადღება და ვერაფრით ახერხებთ მობილიზებას?**

აზრების ერთ კონად შეკვრა ქოლინს შეუძლია. ეს ცხიმისმაგვარი ნივთიერებაა, ლეციტინის ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც ხელს უწყობს ტვინის სხვადასხვა ნაწილს შორის მჭიდრო და დროულ ურთიერთკავშირს.

ქოლინის დიდი ბუნებრივი შემცველობით გამოირჩევა: კვერცხის გული, საქონლისა და ღორის ღვიძლი, თირკმელი, აფთიაქში კი შეგიძლიათ ლეციტინის შემცველი ვიტამინების კომპლექსი შეიძინოთ.

სხეულის მობილიზებასა და მართებულ გადაწყვეტილებათა მიღებაში დიდია C ვიტამინის როლიც, რომელიც ყველაზე უკეთ წმენდს ტვინის სისხლძარღვებს.

ერთი გრეიფრუტი ან ორი ფორთოხალი მთელი დღის მანძილზე გაგიუმჯობესებთ თავის ტვინში სისხლის მიმოქცევას.

ახალი ინფორმაციის აღქმაში გვეხმარება ბ ჯგუფის ვიტამინებით მდიდარი ზოგიერთი პროდუქტიც, ამიტომ ვიდრე უცხო ენების შემსწავლელ კურსებზე წახვალთ, არ გაწყენდათ მოლუსკებისა და კიბორჩხალას სალათი, ლექციებს შორის შესვენებებზე კი – თხილი და კაკალი.

აზროვნების ფუნქციას აუმჯობესებს და აახლებს კალიუმი და კალციუმი.

განსაკუთრებით დაძაბული დღის წინ საუზმეზე აუცილებლად მიირთვით რამდენიმე ნაჭერი ყველი და პომიდორი, სამსახურში კი თან გაიყოლეთ ცოტაოდენი ხაჭო, გარგრისა და შავი ქლიავის ჩირი.

ტვინის აქტივობას ზრდის სანელებლებიც.

ქონდარი და კვლიავი აქტიურებს მეხსიერებას, შავი პილპილი და უცხო სუნელი კი, აუმჯობესებს სისხლის მომოქცევას და წინ ეღობება სპაზმებს.

ადამიანის თავის ტვინი მთელი სხეულის წონის მხოლოდ 2-3 პროცენტს შეადგენს, არადა, საკვებისგან მიღებული მთელი ენერგიის 20 პროცენტს ის მოიხმარს, ამიტომაცაა, რომ გადაღლისას და ენერგიის დეფიციტისას, ორგანიზმს სწორედ ის საკვები უნდა მიეწოდოს, რომელიც განსაკუთრებით ჩვენს „უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოს“ უყვარს.

**გვერდი მოამზადა**
**ზვიად ლონდაძე**

# მსოფლიო პრესის მიხედვით

## ruseTis kavkasia sadacaa afeTqdeba, putinski strategia ar gaaCnia



პრეზიდენტობის მესამე ვადის განმავლობაში პუტინი იძულებული იქნება, გადახედოს რეგიონის პრობლემების მოგვარების არსებულ მიდგომას. თუმცა. ისეთი პირი უჩანს, რუსეთი კვლავ არაშორსმჭვრეტელურ პოლიტიკას გააგრძელებს, რაც გულისხმობს ადგილობრივი ელიტისა და პუტინის სისტემის შეთქმულებას, წერს გაზეთ ჩორრიერე დელლა შერა-ს მიმომხილველი.

„4 მარტის არჩევნებში გამარჯვების მიუხედავად, პუტინი, წინა ორი ვადის მსგავსად, ვეღარ შეძლებს რუსეთი „მაგარი მუშტის“ დახმარებით აკონტროლოს. ახალ პრეზიდენტს, სურს თუ არა მას, მოუწევს მნიშვნელოვანი რეფორმები ჩაატაროს ხელისუფლების იმ სისტემის შესაცვლელად, რომლის გამოც ოპოზიცია დაუნდობლად აკრიტიკებს მას.

ერთ-ერთი რეგიონი, სადაც პრობლემების მოგვარების ახლებური მიდგომაა საჭირო, ჩრდილოეთ კავკასიაა – უკიდურესად არასტაბილური რეგიონი. მას რეჟიმი მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ ელიტასთან ურღვევი ალიანსის მეშვეობით მართავს. მოსკოვს ახალი პოლიტიკა სჭირდება ბევრ საკითხში, რომელთა შორის ჩრდილოეთ კავკასია პუტინის მესამე მანდატის ერთ-ერთი ცენტრალური თემა იქნება.

გავიხსენოთ კავკასიის დოქტრინა, რომელიც რუსეთის პრემიერ-მინისტრს ეკუთვნოდა: ეკონომიკური ზრდა, ინვესტიციები, დასაქმება, ტურიზმი, დიალოგი, რეგიონის იმიჯის გაუმჯობესება, ახალგაზრდული პოლიტიკა, ჯანდაცვა... პუტინის აზრით, რეგიონს გააჩნია პოტენციალი, გახდეს დერეფანი, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს: რუსეთს, ევროპას, სპარსეთის ყურეს და ცენტრალურ აზიას. გარდა ამისა, პუტინი აპირებს, დაღესტანი კასპიის მთავარ კომერციულ პუნქტად აქციოს.

„თუმცა ამ ტერიტორიაზე მანევრებისთვის პუტინს შეზღუდული სივრცე გააჩნია. ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული მეფის ძალაუფლება – ეს არის ადგილობრივ მმართველ ელიტასთან ერთგვარი სიმბიოზი“, – წერს მიმომხილველი. მეფეს სხვა გზა არ დარჩენია, გარდა ერთისა – ეს არის რეგიონის ხელახალი მილიტარიზაცია“.

ჩრდილოეთ კავკასიაში ძალადობის დონე არ მცირდება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მდგომარეობის შენარჩუნება უაღრესად ფეთქებადსაშიშია, პუტინი, როგორც ჩანს, არ აპირებს სტრატეგიის შეცვლას. არ არის გამორიცხული (ასეთი პირიც უჩანს), პუტინის ახალმა გადაწყვეტილებებმა მიღწეული წარმატებები არად აქციოს. მაგალითად, პრეზიდენტი აპირებს, ინგუშეთის ხელმძღვანელად დააბრუნოს მურატ ზიაზიკოვი... არადა, ბოლო 4 წელიწადია, რესპუბლიკას მართავს იუნუს-ბექა ევკუროვი, რომლის სახელსაც ეკონომიკური წინსვლა და წესრიგის დამყარება უკავშირდება. ზიაზიკოვის შესაძლო დაბრუნება მართლაც იქნება დაბრუნება ბნელ დროში, როცა უშიშროების ძალები აპატიმრებდნენ და კლავდნენ ყველას, ვისზეც არსებობდა სეპარატისტებთან კავშირის ეჭვი. პუტინი ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ ისევ ძალადობრივ პოლიტიკას გამოიყენებს, სავარაუდოდ, რეგიონიც არ დარჩება ვალში და კრემლს უამრავ სიურპრიზს შესთავაზებს.

**Corriere della Sera**

## diskusia diskusiisTvis?

დღეს იწყება და ორ დღეს გასტანს ეგრეთ წოდებული ჟენევის დისკუსიების მე-19 რაუნდი, რომლის მიმდინარეობისას საქართველო კვლავ დასვამს საკითხს იმის შესახებ, რომ რუსეთმა იკისროს ვალდებულება ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

როგორც ცნობილია, ასეთი ვალდებულება საქართველოს მხარემ უკვე იტვირთა და როგორც ქვეყნის ხელისუფლება ირწმუნება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დასაბრუნებლად ძალას არ გამოიყენებს. სავარაუდოდ, რუსეთიც კვლავ არად ჩააგდებს მეზობელი ქვეყნის მოთხოვნას და ორდღიანი შეხვედრა საწყის – ნულოვან პოზიციას დაუბრუნდება. განსახილველი საკითხები აქტუალურია, მაგრამ მისი მოგვარების ნება, სამწუხაროდ, არც ერთ მხარეს არ გააჩნია.



რუსეთსა და საქართველოს შორის გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობის ფონზე, ჟენევის სადისკუსიო ფორმატია ერთადერთია, რომლის დროსაც რუსეთისა და საქართველოს, აგრეთვე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები საერთაშორისო ორგანიზაციების შუამავლობით ხვდებიან ერთმანეთს.

ჟენევის დისკუსიები, ევროკავშირის, გაეროს და ეუთოს შუამავლობით, 2008 წლის ოქტომბრიდან იმართება. ამ ხნის მანძილზე რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფაქტობრივად თავის მმართველობას ამყარებს, არჩევნების შედეგებსაც რეალურად თავადვე განსაზღვრავს. ასეთ ვითარებაში ორმხრივი საყვედურები, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მხრიდან, პროვოკაციების მოწყობის, ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ, ურთიერთბრალდებების ფორმად რჩება და დაგროვილი უამრავი პრობლემის პერსპექტივაც კი არ ჩანს.

## amerika kvlav aiaraRebs saqarTvelos, qarTvelebs raketsawinaaRmdego sistemac surT

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაახლეს საქართველოსთვის იარაღის მიწოდება, რაც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის გამო შეჩერდა. ამერიკელი სამხედროები ქართული არმიის გადაიარაღებასა და სწავლებას იმით ხსნიან, რომ იგი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ნატოს სტანდარტებს. ოფიციალური თბილისი გულდაწყვეტილი იყო, რომ 4 წლის წინ ალიანსმა საქართველოს არ მისცა წევრობის გეგმა, ახლა კი დიდ იმედებს ამყარებს ნატოს ფორუმზე, რომელიც მაისში გაიმართება და გარკვეულ წინსვლასაც ელოდება.



2008 წელს სააკაშვილმა თავისი არმიის „თანამედროვე დასავლური შეიარაღებით“ აღჭურვა ისტორიულ მოვლენად შეაფასა, მაგრამ რატომღაც ეს შეიარაღება თვითონ არმიამ ვერც გამოიყენა და ვერც დაიცვა. სხვა ვერაფრით აიხსნება ის ფაქტი, რომ 2008 წლის ომის შემდეგ, რუსმა სამხედროებმა ქართული არმიის ბაზებიდან ნადავლის სახით ათასობით ისეთი შაშხანა გაიტანეს, ერთხელაც რომ არ იყო გამოყენებული.

ჯერჯერობით უცნობია, რა რაოდენობის იარაღს მიიღებს საქართველო. ქართველ ძალოვანთა ჩანაფიქრი მ-4 ყაიდის შაშხანებს სცილდება. როგორც მაღალი რანგის ჩინოვნიკები აცხადებენ, მათ სჭირდებათ როგორც რაკეტსაწინააღმდეგო, აგრეთვე ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები.

## nato ruseTis teritoriaze samxedro bazebs ar gaxsnis

ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი აცხადებს, რომ ალიანსი არ აპირებს რუსეთის ტერიტორიაზე ნატოს ბაზების გახსნას და არც სამხედროები გადაჰყავს რუსეთის ტერიტორიის გავლით.

„ჩვენ შორის არსებობს პრაქტიკული შეთანხმება, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მხოლოდ არამომაკვდინებელი ტვირთი გადავზიდოთ“, – განმარტავს იგი. ამასთან, ამერიკა იმედოვნებს, რომ წარმატებით დასრულდება იმ საკითხზე მსჯელობა, რომელიც ულიანოვსკში ნატოს გადასატვირთავი პუნქტის შექმნას გულისხმობს.

ადრინდელი ცნობით, რუსეთი თითქოს მზად არის, ხელი მოაწეროს ნატოსთან შეთანხმებას ავღანეთიდან ტვირთების როგორც სახმელეთო, აგრეთვე საჰაერო გზით გადაზიდვის შესახებ. ეს არის მულტიმოდალური უკუტრანზიტის სქემა, რომლის თანახმადაც, ავღანეთიდან რუსეთში ტვირთი უზბეკეთის გვერდის ავლით შევა; ამასთან, რუსეთში უნდა ჩამოყალიბდეს სარკინიგზო შემადგენლობები ტვირთის ნატოს ქვეყნებში გადასაზიდად. გადასატვირთ პუნქტად ულიანოვსკის აეროდრომი მოიაზრება. ნატოს წარმომადგენლების ყოფნა ულიანოვსკში არ იგეგმება.

„ეს იქნება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამოქალაქო ობიექტები. სამხედრო ბაზებზე ლაპარაკიც არ არის“, – განმარტავს რუსეთის საგარეო უწყებაც.

## amerika ar aRiarebs afxazeTisa da samxreT oseTis arCevnebis legitimurobas

„ამერიკის შეერთებული შტატები არ აღიარებს არჩევნებს, რომელიც 2012 წლის 24 მარტს გაიმართა აფხაზეთის რეგიონში, არც იმ არჩევნებს, რომელიც სამხრეთ ოსეთში 25 მარტს ჩატარდა. ჩვენ კვლავ მხარდაჭერას ვუცხადებთ საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს და მხარს ვუჭერთ მის ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებულ საზღვრებში“ – ეს არის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივნის ვიქტორია ნულანდის განცხადება, რომელიც მან ბრიფინგზე გააკეთა და რომელსაც ოფიციალურად აქვეყნებს ამერიკის საგარეო უწყება.

ნულანდი მოუწოდებს რუსეთს, შეასრულოს საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები – მათ შორის, გამოიყვანოს თავისი ჯარი 2008 წლის კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე და უზრუნველყოს ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდება.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის, წინასწარი მონაცემებით, ხმები ასე განაწილდა: ლეონიდ თიბილოვი – 42 პროცენტამდე, დმიტრი მედოევი და დავით სანაკოევი – 24,3 და 24,8 პროცენტი შესაბამისად, სტანისლავ კოჩიევი – 5,3 პროცენტი. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 8 აპრილს უნდა გაიმართოს.

**rosbalt.ru**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ**



# mariam cacanaSvili: axla saubaria umaRles saswavleblebSi mandaturebis danergvaze

***კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში რეორგანიზაცია უნდა განხორციელდეს. ვესაუბრებით იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მარიამ ცაცანაშვილს.***

**— 2003 წელს დაწყებული განათლების რეფორმა ჯერაც არ დასრულებულა. რა შედეგი გვაქვს დღეისათვის?**

— ნაციონალების საამაყო რეფორმის შედეგია ინტელექტუალური შრომის როლის და მისი სოციალური მნიშვნელობის საკმაოდ დაბალი დონე. კვალიფიციური კადრების მასობრივი გადინება. განათლების სტანდარტების დაცემა და ახალგაზრდა მკვლევართათვის მეცნიერების არამომხიბვლელობა, რაც იმითაა გამოწვეულია, რომ სტუდენტსა და მეცნიერს შორის ურთიერთობების პროცესი მიმდინარე ცვლილებების ფონზე რეფორმის კრიტერიუმებს ვერ პასუხობს; ასე, რომ დღეს განხორციელებული რეფორმა: წარმატებული ორგანიზაციებისათვის საშიში გახდა, წარუმატებლისათვის - სულ ერთი.

**— რა არის კარგი არსებულ რეფორმაში?**

— მაშინ, როცა ევროკავშირზე ვართ ორიენტირებული და ჩვენი ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება, ეს კარგია. მეცნიერებასა და განათლებაში დახარჯული თანხები მაგალითად აზერბაიჯანსა და სომხეთში უფრო მეტია, ვიდრე ჩვენთან. ხოლო საქართველოში ფურცელზე მზარდი ბიუჯეტიდან ძალოვან სტრუქტურებზე ბევრად მეტი იხარჯება, ვიდრე მეცნიერებასა და განათლებაზე. არ მითხრათ ახლა, ესეც კარგიაო. მხოლოდ დაფინანსებაში როდია საქმე. უმაღლეს სასწავლებლებსა და სახელოვნებო დაწესებულებს რომ კერძო სამართლის სუბიექტის სტატუსი მიენიჭა, როგორ ფიქრობთ კარგის მაჩვენებელია?

**— არის მოსაზრება, რომ კერძო სამართლის სტატუსის მინიჭება ნაკლი არ არის...**

— აკადემიურ წრეებთან და სტუდენტებთან საკმაოდ მჭიდრო კავშირი მაქვს და და ყველა თავს შეურაცხყოფილად თვლის უნივერსიტეტის სტატუსის დაკარგვის გამო, დაფინანსების შემცირება, სახელმწიფო სტატუსის მოხსნა, არასრულფასოვანი პროგრამები, რომლებიც არ არის კავშირში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან, რის გამოც სტუდენტები მოტივირებულნი არ არიან, სამეცნიერო ინფორმაციების და სახელმძღვანელოების არქონა ვერ გეტყვით რომ ყოველივე ეს კარგი განათლებისა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნისთვისაა გაკეთებული. ახლა საუბარია უმაღლეს სასწავ-



ლებლებში მანდატურების დაინერგვაზე.

**— რა მოტივით?**

— მანდატური ძველქართულში „ჯოხიან კაცს“ ნიშნავს... სტუდენტებს საკუთარი აზრი გაუჩნდათ უხარისხო განათლების თაობაზე, არასწორ მენეჯმენტსა და მათთვის ადმინისტრაციის მხრიდან „ჩაკეტილ კარებსა“ და საერთოდ ჩავარდნილ რეფორმაზე. ამიტომ ისინი სახელმწიფოს მხრიდან კვლევისა და დამუშავების თავისუფლებას კი არა, ჯოხიან კაცებს იმსახურებენ.

**— რა ეფექტი გამოიღო დასავლეთის რეკომენდაციებით სამეცნიერო ინსტიტუტების აკადემიის შემადგენლობიდან უნივერსიტეტის შემადგენლობაში გადატანამ?**

— ამ კითხვას არსებობის უფლება აქვს, მაგრამ მე ვერ გიპასუხებთ, რომ ამით სასწავლო და სამეცნიერო სისტემის ინტეგრაცია მოხდა. პირიქით. სამეცნიერო ერთეულების გამალებული ლიკვიდაცია, კათედრების გაუქმება, კვლევითი ლაბორატორების დახურვა ნგრევა უფროა ვიდრე რეფორმა. უნივერსიტეტების ახალ წესდებაში სამეცნიერო ინსტიტუტებს ჯერ კიდევ სტატუსი არ გააჩნიათ, ისევე, როგორც მეცნიერ- თანამშრომელებს, რომელთაც დღეს 150-200 ლარი აქვთ ხელფასი, თუმცა ცოტა ხანში მათი ადგილი უნივერსიტეტებში აღარ იქნება, ყოველ შემთხვევაში არსებული სამართლებრივი ბაზა, ამისი თქმის საფუძველს იძლევა.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ახალ საარჩევნო პროგრამაში, რომელსაც მკვეთრად ჩამოყალიბებული მეცნიერების მოდერნიზაციის სტრატეგია ექნება დევიზით: ცოდნა მართავს სახელმწიფოს და არა სახელმწიფო – ცოდნას.

**— რას გულისხმობთ?**

— ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა გულისხმობს, რომ განათლება და მეცნიერება ჩვენთვის ფუფუნება და მხოლოდ კონსტიტუციური უფლების რეალიზაცია კი არ უნდა იყოს, არამედ, ინოვაციური და ეკონომიკური განვითარების საწინდარი, ქვეყნის უსაფრთხოებისა და სულიერი განვიტარების საფუძველი.. სწორედ ამიტომ განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება პრიორიტეტული უნდა იყოს და ბიუჯეტის 20-25% იხარჯებოდეს. არსებული ბიუჯეტის ფარგლებში შესაძლებელია ნაცვლად 62 სამეცნიერო ინსტიტუტისა 15-მდე მათგანი დაფინანსდეს და მეცნიერული კვლევის შედეგები ეკონომიკაში ჩაბრუნდეს. მიღებული მოგება ქართველოლოგიურ მეცნიერებების განვითარებას მოხმარდეს, რადგან საქართველო სწორედ ამ მიმართულებით გახდება საერთაშორისო კვლევების ცენტრი. ამისათვის საუკეთესო ორგანიზაციული ფორმაა სამეცნიერო-საგანმანათლებლო კლასტერი, რომელიც ერთობლივ საქმიანობას გულისხმობს იდეათა დამუშავებისა, ინოვაციათა რეალიზებისა და მათი კომერციალიზაციისათვის, მეცნიერებათა აკადემია ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე იქნება ორიენტირებული და ასე შეიქმნება კოორდინაცია მეცნიერებას, განათლებასა და წარმოებას შორის.

**ნინო ფირცხალავა**

## მკითხველები გვწერენ

# Tqven, ei, gons modiT!



ქართველი ხალხი უაღრესად კეთილი გაგებით და დიდი მოწონებით შეხვდა მსოფლიოში ცნობილი ქართველი ბიზნესმენისა და უბადლო ქველმოქმედის ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ იგი აქტიურად მოდის პოლიტიკაში, რათა ოჯახის წევრებთან ერთად თავისი ძალისხმევა მოახმაროს საკუთარი ქვეყნის, მშობლიური ხალხის კეთილდღეობას. ამას მოჰყვა უამრავი გამოხმაურება, რომელშიც გაცხადდა, რომ მხოლოდ ამ ჩინებულ მამულიშვილს შეუძლია იხსნას საქართველო დაღუპვისგან, მხოლოდ მისი თავკაცობით შეიძლება ეშველოს ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას. მაგრამ მოხდა მეტად მოულოდნელი და საკვირველი რამ. როგორც სჩვევია ეს ჩვენს ხალხს, უმალ გამოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ვერაფრით ვერ იტანენ და ვერ ეგუებიან სამოღვაწეოდ მის გვერდზე მყოფ მასზე უკეთეს პიროვნებას და გაწაყვიტეს ყალბი ინფორმაციების გავრცელებით ჩრდილი მიაყენონ სამშობლოს გადასარჩენად ხელაკაპიწებით მოსულ ერის სათაყვანებელ მამულიშვილს.

წვრილმან ფაქტებზე მკითხველის ყურადღებას არ შევაჩერებ ჩემი (ასევე, ალბათ, ბევრი სხვა პიროვნების) განსაკუთრებული გაოცება და გულისწყრომა გამოიწვია ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის ამასწინანდელმა ინტერვიუებმა, სადაც იგი სრულიად დაუსაბუთებლად ბიძინა ივანიშვილს უყენებს სერიოზულ ბრალდებებს.

საზოგადოების უდიდესი ნაწილი, რომელიც დღეს მხარს უჭერს ბ-ნ ბიძინას, არ გვაპატიებს, რომ პრინციპული შეფასება არ მიეცეს ნათელაშვილის ყოვლად უსაფუძვლო განცხადებებს, რომლებმაც მეტად არასასიამოვნოდ გაიჟღერა პრესაში. მანამდე კი ბ-ნ შალვას მინდა დავუსვა კითხვები, რომლებიც პასუხს ითხოვენ. რამ გაგამწარათ, რომ ასეთი ღვარძლი გადმოანთხიეთ სახელითა და დიდებით მოსილი მგზნებარე პატრიოტის მიმართ, რომელმაც სინდის-ნამუსიანად იკისრა სამშობლოს წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა. ფიქრადაც როგორ მოგივიდათ გაგეკენწლათ და შეურაცხყოფა მიგეყენებინათ ადამიანისათვის, რომელსაც ამით ბიძინა ივანიშვილის კი არა, თქვენს წინააღმდეგ გაანაწყენეთ ფართო საზოგადოება.

აბა, სხვა რით უნდა ავხსნათ ის, რომ ღვარძლიან სიტყვებს აფრქვევთ მის წინააღმდეგ. როცა ყოველგვარი მორიდებისა და სინდისის ქენჯნის გარეშე აცხადებთ: „შევარდნაძეც, სააკაშვილიც და ივანიშვილიც ერთად უნდა ისხდნენ საბრალდებო სკამზე, იმიტომ, რომ ესენი ერთი ბანდის სამი წევრია.

როცა ასეთ განცხდებას აკეთებს პოლიტიკოსი, იგი იქვე უნდა იძლეოდეს განმარტებას, რატომ და რისთვის?

ბატონო შალვა, მოგაგონებთ ცრუპენტელობის კიდევ ერთ ფაქტს, რომელმაც ისევე, როგორც დღეს, როგორც ქვეყნის მხსნელს გულში იხუტებს ყველა პატიოსანი ქართველი კაცი.

ბატონო შალვა, თქვენ ხომ ერთ-ერთი პირველი მიესალმეთ ბ-ნი ბიძინას უაღრესად პატრიოტულ გადაწყვეტილებას, რაც ინტერვიუს სახით გამოქვეყნდა „ასავალ-დასავალში“ (№41. 2011) და მთელი პათოსით ამცნეთ მაშინ საზოგადოებას, რომ „სააკაშვილის წინააღმდეგ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვა ლეიბორისტების დამსახურებაც იყო“. ცუდი არაფერი არ მომხდარა მას შემდეგ, პირიქით, ბატონი ბიძინა დღე და ღამეს ასწორებს იმისათვის, რომ პირწმინდად შეასრულოს, ის, რაც მან საჯაროდ აღუთქვა ქართველ ხალხს. მიუხედავად ამისა, თქვენ უკვე სულ სხვა ჰანგზე ამღერდით და სხვა დანარჩენმა, არევ-დარევა და უნდობლობა შეიძლება შეიტანოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ივანიშვილის წინააღმდეგ კი არა, თქვენს მიმართ უარყოფითად განაწყოს ხალხი.

ოპოზიციის მხრიდან მხოლოდ თქვენ აღმოჩნდით ერთადერთი, რომელმაც „მიაკვლიეთ“ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილი უკვე დაუზავდა მიხეილ სააკაშვილს და მასთან ერთად აპირებს პოლიტიკურ მოღვაწეობას. მივმართოთ ისევ გაზეთს, სადაც ვკითხულობთ, რომ „ივანიშვილის ბლოკმა მიაღწია გარიგებას სააკაშვილთან“, სიტყვასიტყვით ასე იკითხება იგი სააკაშვილმა უკვე მიაღწია შეთანხმებას ივანიშვილის ბლოკთან, რომ „ნაცმოძრაობა“ უმრავლესობით გავა მომავალ პარლამენტში, რომლის თავმჯდომარეც სააკაშვილი იქნება. თუ ეს ასეა და ინფორმაცია, რომელსაც თქვენ ფლობთ, მიგაჩნიათ უტყუარად, ამაზე ასე გაკვრით კი არ უნდა გელაპარაკათ, არამედ განგაში უნდა აგეტეხათ და მოგეთხოვათ ივანიშვილისთვის საჯარო გამოსვლა სათანადო განმარტებით, მაგრამ ეს ვერ, თუ არ გააკეთეთ, რადგანაც, როგორც ჩანს, განცხადების სისწორეში თქვენ თვითონ არა ხართ დარწმუნებული, ისევე როგორც ამას არ დაიჯერებს ჩვენი საზოგადოების უმეტესი ნაწილი.

ძალაუნებურად იფიქრებს კაცი, ხომ არ გძლიათ პირადულმა მისწრაფებებმა სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ:

ხალხი ბრმა და ბრიყვი არ არის, როგორც ეს ზოგიერთ პოლიტიკოსს ჰგონია, 20 წელია, რაც თქვენ და თქვენს კოლეგებს ოპოზიიცის სპექტრიდან თვალგაცეცებით შემოგყურებთ მთელი საზოგადოება და ისმენენ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს, მაგრამ რაიმე დამაიმედებელ შედეგებს ვერ ამჩნევს.

შეიძლება ბიძინა ივანიშვილისთვის არ ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა თქვენს წკიპურტებს, უფრო სწორად მას ამით ვერაფერს ვერ დააკლებთ, მაგრამ საკუთარი თავი მაინც არ გეცოდებათ?

ეს ეხება ყველას, ვინც დაუმსახურებლად აუგად მოიხსენიებს ბატონ ბიძინას.

**გრამიტონ კვარაცხელია**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

მირონ ხერგიანი



# oqros Wedila anu svanuri azmani

## (mindorSi niavs gakidebuli...)

**ავტორისაგან**

**ამ წიგნით მე ჩემს ნოსტალგიას ვეფერები, მივტირი და მენანება, უსაშველოდ მენატრება წინაპართა დაუსაბამოდ შორს წასული, უსასრულობას გადევნებული ძვირფასი ლანდები.**

**აქ ჩვენ ისევ ერთად ვართ, მე და ჩემი ბეჩავები, ჩემთვის მარადიული ეკლესიანი ხორცთანი: ბებერი მამა (ქორა მახვში), ორი დედა (ჩემბერდიცი და მშობელი დედა), უპირველესად მათ ეძღვნებათ წარმოსახვითი პასაჟებით შეფერადებული ჩემი წიგნი, თავისებური „სვანური ნატირლები“, აქ არიან ნინველა სახლიკაცები, მზევოც – ძალლუმადურ წუთისოფელში ჩემი შეუცვლელი თანამეწყვილე და კიდევ სხვა: ულიმლამო ბავშვობის გასაფერადებლად და გასალამაზებლად, მაჩუბში, კვარის შუქით გაცრიატებული ბაგის კედლებზე მირიადჯერ ამოტვიფრული, ოცნებით შექმნილი ჩემსისკარის ირეალური, მთრთოლვარე ხატი.**

**ამ წიგნით ჩემივ სამყაროს კარს ვაღებ და ყველას ვეუბნები:**

**– მე თქვენთან დავბრუნდი!...**

### ზნეობის ნიშანსვეტები

ანჩვალში, ჩვენი სახლის დერეფნიდან მთელი პანორამა იშლებოდა, დაწყებული სვანეთის ქედით, რომლის განშტოებაზეც ლაილა (იგივე ლაჰილის მწვერვალი) აღმართულიყო, ვისმა მშვენიერებამაც ანა კალანდაძეს ასეთივე მშვენიერი სტრიქონები ათქმევინა – „ლაჰილის თავზე დიდებული და სავსე მთვარეა და ყოველივე ზღაპრული და იდუმალია...“ ამას მოჰყვება ჰანვალის თითქოს თარაზოთი გადასწორებული ნაძენარ-პირმზითიანი, დაბურული ულამაზესი ზეგანი და ბოლოს მწვერვალთა დედოფალი, ქალწულებრივად სპეტაკი თეთნულდი, მთვარით განათებულის საცქერლად ზოგჯერ ტურისტები ღამეს რომ ათევდნენ ხოლმე... ეს ქათქათა მწვერვალები, ლომის ხეობას უშურველად რომ ჰფენდნენ ნათელს, ჩემს წარმოსახვაში მუდმივად ასოცირდებოდნენ ზნეობის ნიშანსვეტებად მოვლენილ ადამიანებთან, როგორადაც მესახებოდნენ ჩემი მამიდაშვილები – გაბრიელ და ჭიჭიკო ჩართოლანები.

ერთი რამეა საცნაური სვან კაცში: – მთებზეა შეყვარებული! უცნაური ჯადოსნობით, ანდამატივით იზიდავს სვანს მთათა მწვერვალები. აბა, რამ უნდა აიძულოს ოჯახის პატრონი მეურნე ადამიანი, ზამთარ-ზაფხულ პიროფლიანი შრომა რომ უწევს, რათა როგორმე თავი გაიტანოს, ჯალაბი არჩინოს, გაკვებოს, თავისი კაცური სიტყვა ეთმოქდეს სოფელ-ქვეყანაში, შინაურთან და გარეშესთან, არ დააკლდეს მკვდარსა თუ ცოცხალს და ამ დროს, ჟამიდან ჟამამდე, ამ ყველაფერს ზურგი აქციოს და მთათა მწვერვალებს მიაშუროს, სადაც ვერც იმკის, ვერც თიბავს, ვერც რამ სარჩოს და განძს ჩამოიტანს იქიდან?...

ასეთი იყო ჭიჭიკო ჩართოლანი, ჩემი საყვარელი „ბუბა კიტა“, – მთებს ლეგენდად შემორჩენილი კაცი. რა დამავიწყებს მის ნათესაურ გულისხმიერებას, მზრუნველობას პირადად ჩემდამი და ზოგადად, ჩემი ოჯახის მიმართ!... ჯერ მარტო ის საპირველსექტემბრო ყურადღება რად მიღირს?!... შემწედ რომ არ მომვლინებოდა, ვინ იცის, იმ საბედისწერო გზაგასაყარზე შემდგარ უმწეო ბალღს ცხოვრება როგორ გამიმრუდდებოდა, საით გადამძალავდა.

გაზაფხულზე, როცა კოდ-კიდობნებში საზამთროდ შემონახული ფქვილი გამოილეოდა, მარაგი ამოიწურებოდა, ოჯახში შიმშილი და შიში ერთად ისადგურებდა და სხვა გამოსავალი არ იყო, ჩემი მოხუცები, კარგა მოშორებით, სოფელ ლეხთაგში მაგზავნიდნენ... შინიდან გამოტანებული ცარიელი ვარცლით მეჭონესავით მივადგებოდი ხოლმე მამიდაშვილებს: ბუბა კიტასა და ბუბა გაბრიელს...

გზად დაბდერის ყანები უნდა გამევლო. სადღა იყო ლიდსვაარის დროინდელი სასრიალო თოვლი! თუმცა, ის დალოცვილი ადგილი ჩემი ფანტაზიისათვის უშრეტ წყაროდ იქცა და დღემდე ჯადოსნურ სამყაროდ მესახება. არ ვიცი, სიზმრად ნახული მაქვს მეხსიერებაში ჩაბეჭდილი, თუ წარმოსახვის ნაყოფია – ვითომ, დაბდერის ყანებზე ქრისტე-მაცხოვარმა გაიარა...

ცხადად ვხედავ:

შემოდგომის პირია, შაბათი დღე, მაცხოვარი მოწაფეებთან ერთადაა, დაბდერის ხორბლის ყანებზე გადადიან. დამშეულები არიან. მოწაფეები გზა და გზა თავთავებს ეტანებიან, წყვეტენ, მერე ხელისგულებზე იფშვნეტენ, სულის შებერვით ფხებისგან ასუფთავებენ და რძეჩამდგარ ნედლ მარცვლებს მადიანად შეექცევიან.

„... ხოლო ფარისეველთა მათ იხილეს რაი, პრქუეს მას: აჰა, მოწაფენი შენნი იქმან, რომელი არა ჯერ არს შაბათსა შინა საქმედ..

ხოლო თავადმან ჰრქუა მათ:

...უფალ არს შაბათისაცა ძე კაცისა...“

ეს ჩემი „რწმენითი სამშობლოა“... ქართველი კაცისთვის რწმენითი რეალობა ხომ ბევრად უფრო მეტია, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ემპირიული სინამდვილე, მართლაც, განა ვინმეს შეუძლია დაამტკიცოს, იყო თუ არა დავით აღმაშენებელი ებრაელთა დიდი მეფის – დავითის შთამომავალი? ცხადია, არა, მაგრამ ასე სწამდათ და სჯეროდათ... რწმენითი სამყარო ეროვნული მენტალობის შემადგენელი მეტად ფაქიზი და მგრძნობიარე ნაწილია, ამიტომაა, რომ ერის ცნობიერებაში ღრმად გამჯდარი სტერეოტიპებისა და შეხედულებებისადმი ზოგადად ყოველგვარი რევიზიონისტული მიდგომები მის სულზე მტკივნეულად აისახება. მსგავსი პრეცედენტები, სამწუხაროდ, დღესაც უამრავია.

არა, ეს წარმოსახვა მოგვიანებით მიჩნდება. მაშინ მამიდაშვილებთან გობით ხელში ონჩხარზე (მოწყალების სათხოვნელად) მიმავალს ამაების არაფერი გამეგებოდა.

თოვლი მხოლოდ მაღლა, ლუჯჰარისა და ფუსნატვიბის ფერდობზე დაჩრდილულ ხეთა ირგვლივ შემორჩენოდა. ლილოჭრელოებს მოექარგათ ყანისპირები. ბუჩქისძირა სამალავებიდან თოთო ბავშვივით იჭყიტებოდნენ გაფუებული მიწიდან ამოწვერილი სასუტელები, ყოჩივარდები, სანთლის ალის ფორმის და მასავით ნაზი, სათუთი ენძელები, სიღრმიდან თუ არ მოთხრიდი, ხელში რომ ჩაგეშლებოდა და მოგიკვდებოდა. პირმზითები ბუჩქა-ბუჩქად ამოყრილ ფურუსულებს მოეფარდაგებინათ, თეთრად, ცისფრად, ვარდისფრად... თუმცა, ვის ეცალა მათ საცქერლად!... საჭმელად კი, იცოცხლე: – ამოაძრობ სასუტელას ყვავილს ბლუჯა ბუდიდან და ძირს მოუწუწნი, მცირეოდენ სიტკბოს პოულობ (თურმე რამსიღრმედ ეძებს ფუტკარი ნექტარს!... ხოლო ფურუსულას ყვავილები ბლუღა-ბლუჯაც შეგიძლია ჩაიყარო პირში. მოტკბო-მომწაროა და ოდნავ გულისრევის გრძნობასაც აღძრავს, მაგრამ მშიერი კუჭის მოტყუება ცოტა ხნით მაინც შეუძლია. აი, ყვასგს (კინქოს) კი ძირხვენების მეფედ ჩავთვლიდი. მაგრამ, ყვასგამდე ჯერ კიდევ შორია. ბალახი რომ კარგად ამობიბინდება, ხვნაში ბელტებს ამოყვება ხოლმე, თუმცა, იშვიათია და ძნელი საპოვნელი. ნათქვამიცაა, „იმჟი ყვასგშალ ათქარვან!“ (რა კინქოსავით დაიკარგეო).

... იმას ვამბობდი, გადავივლიდი დაბდერის ყანებს და ხონჩით ხელში დაბარებულივით მივადგებოდი ხოლმე მამიდაშვილებს. ძმებს საერთო ეზო ჰქონდათ და თანაზიარად ორივეს სტუმარი ვიყავი, რომელი ოჯახის წევრიც პირველი დამინახავდა, მტაცებდა ხელს და შემაცუნცულებდა სახლში. პირობა ასეთი იყო, რომ ის ღამე მათთან უნდა დავრჩენილიყავი; ამის შესახებ ჩემებმაც იცოდნენ. დაუვიწყარია ის ზრუნვა და სიყვარული, რასაც დიდ-პატარიანად მე იქ მახვედრებდნენ. ის საღამოები ჩემი ნებივრობის, ზეობის ხანა იყო. სულ სხვა ბედნიერი სამყაროს წევრი ვხდებოდი. თავი სიზმარში მეგონა, როცა ქერის მწარე, გაქვავებული ხმიადების ღრღნისგან თავმობეზრებული, ერთბაშად ამდენი ნუგბარის სამყაროში აღმოვჩნდებოდი ხოლმე... სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი, რომ მოგვიანებით ფშავშიც მოვისმინე მსგავსი შინაარსის გალექსილი ფრაზა: „აღარ მოიტანა და აქვე ვიტყვი, რომ მოგვიანებით ფშავშიც მოვისმინე მსგავსი შინაარსის გალექსილი ფრაზა: „აღარ მინდა ბაკლაო, შინაც გული დაკლაო!“... ჩანს, პრობლემები საერთოა მთისათვის, მაშრიყი იქნება თუ მაღრიბი, ეს სულ ერთია.

რით აღარ მიმასპინძლდებოდნენ სტუმარს: „ღორის შაშხი, საქონლის მოხარშული ხორცი, ცხიმიანი ყველით გაბესკილი ქუთები, ჭიშდვარები, ფეტვრალები, ყველი, მაწონი და რა გინდა, სულო და გულო!... ამ ოჯახებში ხვავი და ბარაქა მუდამ გამოულეველი იყო. გული მხოლოდ იმაზე მწყდებოდა, რომ, ჩემთან შედარებით, ამ ყოველივეს უმცროსი სახლიკაცები მოკლებული იყვნენ. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა უფროსი ძმის ფაქტორი პრივილეგირებულ მდგომარეობაში მაყენებდა და სასიამოვნო კომფორტს მიქმნიდა. მეორე დღეს ძმები სავსე ვარცლით მისტუმრებდნენ უკან, ხელხვავრიელი ვბრუნდებოდი ოჯახში.

მზრუნველობა არც მათი დების, გიგა დადის და სილენჩის ოჯახებისგან გვაკლდა. გარკვეულწილად, ყურადღებას მამაჩემის ძმის შვილი, გონიერი, აღიარებული მედიატორი – ბუბა ბევაც ამჟღავნებდა, რომელიც იქვე, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. თუმცა, საკუთარ საქმეებში ისე იყო ჩაფლული, რომ საჩვენოდ დრო თითქმის აღარ რჩებოდა.

სვანეთში ნათესავებს შორის მთავარი იერარქიაა და ასაკობრივ სხვაობას არას დაგიდევენ. ეს მომენტი, პირადად მე, გარკვეულწილად კომიკურ სიტუაციაში მაყენებდა. ქვეყანას ნაგვიანევად მოვლენილი, ზოგადად, ხანდაზმულ ასაკში შეძენილი ბავშვი დროში ორიენტაციადაკარგულივითაა; თაობებსა და ნათესაურ ურთიერთმიმართებებს შორის ერთგვარი აღრევა ხდება. აბა, რა ბიძა მე ვიყავი ერთი ბეწო ღლაპი, ანრა „ბუბები“ ჩემი პატარა ძმები ლამის ჭაღარაშერეული ბიძაშვილ-მამიდაშვილებისთვის, ვისზეც თითქმის 30-40 წლით გვიან მოვევლინეთ ქვეყანას? არადა, ნათესაურ იერარქიას სად გავექცეოდით და მათ „ბიძებად“ მივიჩნეოდით...

... მიყვარდა ბუბა კიტას სადურგლო სახელოსნოში მის გვერდით დგომა. ეს მაშინ ხდებოდა, როცა უფროსი ვაჟიშვილი, უნივერსიტეტის სტუდენტი და უკვე სპორტის ოსტატი მთამსვლელობაში – ლაერტი ადგილზე არ იყო, ან მამას რაიმე მიზეზით ვერ ეხმარებოდა. არ მავიწყდება ბუბას




ბრძნული, ღრმა ქვეტექსტების შემცველი საუბრები, მისეული შეგონებები ჩემთვის მთელი აკადემია იყო.

– როცა მთვარეს შეხედავ, – მეუბნება ერთხელ – ყოველთვის გაგახსენდეს, რომ სახეზე ლაქებად მშობლის ნათითრები ამჩნევია. ხომ გახსოვს ზღაპარი: მზე და მთვარიდან ერთს დღე უნდა გაენათებინა, მეორეს – ღამე, ორივეს კი დღის მნათობად ეწადა ყოფნა. მაგრამ მზემ დაასწრო მთვარეს დილით გაღვიძება, ანდაზაც ხოა: „ადრე ამდგომსა ყმაწვილსა, ღმერთი უმზადებს სადილსაო“, ჰოდა, ღმერთმაც ადრე ამდგომ მზეს გაუმზადა ცის თაღი სამუდამო საბრძანისად. დარჩა მთვარე ხახამშრალი! რა უნდა ექნა? რა და, ძალაუნებურად, ღამის მნათობობას უნდა დასჯერებოდა... გაბრაზებულმა დედამ ცომიანი ხელი ჩააფარა ძილისგუდას და ეგ ლაქები, სწორედ იმისა, სამუდამოდ შერჩა... მთვარე, ცის მნათობი, დასჯილა გაურჯელობისთვის და მოკვდავ კაცს რაღას უზამს წუთისოფელი, თუ სიფხიზლე მოადუნა, თვალი მოხუჭა და იზარმაცა?

ბუბა კიტას მსგავსი შეგონებები ხატოვნად ილექებოდა ჩემს ბავშვურ წარმოსახვებში და დღემდე წარუშლელ არქეტიპებადაა განივთებული. ყველაზე დიდი ცოდვა კაცის კვლააო, – მეუბნებოდა და ცხადლივ წარმომიდგენდა, სვანების რწმენით, საიქიოში მკვლელს როგორ დასდევს მოკლულის სული, დაჰბღავის და ამით გულს უხეთქავს. მკვლელი ცდილობს, სადმე დაემალოს, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან ეს ღვთის ბრძანებაა.

არანაკლები სასჯელი ელოდებაო სამანების დამრღვევს, სხვისი ადგილების მომპარავს. ასეთს მუდამ ჰკიდია მიწით სავსე გოდორი და გაუჩერებლივ უნდა ირბინოს. პატრონის გარდა, სხვებიც მოვალენი არიან, სდიონ უკან ურტყან გოდორზე ჯოხი, რომ მიწა გადმოაცვივნონ... ასეთი ვერც შენდობას ეღირსება, ვიდრე ახლობლებიდან ვინმეს მის გასაჭირზე სიზმრით მინიშნება არ მიეცემა და იმ დარღვეულ თუ მითვისებულ საზღვრებს არ შეასწორებენო...

სავაჟკაცო ამბებთან ერთად, მოარებით ამგვარ სხვა საძრახის და მძიმე ცოდვებზე საუბრებით მიხედნიდა ბუბა კიტა ზნეობას, ცნობიერებას. მითვალსაჩინოებდა, რა ღირებულებები უნდა წამეღო ცხოვრების საგზლად, რას უნდა გაენათებინა ჩემთვის სავალი გზები გაურკვეველი ბურუსით მოცულ მომავალში... მრავალთაგან ერთი მისგან გაგონილი ანდაზა დღემდე ცხოვრების კრედოდ მაქვს მონიშნული და ვცდილობ მის დედააზრს არ გადავუხვიო: „ათუ ვეფ მაზიგს ესერ ხოხა, მუცხი – შგვირს“. („ცხელი ოფლი ავადმყოფობამ იცის, ცივი – სირცხვილმაო“)...

მას მერე ღმერთს ხშირად ვეაჯები ხოლმე – მაშოროს ამგვარი ცივი ოფლი ცხოვრებაში.

ჰო, ზემოთ რომ ვჩიოდი, მძიმე არჩევანის წინაშე აღმოვჩნდი-მეთქი, ბუბა ჭიჭიკა და გაბრიელიც მაშინ გამახსენდა. იმ გაჭირვების ჟამს ჩემს გადაწყვეტილებას მეტი სიმყარე სჭირდებოდა და საბოლოო რჩევისათვის ისევე გულშემატკივარ ბრძენკაცებს მივაკითხე, შევჩივლესავით: ჩემი მომავლით არავინ ინტერესდება და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ყველა წინააღმდეგია სწავლის გაგრძელებაზე რომ ვიფიქრო და უმაღლესში ვცადო ჩაბარება... მე კიდევ მეშინია, აქაურ პირობებში,ვაითუ, თავი ვერ გავიტანოთ და ნინველები დამეჩაგრონ. თქვენთან რჩევისთვის ვარ მოსული-მეთქი.

აწონ-დაწონეს ჩემი ნათქვამი ძმებმა. რაც ხანი გადის. აქ ცხოვრება უფრო რთულდებაო, – მსჯელობდნენ – ახალგაზრდამ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ ცხოვრებას ფეხი აუწყოს, არ ჩამორჩეს, მითუმეტეს, შენნაირმა წარჩინებულმა მოსწავლემ. აბა, აქ დარჩენა რა ხეირს მოგცემს? სკოლაში მიღებული ცოდნა წყალში ჩაგეყრება. აუცილებლად უნდა სცადო.

გულზე მომეშვა, ჩემთვის ეს თანხმობა უკვე ყველაფერს ნიშნავდა. დამშვიდობებისას ბუბა კიტამ ალპინისტური ექსპედიციიდან მოყოლილი ახალთახალი ძვირფასი პერანგი მაჩუქა, რომელიც იმით დამამახსოვრდა, რომ თან სათადარიგო საყელოც მოჰყვა.

სიტყვამ მოიტანა და არ შეიძლება არ გავიხსენო მისი უცნაური გარდაცვალების ამბავიც.

საოცარი სიკვდილით აღესრულა ბუბა კიტა!... გსმენიათ, მთაზე აუსვლელად მთას ემსხვერპლოს ადამიანი? ეს სწორედ ის გაუგონარი, პარადოქსული შემთხვევა იყო და ქვეყნად სად ნახავთ კაცობის ამგვარ საოცარ ისტორიასაც;

უშბაზე ასვლას აპირებდა თბილისელი ახალგაზრდა ალპინისტების ჯგუფი. მესტიაში ჩასულებმა კონსულტაციისთვის სახელგანთქმულ მთამსვლელს, ბრძენკაც ადამიანს – ჭიჭიკო ჩართოლანს მიაკითხეს. დაწვრილებით, ნიუანსურად განიხილეს ტრასა ბოლომდე. დაარიგა ბუბა ჭიჭიკამ:

– მთამსვლელთა ყველაზე დიდი მტერი გამოუცდელობა და ახალგაზრდული ასაკია. საკუთარ თავში უპირველესად, სულსწრაფობა, გულზვიადობა უნდა დაძლიოს ადამიანმა. მთა უხედნავი ულაყივითაა, გამოუცდელ მხედარს მალევე შეიცნობს, ვერ იგუებს და გაურჩდება. მტრისას, რაც ამ დროს შეიძლება მოხდეს!... სიდინჯე, აუჩქარებლობა და დაკვირვება მთამსვლელთათვის ოქროს თვისებებია. მოკლე გზამ არ გაცდუნოთ, ტრასის გაიოლებამ არ გაგიტაცოთ, მით უფრო – უკან დაბრუნებისას. დაღლილზე მეტია ამის ცთუნება... „შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო“ – სწორედ ამ შემთხვევას ესადაგება. ვიდრე მთავარ მწვერვალს მიადგებით, მცირე „ჟანდარმი“ უნდა გაიაროთ. ოღონდ, გზის შემოკლება ფიქრად არ გაივლოთ. ტრავერსებით იარეთ, – ლამის ემუდარებოდა ახალბედებს, – იცოდეთ, „ჟანდარმის“ ფერდი მეტად მაცდური და მზაკვრულია, მისი ზედაპირი – დამრეცი და ყინულივით მოლიპული. ახლად გაკვალული ბილიკი თოვლის საფარს მდგრადობას დაუკარგავს, მოწყდება და ზვავად წამოვა. ჩვენს მტერს მერე!... აუცილებელია, რომ ტრავერსით წამოხვიდეთ...

თავდაპირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა. ახალგაზრდებმა მშვიდობით მიაღწიეს მწვერვალს, მაგრამ, უკან დაშვებისას, შესაძლოა, უშბის დაპყრობით გათამამებულებმა, ანდა სულაც დაღლილ-დაქანცულებმა, დათქმულ გეზს გადაუხვიეს. მეთვალყურეთა ბანაკიდან რაციით აცნობეს ბუბა ჭიჭიკას – ორად გაყოფილი ჯგუფი სხვადასხვა სიმაღლეებზე, ერთმანეთის პარალელურად მოკლე გზას დაადგა, პირდაპირ „ჟანდარმის“ ფერდობს მოუყვებიან, ნახევარი უკვე გამოიარესო!

გულმა რეჩხი უყო ათასგზის გამოცდილ მთამსვლელს და როგორც იტყვიან „სტამბოლის კაჟივით“ კაცი, ადგილზევე ჩაიკეცა... დანამდვილებით იცოდა, ამას რა საბედისწერო შედეგიც მოჰყვებოდა...

სამწუხაროდ, წინათგრძნობა ახდა: მაღლითა „აბმა“ მოცურდა, ქვემოთურებიც აიყოლიეს და თავს დამტყდარმა რისხვამ რჩეული ახალგაზრდების ექვსკაციანი ჯგუფი მოუსავლეთში ჩაიტანა...

– ეს უკვე მერამდენე მსხვერპლი შეიწირა მრისხანე უშბამ!...

ბუბა ჭიჭიკა საავადმყოფოში გადაიყვანეს. რაღა არ იღონეს ექიმებმა მის გადასარჩენად!... სამი დღე ებრძოდა სიკვდილს. აღსასრულის ჟამს გრძნობაზე მოვიდა. სოფლის ჩენილები თავისთან დაიბარა, უკანასკნელი საამქვეყნო დარიგება მისცა. სთხოვა, უფრო მიმნდობნი, სამართლიანები ყოფილიყვნენ ერთმანეთის მიმართ, ძველი წყენა და გაუგებრობანი მიეტევებინათ, წვრილმანებს არ გამოდევნებოდნენ, სამანებსა და საზღვრებზე კინკლაობას შეშვებოდნენ, ხატზე დაეთქვათ ერთმანეთის ერთგულება და სიყვარული. „ახლა სხვა დრო დგება, უფრო რთული და მკაცრი. დათითოკაცებულებს გაგიჭირდებათ. მხარში ამოუდექით ერთმანეთს. ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი“. მერე ათას განსაცდელში უღალატო ყონაღი, ბექნუ ხერგიანი ახლოს მოიხმო და ზვავის გრუხუნისგან დაყრუებულ ყურში ჩასძახა:

– ბიჭებს მიმიხედე!... უშენოდ გაუჭირდებათ მათი მოძებნა...

ბუბა ჭიჭიკა სრულიად ნათელი გონებით დაემშვიდობა ყველას და ისეთივე თეთრქუდიანი, ვალმოხდილი გაუყვა უკვე იმ ქვეყნიურ საცალფეხო გზა-ნავარნებს, როგორითაც იცხოვრა...

... მესამე დღე იყო, რაც იმჟამინდელი საინფორმაციო საშუალებები საშინელი ტრაგედიის შესახებ იუწყებოდნენ. მთელი ქვეყანა გლოვობდა დაღუპულ ექვს ახალგაზრდას... თუმცა სინამდვილეში მსხვერპლი ერთით მეტი იყო, ის ერთი ბუბა კიტა აღმოჩნდა...

დიახ, თავისი სიდინჯით, სიბრძნით, უნივერსალური გონებით მართლაც განუმეორებელი ღირსეული მახვში იყო ჭიჭიკო ჩართოლანი, – ჩემი საყვარელი ბუბა კიტა.

ნათქვამისა არ იყოს, „რაც ხეა, ის ნაფოტი ცვივაო“ – არანაკლები იყო მისი უფროსი ძმა, – ბუბა გაბრიელიც...

ამასთან დაკავშირებით, ერთი გვიანდელი სურათიც მიცოცხლდება თვალწინ:

შუა ზამთარია. პირველი წიგნის ჰონორარით ლეგაბის სათიბში გაჭირვებით აშენებული და ხანძრისგან ბოლომდე ჩამწვარჩანახშირებული სახლის გარშემო თავზარდაცემულები, გახევებულები ვდგავართ ძმები. (ბევა ბუბას გასვენებაში ჩაველით და მიცვალებულისთვის ღამისთევისას, ჩვენს არყოფნაში, მოკლე ჩართვა მომხდარა და ცეცხლმოდებულ სახლს ვერაფერი ვუშველეთ!)...

... ვხედავ გაყინულ შარას ბარბაცით მოუყვება მოხუცი ბუბა გაბრიელი მხარზე გადებული ახალი ლეიბით... მოდის, მობარგანაობს, ფეხი უსხლტება. ლეიბი ვეებერთელაა, მოხუცი – გამხდარი, დალეული, მის ქვეშ თითქმის არც მოჩანს, გეგონება, ლეიბს მოჰყავს კაცი და არა – პირიქით. ჩვენთვის ეს მარტივი თბილი ქვეშაგებელი როდია: უტყვი შემოძახება და შემხნევებაა – „გამაგრდით, ბალღებო, თქვენს გვერდით ვარო!...“ უხმო ნუგეშია და ერთდროულად უფროსი კაცისგან იმის შეხსენებაც, რომ სითბო და კერა არ უნდა მოიშალოს ნახანძრალ ფუძეზე.

... მოდიოდა და ბებრული, სუსტი მხრებით მადლი და იმედი მოჰქონდა იმ სახლივით განადგურებული ძმებისთვის თავადაც მადლიან, სიკეთით სავსე ბერიკაცს.

... ნათელში ამყოფოს ღმერთმა ორივეს სული!

#15 (199), 28.III-3.IV, 2012 w.

# რატომ უნდა ყოფილიყო მოსკოვის მეფე მხოლოდ თათარი?

მე-15-ე ს-ის შუა ხანებში მოსკოვის მთავრები თავიანთ თავს გირეის უმცროს ძმად მიიჩნევდნენ, ხოლო ყირიმის ხანებს თავიანთ მეფეებად.

მე-16-ე საუკუნის დასაწყისში, როცა ყირიმი ოსმალეთის ხალიფატის ვილიაეთი გახდა, მოსკოვიც ითვლებოდა სტამბულის ქვეშევრდომად. თუმცა მას კვლავ ყირიმის ხანები მართავდნენ.

ცნობილია, რომ ივანე III (ივანე მრისხანეს ბაბუა) ყირიმის ხანის ვასალის ნიშანს ატარებდა, ხოლო გირეები ჩინგიზ ყაენის შთამომავლებად მიაჩნდა. ასეთი „წესრიგი" 1700 წლამდე გრძელდებოდა და მოსკოვი ზეიმობდა ყირიმის სახანოს

ბუნებრივია, ეს არ მოეწონებოდა ყირიმის ხანს, რადგან ივანე IV-ს ის თავის ქვეშევრდომად თვლიდა.

ეშმაკობამ ივანე IV-ს მაინც ვერ უშველა. ხანმა დევლეთ გირეიმ გადაწყვიტა, ჭკუა ესწავლებინა თვითმარქვიისთვის, რომელიც იბრალებდა ბიზანტიის იმპერატორობას. 1571 წელს ყირიმის ხანის ჯარები მოსკოვს მიადგნენ. მოსკოვის და მისი შემოგარენის მთავრები შეეგებნენ ყირიმის ჯარებს მდინარე ოკას ნაპირებთან, მაგრამ ყირიმის ხანმა გვერდი აუარა და პირდაპირ მოსკოვს მიადგა. მოსკოვის მთავარი გაიქცა და იაროსლავის ტყეს შეაფარა თავი, შემდეგ კი მოლაპარაკებები დაიწყო „კეთილ ძმასთან".



აი, როგორ აღწერს ამ მოვლენებს კარამზინი წიგნში „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია":

„15 ივნისს იგი (ივანე IV) მიუახლოვდა მოსკოვს და გაჩერდა ბრატოვჩინასთან, სადაც მას შეხვდა დევლეთ გირეის ორი მსტოვარი, რომლებსაც მოლაპარაკება სურდათ ივანე IV-სთან. „ასე ამბობს ჩვენი მეფე, — თქვეს მათ, — მე ყველგან გეძებდით, სერპუხოვშიც და თვით მოსკოვშიც, მსურდა გვირგვინი დამედგა შენს თავზე, მაგრამ შენ გაიქეცი სერპუხოვიდან, მოსკოვიდანაც, დათმე შენი სამეფო დიდებულება, დაკარგე ვაჟკაცობაც და სირცხვილის გრძნობაც. კიდევ გეუბნები, თუ არ გააკეთებ იმას, რასაც გთხოვ და არ მომცემ ფიცის სიგელს, შენი შვილების და შვილიშვილების მხრიდან, საქმე კარგად არ წაგივაო".

რუსი ისტორიკოსები წერენ, რომ ეს „ველური თათარი ბარბაროსები" მოდიოდნენ მოსკოვზე და მოჰქონდათ ძარცვა-გლეჯა და უსამართლობა.

ივანე მრისხანეს კი სხვა გზა არ დარჩენოდა და დადო ე.წ. „ფიცის სიგელი თავისი, შვილების და შვილიშვილების მხრიდანაც". ასეთ ფიცს დებდნენ მისი წინაპრებიც.

დევლეთ გირეიმ დატოვა მოსკოვი, წაიღო სიგელი და გაემართა ყირიმისკენ იმ პირობით, რომ თუ მსგავსი რამ კიდევ განმეორდებოდა, კვლავ გამოჩნდებოდა ჯარით.

სუვერენობას და ბატონობას ამ მხარეში.

ამაზე მიუთითებს ცნობილი რუსი ისტორიკოსი სოლოვიოვი წიგნში „მოთხრობები და ნარკვევები რუსეთის ისტორიის შესახებ".

მოსკოვი ივანე მრისხანეს დროსაც მე-16-ე საუკუნის მეორე ნახევრის ბოლოსაც უხდიდა ხარკს ყირიმს, როგორც ოქროს ურდოს მეფეს. უნდა ითქვას, რომ ყირიმის ხანები მუდმივად ეხმარებოდნენ მოსკოვს საომარ და სხვა პოლიტიკურ ვითარებებში. ასევე მოხდა ცნობილი ლივონიის ომშიც. ამიტომაც იყო ივანე მრისხანეს ჯარები ერთმანეთზე მოყოლებით რომ იგებდნენ ომებს.

1563 წლიდან რუსეთსა და ყირიმს შორის ურთიერთობა შეიცვალა. 1570 წელს კი ოსმალეთის სულთანმა სულეიმან კანუნიმ მოსკოვის ავტონომიის გაუქმების შესახებ განაცხადა. აი, რას წერს ისტორიკოსი ვალიშევსკი თავის წიგნში „ივანე მრისხანე":

„1563 წლიდან 1570 წლამდე ივანე მრისხანე ელჩს ელჩზე აგზავნიდა სათათრეთში. მისი ელჩები ნაგოი და რჟევსკი წარუმატებლად აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს ხანთან — კვლავ მშვიდობა და თანხმობა ყოფილიყო მოსკოვთან და ამაოდ აგზავნიდა ძვირფას საჩუქრებსაც..."

მაგრამ რაში იყო სიუზერენებს შორის უთანხმოების მიზეზი? 1561 წელს მოსკოვმა მიიღო მნიშვნელოვანი ფალსიფიცირებული სიგელი კონსტანტინეპოლის პატრიარქისგან, სადაც ივანე მრისხანე პირდაპირ აღიარებული იყო ბიზანტიის იმპერატორების შთამომავლად. ცხადია, სიგელი გარკვეული თანხის საფასურად შედგა. ეს ცრუ სიგელი მოსკოვის საეკლესიო პირების მიერ იქნა შედგენილი და ტიტული ივანე IV-ს 1561 წელს დაუმტკიცდა.

ივანე IV კარგად იცოდა, რომ ყირიმის თათართა ჯარის მეორედ თავდასხმას მოსკოვი ველარ გაუძლებდა. ამიტომ მან იძულებითი ნაბიჯი გადადგა. 1575 წელს სახალხოდ დათმო ბიზანტიის იმპერატორის ტიტული, უარი თქვა ტახტზე, კასიმის ხანის — საინ-ბულატის სასარგებლოდ და რამდენიმე წლით ალექსანდროვსკოეში გადავიდა.

საინ-ბულატმა მიიღო სამეფო ტიტული. ხოლო ივანე IV დაკარგა ბიზანტიის იმპერატორის შთამომავლის ფალსიფიცირებული ტიტული და დარჩა, როგორც მისი წინაპრები — მოსკოვის მთავარი. ამით ივანე IV გააკეთა განაცხადი, ყირიმის ხანის და ოსმალეთის ხალიფატის წინაშე, რომ სამეფო ტახტზე აღარ აცხადებდა პრეტენზიას.

მოსკოვის რიურიკების შტო აღიარებდა თავის უძველეს ნათესაურ კავშირებს ჩინგიზიდებთან. გირეი ივანე IV-ს ამ დინასტიაში ათავსებდა. ამის წინააღმდეგი არც ივანე IV იყო, მაგრამ დღეს რუსებს რატომღაც არ სურთ ილაპარაკონ ამაზე და ტყუილს და მართალს ერთმანეთში ურევენ.

# ნამდვილად კავკასიელი იყო ნაპოლეონი?

იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტი კავკასიიდან იყო. ამაზე მისი გენები მეტყველებენ. — ამ დასკვნამდე მივიდა ფრანგი გენეტიკოსი ჟერარ ლუკოტი. მან გააანალიზა ნაპოლეონის დნმ, მისი ერთ-ერთი ნათესავის მეშვეობით.

როგორც იტყობინებიან, ნაპოლეონის უჯრედები არა მხოლოდ ლუკოტის, არამედ სხვა მეცნიერების ხელში აღმოჩნდა. ლუკოტმა აიღო დნმ-ის მონაცემები და შექმნა იმპერატორ დომინიკ ვივან-დენონის გამოსახულებაც. ყოველივე ეს მუზეუმში, ქალაქ შატოსში ინახება. ცნობილია, რომ ღია ფერის თმები არა მხოლოდ ნაპოლეონის წინაპრებს ჰქონდათ, არამედ თვით ნაპოლეონსაც და ამის დამადასტურებელი ფაქტებიც არსებობს. კვლევების შედეგად დაადგინეს არა მხოლოდ ნაპოლეონის თმის ფერი, არამედ ცნობილი კასტილიელი მეფის სიდ კამპეატორის, ცნობილი კასტილიელი მეფისა და მისი მეუღლის დონა ხიმენასიც. საფრანგეთის მეფის ჰენრიხ IV თმის და წვერის ფერიც, ფრანგი ფილოსოფოსის და ღვთისმეტყველების პიერ აბელიარის სხეულის ნაწილები, ფილოსოფოსი ვოლტერის კბილი და ა.შ.



დასაწყისში ლუკოტმა შეისწავლა იმპერატორის მიტოქონდრიალური დნმ, შემდეგ ნაპოლეონის იგრეკ ქრომოსომები. რითაც გაარკვია გენეტიკური კვალი ქალისა და მამაკაცის მხრიდან.

აღმოჩნდა, რომ ნაპოლეონისთვის დამახასიათებელი ხასიათის თვისებები აღსანიშნავია ახლო აღმოსავლეთის ხალხებისთვის. ამას ამტკიცებს თვით ნაპოლეონიც, რომელიც თავის წინაპრად სარცანელ ფრანჩესკო ბუონაროტეს სარცან ის ქალაქია, რომელიც არაბებმა მუსულმანებმა გაანადგურეს. ამის მიხედვით, მეცნიერებმა გადაწყვიტეს, რომ ნაპოლეონის წინაპრები იტალიაში ჩასულან არა ისლამის გასავრცელებლად, არამედ სავაჭროდ.

პირველი აღმოჩენის შესახებ განცხადების შემდეგ მეცნიერს 60 წლის შარლ ნაპოლეონი დაუკავშირდა. ის ნაპოლეონის ძმის ჟერომ ბონაპარტის შთამომავალია და შესთავაზა მისი დნმ შეესწავლა. აღმოჩნდა, რომ დნმ-ის მარკერი დაემთხვა ცნობილი წინაპრის დნმ-ს და აღმოჩნდა, რომ იდენტური იყო. ამით ლუკოტმა დაამტკიცა, რომ შარლი ნამდვილად იყო საფრანგეთის პირველი და უკანასკნელი იმპერატორის ნაპოლეონის შთამომავალი.

„მივყევი კვლევას, დიდხანს ვიმუშავე თვით მისიე შარლის დნმ-ზეც და აღმოჩნდა, რომ ნაპოლეონი იტალიაში ჩასულა, იგი არაბი ვაჭარი კი არ ყოფილა — ნაპოლეონი კავკასიელია". — აცხადებს ლუკოტი.

გენეტიკოსები აღიარებენ კვლევის სერიოზულობას, მაგრამ აღნიშნავენ, რომ საჭიროა კვლავ გამეორდეს გამოკვლევა. ბევრს აეჭვებს ის გარემოება ის, რომ ლუკოტი მარტო მუშაობდა და თანაც ასე მოკლე დროში მიიღო შედეგი. გენეტიკოსები ხომ 30 წელიწადი სწავლობდნენ იესო ქრისტეს დნმ-ს?

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ კვლევის შედეგად ისიც კი შეიძლება დამტკიცდეს, სინამდვილეში რა გახდა ნაპოლეონის გარდაცვალების მიზეზი. ხომ არ ჩანს გენეტიკური დაავადების კვალი? ამისთვის საჭიროა გაიხსნას ნაპოლეონის საფლავი პარიზში. აქამდე საფრანგეთის ხელისუფლება არავის აძლევდა ამის უფლებას, რადგან დღემდე მიმდინარეობს პოლემიკა, ნამდვილად ნაპოლეონი განისვენებს ამ საფლავში თუ საერთოდ ცარიელია იქაურობა?!

საფლავის გახსნას ნაპოლეონის შთამომავალი — შარლ ნაპოლეონიც ესწრებოდა. „ჩემთვის არ არსებობს არავითარი უსიამოვნო შეგრძნება, არავითარი აკრძალვა. რატომ არ უნდა დავუსვათ წერტილი ყველაფერს? ერთი პრინციპის გულისთვის — გაირკვეს სიმართლე", — ამბობს შარლ ნაპოლეონი.

# მოუსმინეთ ბისმარკს



მსოფლიოს გაუჩნდა უნიკალური შანსი მოისმინოს ოტო ფონ ბისმარკის ხმა. გერმანიის კანცლერი, ქვეყნის გამაერთიანებელი ოტო ბისმარკი 1898 წელს გარდაიცვალა და სულ რამდენიმე თვეა, რაც მისი ხმის ერთადერთი ჩანაწერი აღმოაჩინეს. მკვლევარი შტეფან პუილე ბერლინის უნივერსიტეტში დიდხანს მუშაობდა ამ ხმის ნამდვილობის დასადასტურებლად.

ჩანაწერი ძველ ფონოგრაფზე 1889 წელსაა ჩაწერილი ბისმარკის სახლში ტომას ედისონ ადელბერტ ვანჰემანის მიერ.

„მიმაჩნია, რომ მაქვს გამოცდილება ამ კუთხით და შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ნამდვილი ჩანაწერი და არა ყალბი", — ამბობს პუილე, რომელმაც ინდიანის უნივერსიტეტის პროფესორ პატრიკ ფისტერთან ერთად იპოვა ცილინდრები ამ ჩანაწერებით. ეს ჩანაწერი აქამდე დაკარგული ეგონათ.

ჩანაწერში „რკინის კანცლერი" კითხულობს ლექსებს ინგლისურ, ლათინურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. შიგადაშიგ იმეორებს ფრანგულ ჰიმნს — მარსელიოზას. ჩანაწერი მთავრდება რჩევით და მიმართვით, როგორც ჩანს, ვაჟისთვის — ჰერბერტისთვის, რომელსაც ურჩევს —„წყნარად იცხოვროს".

# მოწამლე და გადააგდე – რატომ ისაჭურისებენ თავს ობობები სექსის შემდეგ?

მგლები ხაფანგში მოხვედრისას თათებს იღრღნიან, ხოლო ობობა იკვეთს სასქესო ორგანოს, რადგან მდედრი ობობების ეშინია. კანიბალიზმი ობობებში ჩვეულებრივი ამბავია. მდედრები რეგულარულად ჭამენ მამრებს. ამიტომ მამრი ობობების წინაშე ყოველთვის დგას პრობლემა – სიამოვნება თუ სასქესო ორგანო?!



სინგაპურის ნაციონალური უნივერსიტეტის ბიოლოგები და აშშ-ის ბუნების განვითარების ისტორიის თანამშრომლები დიდხანს იკვლევდნენ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ობობებში ასეთი თავგანწირვის მიზეზი.

ნეფილენგისი ობობების განსაკუთრებული სახეობაა. ორგანიზმის დიამეტრი საცეცების გარეშე 15 მმ-ია. მდედრ ნეფილენგისს სამჯერ ნაკლები აქვს. ასეთი ჯიშის ობობები ინდოეთიდან იაპონიამდე ტროპიკულ ტერიტორიებში ბინადრობდნენ და მშვენივრად გრძნობენ თავს ადამიანთა საცხოვრებელ სახლებშიც.

ცდისთვის მეცნიერებმა ველური მოზარდი ობობები წამოიყვანეს და ლაბორიატორიაში მოათავსეს. თან აკვირდებოდნენ, რომ არ მომხდარიყო არადროული სექსი მათ შორის. შემდეგ მამრი გადასვეს მდედრ ობობასთან, მაგრამ ყველა ოცდახუთივე სექსუალური აქტი მოშხამვით და მამრის სიკვდილით დამთავრდა. მაშინ მეცნიერებმა გადაწყვიტეს გადაემალათ მამრი ობობა, რათა შეენარჩუნებინათ იმ სპერმატოზოიდების რაოდენობა მდედრი ობობებისთვის, რაც მათ ორგანიზმში დაგროვდა და არ გაფანტულიყო მამრის ორგანოების შეჭმის პროცესში.

აღმოჩნდა, რომ მდედრი იმახსოვრებდა იმ მამრ ობობას, რომელთანაც აქტი ჩაატარა და მასთან ხელახლა შეხვედრისას მაშინვე მიიწევდა პარტნიორის სასქესო ორგანოს მოსაკვეთად. როცა ხელში ჩაიგდებდა, მას გულდამშვიდებით ჭამდა.



# ტიტანიკის დაღუპვა – პირველი ტერაქტი მსოფლიო ისტორიაში

ტიტანიკის დაღუპვა იყო პირველი ტერაქტი, რომელიც ,,მსოფლიო მთავრობამ მოაწყო“, – მიიჩნევს დევიდ აიკი, ყოფილი ჟურნალისტი და ბიბისის თანამშრომელი.

დევიდ აიკი და ჯონ კოლემანი, რომლებიც ავტორები არიან წიგნისა ,,300 კომიტეტი – მსოფლიო მმართველობის საიდუმლოებანი“, დარწმუნებული არიან, რომ არსებობს ყოვლისშემძლე ორგანიზაცია, რომლის დამაარსებლები არიან მსოფლიოს უმდიდრესი ფინანსური დინასტიების წარმომადგენლები.

ისინი მიიჩნევენ, რომ ტიტანიკის დაღუპვა მსოფლიოსთვის მაშინ იყო, როგორც ჩერნობილის კატასტროფა ან ნიუ-იორკში ტყუპი ცათამბჯენების აფეთქება, რაც უბრალო ტრაგედიები კი არა, იმ ადამიანთა ჯგუფების გეგმების რეალიზაციის შედეგი იყო, რომლებიც ცდილობენ გააფართოვონ თავიანთი ინტერესების სფერო მთელ დედამიწაზე.

# ხალები ადამიანების ბედს განსაზღვრავენ



ნიშნები სხეულზე ადამიანის ბედზე მიუთითებს. ამბობენ, რომ დედამიწაზე არ არის ადამიანი არ ჰქონდეს ხალი ან რაიმე ნიშანი სხეულზე. კარგადაც რომ არ დააკვირდეთ სინდი კროუფორდს, თვალში მისი ხალი მაინც გეცემათ. ბავშვობაში, ალბათ, რას არ იგონებდა ყველა გოგონა ამ სუპერმოდელს რომ დამსგავსებოდა. მისი ხალი ტუჩს ზემოთ კარგა ხანს ითვლებოდა სილამაზის სიმბოლოდ, მაგრამ მერლინ მონროს ცნობილი ხალი? მრავალი მამაკაცი ამ ხალს ჭკუიდან გადაჰყავდა. ნიშნები ადამიანის სხეულზე მაგიური დანიშნულებისაა. მათი მდებარეობის მიხედვით ადამიანის ხასიათის გამოცნობაც და თვით ბედის განსაზღვრაც კი არის შესაძლებელი.

ნებისმიერ ადამიანს სხეულზე 20 ასეთი ნიშანი აქვს. ,,დაბადებიდან მაქვს სახეზე ხალი, მან მე ბევრი უსიამოვნება მომიტანა. ზოგჯერ სარკეში ჩახედვაც კი არ მინდოდა. რადგან მეჩვენებოდა, რომ ეს ხალი ჩემს გარეგნობას ამახინჯებდა“, – ჰყვება ქალბატონი, რომელიც დასძენს, რომ ამის გამო მუდმივად საყვედურობდა დედას, რადგან უთხრეს, რომ ორსულობის პერიოდში მოცხარი მოიპარა და ამ მოცხარის ნაყოფი იზრდება ახლა სახეზე. ხალი, რომელიც ,,სტანჯავდა“ ქალბატონს, ბოლოს და ბოლოს მოიშორა. აღმოჩნდა, რომ ეს ხალი საბედისწერო იყო, რის შემდეგაც მასში უამრავმა დაავადებამ იჩინა თავი.

ეს ერთი ჩვეულებრივი ისტორიაა, მაგრამ იმ ქალბატონის მსგავსად ბევრი ადამიანი იცილებს ხალებს და არც წუხან ამის გამო. მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როცა ხალს გადაურჩენია ადამიანი. ,, ისეთი, ხალი მქონდა როგორიც ჩემს დედას – ტუჩს ზემოთ. ერთხელ მოვხვდი საშინელ ავტოავარიაში. საავადმყოფოში მიმიყვანეს, სადაც ერთმა მოხუცმა თქვა – კარგია, რომ ხალს რაიმე არ მოუვიდა, ეს ნიშანი მფარველმა ანგელოზმა დაასვა, მითუმეტეს თუ ის მემკვიდრეობით გადმოეცათ“ – ჰყვება ახალგაზრდა მამაკაცი.



უამრავი ტიპის ხალი და ლაქა არსებობს. ზოგიერთი ასო-ბგერას ჰგავს, ზოგიერთი – ციფრებს, ან გეომეტრიულ ფიგურებს. ზოგიერთს ხალი მისტიკური მნიშვნელობის ნიშნად მიაჩნია. ერთი გოგონა ჰყვებოდა, რომ მას მარჯვენა მხარზე დაბადებიდან აქვს ლაქა, რომელიც ჰგავს გადმობრუნებულ ასო S-ს. ეს ამბავი მას მუდმივად შიშს ჰგვრიდა. საინტერესო ისაა, რომ ასეთი ლაქები აბსოლუტურად უმტკივნეულოა.

საინტერესოა, რომ შუა საუკუნეებში ლაქებიან ადამიანებს კოცონზე წვავდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მათ მოჰქონდათ უამრავი ბოროტება ადამიანებისთვის. მაგრამ ამავე დროს არსებობდა აზრიც, რომ თუკი ადამიანს სხეულზე ბევრი ხალი აქვს, ბედნიერი იქნებაო. არის ამ მოსაზრებაში სიმართლის მარცვალი? ამაზე პასუხის გაცემა არავის შეუძლია.

ფსიქოლოგიის პროფესორი ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი ბორის ხიგირი აღნიშნავს, რომ ხალებს ბევრი რაიმეს თქმა შეუძლია. შეიძლება ითქვას, რომ ბედი ჩვენი ბედის წიგნში წერია, რომლის წაკითხვისას ბევრი რაიმეს გაგება შეიძლება ადამიანზე, მის ხასიათზე, ბედზე. ხალებს შეუძლია მოგვიტანოს ბევრი ბედნიერება და ბევრი უბედურებაც. თუ ხალები მშობლებისგან გადმოგეცათ და არის იმ ადგილას, სადაც აქვს დედას, მაშინ მას დამცავი ფუნქცია ექნება. მისთვის ხელის ხლება არაფრით არ შეიძლება, – ამბობს ექსპერტი.

დიდი ხალი ყელზე, რომელიც ერთთეთრიანის ტოლია ლაპარაკობს ადამიანზე, რომელიც არის ემოციური, აქვს სწრაფი რეაქციები, მიდრეკილია ხელისუფლებისა და ძალაუფლებისკენ.

მეცნიერთა მტკიცებით, ადამიანს, რომელსაც ხალი ცხვირზე აქვს, გამოირჩევა კარიერის სიყვარულით. ის წარმატებებს აღწევს პროფესიულ საქმიანობაში.

ხალი ყურებზე მოუსვენარ ადამიანებს აქვთ. ისეთებს, რომლებიც ემოციონალური ნატურები არიან.

ხალი შუბლზე ფიქრიანი, დეპრესიული, მისტიკის მოყვარული ადამიანებს აქვთ.

თუკი ნიშანი მარჯვენა ბეჭზე გაქვთ, თქვენი ნერვიული სისტემა წესრიგში არ ყოფილა – ისინი ფიქრობენ, სხვები აკეთებენ, მესამე შრომის ნაყოფს იმკის.

ჯვრის ფორმის ხალი ადამიანის ორგანიზმისთვის – იგი ისეა, როგორც მფარველი ანგელოზი. მოწევა ამ ადამიანებისთვის სასტიკად არის აკრძალული. ბავშვობაში ასეთი ნიშნის მატარებლებს ზედა სასუნთქი გზების დაავადებები ემართებათ.

ხალის შეფერილობას შეუძლია მოგვითხროს მისი მფლობელის შესახებ.

მუქი ფერის ხალის მქონე ადამიანებს რთული ხასიათი აქვთ და არცთუ უბრალო ბედი. მათ უყვართ სიცოცხლე, შრომა ერთსა და იმავე ადგილზე. თუკი ხალზე თმებია, მისი მფლობელის წინააღმდეგობრივ ხასიათზე მიუთითებს.

მეცნიერები თავიანთი ტერმინოლოგიით ხალს თავის სახელს არ უწოდებენ. ამბობენ, რომ მას ჰქვია ნევუსი, კანის არაჩვეულებრივი კეთილთვისებიანი წარმონაქმნი. აქ მისტიკური არაფერია. 60 წლის ასაკიდან მათი უმრავლესობა ქრება. ხალების წარმოშობის უამრავი მიზეზი არსებობს – მზე, მემკვიდრეობითობა, რადიაცია, ეკოლოგია, სოლარიუმი. მაგრამ თუ ადამიანს ბევრი ხალი აქვს, ის ბედნიერიაო, ყოველთვის სიმართლე არ არის. ,,ადამიანისთვის არა აქვს მნიშვნელობა ბევრი იქნება ის თუ ცოტა. თუკი ხალი იზრდება, ხდება სისხლმდინარე, იცვლის ფერს, აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს. მედიცინის ისტორია იცნობს ისეთ შემთხვევებს, როცა მოკვეთილ ხალში შემდეგ აღმოუჩენიათ ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედები.

ასე, რომ მოგწონთ თუ არა თქვენი ხალი, ყურადღებით მოეკიდეთ მას. კანის კიბო ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა ჩვენს დროში, ხოლო რაც შეეხება ხალის ადგილმდებარეობას. მიიღეთ ის ისე, როგორც მტკიცებულება. ახალგაზრდა კაცი, რომელსაც გაიცნობ, არც ისე სასიამოვნოა? მის შესახებ ხალი ყველაფერს მოგიყვებათ.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**

მოგზაურობა სამშობლოში

# idumali koSkebi da bneleTi

## სქრის ხეობა












სოფელი კოშკები: ზურგიანი კოშკი და ღვთისმშობელის ეკლესია თავისი რელიეფებით

ყოველთვის, როცა თბილისიდან დასავლეთით მივემგზავრები და გორს გადმოვხედავ ხოლმე, გორიჯვრის ეკლესიიდან დასავლეთით მდებარე, ტყეში ჩაკარგულ ერთ ვიწრო ხეობას დაეძებს თვალი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს იქაურ მკვიდრთა გარდა ეს ხეობა აღარავის ახსოვს.

**ამჟამად მთელ ხეობაში 700-მდე კომლი მოსახლეა, თავად სოფელ სკრაში კი 300: მახარაშვილები, მამულაშვილები, მაზიაშვილები, ოქროშიაშვილები, კაკაშვილები და მშვიდობაძეები. ამათგან პირველი ოთხი გვარის ხალხი ძირძველი მოსახლენი არიან, რომლებიც XVI საუკუნეში ჩამოვიდნენ ხეობის ზედა სოფლებიდან.** 1601 წელს, სიმონ I-ის მეფობის დროს, იმ ზედა სოფლებში, უმთავრესად კი დღევანდელ კოშკებში, ძველ ნაფუძარზე, მეზობელი ათრევის ხეობის მაღალმთიან სოფელ ღვარებიდან ქრისტიანი ოსები ჩამოსახლებულან. სოფელ სკრაში მცხოვრები მშვიდობაძეები გურიიდან, სახელდობრ ახლანდელი ლანჩხუთის რაიონიდან არიან მოსულნი 1780-1790 წლებში. გარდა ამისა XIX საუკუნეში სკრის ხეობის სათავეში მდებარე სოფელ ზემო რიეთში სოფელ ღორეშიდან მოსული კურტანიძეები და ლომიძეები გამოჩნდნენ, რომელთაც მცირე ხანს ბორჯომის ხეობაშიც უცხოვრიათ. ღორეშელებს ზემო რიეთის მიწები ფეფე შალიკაშვილისგან და მისი სიძის კოტე კვალიაშვილისგან შეუძენიათ. ეს გარიგება 1885 წელს გაფორმებულა. 1903 წელს კათოლიკე მღვდელს დომენიკე ივანეს ძე მულაშაშვილს რამდენიმე კათოლიკე მესხიც, უმეტესად სეფიშვილები ჩამოუყვანია ხიზადან და ბავრადან (ასპინძის რაიონში არსებული ეს ორი სოფელი დიდი ხანია რაც გაერთიანდა და ხიზაბავრა ჰქვია). ისინი სკრის ხეობის ბოლოში, სოფელ ბეთლემში დაუსახლებიათ. ძველ ბეთლემს მოსულებმა ახალხიზა უწოდეს.

**ყველა ეს ინფორმაცია სკრის ყოფილი მეხილეობის საცდელი სადგურის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორმა გივი ბადრიშვილმა მომაწოდა, რომელიც ხეობის შესახებ საკმაოდ ვრცელი წიგნის წერას ასრულებს.**

სკრის ქრონიკებს ჩვენ ისევ დავბრუნდებით, ახლა კი ხეობას შორიდან რომ არ ვუცქიროთ და ვისაუბროთ, მკითხველი რამდენიმე წლით უკან უნდა დავაბრუნო და ჩემი მოგზაურობის მონაწილე გავხადო.

თავად სოფელ სკრაში მდებარე 2-სართულიანი ცილინდრული კოშკი და ახალაღდგენილი, საკმაოდ მოზრდილი ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია. თუ იმას არ ვიგულისხმებთ, რომ ქვევით, მიწაში თრიალეთის კულტურის 3-4 ათასწლოვანი ნაშთები; ოქროს, ბრინჯაოს და შავპრიალა კერამიკული ნაწარმის ნიმუშები თვლემენ, აქ სხვა ძეგლებს ვერ ვნახავთ. ამიტომ მეუბნება ჩემი მეგზური სოსო მშვიდობაძე — საინტერესო ციხე-ტაძრებს, რომელთაც თქვენ დაეძებთ, კოშკებში და უფრო ზევით ვნახავთო.

ადრე გაზაფხულია. ხეობის ქვედა წელზე შინდს კვირტები დაასკდა, სულ ზევით კი, თურმე, თოვლი ჯერაც არ გამხვალა.

სკრიდან სამხრეთით 3 კილომეტრში არის პატარა სოფელი კოშკები, სადაც სულ 80 კომლი მოსახლეა. **ვახუშტი ბატონიშვილს თავის რუკაზე სკრა და რიეთი მონიშნული აქვს, კოშკები კი არა, თანაც სკრა იმ ადგილზე — ორი ხევის შესაყარში — აქვს მიწერილი, სადაც ამჟამინდელი კოშკებია. ეს იმას გვაფიქრებინებს, რომ ხეობის ცენტრი დღევანდელი სკრა კი არ ყოფილა, არამედ კოშკები — იგივე ძველი სკრა.** კოშკები სოფლისთვის მის გვიანდელ მოსახლეობას უნდა დაერქვა აქ არსებული დიდი ციხე-კოშკისა და ეკლესიათა ნაშთების გამო. 6 სართულის (დაახლ. 16 მ) დონეზე შემორჩენილი კოშკი ზურგიანია — ე.ი. კლდის მხრიდან ნახევარწრიულია, მომრგვალებულია, წინა მხრიდან კი სწორკუთხა. ასეთი კოშკები IX-X საუკუნეებიდან შენდებოდა ჩვენში. როგორც სკრის ხეობის ამ კოშკის ქვათა წყობის ქვედა რეგისტრები მეტყველებენ (დიდრონი, კარგად გათლილი ლოდების სიმჭიდროვე) ეს ბასტიონიც ამ ეპოქისა უნდა იყოს, მაგრამ დანგრეულა და გვიან შუასაუკუნეებში მცირე ზომის ფლეთილი ქვით აღუდგენიათ. ამ დროს დაუტანებიათ კედელში სათოფურები.

უაღრესად საინტერესოა სასაფლაოზე მდგარი X საუკუნის დარბაზული ტიპის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც აგებულია უხეშად დამუშავებული ჩალისფერი და მუქი ღვინისფერი ქვებით. სამხრეთის კარიდან შესულებს (ტაძარს დასავლეთის კარიც აქვს, მაგრამ გაუქმებულია) უწინარესად თვალში გეცემათ დიდი, თლილი კვადრებით შექმნილი ცილინდრული კამარა, რომლისთვისაც ჟამთა სვლას თითქმის ვერაფერი დაუკლია. მარტოოდენ ეს ფაქტიც კი საკმარისია იმის მისახვედრად, თუ რაოდენი მონდომებით უშენებიათ საყდარი. და მაინც, ეს ერთგვარი წვრილმანია იმასთან შედარებით, რასაც სიძველეთა მოყვარული (მკვლევარზე აღარას ვამბობ) პილასტერთა კაპიტელებზე ნახავს. **განსაკუთრებით საყურადღებოა სამხრეთ კედლის შუათანა სვეტის კაპიტელის მორთულობა: რამდენიმე გადაბმული რგოლიდან ერთ-ერთში (ცენტრალურში) ჩასმულია ღრმა რელიეფური კვეთის ოთხფრთიანი ბორჯღალი (სვასტიკა), რომლის ბოლოები თითქმის 90 გრადუსითაა მომრგვალებული მარცხნიდან მარჯვნივ. ეს გახლავთ ბორჯღალის (მათ შორის ქართულის) უძველესი სახეობა, რომელიც მრავალი ათასი წლის წინათ წინა აზიაში ჩამოყალიბდა და ე.წ. სამარული და ხალაფური კულტურის დროიდანაა ცნობილი. (ამის თაობაზე უფრო ვრცლად მთაქართლისა და არმაზის მიდამოებში მგზავრობის დროს ვწერდით). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს „მამალი" ბორჯღალია, ხოლო „დედალი" ის გახლავთ, რომლის ფრთები საწინააღმდეგო მიმართულებით ტრიალებს, მიწის ენერგიის სიმბოლოს გამოსახავს და ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში (აქედან კი მხედრულში განვითარებითაც) ასო-ბგერა „ქანის" გამომხატველი ნიშანია.** ასტროლოგიურ-ლოგოსური იდუმალების განცდა კიდევ უფრო მძაფრდება ფასადების დათვალიერებისას. განსაკუთრებით საყურადღებოა აღმოსავლეთი სარკმლის თავზე ჩასმული ორი მუქი ღვინისფერი ფილა. ქვედა ფილაზე, განედლებული ჯვრის ორივე მხარეს, რაღაც ნიშნები ყოფილა, მაგრამ ახლა მკაფიოდ აღარ იკითხება. ზედა ფილა ორადაა გაყოფილი ცისარტყელის მსგავსი თაღით. აქვეა გამოსახული ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ელიფსი და მათ შუაგულში მოთავსებული თვალის გუგა („ფხიზელი თვალი") — სამყაროს შემქმნელი მამა-ღმერთის ლოგოსი. ცისარტყელის თაღი სულიწმინდის ან სულაც წარღვნის შემდგომ ადამიანთან დადებული სამშვიდობო აღთქმის სიმბოლო. თაღს ქვემოთ გამოსახულია ექვსქიმიანი ვარსკვლავი (იგივე „დავითის ფარი") და შიგ ჩამჯდარი კიდევ ერთი „ფხიზელი თვალი", რომელიც ძელმერთის, მაცხოვრის ლოგოსი უნდა იყოს.

ამავე ფილაზე არსებულ ასომთავრულ წარწერას შემოუნახავს მისი ავტორის სახელი ლომა თუ ლეონი: **„ქ.სახელითა ღმრთისაითა ესე ქვაი მე ლომმან** (ლეონმან) **დავსუი ჩემითა ფასითა".**

ხევის მარჯვენა (აღმოსავლეთ) მხარეს რომ ეს ეკლესიაა, მარცხენა მხცარეს, უშუალოდ სოფელში, მეორე „ღვთისმშობელია". სტილისტური ნიშნებით ისიც X საუკუნისაა. სამწუხაროდ, ეს საყდარი, რომელიც თავის დროზე მთლიანად მოხატული ყოფილა, ახლა მძიმე მდგომარეობაშია. იმის გამო, რომ გადახურული აღარაა, დარბაზი ჩამონგრეული კამარის ქვებით და მიწა-მტვრითაა ამოვსებული, კედლები კი დაზიანებული და ჩამორეცხილი. ტაძრის ორი შესასვლელიდან ერთ-ერთი — დასავლეთისა, ამოქოლილია, ხოლო სამხრეთისა გვიან შუასაუკუნეებში მიდგმულ კარიბჭეს და ეგვტერს უკავშირდება. ეს ორივე გვიანდელი ნაგებობა, ძველი დარბაზული საყდრისგან განსხვავებით, თლილი ღვინისფერი ქვითაა აშენებული. **ეგვტერის პორტალზე არსებული მხედრული წარწერა გვეუბნება, რომ იგი 1708 წელს ედიშარ შალიკაშვილს აუგია. „ღვთისმშობელს" და მასზე მიდგმულ ეგვტერს აღმოსავლეთიდან ისეთი შესახედაობა აქვთ, რომ ტყუპი ეკლესიის სახელი დაიმკვიდრეს.**

და აი, დადგა დრო ორიოდ სიტყვა ვთქვათ **შალიკაშვილებზე**. ისინი მესხი ფეოდალები იყვნენ და XVI საუკუნეში სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ სამცხის ათაბაგებს — ჯაყელებს. ოთარ შალიკაშვილი ამ დროს ათაბაგებს არ ჩამორჩებოდა სიძლიერით. ასევე იყო მისი ძე ვარაზიც, რომელიც ყვარყვარე ათაბაგის დედამ, ამ დროს სამცხის ფაქტობრივმა მმართველმა დედისიმედმა მოაკვლევინა. 1576-1578 წლებში სამცხეში სამოქალაქო ომი დაიწყო. ამ ომში, ოსმალოს მხარდაჭერით, თავდაპირველად შალიკაშვილები სარგებლობდნენ, რომლებიც მაჰმადიანობასაც იღებდნენ. ერთ-ერთი პირველი მათ შორის იყო მოკლული ვარაზის ვაჟიშვილი კიკოლა. (მაჰმუდხანი), რომელიც ჯერ ოსმალეთის მხარეს იყო, მერე ვითომ ყიზილბაშებს მიემხრო, მაგრამ 1587 წელს ისევ თურქებთან გადავიდა და გორის ბეგლარბეგი გახდა. შეიძლება ითქვას, რომ შიდა ქართლის მიწების, კერძოდ კი სკრის ხეობისადმი ინტერესს შალიკაშვილები ამ დროიდან იჩენენ. ეს დაინტერესება მას მერე უფრო ძლიერდება, რაც, ჯაყელთა გაფაშების შემდეგ, მათ სამცხეში აღარ დაედგომებათ და ქართლისკენ ისწრაფვიან. მაგრამ მანამდე, სანამ შალიკაშვილები გახდებოდნენ სკრის ხეობის ბატონები, აქაურობა ციციშვილებს და ჯავახიშვილებს ეკუთვნოდათ. 1609 წელს შანშე ჯავახიშვილს აქაური მიწების ერთი ნაწილი, ყმებთან ერთად, ცალქალამანიძეებისთვის მიუყიდია. 1690 წელს გიორგი XI-ს სკრის ხეობის მთა და ბურეთი ტინისხიდელ ალალაშვილებისთვის მიუცია, ალალაშვილებს კი მამუკა ჩუკაშვილისთვის მიუყიდიათ. 1703 წელს ვახტანგ VI-ს სკრის ხეობა კვლავ ჯავახიშვილებისთვის გადაუცია, 1708 წლიდან კი უკვე კიკოლა და ედიშერ შალიკაშვილები ბატონდებიან. ცნობილი არიან 1760 წელს ზემო ქართლის სადროშოს სარდალი ბეცია შალიკაშვილი, ასევე ამ საუკუნის მეორე ნახევრის წარმომადგენლები ოთარ და კიკოლა შალიკაშვილები (ეს ორი სახელი ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ამ გვარში). შემორჩენილია XIX საუკუნის მეორე ნახევრის სკრის ხეობის მემამულეების როსტომ და გიორგი შალიკაშვილების სახელებიც.

სავარაუდოა, რომ „ღვთისმშობლის" ეკვდერის მაშენებელი შალიკაშვილების აღდგენილი უნდა იყოს ზურგიანი კოშკიც და ტყუპი ეკლესიის ქვევით არსებული ის მცირე და მოკრძალებული საყდარიც, რომლისთვისაც აქაურებს „საწყალი" დაურქმევიათ.

ხეობის ყველაზე დიდი ტაძარი მის თავში, სოფელ ზემო რიეთიდან სამხრეთით, ბნელეთად წოდებულ ადგილშია. იქამდე მისასვლელად ჯერ სამხიდიანი მანქანით მივდივართ უშუალოდ ვიწრო ხევში, მერე კი ქვეითად მივუყვებით აღმართს. თოვლში სიარული დამღლელია, მაგრამ ბორცვის თხემზე ტყეში ჩარჩენილ ძველ სასაფლაოზე ისეთი იდუმალება სუფევს, რომ უცხო მხარეში მოხვედრილი კაცივით ყველაფერი გავიწყდება — დაღლილობაც და ამქვეყნიური ამაოებანიც. სწორედ აქ დგას მთლიანად შირიმის გათლილი ქვით აგებული IX-X საუკუნეების სამეკლესიანი ბაზილიკა (11,5X10,2 მ.). ტაძარს სამკაულები არ აქვს, მხოლოდ ძირითადი სარკმლებია ორმაგი სადა ლილვებით მოჩარჩოებული. ეკლესიაში შევდივართ სამხრეთი მინაშენიდან, საიდანაც ერთი კარით სამხრეთის სამლოცველოში შეიძლება მოხვედრა, მეორე კარით — მთავარ დარბაზში. ამ უკანასკნელიდან შევდივართ ჩრდილოეთ სამლოცველოში, იქიდან კი დამატებით სათავსში. იმის გამო, რომ ტაძრის ჩრდილოეთი მონაკვეთი მთლიანადაა ჩამჯდარი მოშვავებულ მიწაში, ამ ფლიგელის ორივე ოთახში სრული სიბნელეა. რაც შეეხება ცენტრალურ დარბაზს, მისი საკურთხევლის ნალისებრ აფსიდში შეგიძლიათ XII-XIII საუკუნეების მხატვრობის ნაშთები იხილოთ, რადგან აქ სამი მხრიდან შემოდის დღის სინათლე. ეკლესიის სახურავი ისეთი მკვიდრია, რომ წყალი არსად წვეთავს. **IX საუკუნის ასე კარგად და უცვლელად შენახული მეორე ტაძარი არსად არ შემხვედრია, მაგრამ როდემდე გაუძლებს იგი სახურავზე ამოსულ ხეებს და მარტოობას, ძნელი სათქმელია.**

არადა, უკეთეს სამონასტრო ადგილს და ტაძარს ძნელად ინატრებს ჭეშმარიტი ბერი.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

სოფელ კოშკების „ტყუპები" (შალიკაშვიელბის ეკელსია) და ბნელეთის სამეკლესიანი ბაზილიკა







# facebook

## xa l xis az r iT

ვითომ დემოკრატია, ვითომ სამართალი, ვითომ ეკონომიკა ვითარდება, ვითომ განათლება არსებობს, ვითომ თავისუფალი მედია გვაქვს, ვითომ უნდათ სამართლიანი არჩევნები, ვითომ ჯანმრთელობის სისტემა რეფორმირდება, ვითომ პატრული არაა პოლიტიზირებული – ვითომ, ვითომ... ამოვიდა ყელში ამდენი ვითომ!!! მოვესწრებით იმ დროს, როცა ვიტყვით – მართალს?!

აბა, სად ხართ გენიოსებო, რატომ სდუმხართ?. ივანიშვილის - „თითიდან გამოწუწნულზე,'' სავარძლებიდან რომ ვარდებოდით სიცილისგან, რატომ გამოგრჩათ სააკაშვილის - „გაზაფხული მოიტყვანა'' ... დავიჯერო გამოგრჩათ თუ სასაცილოდ არ მოგეჩვენათ? :) ეს სანამ რუსთაველზე, ხის ცხენზე გადამჯდარი, აჩუ-აჩუს ძახილით არ ჩაგვირბენს, მანამ არ დავიჯერებთ ამის ავადმყოფობას.

წინასაარჩევნოდ ყველა კანდიდატმა საკუთარი პარტიის პროგრამას თან დაურთოს საკუთარი ჯანმრთელობის ცნობა თორემ, არავის ხმას არ მივცემ! :)

ტანჯულა უგულავას უსმინეთ, რაააააა... თურმე თავისი ისტორიული მისია უკვე შეუსრულებია და მერი გამხდარა.... ეხლა პრეზიდენტობას უმიზნებს (ოღონდ ჯერ არ ამხელს) და თანაც მიშას ხელისუფლებაში დარჩენას პროგნოზირებს :)))) მეტირება პირდაპირ .... რავა ყველა ნაციონალი ისტორიული მისიით არის მოსული? თქვენი ისტორიული მისია იცი, რა იქნება? ''პირველად საქართველოს ისტორიაში'' ნებაყოფლობითი წასვლა ხელისუფლებიდან .... მეტი არაფერი გეტკინოს გიგი, მიშა ხელისუფლებაში ვერ დარჩეს ... კაცი ამ ქვეყნდა აღარ არის... იქ არის უკვე, იქ... თქვენი გაზაფხული კი მიშამ თავად იწინასწარმეტყველა გუშინ :))))))))))))))

აკაკი ბობოხიძე სულ მთლად გამოჰიბრიდდა და აი, ასეთი მარგალიტები აფრქვია: ''ვინ არის ჯონ ბასი, რომ მისი გალიზიანება ჩვენთვის შემაშფოთებელი იყოს? ... ჩვენ ვერ ვიქნებით იმაზე ორიენტირებულნი, შეშფოთდება თუ არა ჯონ ბასი.'' :)))) საწყალი კაკოიე )))))))

ამ დილას მაგრად ვიცინე და მინდა თქვენც გაგაცინოთ..... შალვას გადაცემას ვუსმენდი რადიოთი და იქ ითქვა, რომ თურმე ნათიას ვაჟკაცი, ანუ მოგელაძეები, ფეისბუქის აქტიური მომხმარებლების და მისი მლანძღველების დაბარებასაც აპირებს.... :))))))))))))) ნეტა იცოდეს, როგორ ველი ამ დღეს.... მივგელაძდები მასთან, მერე შემომეგელანძდება და მერე წამოვგელანძდები და გაასმაგებული ენერგიით შევუტევ ქართველ დოლფ ლუნდგრენი (ალბათ, ასლოკინებს, იმდენჯერ ვახსენე ფეისბუქის ''გვერდებზე'') :))))))

ანტირუსულიმიჯიანმა პრეზიდენტმა ზეციური ტახტრევანიდან უცხოური საელჩოების თანამშრომლები გააკრიტიკა. ელჩების გინებაზე როცა გადავა არ გამომაპაროთ. არ გამიკვირდება აშშ-ს ელჩით რომ დაიწყოს!

სავარაუდოდ, მალე იტყვის, საელჩოები იმიტომ მაკრიტიკიებენ, რომ პუწინმა მოისყიდაო, აი, ჩვენს ხალხს როგორ აწვალებენო და მოგელაძესთან დაიბარებენ!:)))

არადა, ხალხის აბუჩად აგდება და ზემოდან ქვემოთ ყურება ხომ კომკავშირ-მოქკავშირნაციონალების მოგონილია?!:(

გამოდის, ვინც ბიძინას გამოესარჩლება, ის ქართველი ხალხის მტერია, ამჯერად მთელი დიპკორპუსი.. ესეც შენ - ახალი მტრის ხატი:)))

ეს 2 დღეა ქართველები საერთაშორისოებს გადავწვდით. კაკო მაგარია ამერიკიდან ჩამოტანილი ჰიბრიდული სიმინდით. რავა გამოხტა დღეს გოშიასავით :) და მალაშხია? მალაშხიამ რეზოლუციების შეგროვებას თავი დაანება და რუსეთის ჩამოშლის შემდეგ, ახლა აშშ-ს შლიან. ეგ ორივე ჩისტილშიკები არიან, მიშას ჩასვრილებს წმინდავენ, მალე არ ეყოფათ მთელი ნაცშემადგენლობა. ისე მივიწევთ წინ, მალე ნატო მოვა ჩვენთან (მორჩა მუდარა) და შეგვეხვეწება თქვენებული მაპი გვაღირსეთო ...




Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook







## თავსატეხი

ჰორიზონტალურად: აგატა, ანელი, ეკალი, ვინტი, ნადია, ოპალი, ოზონი, ობილი, პანია, სალონ, ტუტია, უფიცი, შოთია, ცოდნა, ძამი, ჩაჩა, პერია.

ვერტიკალურად: ანატა, ანელი, აფსკა, გამრი, ზურნა, თაფლი, თამრო, იანკა, იორდა, კაინე, მუშტი, ნანკა, ქაშნი, რეშიო, სახრე, ფიშტი, ქინძი, ჩანგი, წრიპა, ჯვალო, პაუკა.

## სამიდან ერთი

ვერტიკალურად: 1. კვეელი, სახელი, ბუელინი. 2. დუქანი, დეგილი, დალისა. 3. საგარა, წამალი, მეთოდი. 4. ტატრა, ტანგო, ტალკი. 5. ლაგრა, კანქი, ჯართი. 6. ადამსი, ერვალე, ოდილია. 11. პასკალი, კარმენი, კოსმოსი. 12. რეკლამა, პარკსის მანდილი. 13. გარეკი, გასოლი, ქელელა. 14. ბასეინი, კატრა, ნაკილი. 15. ცამეტი, პუდელი, მანათი. 18. კრიკ, ქუდი, ნიჩი.

ჰორიზონტალურად: 3. საგარეკი, სამთვარი საბვილები. 7. ბასიკი, ჯავალი, ფერარი. 8. კარიკანი, გალავანი, დედალინი. 9. ტორიალა, კურარე, ბურაკა. 10. პარასოლი, შორაპანი, რიოკარდი. 13. გონიკა, სახელი, ხელინა. 16. დალაქი, ბარაქა, კიბორი. 17. დუმილი, ლალაგა, სიკამა. 19. კლარისი, ელეონორა, პრიოკია. 20. მამალი, ლოლოტა, ტიტიტინი. 21. პროშუთ, ფარეთი, კუბატი.

## შიფრვორდი

ა-9, ბ, გ, დ-24, ე, ვ, ზ, თ, ი-2, კ, ლ, მ, ნ, ო-25, პ, ჟ, რ-17, ს-3, ტ, უ-7, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ-27, ჭ, ხ, ჯ, ჰ

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ვარ მარტოხელა. მივლის ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რომელთანაც მე დავდე სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება. ჩემი გარდაცვალების შემდეგ მათ რჩებათ ჩემი ბინა. ხელშეკრულების დადების შემდეგ გამოიკვეთა, რომ მათ ჩემი ჯანმრთელობა სრულებითაც არ ანაღვლებთ. ჩვენი ურთიერთობა აუტანელი გახდა. შემიძლია თუ არა ხელშეკრულების გაუქმება?**

— შეგიძლიათ.

— სამოქალაქო კოდექსის 949-ე მუხლის მიხედვით, როგორც მარჩენალს, ისე სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე, თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს, ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას.



* * *

ახლობელს ვაჩუქე როიალი, მაგრამ მან ჩემს მიმართ დიდი უმადურობა გამოიჩინა, მაქვს თუ არა უფლება, საჩუქარი უკან დავიბრუნო?

— ეს შესაძლებელია.

სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

II ნაწილი. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ.

III ნაწილი: ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

* * *

**— ჩემი შვილი დაიღუპა ავტოავარიაში.**

**დამნაშავე ამჟამად მსჯავრდებულია. დამრჩა ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი. შემიძლია თუ არა, დამნაშავისგან მოვითხოვო სარჩო? რა ვადაში?**

— შეგიძლიათ.

— სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა, ეხადა სარჩო.

II ნაწილი: სარჩოს სანაცვლოდ დაზარალებულს შეუძლია,მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურება, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი.

ამავე კოდექსის 1008-ე მუხლის მიხედვით, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

აქვე გეტყვით, რომ, ვინაიდან, დაზარალებული გარდაიცვალა, თქვენ ან გარდაცვლილის მეუღლე იქნებოდით გამოძიების მიერ ცნობილი დაზარალებულად (ანუ დაზარალებულის უფლებამონაცვლედ).

დაზარალებულს შეუძლია,შეიტანოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, მცირეწლოვანი ბავშვების მიმართ სარჩოს დაწესების შესახებ, კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე.

* * *

**— შეიძლება თუ არა, საქორწინო ხელშეკრულება დაიდოს მომავალში შეძენილ ქონებაზე?**

— სამოქალაქო კოდექსის 1176-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# SromiTi urTierToba da socialuri kanonmdebloba iaponiaSi

იაპონიას მსოფლიოს საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა, ცუნამმა, მიწისძვრამ და ატომური ელექტრო სადგურის ავარიამ იმდენად დიდი ზიანი მიაყენა, რომ მსოფლიოს ეკონომიკურ გიგანტებს შორის მეორე საფეხურიდან მესამეზე ჩამოანაცვლა. ქვეყნის სტრატეგიულ პრობლემად იქცა დემოგრაფიული საკითხი — შობადობის დაცემა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივოის 80 წელს გადამეტება. იაპონიაში შობადობის რადიკალური ზრდის გარეშე 2050 წელს მოსახლეობის 70 პროცენტი 60 წელს გადაცილებული პირი იქნება.

დღეს ქვეყანაში ეკონომიკურად აქტიური 40 მილიონი ადამიანია. უმუშევრობის დონე 6 პროცენტს შეადგენს. საშუალო ხელფასი თვეში 8 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს.



იაპონიის შრომითი კანონმდებლობა ლიბერალურ პრინციპებზეა აგებული და დამსაქმებლისთვის ყოველმხრივ ხელსაყრელ დათქმებს შეიცავს. მაგალითისთვის შეიძლება აღინიშნოს, რომ მოქმედებს შტატგარეშე თანამშრომლის ინსტიტუტი. შტატგარეშე თანამშრომლის ხელფასი შტატიანი თანამშრომლის ხელფასის მხოლოდ 50 პროცენტს აღწევს. მათი სოციალური გარანტიები და შეღავათებიც სანახევროა. სარგებლობენ რა ამ ვითარებით, დამსაქმებლებს შტატში თანამშრომელთა მხოლოდ 40 პროცენტი აჰყავთ. რადგან შტატგარეშე თანამშრომლებს პროფკავშირები ვერ სთავაზობს იმავეს რაც შეუძლია შტატში მყოფ თანამშრომელს შესთავაზოს, შესაბამისად, იგი მცირერიცხოვანი რჩება. ამას თან ერთვის იაპონური კორპორაციების მიერ საკუთარი ბიზნესის ჩინეთში გადატანა, რათა იაფი მუშახელით კიდევ მეტი მოგება ნახონ.

იაპონიის შრომითი კანონმდებლობით უპირატესობა ენიჭება კოლექტიურ შრომით მოლაპარაკებებს კომპანიების დონეზე. დამსაქმებელთან კოლექტიურ შრომით ხელშეკრულებას პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია დებს. კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება აუცილებლად ითვალისწინებს ხელფასის ყოველწლიურ ზრდას. თუ კომპანიაში კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება არ არის გაფორმებული, მაშინ დამსაქმებელი თავად ზრდის წელიწადში ერთხელ მაინც ხელფასს, ან წელიწადში ორჯერ გასცემს ბონუსებს.



იაპონიაში მოქმედებს დასაქმების სახელმწიფო ბიურო. მისი საინფორმაციო ბაზა ელექტრონული და ცენტრალიზებულია. იგი შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცენტრალური ოფისიდან იმართება. ბიურო მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. ბიურო უმუშევართათვის მოიძიებს ახალ სამუშაო ადგილს და კვალიფიკაციის მიხედვით ახდენს მათი გადამზადების დაფინანსებას. ყოველწლიურად ბიურო უმუშევართა 20 პროცენტის გადამზადებასა და დასაქმება ახორციელებს. თუ ბიურო ვერ ახდენს უმუშევრისთვის საჭირო ვაკანსიის მოძიებას, მაშინ მოქმედებას იწყებს უმუშევრობის შემწეობა. 1 კატეგორიის მიხედვით, თუ ინვალიდი უმუშევარი დარჩა და მისი სამუშაო სტაჟი 1 წელზე ნაკლებია, იგი შემწეობას იღებს 300 დღის განმავლობაში. თუ ინვალიდი უმუშევრის სამუშაო სტაჟი 1 წელს აღემატება, იგი შემწეობას იღებს 360 დღის განმავლობაში. 2 კატეგორიის მიხედვით, თუ მოქალაქე უმუშევარი დარჩა და მისი სამუშაო სტაჟი 20 წელზე ნაკლებია, იგი შემწეობას იღებს 180 დღის განმავლობაში თუ უმუშევარი მოქალაქის სამუშაო სტაჟი 20 წელს აღემატება, იგი შემწეობას იღებს 260 დღის განმავლობაში. მესამე კატეგორიის მიხედვით, თუ მუშაკი პირადი ნებით ტოვებს სამუშაო ადგილს, იგი უმუშევრის შემწეობას იღებს 150 დღის განმავლობაში.

იაპონიის სოციალური დაცვის სისტემა სოციალურ ბალანსსა და სოციალურ ინტეგრაციას ემყარება. უპირატესობა ენიჭება არა სახელმწიფოს მიერ მოქალაქისთვის სოციალური ტრანსფერის გამოყოფას, არამედ შრომით ბაზრის სტაბილიზაციას, დასაქმების უზრუნველყოფას,შრომის ნაყოფიერების უწყვეტ ზრდას. ამ მიზნით იაპონიაში სპეციალური ცენტრია შექმნილი. ცენტრი კოორდინაციას უწევს შრომის ნაყოფიერების ზრდის მოძრაობას. იგი სამ პრინციპს ეყრდნობა. დასაქმებულის მიერ შრომის ნაყოფიერების ზრდის აღიარება საკუთარი ხელფასის ზრდის ძირითად პირობად, დამსაქმებლის მიერ შრომის ნაყოფიერების ზრდაზე ზრუნვა დასაქმებულის კვალიფიკაციის ხელშეწყობის ზრდით, შრომის ნაყოფიერების ზრდის მიღწეული დოვლათის სამართლიანი განაწილება. კოლექტიურ შრომით ხელშეკრულებებში ამ საკითხს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. პროფკავშირები ამ საკითხს განსაკურებით აკონტროლებენ.

იაპონიაში სახალხო საპენსიო დაზღვევა მოქმედებს. ყველა მოქალაქე საპენსიო ფონდში შენატანს იხდის. ეს სისტემა უზრუნველყოფ პენსიის მინიმალურ დონეს. მოქალაქე აგრეთვე იღებს კორპორაციის პენსიას და კომპენსაციას.

სამედიცინო მომსახურების სისტემა იაპონიაში უნივერსალურია. სახელმწიფო სამედიცინო მომსახურებას უწევს სამედიცინო დაზღვევის არმქონე მოქალაქეებს. ეროვნულ სამედიცინო დაზღვევის სისტემას დასაქმებული და დამსაქმებელი დაზღვევის 30 პროცენტიან წილს უხდიან.

იაპონიაში სოციალური უფლებები იაპონიის მოქალაქეობასთან არის მიბმული. შრომს ბაზარზე აქტიური პოლიტიკა ხორციელდება. სწრაფად გაიცემა კრედიტები, აუცილებლობისას ხდება ხელფასის სუბსიდირება, კვალიფიკაციის ამაღლება პერმანენტულად ფინანსდება, პროფკავშირები კომპანიების დონეზე იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილებების შემუშავებასა და მიღებას, არამედ კადრების მომზადებასა და გადამზადებას, დასაქმების სტიმულირებას ითხოვს.

იაპონია მსოფლიოში სკრუპულოზულად კრებს ინფორმაციას შრომითი ურთიერთობების, სოციალური კონცეფციებისა და კანონმდებლობის შესახებ. აკადემიური წრეები კრიტიკული ანალიზის შემდეგ სახელმწიფოს, კერძო და სამოქალაქო სექტორს სთავაზობენ მზა იდეებს პრაქტიკაში დასანერგად.

**დავით არაბიძე**
**განათლების ეროვნული კავშირის მდივანი**

## დედამიწაზე ყველაზე პატარა ადამიანი ნეპალში ცხოვრობს



ჩანდრა ბაჰადურ დანგი მსოფლიოში ყველაზე პატარა ადამიანის ტიტულის მოსაპოვებლად იბრძვის. მას უკვე შეუსრულდა 72 წელი, არის 56 სმ და მხოლოდ 12 კგ-ს იწონის. ბაჰადური სოფელში ცხოვრობს და თხებს მწყემსავს. მისთვის ცხოვრება ისევე ჩვეულებრივ მიდის, როგორც ნებისმიერი ნეპალელისთვის.

## თხები სპეციფიკური აქცენტით ლაპარაკობენ

შესაძლებელია თუ არა თხა თხას დაელაპარაკოს? აქამდე ითვლებოდა, რომ ეს მხოლოდ მეცნიერულ დონეზე გასაშიფრი ფაქტი იყო. ლონდონის დედოფალ მარიას სახელობის ბიოლოგიისა და ქიმიის მეცნიერებების კოლეჯის მეცნიერ-თანამშრომლებმა დაამტკიცეს, რომ ჩვეულებრივ თხებს შეუძლიათ აქცენტით ილაპარაკონ. ამ აქცენტით თხები არ იბადებიან, მას თანდათან იძენენ ზრდის პროცესში უფროსებისგან.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ცხოველებს შორის თხა ყველაზე ინტელექტუალ ცხოველად ითვლება. ისინი უმაღლესი ხარისხის სოციალური ცხოველებია. აქვთ განსხვავებული მეტყველება, გამოსცემენ განსაკუთრებულ ხმებს შეატყობინონ რაიმე სხვა თხას. მათ შეუძლიათ გამოხატონ ემოცია, შიში, სექსუალური მოთხოვნილება. გააჩნია დროს და ვითარებას.

ცდისთვის ახალდაბადებულ ბეკეკას დააკვირდნენ. დაბადებიდან ერთი კვირის განმავლობაში თიკანი სხვა თხებისგან განსაკუთრებულ ყურადღებას იღებს. მეხუთე კვირას ის უკვე არვეს სრულუფლებიანი წევრია. ექსპერიმენტისთვის ერთიდან ხუთ კვირამდე ასაკის 23 თიკანი გამოიყენეს. აღმოჩნდა, რომ მეხუთე კვირას ყველა მათგანი სპეციალური აქცენტით „ლაპარაკობდა“. საინტერესო ისაა, რომ ერთი და იგივე დე-



დის და მამის შვილები თუკი თხების სხვა ჯგუფში გაიზარდნენ, კიკინის მანერაც კი სხვანაირი ჰქონდათ.

როგორც ცნობილია, მეტყველება ფონოგრამის შედეგი კი არ არის, არამედ გარშემომყოფების მეტყველების იმიტაცია, რაშიც ხმოვანი კავშირები აქტიურადაა ჩართული. ექსპერიმენტი გრძელდება. აღსანიშნავია, რომ მომავლის პერსპექტივაში თხებზე ჩატარებული ექსპერიმენტის თანახმად, შესაძლებელია მექანიკური მოსაუბრის შექმნაც, რომელსაც ექნება სასიამოვნო ბარიტონი, ანდა კეთილშობილური ბანი, ან შესაძლებელი იქნება სასურველი ხმის მიცემა შესაბამისი პროგრამით, მოსმენა იმისა, რისი გაგონებაც გსურდათ.

## რატომ არის ჩვენთვის ყველა ჩინელი ერთნაირი?

ადამიანის სახე არის ტექსტი, რომელიც ითხოვს წაკითხვის თავისებურ ტექნიკას. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ყველა კულტურას ეს ტექნიკა სხვადასხვანაირი აქვს.

ევროპელების შეხედულებით, ჩინელების დახასიათებისას წარმოიდგენს მარცხენა თვალს, მარჯვენა თვალს და ტუჩებს, მაგრამ ჩინელები მაშინვე უყურებენ ცხვირს და სახის სხვა ნაწილები პერიფერიულ ორგანოებად მიაჩნიათ. ამ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები 2008 წელს, მათ კვლევა ჩაატარეს დიდ ბრიტანეთსა და კანადაში. ახალი ექსპერიმენტი ექსპერტების ჯგუფმა ჩაატარა, რომელსაც ელიზაბეთ შეპარდი ხელმძღვანელობდა. ის გახლავთ მალაიზიაში ნოტინგჰემის უნივერსიტეტის ფილიალის პროფესორი მას ეხმარებოდნენ შოტლანდელი სპეციალისტები შოტლანდიიდან სენტ-ენდრიუს უნივერსიტეტეტიდან. თუ სახისმეტყველების გაშიფრვას მივყვებით, ნათელი გახდება, რომ ყველაფერი მშობლების გენზეა დამოკიდებული. ხოლო სახეები ყველას ერთნაირი აქვს, განსხვავება იმაშია, თუ როგორ გარემოში იზრდებოდა ადამიანი. საინტერესოა ის, თუ რას კარნახობდა ადამიანს რასა და რას ასწავლის კულტურა. მალაიზიელ ეთნიკურ ჩინელებზე ეს პირდაპირ ვრცელდება. საინტერესოა, რომ მალაიზიაში ჩინელი არის 23,7 პროცენტი, დანარჩენი ინდუსები და თეთრკანიანი იმიგრანტებია. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ აქ მხოლოდ დასავლურ ფილმებს უყურებენ და არ აინტერესებთ ჩინური კულტურა. საინტერესოა, რომ თვით ნოტინგეჰემის უნივერსიტეტის მალაიზიის ფილიალის სტუდენტებიც აქტიურად არიან დაინტერესებული დასავლური კულტურით.



მეცნიერებმა ჩაატარეს კვლევა, რომელშიც, ძირითადად, ჩინური წარმომავლობის ახალგაზრდები იყვნენ და მონიტორზე უჩვენეს როგორც ჩინელების, ასევე ევროპელების სახეები, რათა შეესწავლათ „სახისმეტყველების კითხვის“ ტექნიკა კვლავ იგივე დარჩა თუ არა. როგორც ზემოთ გითხარით, ჩინელი სახეზე ერთ წერტილს აკვირდება და ეს წერტილი ცხვირია.

ცდებმა აჩვენა, რომ ჩინელი ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა სახეს ისე კითხულობდა, როგორც ევროპელი, ანუ არ იყო ორიენტირებული ერთ წერტილზე, რაც ნიშნავს, რომ წარმომავლობას კი არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ გარემოს, სადაც სიცოცხლე ვითარდება. როგორც აღმოჩნდა, სწორედ ეს არის განსხვავების მიმანიშნებელი დასავლურ და აღმოსავლურ მხატვრულ ხელოვნებაშიც. კულტუროლოგების მტკიცებით, გლობალიზაცია სრულიად შეცვლის სილამაზის სტანდარტებს და ხელოვნება სულ სხვანაირ კატეგორიებს დასჯერდება.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!**

## ასტროლოგიური პროგნოზი


**ვერძი** – ამ კვირაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ინფორმაციას – ნუ გაამჟღავნებთ საკუთარ საიდუმლოებებს. მოქმედეთ და ხელი შეუწყვეთ დადებითი ტენდენციების განვითარებას.


**კურო** – შესაძლებელია, გამოგიჩნდეთ დაუგეგმავი ხარჯები, თუმცა ნუ გადააჭარბებთ – ნუ იქნებით უყაირათო დ მაქსიმალურად გააკონტროლეთ თქვენი ფინანსები.


**ტყუპები** – ამ პერიოდში მოგიწევთ გადააფასოთ ღირებულებები. ყურადღება გაამახვილეთ სამსახურეობრივ საქმიანობასა და კარიერაზე, მით უმეტეს რომ პირადული საკითხების მოგვარება ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ.


**კირჩხიბი** – გააქტიურდებით და სერიოზული შემოქმედებითი პროექტის განხილვაც მოგიწევთ. ნუ იზარმაცებთ და ნუ იქნებით უხეში, ეს თქვენს მომავალ წარმატებებს შეაფერხებს.


**ლომი** – მოსალოდნელია, ეს კვირა თქვენი სურვილების შესრულების პერიოდად იქცეს, შეეცადეთ ყველაფერი ეტაპობრივად გააკეთოთ.


**ქალწული** – თქვენ შეძლებთ არსებული მდგომარეობის გაკონტროლებას, იმოქმედეთ წინდახედულად, თუმცა, ნუ დაიწყებთ გარშემომყოფების კრიტიკას.


**სასწორი** – მოსალოდნელია, გაგიჩნდეთ კარდინალური ცვლილებების განხორციელების სურვილი, თუმცა ამას რამდენად მოახერხებ და რამდენად შეძლებთ საერთო მდომარეობის გამოსწორებას, ეს თქვენზეა დამოკიდებული.


**მორიელი** – ამ კვირაში მოერიდეთ ზედმეტ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას, ყურადღებით მოუსმინეთ გარშემომყოფვა რჩევებს და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინეთ კიდეც.


**მშვილდოსანი** – მოსალოდნელია ურთიერთობებისა და საქმეების განახლება დაგჭირდეთ, ამაში ნაცნობებიც დაგეხმარებიან.


**თხის რქა** – მოგიწევთ კომპრომისზე წასვლა და ამასთან გამოგიჩნდებათ საშუალება, რომ მოძალებულ პრობლემებს თავი დააღწიოთ.


**მერწყული** – ამ კვირაში მეტი ყურადღება ჯანმრთელობას მიაქციეთ, ნერვულ სისტემას, ნუ გადაიტვირთავთ თავს.


**თევზები** – კვირის დასაწყისში მოსალოდნელია, მრავალი პრობლემა გადაჭრათ. ეს თქვენს ნერვულ და ემოციურ სისტემას დაძაბავს. თუმცა, შემდეგ ყველაფერი თქვენს სასიკეთოოთოდ შემოტრიალდება.

### ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:

სკანვორდი

1.ზედახორა. 2. სელპაკი. 3. საპატარძლო. 4. რიგოლეტო. 5. პეტრარკა. 6. კლერკი. 6ა. სალვადორი. 7. აპელაცია. 8. ტაგანკა. 9. მტევანი. 10. აპოხტი. 11. ავყია. 12. აჩაჩული. 13. ყვანჯი. 14. ბოცმანი. 15. ბოგანო. 16. ჰაგიოგრაფია. 17. ნატალი. 18. ფირუზი. 19. ფიჩხი. 20. ჩარდახი. 21. ვებერი. 22. ვუპი. 23. ორთოგრაფია. 24. ჰიტი. 25. ტანგო. 26. ხეჩო. 27. შპიგელი. 28. პრობლემა. 29. პროპორცია. 30. ფშატა. 31. მგელი. 32. სიგი. 33. რაფია. 34. ფლატე. 35. ინტერი. 36. ფინიში. 37. კუჭმაჭი. 38. კალამი. 39. ტოლფასი. 40. ალყა. 41. ჰაიმორიტი. 42. ცაავა. 43. ხელფასი. 44. ლამი. 45. ვალკირიები. 46. მაყვალა. 47. მარკოზი. 48. ხრამული. 49. ოზი. 50. მაშა. 51. მონტანა. 52. ტარა. 53. ნაფარეული. 54. კოზაკი. 55. ასკეტი. 56. თავთუხი. 57. მარლონ. 58. ილია. 59. ფლუსი. 60. შამილი. 61. ციტრა. 62. ცისანა. 63. შივა. 64. თივა. 65. ქაბული. 66. ეული. 67. ხალი. 68. იუთუ. 69. ხირხალი.

სკანვორდი

1. მანჩესტერი. 2. ფინალისტი. 3. შტეფან. 4. შამპანური. 5. ფუნიკულიორი. 6. ნატვრისთვალი. 7. მაგნიტი 8. კორა. 9. ლობანოვსკი. 10. კიკინები. 11. ლენა. 12. ანელკა. 13. კურტაკი. 14. როკო. 15. ემენტალი. 16. გასკონია. 17. კალასი. 18. ლამბორჯინი. 19. მიგრენი. 20. ემე. 21. პოსტი. 22. ჩხირი. 23. კანკანი. 24. ტალი. 25. დურბინდი. 26. არაბობა. 27. სასა. 28. ბანდაჟი. 29. დიო. 30. ჩაქვი. 31. ქოსატყუილა. 32. დისპანსერი. 33. სინგაპური. 34. ბინდი. 35. ბრაუნი. 36. ბიჯი. 37. პასიური. 38. საგიჟე. 39. ტყეპარკი. 40. შერონ. 41. სკრეპი. 42. პეკი. 43. ინგუშეთი. 44. პანასონიკი. 45. ნეგო. 46. გრეცკი. 47. გრუხუნი. 48. რიგა. 49. ნოდია. 50. პუიოლი. 51. ობსერვერი. 52. პისუარი. 53. ლენ. 54. ოდო. 55. სია. 56. მექსიკელი. 57. ესტანსია. 58. კვადრიგა. 59. იერუსალიმი. 60. იანკი. 61. პატო. 62. სადკო. 63. პლედი. 64. ლასო. 65. სალარო. 66. რიკული.